

კვირის პალიტრა

# გზა

N46(179) 13/XI  
ფასი 60 თ.

## რა უღის ვიხეილ სააკაშვილს?!

86

1168  
2003

საუბრად დაბრუნებულ „ჯოჯოხეთში“ — მოგზაურის დღიურები

### ქალი უფროსი

სათუნა ჟორდანიას —  
ვინ აწინაინებს  
ქალების  
გინებას

რას ვერ  
ეგუებინან  
მამაკაცები  
სამსახურში



N23(57) 13/XI-26/XI.2003

ოჯახის

# მეურნაელი

საპედიონო ჟურნალი

ფასი 70 ლ.

ფრთხილად,  
პანიმორჩიში



როგორ  
დავიბრუნოთ  
ქილი

რატომ  
იკვინება  
პატარა

რა უნდა ვიცოდეთ  
ონკოლოგიური  
დაავადებების  
შესახებ

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

<b>მინიატურები</b>	
კვარა „ავარღნა“ ანუ „პრიკოლშოუ“ „ავარღნილები“	3
<b>ერთი კითხვა</b>	4
<b>ჰვირის კითხვა</b>	
სააკაშვილი, ბურჯანაძე, ჭვანია, პრეზიდენტი - რა უღვეთ მათ გულში?	6
<b>აინონა-აინონა</b>	
„პოლიტიკური ლიდერი ის არის, ვინც იცის ჩვენი ბაჭირვება...“	7
<b>საკატარძლო</b>	
„ეკა, მთხომ, უკასხო ჩემს გარს!“	8
<b>სასიკო</b>	
„ქორწინებაზე სექსს დაღვბითად ვუყურებ, თუმცა არს ქორწინების შემდეგ არის ცუდი...“	9
<b>გადასაღებ მოვლანვა</b>	
გიო გურგულია - ნიკ ნოლტის ნაცვლად...	11
<b>გზავნილება</b>	
„მალღობა პირველ სიყვარულს, რომელმაც ბოლო სიყვარული მავრწინა“	12
<b>კრიმინალი</b>	
● „ბავშვს წინააღმდეგობა არ გაუწვია... მოგრილი ქვა ავიღე და თავში ჩავარტყი“	14
● ავტოავარიას 3 არასრულწლოვანი ემსხვერპლა	15
● მაისურაპის აღვოკატი გამორიცხავს აწვითქვასთან პატარკასიშვილის კავშირს	16
<b>სამყანი ქალი</b>	
„ყველა ქალის წარმატებული ბიზნესი მამაკაცის მიერაა დაწინაანსებული...“	18
<b>გემოვნება</b>	
ბააღურ წულაქა: „ჩემი ხნის ქალი არ მინდა, ახალგაზრდა კი საღ უნდა ვეებო?“	19
<b>თემა</b>	
როცა ბოსი ქალია და შიშის გარს სთემს მამაკაცებს...	22
<b>სახე</b>	
პირველი ქართული გოგონა დასარტყამ ინსტრუმენტებთან	25
<b>ტანტი</b>	
ერთგული მკითხველი	27
<b>მარჩიული</b>	
„ბავრი აღამიანი აღიარებს, რომ ღიღო ნამღვიღად ეკუთვნოდა...“	28
<b>ანტიღვკრანსტი</b>	
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოგა ღვალის უბის წიგნაკიდან	30

# როცა ბოსი ქალია და შიშის გარს სთემს მამაკაცებს...



როგორია ქალი უფროსი? როგორ გავლენას ახდენს ხელქვეით მამაკაცებზე? ამ კითხვებზე გვკასუბობენ ისინი, ვინც მსგავს სიტუაციებში აღმოჩნდნენ, ფსიქოლოგები და ცნობილი აღამიანები.

22


# „ქორწინებაზე სექსს დაღვბითად ვუყურებ, თუმცა არს ქორწინების შემდეგ არის ცუდი...“

- ქალს პირველ რიგში სახვზე ვუყურებ, ამიგომ უნდა იყოს ცოგა ლამაზი, ცოგა ჭკვიანი და უნდა იყოს ჩემზე უკეთესი კულინარი და დიასახლისი. ისე, სადაც სიყვარულია, იქ ყველაფერზე თვალს დახუჭავ... იყოს სახლი დასახვეტი - ჯანდაბას!



9

# 4 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის 21 წლის ზურგს ხმებრკულს ასამართლებენ



ამ შემზარავმა ფაქტმა შარშან, მთელი საქართველო შექრა: პაგარა გოგონა საშინლად იყო ნაწამები. მაგრამ დროულად ჩაგარებულმა ქირურგიულმა ოპერაციამ იგი სიკვდილს გადაარჩინა. სწორედ ექიმებისგან შეიგყვეს მისმა მშობლებმა, რომ მათი შვილი გაუპატიურებული იყო...

14

# „ყველა ქალის წარმატებული ბიზნესი მამაკაცის მიერაა დაწინაანსებული...“

- საკმაოდ მომთხოვნი ვარ. ერთხელ „პრარაბს“ ისე ვეჩხუბე (დიღმის საფეხბურთო ბამაზე სარემონტო სამუშაოები გარღებოდა), რომ შემდეგ უთქვამს: რა კარგი ძმა ჰყავს და ეს რა ავი და ანჩხლიაო?!



18

# პირველი ქართველი გოგონა დასარტყამ ინსტრუმენტებთან




თითქმის 30 წლის წინ, საოცრად „ხმაურთანად“ გაგვაცნო თავი გოგონათა ანსამბლ „მზიურის“ ერთ-ერთმა წევრმა – ლია ხორბალაძემ: ლია პირველი ქართველი გოგონა გახლავთ, რომელიც რვა წლის ასაკში მიუჯდა დასარტყამ ინსტრუმენტებს...

25

# აპირიკული მთლიანობა ანუ სტუმრად ღებრიბულ „ჯოჯოხეთში“...

ის ადგილი, სადაც ჩემი მეგობარი ვახო ცხოვრობდა, დეგროტიგის გარეუბნად ითვლებოდა, თუმცა კი ქალაქის ძველი უბანი უფრო ეთქმოდა. ძირითადად, 2-3-სართულიანი მანსარდიანი სახლები იყო და თითოეულს პაგარა, მოვლილი ეზო ჰქონდა.



49

# პერლიზ ბერინი - სამსრეთაფრიკულ ფერგაუ ბაზრდოლი პოლიკულადი გოგონა




ამ ლამაზი ქალის ცქერისას, ძნელი წარმოსადგენია, რომ ბავშვობის წლები მან პრობების გარემოცვაში გაატარა. თუმცა მომავალი ვარსკვლავი დაიბადა და უკვე პატარაობაშივე გადაწყვიტა, რომ პრობების მწყემსად ვერ ივარგებდა...

53

# დაგვიანებული ჩივისი მოსყვი-თინილისი

...საღამოს შინ დაბრუნებულ დეას კარი სახედახოკილმა და თმაგაწეწილმა ელამ გაუღო.  
– ამ საღამოს პალატაში შეუცვიდნენ და მხეცურად მოკლეს!  
– თავში ხელები წაიშინა ელამ...



42

<b>შსპარი</b>	
„რაც უფრო მეტ ქალს დავახვევ თავბრუს, მეტ სიამოვნებას ვიღებ...“	30
<b>ქალი საქანთან</b>	
„არაგვის ვურგვ, ასეთი სიტყვები მოგაპახოს, თორემ, მანქანას დავაჯახებ!“	32
<b>ტაქარი</b>	
რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ადამიანს მღვდელმსახურთან მიმართ?	34
<b>მადლი</b>	
ცოდვების მოსანანიებლად მოვლენილი ღვთიური ნიჭი	35
<b>„ოქროს გურთის“ ლაუკაატაბი</b>	
JPP – სუპერფორმარდი ვალენსენიდან	38
<b>სპორტული მოზაიკა</b>	41
<b>რომანი</b>	
რუსულან ბერიკა. დაგვიანებული რიისი მოსკოვი-თბილისი (ბაზრკელეა)	42
<b>ბომონდი</b>	46
<b>ავტო</b>	48
<b>მოგზაურის დღიურები</b>	
ამერიკული მოულოდნელობები ანუ სტუმრად ღებრიბულ „ჯოჯოხეთში“...	49
<b>პრომოუტარი</b>	
ვანიკო თარხნიშვილი: „ნიუ-იორკი ერთადერთი ქალაქია, რომელსაც ვერ ბავუსწრებ...“	52
<b>პარსკვლავი</b>	
შარლიზ ბერინი – სამსრეთაფრიკულ ფერგაუ ბაზრდოლი პოლიკულადი გოგონა	53
<b>იუმორი</b>	56
<b>ჯანვრთელეა</b>	
● თუ ბავშვს სწავლა ბავჭირდა	57
● ხუთი სიახლა	
ჰიპერტონიის შესახებ	58
● სხვადასხვა	59
<b>ჰოროსკოპი</b>	
კვირის (17-23 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი	60
<b>სკანოკრი</b>	61
<b>უმოუბიზენი</b>	62
<b>ტესტი</b>	
შეგნავთ თუ არა საკუთარი ბედის განკარგვის უნარი	63
<b>კალენდოსკოპი</b>	
ჰრელ-ჰრელი ამბები	64

**გარეკანზე: გიორგი შორაშულიანის კოლაჟი**  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“  
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით  
გაზეთი „კვირის პალიტრის“ დამატება  
ფურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი  
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8  
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com  
ფურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორი“

# ემანა „ავარდნა“ ანუ „პრიუილშიუ“ „ავარდნილები“



ყურადღება! ყურადღება! წერს და უჩვენებს ჟურნალი „გზა“! წერს და უჩვენებს ჟურნალი „გზა“!... „გზის“ ყველა დიქტოფონი და ფურცელ-კალამ-ფოტოაპარატი პარლამენტის შენობის წინაა მოთავსებული, სადაც სრული ანშლაგითა და ოვაციებით მიმდინარეობს კომპანია „პოლიტ-ფემენ-ფროდაქშენ-ოსმემენ“-ის გრანდიოზული „ტუსოვკა“ სახელწოდებით – „პრიკოლ-შიუ“ „ავარდნილები“. რეპორტაჟს უძღვება პროვოკატორი...

მას მოკლე შესავლით დაიწყო: ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შემხედვარე, ცოტა ფილოსოფიურ გუნებაზე დავდექი და იცით, რა გამახსენდა? ზოგჯერ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერთ ასო-ბგერას, მაგალითად – „ა“-ს, რომელიც მთელი იმ სიტყვის უარყოფას ნიშნავს, რომელსაც წინ დაურთავენ ხოლმე. ავიღოთ, ვთქვათ, სიტყვა „პოლიტიკური“; ნახეთ, რამსიგრძე სიტყვაა! მაგრამ საკმარისია, ერთი პაწაწინა „ა“ დაურთოთ და რა გამოვა? დიხ, დიხ – სრულიად საპირისპირო რამ:

არაპოლიტიკური, პოლიტიკისგან დაცილილ-დაწმენდილი. ასევეა სხვა სიტყვებიც, მაგალითად – „სოციალური“ – „ასოციალური“, „მორალური“ – „ამორალური“, „კაცური“ – „არაკაცური“... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს... ჰოდა, ჯობს, მთავარ სათქმელზე გადავიდეთ. ვდგავარ ახლა მალაღ ადგილას, გავყურებ დღევანდელ თბილისურ პეიზაჟს და ვფიქრობ: ეპ, რომ სცოდნოდა „ცხონებულ“ მეოცე საუკუნეს, ოცდამეერთე ასეთი უხეირო მემკვიდრე აღმოჩნდებოდა, ალბათ არც გათავდებოდა. არადა, რა კარგი იყო ის დალოცვილი, განსაკუთრებით, ბოლო წლებში, სასთუმალთან რომ ვუსხედით და უკანასკნელ დღეებს ვუთვლიდით, უკეთესის მოლოდინში. და აი, დადგა ეს „უკეთესი“ და რემიქსული ლოზუნგებით: თუ ადრე, „ძირს კომუნისტებიო!“ – ვიძახდით, დღეს – „კმარა ვარდნა!“ ისმის:

– ადრე პენცია 60 მანეთი მქონდა, ახლა 14 ლარი მაქვს. კმარა ვარდნა! – იძახის ერთი.

– ადრე 5 საყვარელს ავუდილოდი, ახლა ერთთანაც მიჭირს. კმარა ვარდნა! – გვერს უკრავს მეორე.

ერთი პროვოკატორული აზრი მომივიდა და იქნებ, რამეში გამოვადგეს „კმარისტებს“... ვარდნა ხომ ისეთივე რეალური ჭირი და უბედურებაა, როგორც ავარდნა: იმ კაცს, პოტენცია რომ დაუვარდა, სამაგიეროდ, წნევა ხომ აუვარდა?! ანდა, ათასობით ადამიანს რომ პენსია დაუვარდა, ის სიმდიდრე ხომ ვიღაც ერთს აუვარდა?! ამიტომ, „კმარა ვარდნას“ ნაცვლად, იყვირონ – „ავარდნა“ – ხმასაც დაზოგავენ და საღებავსაც.

განა ავარდნილებს არ მიჰყავთ დღეს „პარადი“ საქართველოში? ერთს სიმდიდრე და თანამდებობა აუვარდა თავში და ისე თავის ჭკუაზე ჩაატარა არჩევნები, ხელიც არ აჰკანკალეობა; ამაზე კი, ოპოზიცია ავარდა და ისე ავარდა, რომ საკუთარ

რეზიდენციაშიც კი აუვარდა ბატონ „კნაზს“... ე.ი. დღევანდელი ხელისუფლება და რადიკალური ოპოზიცია ერთად ქმნიან პოლიტიკოსთა ისეთ კატეგორიას, რომელსაც „ავარდნილები“ უნდა ვუწოდოთ.

გვყავს ასევე „დავარდნილების“ კატეგორიაც და ისეთ პოლიტიკოსებს აერთიანებს, რომელთა არსებობა ცხოვრებაში კი არა, საარჩევნო ბიულეტენებშიც არ შეუნიშნავს ამომრჩეველს, მათ წინააღმდეგ არც გაყალბება იყო საჭირო. თუმცა, „დავარდნილთა“ ერთ-ერთმა ლიდერმა მაინც იპოვა საკუთარ თავში „ილიას სიბრძნე“, ერეკლეს ვაჟკაცობა, სტალინის სიმტკიცე და „ავარდნილებს“ შეუერთდა, რატომღაც რუსული შემახილით: **Мишка, ты уже начинаешь мне нравиться** – ოოო...

არასახარბიელო დღეში აღმოჩნდნენ მესამე კატეგორიის პოლიტიკოსები – ანუ „გავარდნილები“, რომლებსაც მყარი იმედი გაუცრუვდათ: მიუხედავად დაგროვილი გამოცდილებისა, პარლამენტიდან მაინც გავარდნენ – აბა, რა ეგონათ, ზოგიერთ რეპუტაციაშეგლახულ და ექსმაღალჩინოსანს რომ უთმობდნენ „თბილ სავარძლებს“ თავიანთ სიაში?! ჰოდა, ჩაიკლან ახლა ზვაშიაღი სასმლით...

დაბოლოს, ყველაზე საცოდავი კატეგორია – „ჩავარდნილები“: მას ის უბრალო მოსახლეობა მიეკუთვნება, რომელიც სხვის ამბიციებზე ავარდნილა, ათასჯერ შეურაცხყოფილი ძირს დავარდნილა, ლუკმაპურის საშოვნელად სამათხოვროდ გავარდნილა და სილატაკის უფსკრულში თავით ჩავარდნილა. ჰოდა, ახლა იმის იმედით, ძველი „ვარდნილი“ ახალი „ავარდნილით“ შევცვალოთ და გვეშველებო, გვერდებგაყინული, ღამეებს უთევს და სიმღერებით ამხნევეს საკუთარ უბედურებას და ხან „კმარა ვარდნას“ გაჰყვირის და ხან – „კმარა ავარდნას“... არადა, მგონი „ვარდნაც“ კმარა და „ავარდნაც“...

რეპორტაჟი მიჰყავდა „კმარა-პროვოკატორს“... P.S. ორი ქალის დიალოგი: – დღეს საყვარელთან მივდივარ, ქმარს კი მოვატყუებ – მიტინგებზე ვიყავი-მეთქი, მაგრამ რომ დამაფიცოს, როგორ ვიცრუო?

– სექსის დროს, „მიდი-მიდის“ ნაცვლად, „კმარა-კმარა“ იძახე და დაფიცებისაც არ შეგეშინდება...

პროვოკატორი

# „პდგპარ იმ, სადას ჩემი ხალხი დგას“



რუსთაველის პროსპექტზე და თავისუფლების მოედანზე მიმდინარე საპროტესტო აქცია, სიმპათია-ანტიპათიის მიუხედავად, ყველას ყურადღების ცენტრშია. ამიტომ ბუნებრივია, ჩვენც იქ გავეშურეთ, რათა გავსაუბრებოდით მომიტინგეებსა და აქციის მონაწილეებს.

## ნინო ჯაპახიშვილი

**რობერტ ცუცუერიძე**, მომიტინგე:

– უარყოფითად ვაფასებ ხელისუფლების ბოლო პერიოდის მოღვაწეობას. ხალხი მხოლოდ იმის გამო კი არ არის აღშფოთებული, რომ არჩევნები გაყალბდა, არამედ იმიტომ, რომ უკვე 10-12 წელია, უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. პენსიონერი, როგორც წყალობას, ისე ელოდება 14-ლარიან პენსიას და ვერ ღებულობს. ადამიანებს ისე უჭირთ, რომ ნათესავთან ვეღარ მიდიან ჭირისა თუ ლხინის გასაზიარებლად. მოსახლეობისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამო, პროტესტის ნიშნად გამოვედით ქუჩაში... რა თქმა უნდა, კარგი არ არის, ასეთი არეულობა რომაა ქვეყანაში, ხელისუფლება კი, ასეთ დაძაბულ სიტუაციაში უმოქმედობას იჩენს, თუ არ ჩავთვლით დიალოგის უშედეგო მცდელობას. ვფიქრობ, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც უფრო მეტ დათმობაზე უნდა წავიდეს. ამ შემთხვევაში, კომპრომისი მისაღები ფორმაა, რათა ამდენ ხალხს მეტი სადარდეგელი და სატკივარი არ გაუჩნდეს – რომ არ დაიღვაროს სისხლი და არ მოხდეს რაიმე უბედურება.

მაშინ ვერც ხელისუფლება იმართლებს თავს და ვერც ოპოზიცია. აქცია მშვიდობიანია, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ვიღაც პროვოკატორმა გაისროლოს და ამან სისხლის ღვრა გამოიწვიოს! მე აქ ერთადერთი სურვილით მოვედი – იქნებ, ხელისუფლებამ გამოიჩინოს მეტი გონიერება, კვლავ წამოვიდეს დიალოგზე, ოპოზიციის ლიდერებმა კი, ყური დაუგდონ ხალხის გულისთქმას და სამთავრობო ბლოკთან ერთად გამონახონ კომპრომისული ვარიანტი.

**რომან გოცირიძე**, „ნაციონალური მოძრაობა“:


– ქუჩის აქციები აუცილებლად გამოიღებს შედეგს. გამორიცხულია, რომ მთავრობამ არ დათმოს პოზიციები. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება დათმობაზე არ წავა, მაშინ ის იძულებული გახდება, ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთდროულად ჩაატაროს. ეს ქვეყნისთვის ძალიან მძიმე იქნება, რადგან კანონით, საპარლამენტო არჩევნები 6 თვის განმავლობაში უნდა ჩატარდეს და თუ მართლაც დაინიშნება არჩევნები, წინასწარჩვენო რეჟიმში ექვსთვიან ცხოვრებას ქვეყანა ვერ გაუძლებს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ხე-

ლისუფლება აუცილებლად დაიხვეს უკან. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი, სად, რა მომენტში, ვინ როდის თმობს პოზიციებს... დღეს პრეზიდენტს მხოლოდ ორი მოკავშირე ჰყავს – წვიმა და ასლან აბაშიძე. თუ შეიძლება, მოკავშირედ ჩათვალოს კაცი, რომელიც ჩოლოქს აქეთ არ გადმოდის?!. წვიმამაც უგანა პრეზიდენტს და კარგი ამინდი გამოვიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქუჩაში ახლა უფრო მეტი ხალხი გამოვა. მინდა დაგაიმედოთ და გითხრათ, რომ ყველაფერი კარგად იქნება...

**მერაბ ძიძიგური**, მომიტინგე:

– იცით, რა მაკვირვებს ყველაზე მეტად? ის, რომ „მრეწველები“ და „ახლები“ განუდგნენ ოპოზიციას და დღეს აქ ჩვენ გვერდით არ არიან. უფრო მეტად სწორედ ის მალელებს, რომ ერთიანობა არ არის! მშვიდობიანი აქცია ალბათ კვლავ გაგრძელდება და იმედი მაქვს, რომ სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ჩემი აზრით, თვითონ ოპოზიციამ საერთო ენა უნდა გამონახოს. როგორც იცით, მათ მოთხოვნებსა და მოწოდებებშიც არის განსხვავება. ერთად რომ მღვარიყვნენ, უფრო მეტ ხმას მიიღებდნენ, ვიდრე ცალცალკე და მეტ საქმესაც გააკეთებდნენ... ჩემთვის გაუგებარია პრეზიდენტის პოზიციაც. მას თუ დიალოგი სურს, აჭარაში რატომღა გაიქცა?!

**სალომე ბერიკაშვილი**, მომიტინგე:



რომან გოცირიძე



გიორგი ნოდია

– სტუდენტებს, ვინც აქ ვდგავართ, ყველას ერთი აზრი და პოზიცია გვაქვს. კონკრეტულად რომელიმე ოპოზიციურ პარტიას კი არ ვუჭერთ მხარს – უბრალოდ, მხარს ვუჭერთ სიმართლეს. გვჯერა, რომ რაღაც სასიკეთოდ შეიცვლება. ეს ყველაფერი კეთდება ჩვენთვის – მომავალი თაობისთვის და პირველ რიგში, სტუდენტობა უნდა გამოეხმაუროს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. ჩემი აზრით, ეს უბირველესად, ახალგაზრდობის, სტუდენტობის ვალია და მიხარია, რომ უფრო და უფრო მეტი სტუდენტი უერთდება მშვიდობიან აქციას. ეს არის ჩვენი ბოლო იმედი, მანსი, რომ სვალნიდელი დღისთვის, ჩვენი კეთილდღეობისთვის რაღაც გავაკეთოთ. ეს იმედიც თუ დაკარგა ხალხმა და დაიშალა, წლების მანძილზე კვლავ არაფერი შეიცვლება... – გაქვთ თუ არა იმედი, რომ ქუჩის აქციები და გადაწყვეტილება შიმშილობის შესახებ სასურველ შედეგს გამოიღებს?

**გიორგი ნოდია**, „ნაციონალური მოძრაობა“:

– მიუხედავად იმისა, რომ სამი დღე და ღამე განუწყვეტლივ წვიმდა, განწყობილება საბრძოლოა: როგორც ხედავთ, თავისუფლების მოედნიდან მომიტინგეები ფეხს არ იცვლიან. როგორ შეიძლება, მათ შემხედვარეს, ცუდი განწყობილება დაგვეუფლოს?! რაც შეეხება შიმშილობის აქციას – რასაკვირველია, სასიამოვნო და ამაღლებული ამაში არაფერია, მაგრამ მოშიმშილეებს შეგნებულად გადავდგით ეს ნაბიჯი. კარგად ვიცოდით, რაზედაც მივდიოდით. მთავარია, ადამი-

ანი სულიერად იყოს ძლიერი და ამაღლებული სულიერი განწყობა ჰქონდეს, თორემ, ფიზიკურად მოვერევით რაღაც პრობლემებს... ვერ გეტყვით, რას მოიმოქმედებს ხელისუფლება. მეკითხებიან – გულწრფელად გჯერა თუ არა, რომ შიმშილობას რაიმე შედეგი მოჰყვება? გულწრფელად მჯეროდა 1988-89 წლებში, როცა აქ, ამ კიბეზე ვიჯექი. ახლა კი, გულწრფელად მჯერა იმისა, რომ თუ შევარდნაძე დარჩება, ჩემს შვილებსაც მოუწევთ აქ დგომა და სწორედ ეს არ მინდა... გასსოვთ ალბათ, გაყინული პენსიების გამო „ნაციონალურმა“ რომ იშინებოდეს, რის შედეგადაც პენსიონერებს კუთვნილი თანხა დაურიგდათ. ერთადერთი ეს მადლევს იმედს, რომ შიმშილობის აქცია უშედეგოდ არ დასრულდება და რომ ხელისუფლების მხრიდან რეაგირება იქნება. მით უმეტეს, რომ ქუჩაში ბევრი ხალხია და თუ კარგი ამინდი გამოვა, უფრო მეტი იქნება. ხალხს არ ესმის, რატომ ცხოვრობს ცუდად. გავიხსენოთ კომუნისტების დრო, როდესაც სასმელ-საჭმელი არ გვაკლდა და ელემენტარულად, სვალნიდელი დღის შიში არ გვქონდა. მიუხედავად ამისა, ხალხმა მაინც გაიცნობიერა, რომ საჭირო იყო ცვლილებები; ჭამა-სმის გარდა, მას გაუჩნდა სულიერი მოთხოვნილება თავისუფლებისა და ასეც უნდა მომხდარიყო... ახლაც იგივე ხდება – მონობაში ცხოვრება აღარავის სურს. ხალხს უნდა, თავისუფლად და ღირსეულად იცხოვროს, ჰქონდეს იმის იმედი, რომ მის შვილებს არაფერი მოაკლდება. მე სამი შვილის მამა ვარ და ბევრჯერ დავმდგარ-

ვარ სერიოზული მატერიალური პრობლემების წინაშე. ასეა ბევრ სხვა ოჯახშიც. ამიტომაც დგას ხალხი ქუჩაში – ადამიანებს აღარ უნდათ ძველებურად ცხოვრება, მათ გაუჩნდათ იმედი, რომ სიტუაცია შეიცვლება. აქედან გამომდინარე, ვგრძნობ, რამხელა ვალდებულებას ვიღებთ საკუთარ თავზე და მინდა, პოლიტიკურმა ლიდერებმა ქართველ ხალხს ეს იმედი არ გაუცრუონ! ახლა უკან დახევა ღალატის ტოლფასი იქნება. ჩვენ ავირჩიეთ პროტესტის გამოხატვის მშვიდობიანი ფორმა. რადგან არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობა არ მოგვეცა, ვარჩიეთ, ასეთი მშვიდობიანი აქციებით შევცვალოთ ხელისუფლება.

**როზა ძიძიგური**, მომიტინგე:

– მე ვდგავარ იქ, სადაც ჩემი ხალხი დგას. მხარს ვუჭერ ოპოზიციას და მართლაც – მორჩა, გვეყო, რაც ვითმინეთ! როგორც ახალგაზრდები ამბობენ, კმარა! წვიმასა და სიცივეში იმიტომ დგანან ადამიანები, რომ თითოეულ მათგანს უკეთესი მომავლის იმედი აქვს. ხალხს იმედი რომ არ ჰქონდეს, არც შეიკრიბებოდა. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ეს იმედი!..



ინტერესმა, რომელსაც მკითხველები ნათელმხილველ ნატაშა სკოროსოლოვას მიერ გამოთქმული პროგნოზებისადმი იჩინენ, გადაგვანყვებინა, უკვე ტრადიციად დამკვიდრებულ რუბრიკასთან ერთად, რომელიც რამდენიმე ცნობილ ადამიანს შეეხება (28-29 გვ.), მისთვის გვეთხოვა, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებაც გაეზიარებინა საკუთარი ვარაუდი. აი, რა გვითხრა მან:

# სააკაშვილი, ბურჯანაძე, ჟვანია, პრეზიდენტი — რა უღევთ მათ გულში?

## ლელა ჭანკოტაძე

**— ამბობენ, ნათელმხილველები თავიანთი გუნება-განწყობილების მკვეთრი ცვლილების შესახებამისად ხვდებიან, თუ ქვეყანაში როდისაა მოსალოდნელი დესტაბილიზაცია. როგორია ამჟამად თქვენი სულიერი მდგომარეობა?**

— რომ გითხრათ — ისეთი აფორიაქებული ვარ, ადვილს ვერ ვპოულობ-მეთქი, — სიმართლე არ იქნება, მაგრამ უკვე სექტემბრის პირველი კვირიდან ვგრძნობდი, რომ პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბებოდა და წლის ბოლომდე, პიკს მიაღწევდა. მე არ ვარ იმ ნათელმხილველების წინააღმდეგი, რომლებიც საშინელ პროგნოზებს აკეთებენ, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ჩვენი ნათქვამი მოქმედებს საზოგადოების განწყობაზე. ბევრს ჰგონია, რომ რა პროგნოზსაც გვაკეთებთ, იმას წყალი არ გაუვა. ამიტომ, ასე რომც ვფიქრობდე, ნამდვილად არ გეტყვით: თბილისი რეკოლუციის ქარცეცხლში გაეხვევა-მეთქი. არც იმის თქმა შემიძლია, თითქოს მიხეილ სააკაშვილი მასონების კლანიდანაა. ისე კი, ნამდვილად ცუდ მთვარეზე გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე, ისევე, როგორც ზვიად გამსახურდია. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისიც ბატონი ზვიადის ბედს გაიზიარებს.

**— კონკრეტულად, რა შეგიძლიათ თქვით მიხეილ სააკაშვილზე?**

— მძიმე კარმა აქვს. ცხოვრებაში იოლად ვერაფერს მიაღწევს. ბევრი წინააღმდეგობა შეხვდება. თუმცა, ისეთ არამიწიერ ენერჯიას ფლობს, რომ მისთვის ნებისმიერი პრობლემა მოგვარებადი. ჩვენ აღრეც ვისაუბრეთ მიშა სააკაშვილზე, მაშინაც იგივე გითხარით. მაგრამ რამდენად შეძლებს, ქვეყანას აცილოს რეკოლუცია, მასზეა დამოკიდებული.

**— თვითონ როგორი განწყობა აქვს?**

— ამწუთას, რეკოლუციისთვის მზად არის.

მის გონებაში რეკოლუცია უკვე მომხდარა კიდევ... ყველა წვრილმანი გათვლილი აქვს. დამიჯერეთ, საკმაოდ ეშმაკია ბუნებით, პრეზიდენტზე უფრო დიდი ეშმაკობა აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ სერიოზულ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა და ხალხს ქუჩაში არ გამოიყვანდა.

**— რით დამთავრდება მიტინგი, რომელიც პარლამენტის წინ მიმდინარეობს?**

— ქვეყანაში სერიოზული დესტაბილიზაციაა. მასობრივი გაფიცვები დაიწყება. პრეზიდენტი ამის შემდეგ დათმობებზე წავა.

**— რა დათმობებზე საუბრობთ?**

— შევარდნაძის რეჟიმი საქართველოში უკვე დამთავრებულია. მას ამწუთას თავისი გარემოცვა მართავს. ეს მიშა სააკაშვილმაც კარგად იცის. ამიტომაც, პრეზიდენტთან მოსალაპარაკებლად, მოვალეობის მოხდის მიზნით წავიდა და არა იმიტომ, რომ რაიმის იმედი ჰქონდა. პრეზიდენტს ჩამოწერილი აქვს სია, სადაც ჩამოთვლილია ის საკითხები, რომლის დათმობაც მას ზიანს არ მოუტანს. ამ დათმობებზე ის საჭირო დროს წავა. მაგრამ მისი მიზანი ამ ეტაპზე ის არის, რომ როგორმე განხეთქილება ჩამოაგდოს ჟვანია-ბურჯანაძესა და სააკაშვილს შორის. ამ სამი ადამიანიდან დათმობაზე წამსვლელი მხოლოდ ჟვანიაა. თანაც, სამივე მათგანს პრეზიდენტობა უნდა და თან, რაც შეიძლება მალე, ასე რომ, მხოლოდ ბურჯანაძესა და სააკაშვილს შორის განხეთქილება გადაარჩენს პრეზიდენტს.

**— რუსთაველზე სისხლისღვრა ხომ არ მოხდება?**

— პროვოცირება იქნება, მაგრამ ჩემი პროგნოზით, გადამწყვეტ წუთში, ამას ძალოვნები არ დაუშვებენ. ამის შედეგად, გადავილის კულმინაცია და დასრულება ფიქრი სისხლის ღვრით წარმატების მიღწევაზე.

**— წინ გვიდევს ჟვანიას, ბურჯანაძის, სააკაშვილის და**

**პრეზიდენტის ფოტოსურათები. იქნებ, ამოიცნოთ, რა უღევთ გულში?**

— მოვეხსენებოთ, ზურაბ ჟვანია ამ ეტაპზე, ნინო ბურჯანაძის ავტორიტეტს იყენებს. ამიტომ, სანამ პარლამენტი არ დაკომპლექტდება, ისინი ერთად იქნებიან. ბურჯანაძემ იცის, რომ სააკაშვილი გამოკვეთილი ლიდერია და ხელისუფლებაში აუცილებლად მოვა. შეიძლება, არ ფიქრობს, რომ სააკაშვილი პრეზიდენტი გახდება, მაგრამ მის აშკარა უპირატესობას აღიარებს. ამიტომ, სანამ საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩატარდება, ისინი გვერდიგვერდ იდგებიან. სააკაშვილი უკან დამხვევი არ არის, რადგან იცის, რომ მისი პოლიტიკური მომავალი დღეს, რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ „იწერება“. რაც შეეხება პრეზიდენტს — მას შეუძლია, ჟვანიასა და ბურჯანაძეს დაუჭიროს მხარი, თვითონ წამოაყენოს ერთ-ერთი მათგანი საპრეზიდენტო არჩევნებში რეალურ კანდიდატად, ოღონდ, ვერასდროს შეეგუება სააკაშვილს.

**— ვინ დგას მიშა სააკაშვილის გვერდით?**

— გვერდით, უფრო სწორად კი, უკან ამერიკელები და მათი ფული უდგას. შევარდნაძის ბუღი აშშ-შიც გადაწყვეტილია, ამიტომაც გააქტიურდა სააკაშვილი.

**— ვგრძნობ, რომ პირადად თქვენ, უარყოფითად ხართ განწყობილი მიხეილ სააკაშვილის მიმართ. რატომ?**

— საამისო მიზეზიც მაქვს, რადგან ის ცუდი ორგანიზატორია, ძალიან იმპულსურია და რაც მთავარია, პოლიტიკაში ახალ მთვარეზეა მოსული.

**— რა ელის მას?**

— მისი სიკვდილი უკვე შეკვეთილია, მაგრამ ტრაგედიას სასწაულებრივად გადაურჩება. მას დიდი მომავალი ელის. როცა მისი ფოტო მომიტანეთ, ამას მაშინვე მივხვდი. შევარდნაძე გააცნობიერებს ამას და შესაძლოა, დღეისათვის წარმოუდგენელი მანევრი ჩატაროს, რითიც პრეზიდენტობის შემდგომ ხელშეუხებლობასა და უზრუნველ სიბერეს მიიღებს. შევარდნაძე ჩაუშესკუს ბედს არ გაიზიარებს. ის ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული.

**— როგორი იქნება უახლოესი მომავალი?**

— სულ მალე, ისევ სიმშვიდე დაისადგურებს და თავდაუზოგავი, უკომპრომისო ბრძოლა დაიწყება პრეზიდენტობისთვის. შევარდნაძე თანამდებობას ვადაზე აღრე არ დატოვებს. ჩვენ რეკოლუცია გველოდება, მაგრამ უსისხლო.



ბოლო პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა განსაკუთრებით გაააქტიურა პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები. მათ განსხვავებული პოზიციები დაიკავეს. საინტერესოა, რას ფიქრობს ხალხი? როგორ უნდა იყოს ლიდერი? რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს? როგორები არიან ქართველი ლიდერები? — ამ კითხვებზე ჩემს რესპონდენტებს რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები აღმოაჩნდათ.

**ლელა ჭანკოტაძე**

— რა თვისებით უნდა იყოს შემკობილი პოლიტიკური ლიდერი?

**ლია ანდლუშაძე, ფსიქოლოგი:**

— არ შეუძლებელი იმაზე საუბარს, რომ პოლიტიკური ლიდერი უნდა იყოს ჯანსაღი ფსიქიკის, გაწონასწორებული ადამიანი. ამასთანავე, უნდა იყოს ინდივიდუალური, გამორჩეული და ორიგინალური ადამიანი. უნდა ჰქონდეს გარკვეული ქარიზმა.

— უფრო კონკრეტულად რა შეგიძლიათ მითხრათ?

— ქარიზმა აქვს სააკაშვილს, ფსევდოქარიზმა — ნათელაშვილს. ბურჯანაძე საერთოდ უქარიზმო ადამიანია. ორიგინალურია სააკაშვილი, რასაც ვერც ერთ სხვა ლიდერზე ვერ ვიტყვი. აშკარაა, რომ ის ყველა პოლიტიკოსისგან გამოირჩევა, თუნდაც იმპულსური და ფეთქებადი ხასიათით. ამიტომაც მოსწონთ მუამბოზე სულის ადამიანებს, ხოლო მშვიდი, ინერტული და გაწონასწორებული ადამიანები, მის მიმართ უარყოფითად არიან განწყობილნი. სწორედ ამ მკვეთრად გამორჩეული ხასიათის გამო, მის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება არ არსებობს: ადამიანთა ერთი ნაწილი აქტიურად უჭერს მხარს, მეორეს კი მაინც, რომ პოპულისტია, ამიტომ კატეგორიულად უარყოფს. რაც შეეხება იმას, თუ ვინ როგორი ორგანიზატორია, გეტყვით, რომ ერთადერთი, ვინც ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩევა, ეს საქართველოს პრეზიდენტია. დანარჩენები ამ მხრივ, საშუალო დონესაც კი ვერ აკმაყოფილებენ.

— როგორი უნდა იყოს პოლიტიკური ლიდერი?

**ირაკლი შინგალია, პოლიტოლოგი:**

— ეგ რომ ვიცოდე, შესანიშნავი იქნებოდა. იმიტომ, რომ მაგ კითხვაზე პასუხი არ მქონდა, საკუთარი ნებით გადავდექი პარტიის თავმჯდომარეობიდან. მოგესსენებათ, 1991-95 წლებში, ქრისტან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე გახლდით. დიდ ბედნიერებად ლიდერობა არასდროს მიმანდა, რადგან მეონია, რომ ცოტა უმაღლური საქმეა.

— და მაინც, თქვენი აზრით, რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს პარტიის ლიდერი?



**„პოლიტიკური ლიდერი ის არის, ვინც იზის ჩვენი გაჭირვება...“**

— პრინციპების დამცველი უნდა იყოს. როგორც საკუთარ, ასევე პარტიის ინტერესებს უნდა იცავდეს. მაგრამ შეთანხმების მიღწევის და კომპრომისზე წასვლის უნარიც უნდა ჰქონდეს. რა თქმა უნდა, ბინძურ გარეგნებზე წასვლას არ ვუვლისხმობ. პოლიტიკა იმდენად რთული ფენომენი გახლავთ, რომ მასში გასარკვევად და მისი ლაბირინთებიდან თავის დასაღწევად, აუცილებელია, რომ ჰქონდეს სწრაფი აზროვნების უნარი. მოვლენების სწორი ხედვა და გაანალიზება უნდა შეეძლოს, სხვისი აზრის დაფასება და გათვალისწინებაც. სამწუხაროდ, საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე, ლიდერის გამოკვეთა კრიზისულ სიტუაციებში ხდება, ეს კი ძალიან ცუდია. ზოგი ლიდერია, მაგრამ წარმოდგენაც არა აქვს, ეს რას ნიშნავს. ლიდერობა ზომ ტვირთიც არის, დიდი პასუხისმგებლობაც მათ წინაშე, ვინც მენს გადაწყვეტილებებსა და აზრებს ითვალისწინებს. ამიტომაც, ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, დრამა სისტემური კრიზისის შედეგია.

**ზანო პლიაძე, ისტორიკოსი:**

— ლიდერს უნდა ჰქონდეს მასშტაბური ხედვა, ისეთი, როგორც აქვთ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ჟვანიას. შალვა ნათელაშვილი ამაში აბსოლუტური ბეცია. ამ მხრივ, არც ნინო ბურჯანაძე გამოირჩევა. აუცილებელია, პოლიტიკურ ლიდერს ჰქონდეს სტრატეგიული ხედვაც, რაშიც სააკაშვილი მოისუსტებს, ნათელაშვილი კი უნიჭოა. პრეზიდენტი შევარდნაძე ამ მხრივაც ლიდერობს. შეიძლება, ცოტა უსწრებდეს ასლან აბაშიძე. საშუალო დონე აქვს ნინო ბურჯანაძეს...

— რა განაპირობებს პარტიის წარ-

მატებას — ლიდერი თუ პროგრამა?

— ცხადია, ლიდერი. ეს ჩვენს ქვეყანაში და იმ სახელმწიფოებშია ასე, სადაც დაბალი პოლიტიკური კულტურაა, თორემ, მთავარი ის არის, თუ რას ჰპირდები შენ ამორჩეულს და რა გაგიკეთებია იმ ხალხისთვის, ვინც გენდო. საქართველოში ჯერ ლიდერი იკვეთება და შემდეგ, ის პარტიას ქნის, წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებში კი, პარტია ირჩევს ლიდერს. მიხეილ ჯავახიშვილს აქვს ნათქვამი არსენა მარაბდელზე: როცა ხალხი ბელადს ეძებს, იგი თუნდაც ხის ფულუროდან გამოძვრება... ხალხს ასეთი ლიდერი სჭირდება, პარტიის ლიდერი კი, ძალზე ინტელექტუალური და პროფესიონალი პოლიტიკოსი უნდა იყოს.

**მარიკა ფირცხალავა, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:**

— პოლიტიკოსი პატიოსანი უნდა იყოს, რამდენადაც ეს პოლიტიკაშია შესაძლებელი. ჩემთვის ასეთი ლიდერი შალვა ნათელაშვილია, იმიტომ, რომ მეონია, სხვებთან შედარებით, უფრო პატიოსანია. ძალიან მომწონს ის ემოცია და თავგანწირვა, რაც ახლა მიხეილ სააკაშვილისგან მოდის, მაგრამ არა მეონია, რომ სიმართლეს ამბობდეს. პოპულისტია და მისი არ მჯერა.

**ანა ზსაბაძე, თბილისი:**

— ჩემთვის პოლიტიკური ლიდერი მაშინ ხდება დასავასებელი, როცა არ ბოლწისტყვაობს, ვიჟურს არაფერს ამბობს, არ იტყუება და გარეგნულადაც სასიამოვნო შესაყვანია. ლიდერი რაფინირებული ინტელიგენტიც უნდა იყოს. ისეთი, როგორც დავით გამყრელიძეა.

**თინიკო კოპალიაშვილი, სამტრედიის რაიონი, სოფელი ანეთი:**

— ჩვენი სოფელი ნინო ბურჯანაძეს უჭერს მხარს. ჩვენთვის ის ნამდვილი ლიდერია. არჩენებადღე დიდი ხნით ადრე, ინვალიდებს დაეხმარა. სოფლისთვისაც გაიღო შემწეობა. ჩვენთან ისეთი გაჭირვებაა, რომ თუ ვინმე უფასოდ შექარსა და მაკარონს მოგვცემს, მისთვის თავს გავწირავთ... ქალბატონი ნინო სამაგალითო ქალია. ნეტავ, ყველანი მასავით მშვიდები და გაწონასწორებულები ვიყოთ. მერე რა, რომ მდიდარია? ეს ნაკლი არ არის.

**ზონა მელაძე, ზაზურის რაიონი, სოფელი ვიძი:**

— სულ ამბობდნენ — მიმა სააკაშვილი პოპულისტია, ბერეს ყვირის, სინამდვილეში კი, არაფერს აკეთებსო. მე ვფიქრობ, რომ პოპულისტი შალვა ნათელაშვილია და არც ჩვენი პრეზიდენტი ნაკლები. ჩემთვის პოლიტიკური ლიდერი ის არის, ვინც იცის ჩვენი გაჭირვება და ხელისუფლებაში მოსვლა მხოლოდ იმიტომ უნდა, რომ გვიშველოს, დაგვეხმაროს, ცხოვრების ტვირთი შეგვიმსუბუქოს.

მარი ჯაფარიძე

გახსოვთ ალბათ, „გზის“ წინა ნომერში რომ აღვნიშნე, „სასიძოებისა“ და „საპატარძლოების“ გრძელი სია მაქვს ჩამოწერილი და ვინც ამ სიაში მოხვდა, რამდენიმე მათგანი უკვე გაბედნიერდა კიდევ-მეთქი. ჰოდა, კიდევ ერთი ჩვენი „საპატარძლო“ გაგვიფრინდა... ის სულ ორი კვირის წინ გავაცანით მკითხველს — ანი მალაქელიძე... აკი გითხარით, ჩემს სიაში მოხვედრა და დაოჯახება ერთია-მეთქი... სულითა და გულით ვულოცავთ ანის ბედნიერებას, როგორც იტყვიან სოლმე — „მისი წყალი გადაგსხმოდეთ“... ჰოდა, არც არის გასაკვირი, რომ უამრავი „მონალისე“ „სასიძო“ და „საპატარძლო“ შემეხმინა. ჯერ მათ „მესიჯებს“ გაგაცნობთ, შემდეგ კი წინა ნომრის „საპატარძლოს“, ეპიზოდური მონაწილეების სახელზე მოსულ გამომხატურებებს შემოგთავაზებთ. მამ ასე...



**„კა, კონკ, უკუნე რეალ ზან!“**

„გამარჯობა, მარი. ესე იგი, ზვიად მუკანაიანს შენს სიაში მოხვედრამ უშველა და გაბედნიერდა? გთხოვ, მეც ჩამწერე სიის ბოლოს, იქნებ, მეშველოს და დავოჯახდე? დატრიალდი, მარიკელა და გაჩარხე საქმე... სამაგანკლო და სამაშველო გასამრჯელოსი რა გითხრა, მაგრამ დედაჩემი მალეინა დიდ, ჩეხურ, „ზრუსტალი“ ვაზას გაჩუქებს. შალვა. 30 წლის“.

„მარი, შენს სიაში რომ მოხვდები, როგორ უნდა მოვიქცე? ნაცნობობა მჭირდება თუ რაიმე გადასახადი უნდა შემოვიტანო? სულ ვფიქრობდი, რა გავაკეთო, ბუდი რომ გამეხსნას-მეთქი და თურმე ავერ არ ყოფილა, „გზა“? განსხვავებული „პასტი“ მიაწერე ჩემი გვარი შენს სიას და ჩემს ქორწილში განსხვავებული სასმისით დაგაღვინებ შენი და „გზის“ სადღეგრძელოს. ნუკრი, 36 წლის“.

„მოკლედ, ყურნალი „გზა“ და მარი ჯაფარიძე საქართველოს უცოლო და გასათხოვარი ადამიანებს იმედოდ მოგვევლინა. მარი, შენს სიას თუ ასეთი მაგიური ძალა აქვს, მოდი, მეც ვცდი ბედს... მიმწერე, თუ „მამ“ ხარ, ბოლოში, იქნებ, მეშველოს? აი, ჩემი სახელი და გვარიც — დათო ბანძალაძე“.

„მე ვარ ელენე, 41 წლის. გასათხოვა-

რი. ჩემმა მეგობრებმა დამირეკეს და მითხრეს: — „გზა“ იყიდე, ნახე, თურმე სია ჰქონიათ შედგენილი დასაოჯახებელი ხალხის, იმ სიაში თუ მოხვდები, „სასიძო“ „სასიძოზე“ მოგაწყდება, შანსიანი ქალი ხარ, მიღე-ქოდე, ნაცნობი გამოიხსნე, იქნებ სიის თავში მოგახვედროს და გეშველოსო. მოკლედ, იქნებ, მართლა მეშველოს?...“

დიდი გასაჭირი დამაღვა — ზოგს სიის თავში უნდა მოხვედრა, ზოგს — ბოლოში, აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე... მკითხველებს რომ იუმორის გრძობა აქვთ, ეს კარგია, მაგრამ თავდაც უნდა მიღვინე-მოღვინე, თორემ, ძილად ჩემს იმედზე ყოფნა საქმეს ვერ წაადგება... ახლა კი დაპირებისაზე, ეკას სახელზე მოსული გამოხატურებები თუმცა თავდაპირველად, ჩემი და ერთ-ერთი მისი ნაცნობი თაყვანისმცემლის, ნიკას საუბარს შემოგთავაზებთ:

— მე და ეკა ერთმანეთს კარგად ვიცნობთ... ერთი პერიოდი, თბილი დამოკიდებულებაც გვქონდა...

— ერთმანეთს ხვდებოდით? — იშვიათად. უფრო ტელეფონით ვკონ-

ტაქტობდით. შემდეგ, არც კი ვიცი, რა მოხდა, ერთ დღესაც, დაგრეკე და... აღარ მიპასუხა. იმის შემდეგ ჩემს ზარს აღარ პასუხობს... დღემდე არ ვიცი, რა ვაწყენინე. ვფიქრობ, არაფერი ჩამიდენია ისეთი, რითიც მას გულს ვატკენდი. თქვენთან კი, ერთი თხოვნა მაქვს.

— გისმენთ... — ვინაიდან ვერ მოვებნე გზა, რომ ეკას დაველაპარაკო და ვკითხო მიზეზი, რატომ გამებუტა, გთხოვთ, ჩვენი საუბრის შინაარსი გადასცეთ. იქნებ, მომცეს იმის საშუალება, რომ თუ რაიმე ვაწყენინე, ბოლოში მაინც მოვუხადო. ეკა, გთხოვ, უპასუხო ჩემს ზარს...

ახლა კი დანარჩენ „მესიჯებსაც“ ვაღვრებოთ, რომელიც ეკას სახელზე მოვიღა.

„ვხედავ, რომ ფიზიკურად მეტისმეტად მოშხიბვლული ხარ, ყოველთვის მომწონდი, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ ამ უნაკლო სილამაზეს თურმე სულიერი სისპეტაკეც ერთვის. ძალიან მინდა თქვენი გაცნობა. სოსო“.

„მარი, ეკას გადაეცი, რომ მაგარი გოგოა და თუ საშუალება აქვს, რომ ინტერნეტით დავეკონტაქტო, იქნებ, თავის WEB-ის ან email-ის მისამართი მომცეს?! ალი-კო“.

„ეკა, იცი, როდის შემეყვარდი? შენი ბოლო კლიპი რომ ვნახე, მას შემდეგ... ძალიან კარგად გამოიყურები. მოკლედ, თუ ისურვებ, რომ უზრუნველი ცხოვრება გქონდეს და ლომივით ქმარი გყავდეს, დამიკავშირდი...“

„ეკა, თუ იცი, რამდენი „ცხოველი“ უნდა ჰყავდეს ნამდვილ ქალს? არ იცი? რამდენი და — 4. საწოლში — ლომი, კისერზე — წავი, გარაჟში — „იაგუარი“ და კიდევ, ერთი ვირი, რომელიც ამ ყველაფრის ხარჯს გაიღებს. თანახმა ვარ, გადავიხადო... ანუ... მოკლედ, მიმიხვდი? დამირეკე...“

„ეკა, მიმიკო კვარაცხელიას იცნობ? მასთან ერთად ვნახე... ძალიან გთხოვ, მომცე შენი გაცნობის საშუალება...“

„Hello, ეკა, აღფრთოვანებული ვარ შენით. შენში მართლაც თავმოყრილია, როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური სილამაზე, რაც ძალზე დიდ იშვიათობას წარმოადგენს... მომწონხარ. მერაბი“.

„მარი, ვარ 19 წლის. ძალიან მომეწონა თქვენი „საპატარძლო“. ეკას სწორედ ჩემნაირი ხასიათი ჰქონია. ვიცი, რომ თავისზე უმცროსი მამაკაცები არ მოსწონს, მაგრამ გთხოვთ, ჩამიწყვეთ საქმე და „მალარიჩი“ ჩემზე იყოს...“

# „ქორინეზაჲაჲ სჲჲს ღაღაბითაჲ ჲჲჲჲჲ, თუჲჲჲ აჲჲ ქორინეზაჲის ჲჲჲჲჲ აჲის სჲღი...“

## მარი ჯაჲაროძე

ჩემი „სასიძო-საპატარძლოები“ მკითხველებს დიდი მონონებით რომ სარგებლობენ, დიდი ფიცი-მტკიცი აღარ სჭირდება: ამას ის მრავალროცხოვანი გამოსმაურებაც მონშობს, რომელიც მათ სახელზე მოდის. თუმცა, მე, როგორც „მაჭანკალი“, მკითხველისგან უკვე შეკვეთებსაც ვიღებ. მაგალითად, ასეთს: „მარი, ისეთი სასიძოები მოიწვიე, რომ შედარებით მოზრდილი ხალხიც გამოგვსამაუროთ. გვისხენით 30-ს გადაცილებული, გასათხოვარი ქალები“... ეს „მესიჯი“ მაშინ მივიღე, როდესაც დღევანდელ სასიძოსთან ინტერვიუ უკვე ჩანერული მქონდა, მაგრამ ვეცდები, შემდგომში, ამ ქალბატონის თხოვნაც გავითვალისწინო... ახლა კი, ოცდაათ წლამდე ასაკის გოგონების ყურადღება, მიშბ მშშში-ლღბძიშჲ გვიანდა შევაჩეროთ. ჩვენი შესვედრა ტელეკომპანია „202“-ის სტუდიაში შედგა. მიშა ცოტა შეთხლებული მომეჩვენა და ჩვენი საუბარაც სწორედ ამით დავიწყეთ:

— მიშა, ცოტა გამხდარი მეჩვენები, ხომ არაფერზე ნერვიულობ?

— შეყვარებული გახლდით, შეყვარებულ კაცს სანერვიულოს რა გამოუღევს? ჰოდა, გაგხდი. ახლა აღარ ვარ შეყვარებული და ნელ-ნელა ისევ ვსუქდები...

— რაღა დროს შენი შეყვარება-გადაყვარებაა?! ის დროა, შეგიყვარდეს და მყარი ოჯახიც შექმნა...

— კი, კი, ნამდვილად დროა, უკვე 28 წლის ვარ, მაგრამ რა ვქნა? ისე ძლიერად არავინ შემეყვარდა, რომ ვიგრძნო — ეს „ის“ არის-მეთქი, — და ცოლად მოვიყვანო. ვინც მიყვარდა, ყველაზე მეგონა, „ის“ არის-მეთქი, მაგრამ გული მწყდება, რომ შეეცდი...

— მაინც, რამდენ გოგონაზე გეგონა, რომ „ის“ იყო?

— არც ისე ბევრზე და არც ისე ცოტაზე. ზომიერად, რა! უფრო, ცოტა შეიძლება ითქვას იმ რაოდენობაზე, რამდენი გოგონაც მიყვარდა...

— ყველაზე ხშირად ვისგან გინწვს

საყვედურის მოსმენა იმის გამო, უცოლო რომ ხარ?

— დედისგან, მამისა და დისგან. ყველაზე ხშირად კი, საკუთარი შინაგანი ხმისგან... მეგობრებისთვის კი სულერთია, არ აინტერესებთ და არ აღელვებთ ჩემი ცხოვრების ეს მხარე...

— შინ როგორ ხარ?

— წყნარი, მშვიდი, ბუზლუნი არ მიყვარს. არც პრეტენზიული ვარ...

— გარეგნობით თუ ვიმსჯელებთ, გურმანი უნდა იყო... ოჯახში არც მენიუს გამო ბუზლუნებ ხოლმე?

— ამჟამად მეგობრებთან ერთად, ქირით ვცხოვრობ. ზვიოს ვერ ვუსაყვედურებ მენიუს გამო და ვერ ვეტყვი, ზაშლამას მარილი აკლია-მეთქი. ჩვენ ძირითადად, გარეთ ვსადილობთ. მე თუ საყვედურს ვეტყვი, მაშინ ჩემ მიმართ ასევე შეუძლიათ გამოითქვან პრეტენზიები ზვიომაც და ირაკლი სალინამემაც...

— მოკლედ, როგორც ვატყობ, შესმატკბილებულად ცხოვრობთ...

— კი, მაგრამ არც ისე შესმატკბილებულად, რომ ცოლების მოყვანაზე არ ვიფიქროთ...

— სამი ახალგაზრდა, უცოლო მამაკაცი ერთად... წესრიგს როგორ ინარჩუნებთ?

— წინათ, მორიგეობის გრაფიკი გვქონდა კედელზე გამოკრული, მაგრამ არ გაამართლა. ახლა, ვისაც პირველს მოჰპერდება არეულობა, ის ალაგებს ხოლმე. ხანდახან მეგობარი გოგონები გვილაგებენ, მაგრამ უფრო, მოვალეობის მოხდის მიზნით, ზერეულდ და უგულოდ...

— მოფერება თუ გიყვარს?

— კიიი! ძალიან, მაგრამ მე რომ მეფერებიან, ის უფრო მომწონს. თუმცა, მეც თბილი ვარ. შინ რომ მივიღივარ, დედას ჩავენსუტები ხოლმე და ვეფერები...

— ბავშვობაში მოფერებით რას გეძახდნენ?

— მიშკოს... ცუნცულას და ბუნცულას არ მეძახდნენ ხოლმე. თუმცა, ახლა გამახსენდა, ალბათ დედასაც აღარ ეძახს-ოვრება, რომ თვითონ „დღლაბაშას“ მეძახდა... ერთხელ, რაღაც მელოდიას მოვუსმინე, რომელიც ასე აღვიქვი: „დღლაბა! დღლაბა!“ — ჰოდა, ავიკვიატე და სულ ვლიდინებდი ხოლმე. დედამ „დღლაბაშა“



ამის გამო შემარქვა...

— ეჭვიანი თუ ხარ?

— აუჰ, მაგარი ეჭვიანი ვარ. თუ გოგო მომწონს, მან კი ქუჩაში შემხვედრი მაშაკაცი გადაკონა, შეიძლება გაგვიყუდე, მაგრამ ამ დროს ჩხუბი, აყალმაყალი არ მჩვევია. გოგონას დისკომფორტს არ ვუქმნი, მაგრამ მე „გაეიჭრები“ ხოლმე ვეღვალ და პრობლემებს საკუთარ თავთან ვაკვარებ...

— სიყვარულის ახსნის განსაკუთრებული მეთოდი ხომ არ გაქვს?

— არა, განსაკუთრებული არაფერი. ქალისთვის სიყვარულის ახსნა ყველაზე იოლია რუსეთში: რუსი ქალი რომ „იკერება“, აუცილებლად ინტერესდება შენი მშობლიური ენით... შეგეკითხება — „გენაცვალე“ რას ნიშნავს? — შენც აუხსნი, რომ ეს იგივეა, რაც — когда тебе будет плохо, чтоб на твоём месте оказался я! — აუ, რა მაგარი კაცურია, არა? ისიც უცებ მოიხიბლება. მერე გკითხავს — ქართულად როგორ არის я тебя люблю? — შენ აუხსნი, მერე გაიწვევს საკონცნლად და ასიდან ასი იმავს გააკეთებს ანუ საკონცნლად გამოიწვევს... თუმცა, ერთ შემთხვევას გაიმბობთ: ერთი გოგო იყო — იო! იო! იო!... — ჰოდა, საღამოს 11 საათი იყო, როცა ქართული ენით დაინტერესდა... აუხსენი რას ნიშნავს „გენაცვალე“... მე შენ მიყვარხარ... მეც მიყვარხარ... გავიწვიე — არ გამოიწვია... გაგვარბელეთ გრამატიკა, მორფოლოგია... დილის 7 საათი იყო, როცა ოთხპირიან ხმებზე ვსაუბრობდით; მიგხვდი, აქ არაფერი გამომივიდოდა, რაღას ვიზამდი? დავჯერდი ქართული ენის გრამატიკის უფასო რეპეტიტორობას. არადა,

მე სულ სხვა გეგმები მქონდა...

— როგორი უნდა იყოს გოგონა, რომ მოგეწონოს?

— ქალს პირველ რიგში სახეზე უყურებ, ამიტომ უნდა იყოს ცოტა ლამაზი, ცოტა ჭკვიანი და საშინელ სისულელეს არ უნდა სწადიოდეს... უნდა იყოს ჩემზე უკეთესი კულინარი და დიასახლისი. ისე, სადაც სიყვარულია, იქ ყველაფერზე თვალს დახუჭავ... იყოს სახლი დასახვეტი — ჯანდაბანს! — მთავარია, ერთმანეთს კარგად ვუგებდეთ.

— ქორწინებამდე სექსს როგორ უყურებ?

— ჩემი რა მიდის? დადებითად ვუყურებ, თუმცა, ქორწილის შემდეგაც არ არის ცუდი... ეს ყველაფერი კი, დაგეგმილი არ შეიძლება იყოს. თავისთავად ხდება ყველაფერი. ყოველ შემთხვევაში, მამაკაცისთვის ასეა და არ ვიცი, ქალები დილაობით თუ გეგმავენ ხოლმე, რომ იმ დღეს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სექსი... ეს სპონტანურად ხდება და თუკი ამ დროს თავშეკავება შესაძლებელია, ე.ი. სიყვარული არ ყოფილა და ეგაა... ისე, მე აუცილებლად გასათხოვარ, ქალიშვილ გოგოს მოვიყვან ცოლად, რადგან სასურველია, მისთვის პირველი მამაკაცი მე ვიყო. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს... ქალის ფსიქოლოგია სხვანაირია: ქალს უნდა, რომ მამაკაცისთვის იყოს ბოლო და მის შემდეგ, აღარავინ არსებობდეს. კაცისთვის კი მთავარია, იყოს პირველი. რატომ მოსწონთ ქალებს მექალთანე მამაკაცები? იმიტომ, რომ მათ ბევრ ქალთან მიუღწევიათ წარმატებისთვის — ე.ი. აქვთ რაღაც ისეთი, რაც ქალებს მოსწონთ. თან რწმენა ემატებათ, რადგან ასეთმა კაცმა კარგად იცის ქალის ფასი და სწორედ ის

აირჩია სხვა ქალებს შორის...

— თავად, ერთგული კავალერი ხარ?

— კი, ძალიან ერთგული ვარ (იცინის)... ეს ჩემი ყველაზე დადებითი თვისებაა...

— იქნებ, უარყოფითი თვისებებიც გაგვიმხილო?

— ვარ მსუქანი, მელოტი, არ მყავს მსოფლიოში ყველაზე მაგარი მანქანა („ოპელი“ მყავს)... ასე რომ, უნაკლო არც მე ვარ. მაგრამ იმდენი დადებითი თვისება მაქვს, იმდენად კარგი ვინმე ვარ, რომ ეს პატარ-პატარა „ნაკლები“ სათვალავში ჩასაგდებიც არ არის. ყველა ნაკლი რომ გამოვასწორო, ფრთიან ანგელოზად ხომ არ ვიტყვი?

— მოკლედ, როგორც ჩანს, საკუთარი თავი მაგრად გიყვარს...

— კი, კი, სერიოზული ნარცისიზმი მჭირს. მაგრად მიყვარს სარკეში ჩახედვა. როდესაც შინიდან გავდივარ, დიდ სარკეში ხომ ვიხედები?! შემდეგ, დერეფანში პატარა სარკე გვაქვს და მიუხედავად იმისა, რომ შიგ არაფერი ჩანს, მაინც ვიხედები და ისე გავდივარ ხოლმე გარეთ.

— ბავშვობაში რაზე ოცნებობდი?

— ძალიან მინდოდა, ლენინზე მაგარი კაცი გამოვსულიყავი. ჯერ 28 წლის ვარ და ყველაფერი წინ მაქვს, — რაღაც ისეთს გავაკეთებ, რომ ეს ოცნება ავიხდინო...

— დარწმუნებული ვარ, ქალებთან დაკავშირებით რაიმე კურიოზსაც გაიხსენებ...

— (დაფიქრდა) ...ნატაშა არ გვინდა... შევეცოვა არ გვინდა... ის არ გვინდა...

არც ის გვინდა... ჰო, ერთ ვოლგოგრაფულ მოძღვრალზე ვიამბობთ. სოჭში ვიყავით. იანვრის ბოლო რიცხვებია, საშინელი ყინვა და სცივე... გავიცანი ეს გოგონა (სახელი არ მახსოვს) და ერთ საღამოს, ხელკავი გამოვდე და შევეთავაზე, ზღვის ნაპირზე გავისეირნოთ-მეთქი. უკუნი სიბნელეა, ზღვა არც კი ჩანს. ნაპირიდან ზღვაში ბეტონის „ვალნარეზებია“ შეჭრილი. ეს გოგო მთავაზობს, იმაზე გავისეირნოთ... ტალღების ხეთქების ხმა მაფრთხობდა, მაგრამ დავთანხმდი. შევდექით ამ „ვალნარეზზე“...

— ცურვა იცი?

— ცოტა. იმას ვერ გადავარჩენდი, მაგრამ მე რომ არ დავიხრჩობოდი, იმდენი ვიცოდი. ჰოდა, გაკუმეხი წინ; ხელი მომიკიდა, თითები უთრთის, მაგრამ ვგრძნობ, მოსწონს, შიშს რომ ეთამაშება... მოკლედ, როგორც ფილმში, ისეა ყველაფერი. დავექეთ „ვალნარეზის“ ბოლოში, ვდგავართ ერთმანეთის პირისპირ და მე ვამბობ სწორედ იმ ტექსტს, რომელსაც შუალამისას „ვალნარეზზე“ გასულ ქალებს ეუბნებიან ხოლმე კაცები...

— იქნებ, ტექსტიც გაგვიმხილო?

— ეს ტექსტი ყველა ქართველმა კაცმა იცის, ქალებს კი, მისი ცოდნა არაფერში გამოადგებათ... მოკლედ, ტექსტი დავასრულე, ჩაგხედე თვალბში; სიბნელის გამო ვერაფერს ვხედავ, მაგრამ მივხედა, რომ სწორედ ისეთი თვალები ექნებოდა, როგორიც აქვთ ხოლმე ქალებს, როცა ტექსტს მოისმენენ, რომელიც „ვალნარეზზე“ ითქმება ქართველი მამაკაცისგან, რუსი გოგოსთვის... საკოცნელად გავიწიე... ისიც გამოიწია და... ის იყო, ჩვენი მხურვალე ბავშვები ერთმანეთს უნდა შეხებოდა, რომ... თავზე უზარმაზარმა ტალღამ გადაგვიარა... გავილუმპეთ, შევეცივდა, ყველაფერმა გავვიარა, იმსაც დაავიწყდა, რომ ის ტექსტი ნათქვამი მქონდა... მე კი მახსოვდა, მაგრამ ასე გალუმპულსა და შეცივებულს რომ ვხედავდი, ხომ ვერ ვეტყვოდი — ცოტა თბილად მომიქეცი, მე ხომ ის ტექსტი ნათქვამი მაქვს, რომელსაც „ვალნარეზზე“ ეუბნებიან-მეთქი... ყველანაირი რომანტიკა გაქრა... გამოვიქცეით, რომ არ გავცივებულიყავით, გადავწყვიტეთ, თითო ჭიქა არაყი დაგველია, მერე მეორე მივაყოლოდი და დღამდე ისე გამოვთვარი, აღარც „ვალნარეზი“ გვახსოვდა, აღარც ის ტექსტი და მე კი მისი სახელიც აღარ მახსოვს...

ამრიგად, ვისაც მიშა მშვილდაძე მოეწონთ და ისიც გაინტერესებთ, თუ რა ტექსტს ამბობს ის „ვალნარეზზე“ ყოფინისას, თან, თუ ცოტა ლამაზი, ცოტა ჭკვიანი და თითდაუკარებელიც ხართ — რეალური შანსი გეძლევათ, მიშას სიმპათია დაიმსახუროთ. დამირეკეთ 8(77) 45.68.61.

**„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ხანგრძლივობით კომპიუტერის უმსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:**

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.

საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში. დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა 15<sup>00</sup>-დან 18<sup>00</sup> სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.

მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან). დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ: 33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

დიდი ხნის წინ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული მამაკაცი საშობაოდ, საქართველოში ჩამოდის და მეგობრების შვილები-სთვის საახალწლო საჩუქრები ჩამოაქვს. მას წარმოუდგენა არა აქვს იმაზე, თუ რა ხდება აქ, ვერც იმას გაითვალისწინებს, რომ მეგობრების შვილები უკვე გაზრდილები არიან და თოჯინები და საბავშვო სათამაშოები მათ აღარ სჭირდებათ... მისი მეგობრები, რომლებმაც ამის შესახებ იციან, გადანწყვეტენ, სათამაშოები ქუჩის ბავშვებს დაუროგონ; თავს მოუყრიან ე.წ. „ბესძრიზორნიკებს“ და მათთან ერთად დახვდებიან მეგობარს. საზღვარგარეთიდან დაბრუნებული, თოჯინის ბაბუის კოსტიუმში გამოწყობილი, ბავშვებისთვის საჩუქრების დაბრუნების შემდეგ, წვერს მოიძრობს. ამ დროს, ერთ-ერთი ბიჭი დააფიქსირებს, რომ მას შინ ამ მამაკაცის ფოტო აქვს ის თურმე „თოჯინის ბაბუის“ შვილი, დედამისის ძველი სიყვარულის ნაყოფია... ყველაფერი ამერიკული Happy end-ით მთავრდება...

## გიორგულია – ნიუ ნოლტიის ნაცვლად...



მეუღლესთან, თამარ ფოსცისვილიტან ერთად

### ხათუნა ჯავახიშვილი

ეს იმ მოკლემეტრაჟიანი ფილმის სიუჟეტია, რომელსაც რეჟისორი ნანა ჯანელიძე ოქტომბრის მოთხრობის მიხედვით იღებს. ფილმს „საჩუქარი“ ეწოდება. სცენარის ავტორიც ქალბატონი ნანაა, მთავარ გმირს კი, მსახიობი გიორგი გურგულია ითამაშებს.

ვარდა ამ ფილმისა, გიორგი ერთ-ერთ მთავარ როლში მოგვევლინება ლევან თუთბერიძის ფილმში – „მოგზაურობა ყარაბაღში“, რომლის სცენარიც აკა მორჩილაძის ნაწარმოების მიხედვით იქმნება. ფილმი ქართულ-ამერიკულია და მხარეებს შორის პირველი მოლაპარაკების თანახმად, ეს როლი პოლიუდის ვარსკვლავს ნიუ ნოლტს უნდა შეესრულებინა, მაგრამ შემდეგ მან რატომღაც უარი თქვა შეთავაზებაზე. სწორედ ამ ფილმზე სასაუბროდ შევხვდით **გიორგი გურგულიას**.

– ლევან თუთბერიძე ჩემი ძმაცაა, მასთან ერთად ამ პროექტზე ლევან ქორიძეც მუშაობს. სანამ გადაღებები დაიწყებოდა, მკითხეს – თუ ნიუ ნოლტი არ ჩამოვა, მის მაგივრად ხომ ითამაშებო? – აბა, რას ვიზამ-მეთქი? – ვუპასუხე. საკმაოდ დიდი პროექტია და ბევრი მსახიობი მონაწილეობს – მაგალითად, „უცნობი“, რობერტ სტურუა და სხვები.

– **თქვენ ვის როლს ასრულებთ?**

– მე ყარაბაღის სოფლის ავტორიტეტს ვითამაშებ. დაბეჭდილი მაქვს სულ ძველი ბიჭების, ავტორიტეტების და მეომრების როლები. თუმცა, ეს როლი

მანც განსხვავებულია იმიტომ, რომ აქ ასაკში შევდივარ, ჭკალარა ვხდები და ვბერდები... ავტორიტეტი რომ გქონდეს და პატივს გცემდნენ, ცოტა ასაკიანიც უნდა იყო. მართალია, პატარა ბიჭსაც შეიძლება ჰქონდეს ავტორიტეტი, მაგრამ მანც ჯობია, ნიუ ნოლტით თეთრი ვიყო... ჩემი გმირი კეთილი ადამიანია, რომელსაც ყველა პატივს სცემს, მათ შორის მეომრებიც.

– **გადაღებები სად მიმდინარეობს?**

– გადაღებები წალკაში იყო, მაგრამ თოვლი მოვიდა და ჯგუფი იქიდან გამოიქცა... ძალიან გამიხარდა, რომ ახლა თბილისში ვიღებთ, თორემ მეც წალკაში მომიწევდა წასვლა. სულ 70 კილომეტრია იქამდე, მაგრამ ისეთი საშინელი გზაა, იქამდე მიღწევას ხუთ საათს უნდა. ამ ჯაყვავაში შეიძლება, გამოვდებოდე... მგონი, ნიუ ნოლტი ზუსტად ამიტომ არ ჩამოვიდა.

– **ცოტა ხნის წინ, გამოვიდა ერთკლე ბადურაშვილის ფილმი – „კიდევ ერთი ქართული ისტორია“, სადაც თქვენ ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობთ. როგორც ვიცი, გადაღებები 7 წლის წინ მიმდინარეობდა. ახლა, როცა დასრულებული ფილმი ნახეთ, როგორ მოგეწონათ?**

– რა ვქნა, სიმართლე ხომ უნდა ვთქვა? – არ მომეწონა. დაუმთავრებელია. ფინალი საერთოდ დოკუმენტური კადრებისგან შედგება. ფილმს აშკარად ეტყობა, რომ უსახსრობის პირობებშია გადაღებული.

– **საკუთარი თავი თუ მოგეწონათ?**

– ჩანაფიქრით, მე ფილმის ერთ-ერთ – სავიუეთის ეპიზოდში ვიყებინ „ატამანს“ ვთამაშობდი. დიდი, 35-წუთიანი ეპიზოდი უნდა ყოფილიყო. რეჟისორმა კი, დაჭრა და მთელ ფილმზე გადაანაწილა. ჯობდა, ცალკე, პატარა, 35-წუთიანი ფილმი გაეკეთებინა სათაურით – „სავიუეთი“, სხვა ცალკე – „ჯარი“ და ა.შ.


– **როგორც ვიცი, გოგა ხაინდრაგაც მალე აპირებს ფილმის გადაღების დაწყებას, სადაც ერთ-ერთი როლი უნდა შეასრულოთ.**

– კი, გოგაც „მომირობას“ მიპირებს. აფხაზეთის თემაზე იქნება – გოგა მას ჩვენი მეგობრების პატივსაცემად აკეთებს. საერთოდ, ის სულ ცდილობს, რაღაც გააკეთოს აფხაზეთში ნაომარი ბიჭებისთვის... მეც მზად ვარ ჩემი მეგობრებისთვის, ყველანაირ პირობებში, უფასოდაც გადავიღო. როგორც ვიცი, ამ ფილმში კიდევ ზურა ყიფშიძე მიიღებს მონაწილეობას. როდის დაიწყება გადაღებები, არ ვიცი.

– **„მოგზაურობა ყარაბაღში“ ქართულ-ამერიკული პროექტია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანაზღაურებაც კარგი გექნებათ.**

– ჩემთვის ჰონორარის გადახდაზე რომ მიდგება ხოლმე საქმე, სულ ის მესმის – ფული არ გვაქვსო... ქართულ კინოს ისედაც სულ ვჩუქნი ყველაფერს, ასე რომ, ეს როლიც შემიძლია ვაჩუქო – პრობლემა არაა...

„მეღობა  
პირველ  
სიყვარულს,  
რეჟისორს“



„მეღობა სიყვარული მაკოვინა“

მარი ჯაფარიძე

ვინც ფურნალ „გზას“ და რუბრიკა „გზავნილებს“ თვალყურს ადევნებს, უთუოდ ემახსოვრებათ, რომ რამდენიმე კვირის წინ შემოგთავაზეთ, ჩვენი საშუალებით, ცნობილი ადამიანებისთვის მიგემართათ... სულ ორად ორი „მესიჯი“ მივიღე... შემდეგ გთხოვეთ, წინასაარჩევნოდ, პროგნოზი გაგვეეთვინათ და... „სექსუალური“ „მესიჯების“ ნიაღვარმა წამლეკა. მერე გადავწყვიტე, თქვენთვის პირველი სიყვარული გამეხსენებინა და გთხოვეთ, სწორედ ამ თემაზე გე-საუბრაოთ თქვენს გზავნილებში... რა მოხდა? რა და... თუ აქამდე, კვირაში ათას „მესიჯს“ ვიღებდი, ახლა მათი რიცხვი გაორმაგდა... როგორც ჩანს, მესამე ცდით, მიზანში მოვარტყით... დიდი მადლობა ყველა იმ მკითხველს, ვინც ჩვენს სიახლეს უმაღლეს მხარე აუბა. მე კი ყველაზე საინტერესო „მესიჯებს“ გაგაცნობთ...

„ყოველ საღამოს მისთვის ვიხდიდი...“  
„გამარჯობა მარი... ყოველთვის ვკითხვოლობ „გზავნილებს“, მაგრამ ახლა გადა-

ვწყვიტე, ჩემი ამბავი მოგიყვებო. ვარ გათხოვილი, მყავს ორი შვილი. ჩემი მეუღლე ჩემი პირველი სიყვარული გახლავთ. საინტერესო კი ის არის, როგორ გავიცანი იგი. სოფელში გავიზარდე. სტუდენტი რომ გავხდი, მამამ თბილისში ბინა იყიდა და იქ მარტო ვცხოვრობდი (ეს ხდებოდა 80-იან წლებში). საკმაოდ კარგი გარემოების გოგო ვიყავი, არც თაყვანისმცემლები მაკლდა, მაგრამ ერთ ულაშაზეს ბიჭს დავაღვი თვალი და მისი გული ვერანაირად ვერ მოვიხადირე. ერთ დღეს, ჩემთან, სახლშიც დავაბატიე, მაგრამ მალევე, რალაც საქმე მოიმიზეზა და წავიდა. გაგებრავდი. უკვე მოსალამიებული იყო. ჩემს საწოლ ოთახში შევედი, საღაც დიდი სარკე იყო, შუქი ავანთე და გადავწყვიტე, სარკის წინ ჩემი სხეული დამეთვალეურებინა, გამეგო, რის გამო მიწუნებდა ეს ყმაწვილი... აბრეშუმის ხალათი მეცვა, ქამარი შევიხსენი და ჯერ ერთი მხარი გამოვიჩინე, მერე მეორე, შემდეგ ხალათს ხელი გავუშვი, სრიალით ჩაცურდა და იატაკზე დაეფინა... შემდეგ, ნელა-ნელა ყველაფერი გავიხადე, სარკის წინ მივტრიალდი-მოვტრიალდი, დავრწმუნდი, რომ დასაწუნი არაფერი მჭირდა და მშვიდად დავწექი დასაძინებლად, იმ იმედით, რომ იმ ბიჭის გულს აუცილებლად დავიპყრობდი. დილით უნივერსიტეტში მივიღიდი, კარი გამოვაღე, იქვე გააკვილი ფურცელი ეგდო. გაგშალე... დღვთაბრევი ხარ, მშვენიერო, გვედრები, დღესაც ნუ ჩამოაფარებ ფარდას, როდესაც დაწოლას დააპირებო — ეწერა ფურცელზე... მოკ-

ლედ, იმ საღამოს ისევ იგივე გავიმეორე, დილით კი კართან ერთი ცალი ვარდი დამხვდა... ეს თამაში მომწონდა... ყოველ დილით ველოდი სიურპრიზსა და წერილს... ყოველ საღამოს ჩემთვის უცნობი ადამიანისთვის ვიხდიდი ფარდაგადაწეულ, სინათლენათებულ ოთახში. ეს ადამიანი შემეყვარდა. დღისით, იმ კორპუსის ფანჯრებს ვუთვალთვალე, საიდანაც, სავარაუდოდ, მას ჩემი დანახვა შეეძლო, მაგრამ ვერ ამოვიცანი, სად ცხოვრობდა. ასე გავრძელე ზუსტად 54 დღის განმავლობაში. 55-ე დღეს, კართან რომ წერილი დამხვდა, მასში ტელეფონის ნომერიც იყო მითითებული. საღამოს ამ ნომერზე დავრეკე და სანატრელი ხმა გავიგონე... იმ დღესვე გამოვუტყდი, რომ მიყვარდა, შემდეგ ერთმანეთს შევხვდით, ერთ თვეში კი დაქორწინდით... ქორწილის დამეს კი, ზუსტად ისევე გამახდენინა სარკის წინ, როგორც ამას მანამდე ვაკეთებდი, თვითონ კი ჩემი ყურებით ტკებობდა... მოკლედ, დღესაც ისევე გვივარს ერთმანეთი, როგორც 20 წლის წინ და თავს უბედნიერეს ქალად ვგრძნობ...“  
ახლა კი, 40 წლის ლევანის ამბავს გავეცნოთ, რომელიც ჩვენი საშუალებით თავის პირველ სიყვარულს საიდუმლოს უმხელს.

„ბედნიერი ვარ, მაგრამ მის მეუღლეზე ვეჭვიანობ...“

„გამარჯობა, მარი. როდესაც შეიტყობ, რომ ორმოცი წლის ვარ, ნუ გაიფიქრებ, რალა დროს ამის სიყვარულიაო... 14 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი უბნელი, ჩემი ტოლი გოგონა შემეყვარდა. გამხდარი, გალუული, მომცრო ტანის ბიჭი ვიყავი. ის გოგონა კი, უკვე დაქვლებული განლდათ, შევლივით ყელმოღერებული დადიოდა და ჩემისთანა ბიჭებს ზედაც არ უყურებდა. სულ უფროსი ასაკის მამაკაცებთან ერთად სეირნობდა, მე კი უკან დავეყვებოდი და მისი ყურებით ვერ ვძებობდი. მისი დანახვისას კანკალი მეწყებოდა ხოლმე. ვერასოდეს გავუბედე, მეთქვა, რომ მიყვარდა. გავიდა წლები... უკვე 18 წლისანი ვიყავით, ყველაფერი კი ისევ ძველებურად იყო. მე მიყვარდა, მას კი ჩემზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. 18 წლის რომ გავხდი, ჯარში გამიწვიეს. წასვლამდე ერთი დღით ადრე, ვრცელი წერილი დავწერე, თან ჩემი სურათი დავურთე და მის საფოსტო ყუთში ჩავაგდე... სამხედრო სამსახურის დროს, ტანი ავიყარე, დავეაჯაკადი. რუსმა გოგოებმა ბევრი რამ მასწავლეს. ისეთი ბიჭი დავდექი, ოჯახში დაბრუნებულს, ვეღარავინ მცნობდა... მოკლედ, ეს გოგო მოვიკითხე და გათხოვილი დამხვდა... ვინერვიულე, მაგრამ რალას ვიზამდი? იმის მერე, ბევრმა წყალმა

ჩაიარა, მაგრამ ეს გოგონა არასოდეს დაძვინჯებია. თუ ვინმე მომეწონებოდა, მას ვადარებდი, ვგრძობდი მის უპირატესობას და ჩემს გულს არავინ ეკარებოდა... დავრჩი უცხოლოდ... ამ ორი წლის წინ, ზაფხულის წვიმიან დღეს, ჩემი მანქანით მივდიოდი, გაჩერებასთან ლელა დავინახე (ასე ერქვა იმ გოგოს). ერთიანად გალუმპული, სველი და მობუზული, უქოლგოდ იდგა... ბნელოდა. მანქანა გავაჩერე და შევთავაზე, შინ მივიყვანო-მეთქი. ბუნებრივია, ვერ მიცნო, ამიტომ სასტიკი უარი მტკიცა... მერე ვუთხარი, — თქვენ ზომ ლელა ხართ, ბასტირონზე რომ ცხოვრობდით-მეთქი? — კიო, — თავი დამიქნია, მერე კარი გამოაღო და მანქანაში ჩაჯდა... ტელეფონის ნომერი გამოვართვი. შემდეგ დავურეკე. შეხვედრასზე უარს მეუბნებოდა — ქმარი მყავს და თავი დამანებო, — მაგრამ არ მოვეუფი. მთელი წელი დამჭირდა, რომ მისთვის თავი შემეყვარებინა. დღეს ის ჩემია... ბედნიერი ადამიანი ვარ, მაგრამ მის მეუღლეზე სამინლად ვეჭვიანობ... ლელამ კი, დღემდე არ იცის, რომ მე ის ბიჭი ვარ, ვისაც ბავშვობაში ასე უყვარდა და ის წერილი და ფოტოც ჩემი გაგზავნილია. ამ საიდუმლოს მას თქვენი საშუალებით გავეუმხელ... ლელა, იმედია, შენი თავი ამოიცანი... შენ ჩემი პირველი სიყვარული და ბავშვობის დროინდელი, უკვე ახდენილი ოცნება ხარ... კიდევ ერთხელ გთხოვ, გამხადე ყველაზე ბედნიერი ადამიანი ამქვეყნად და გახდი ჩემი მეუღლე. რას იტყვი?"

*მართლაც, სიყვარული საოცარი რამაა, პირველი — მით უმეტეს დაუეწიარო, „მაგრამ ყვავილი შემოდგომის ხშირად, პირველს სჯობს...“ ამის დასტური კი, შემდეგი გზავნილია, რომელიც 48 წლის ნუგზარმა გამოვიკვთავნა.*

**„თავისივე იარაღი წავართვი და მოვკალი...“**

„მოგესალმებით. პირველი სიყვარული მართლაც კარგია, მაგრამ მე ისეთ რამეს მოვიყვებით, რომ დარწმუნდებით, არც ბოლო გრძნობაა ნაკლებმნიშვნელოვანი... დავიბადე და გავიზარდე ნახალოვკაში... ჩემი თანაკლასელი გოგო შემეყვარდა ჭკუის დაკარგვამდე. მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომდგინა. მასაც ვუყვარდი, ერთად ცხოვრებაზე ვოცნებობდით, სკოლის დამთავრებისთანავე ვაპირებდით შეუღლებას, მაგრამ ვინ დავაცადა? ვძველებიჭობდი და დღედაღამ გარეთ ვიყავი. ძნელად აღსაზრდელ ბიჭად მთვლიდნენ და მილიციაში აღრიცხვასზეც ვიყავი აყვანილი. ჰოდა, ერთსალამოს, ხუდალოვის ქუჩაზე მიმავალს ორი მილიციელი გადამიდგა, ჩემი დაჭ-

ერა უნდოდათ (1 თვეში სკოლას ვამთავრებდი). მე არ დავემორჩილე, შევაგინე, შემდეგ დამარტყეს, დავარტყი, თავისივე იარაღი წავართვი და ერთ-ერთი მოვკალი. აი, მერე კი, მართლაც დამიჭირეს... 14 წელი მომისაჯეს... ბიძაჩემი რუსეთში მუშაობდა, ერთ-ერთი ციხის უფროსი იყო და იმდენი ქნა, თავისთან გადამიყვანა. მოვიხადე სასჯელი, იქიდან 31 წლის კაცი გამოვედი. ჩემს დოღოსთან მიმოწერა მქონდა, მწერდა — გელოდებით... თბილისში ჩამოვედი, მივაკითხე. ჩემი დანახვა გაუხარდა... ძველებურად ვაგრძელებდით შეხვედრებს. ვფიქრობდი, ცხოვრებას ავაწყობ და ცოლადაც მოვიყვან-მეთქი... აქ ვერაფერი მოვახერხე. ისევ რუსეთში წავედი სამუშაოდ. მოკლედ, როგორც ჩანს, დოღოს მოსწყინდა ეს ყველაფერი და გათხოვდა... საცხოვრებლად ქმართან გადასულა, მე კი არაფერი შემატყობინა და წერილებს ძველებურად მწერდა, მეც ძველ მისამართზე ვუგზავნიდი პასუხს... ერთ მშვენიერ დღეს, კონკრეტულად მოვთხოვე, ჩემთან, როსტოვში ჩამოსულიყო და ერთად გვეცხოვრა... მოკლედ, ველარაფერი გააწყობ და მაცნობა, გავთხოვდი... ეს ჩემთვის დიდი ტრავმა იყო... დავიწყე სმა, გავლოთი, ადამიანის სახე დავკარგე და მაიმუნად ვიქექი... ასე გავიდა წლები... 5 წლის წინ (მაშინ 43 წლის ვიყავი), საქართველოში დავბრუნდი... თავს დიდხანს ვებრძობე, დოღოსთან სტუმრად მისვლა მიხდოდა და მის თვალბეჭდში ჩახედვა, მაგრამ ასე გალოთებული ვერაფრით ვბედავდი. ავდექი და გამოვსწორდი... ადამიანის სახე დავიბრუნე, საქმეც ავაწყვე. ამასობაში ორი წელიც გავიდა... რომ მივხვდი, ლოთური ცხოვრების ყოველგვარი კვალი წაიშალა ჩემს გარეგნობაში, დოღოს ძველ მისამართზე მივაკითხე... რადგან წერილებს იმ მისამართით მიგზავნიდა ხოლმე, მეგონა, ქმართან ერთად იქ ცხოვრობდა... კარი ახალგაზრდა, უცხო ქალმა გაშიღო და შინ შემეპატიჟა. დოღო რომ მოვიკითხე, მითხრა — ის ქმართან ერთად სხვა უბანში ცხოვრობს, მე კი მისი მდგმური ვარო... ეს სწორედ ის გოგონაა, რომელიც ჩემი უკანასკნელი და ყველაზე დიდი სიყვარული გახდა... იზომ დოღოც დამავიწყა და საკუთარი თავიც... ამ ასაკის კაცი 17 წლის ბიჭივით ვარ შეყვარებული. ვიცი, იზოსაც უზომოდ ვუყვარვარ და მიუხედავად ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობისა (20 წლით უმცროსია), საუკეთესოდ ვუგებთ ერთმანეთს. ეს ამბავი დოღოს ყურამდე მივიდა. განრისხდა, იზო ბინიდან გამოავლო, მაგრამ ჩვენ საერთო ბუდე მოვიწყვეთ, ახლა შვილსაც ველოდებით და ღმერთს მადლს ვწირავ ჩემს თავს მოვლენილი

ბედნიერებისთვის... მადლობა პირველ სიყვარულს, რომელმაც ბოლო სიყვარული მაპოვნინა. პატივისცემით, ნუგზარი...“

*დაბოლოს, ტრადიციისამებრ, მოკლე „მესიჯებს“ გაგაცნობთ:*

**„ჩემი პირველი სიყვარული „დედიკოს ბიჭი“ აღმოჩნდა...“**

„ნათია, უზომოდ მიყვარხარ. უკვე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ვერ გივიწყებ. მართალია, ორივეს ოჯახი გვაქვს, მაგრამ მინდა იცოდეს, რომ მთელი ცხოვრება მეყვარები...“

„აიო, 9 წლის წინ შენ გიყვარდი. ახლა მე მიყვარხარ. უკვე დაგვიანებულა... ვიცი, არასოდეს დამიბრუნდები...“

„ჩემი პირველი სიყვარული ნამდვილად უიმედოა. მეორე წელია, ის მიყვარს... ჩემი ოცნებაა, მისგან მხოლოდ ერთი სიტყვა მოვისმინო — „მიყვარხარ“. მიმი“.

„ჩემი პირველი სიყვარული „დედიკოს ბიჭი“ აღმოჩნდა. სადელამთილოს არ მოვწონდი, ჰოდა, მიმატოვა... არ ვნანობ, ასე რომ მოხდა... ბედნიერი მეუღლე და დედა ვარ... ნაზი დელიბაური“.

*ასეა, ზოგს თუ „დედიკოს ბიჭები“ არ მოსწონს, ზოგისთვის იდეალად ქცეულა. „გზის“ წინა ნომერი ხომ გახსოვთ? მის გარეკანზე მოწიფული, პირში საწოვარაგარჩილი მამაკაცის ფოტოც გემახსოვრებათ. ჰოდა, ჩვენს ერთ-ერთ მკითხველს სწორედ ეს ემაწვლი შეყვარება:*

„მარი, ერთი თხოვნა მაქვს. „გზის“ 45-ე ნომერში, ყდაზე რომ ბიჭია, „სოსკით“, ვინ არის? გამოვე რა? უცხოელია თუ ქართველი? ძალიან გთხოვ, გამირკვიე. დღეიდან ჩემი პირველი სიყვარული ეგ არის. მახოდებს მაგ კაცზე...“

აი, ასეთი უცნაური ამბებიც ხდება. ახლა კი „მესიჯი“, რომლის ავტორთან ვრცელ ინტერვიუს „გზის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ:

„მარი, მეგონა, ვიცოდი, რა იყო სიყვარული, მაგრამ მხოლოდ ახლა გავიგე... ჩემი პირველი სიყვარული ჩემი ყოფილი სტუდენტი აღმოჩნდა... მყავს მეუღლე და ორი შვილი... მას კი „კუნძულ ტაიტის“ ვეძახი...“

*ამ ქალბატონმა გამომხილა საიდუმლო თავისი სიყვარულის შესახებ... ძოდათ, ჩვენი მომდევნო „გზავნილები“ სწორედ საიდუმლოს მიუძღვნათ. გაქვთ სურვილი, თქვენი დაფარული გრძნობის შესახებ გვიამბოთ და ვინაობა გაუმხელელი დარჩეს? გამოგზავნეთ „მესიჯები“ ნომერზე: 8(77) 45.68.61. მომავალ ნუთშაბათამდე გემშვიდობებით...“*

ამ შემზარავმა ფაქტმა შარშან, მთელი საქართველო შეძრა: თბილისში ახალგაზრდა კაცმა 4 წლის ბავშვი გააუპატიურა. პატარა გოგონა საშინლად იყო ნანამები. მაგრამ დროულად ჩატარებულმა ქირურგიულმა ოპერაციამ იგი სიკვდილს გადაარჩინა. სწორედ ექიმებისგან შეიტყვეს მისმა მშობლებმა, რომ მათი შვილი გაუპატიურებული იყო. შემთხვევიდან ორ დღეში, დააკავეს ეჭვმიტანილი, რომელმაც პროკურატურას გამოძიების პერიოდში რამდენიმე განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავი ჩვენება მისცა. საბოლოოდ, მას ბრალდება წაუყენეს. ამჟამად, ამ საზარელი დანაშაულის დეტალების შესწავლა უზენაეს სასამართლოს უნევს. საქმის არსებითი განხილვა მოსამართლე იური ტაბუცაძემ ამ კვირაში დაიწყო.



განსასჯელი შურაბ ხუცურაული

# „გავეხს ნინაელეგოგა არ გაუნევი... მოზრდილი ქვა ავიღე და თავში ჩაპარბვი“

4 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის 21 წლის შურაბ ხუცურაულს ასამართლებენ

განსასჯელს – შურაბ ხუცურაულს სასამართლოსთვის ვერ ჩვენება არ მიუცია. თუმცა, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, წარდგენილ ბრალდებაში იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს. ისიც გაირკვა, რომ ის ამ სიტუაციაში პირველად არ ყოფილა. მიუხედავად ასაკისა (ხუცურაული 1982 წელსაა დაბადებული), წარსულში უკვე ორჯერაა სასამართლევი. პირველად, 1999 წელს, ვერ კიდევ არასრულწლოვანი ხუცურაული ძარცვის მცდელობისთვის ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მეორედ, 2001 წლის მაისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ იგი ქურდობაში ცნო დამნაშავედ და 1 წელი მიუსაჯა. ციხიდან ხუცურაული 2001 წლის დეკემბერში გამოვიდა, რამდენიმე თვეში კი, შემზარავ დანაშაულში ეჭვმიტანილად მოგვევლინა.

2002 წლის 14 სექტემბერს, ხუცურაულმა მეგობრებთან – გოდიშვილთან და ციცაგთან ერთად თბილისში, ელავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე არაყი დალია, შემდეგ კი, ზემოთ ხსენებულ პირებთან ერთად №59 სამარშრუტო მიკროავტობუსში ჩაჯდა და შინისკენ – ვარკეთილი-3-ის დასახლებისკენ გასწია. ვარკეთილში მისვლისას, დაახლოებით დღის 4 საათისთვის, იგი მეგობრებს დამორდა, მიკროავტობუსიდან ჩავიდა და თავისი სახლისკენ ფეხით წავიდა. ცენტრალურ გზასთან მდებარე ერთ-ერთი კორპუსის ეზოში ხუცურაულმა მისთვის უცნობი პატარა გოგონა – 1998 წელს დაბადებული თამარ მ. (სახელი შეცვლილია) შენიშნა. თამარი თავის ასევე მცირეწლოვან ძმასა და მეზობლის ბავშვთან ერთად თამაშობდა. მივრალმა ხუცურაულმა ბავშვის მოტყუება, მისი სარდაფში ჩაყვანა და გაუპატიურება განიზრახა. ამ განზრახვით იგი თამარს მიუახლოვდა და ჰკითხა, თუ

რას აკეთებდა. ბავშვმა უპასუხა, რომ ლიმონათის ბოთლის საცობებს აგროვებდა. ხუცურაულმა შესთავაზა ბავშვს, სარდაფში გაჰყოლოდა მას, იქ ძალიან ბევრი საცობი მაქვს შენახულიო, – უთხრა. თამარმაც დაუჯერა და გაჰყვა. ხუცურაულმა გოგონა კორპუსის სადარბაზოში შეიყვანა, შემდეგ პირზე ხელი ააფარა და ბავშვთან ერთად სარდაფის სიღრმეში შევიდა. თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად და დასახული ამოცანის გასაადვილებლად, მან თამარის მოკვლა გადაწყვიტა; ქვა აიღო და გოგონას თავში ორჯერ ჩაარტყა. თამარმა მაშინვე გონება დაკარგა. ცხოველური ყინი რომ მოიკლა, უგონო მდგომარეობაში მყოფი ბავშვი იქვე მიატოვა და შემთხვევის ადგილი დატოვა. მივიდა შინ, სისხლით მოსვრილი ტანსაცმელი გამოიცვალა და დაახლოებით საღამოს 7 საათისთვის, თავის მეგობრებთან – გოდიშვილთან და ციცაგთან ერთად წავიდა ვარკეთილიდან.

გონზე მოსვლის შემდეგ, პატარა თამარმა თავად შეძლო სარდაფიდან გამოსვლა, თუმცა, იქვე სადარბაზოში, კიბის მოაჯირთან ისევ დაეცა. იგი მეზობლებმა შეამჩნიეს, რის შემდეგაც საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა ბავშვის სხეულზე მრავალი დაზიანება დააფიქსირეს: მარჯვენა თხემის ძელის ხაზოვანი მოტეხილობა, თავის ტვინის დაჟეჟილობა, დაჟეჟილობით ვარჩენილი ჭრილობები ორივე თვალბუდის მიდამოში, ნახეთქი ჭრილობები, მრავალი ნაჭდვეი და სხვ. ბავშვი სასწრაფო ქირურგიული ჩარევის შედეგად გადაურჩა სიკვდილს, რადგან საშოს შესავალი ჩახუეული იყო, მისი შორისი კი – სწორ ნაწლავამდე დაზიანებული.

დაპატიმრებულმა შურაბ ხუცურაულმა თავი არ ცნო დამნაშავედ და ღუმილის უფლება გამოიყენა. გამოძიებულმა შემთხვევიდან მეორე დღესვე აიღო მასზე ეჭვი (იმ დღეს, ხუცურაული სადარბაზოსთან ერთ-

ერთმა მეზობელმა შენიშნა), მაგრამ სათანადო მტკიცებულების არარსებობის გამო, იგი მხოლოდ მოწმის სახით დაჰკითხეს. ხუცურაულმა შემთხვევის ადგილას ყოფნის ფაქტი უარყო.

### შურაბ ხუცურაული:

„14 სექტემბერს, მეგობრებთან ერთად დაველოე... ჩემი მეგობრის, გოდიშვილის ძმის ბოტასები მეცა და პატრონისთვის იმავე დღეს უნდა დამებრუნებინა. გოდიშვილი ჩემს მეზობლად ცხოვრობს და ამიტომაც, ვარკეთილისკენ ერთად წავედი. შინ ავედი, გამოვიცვალე ტანსაცმელი და გოდიშვილთან და ციცაგთან ერთად „მარშრუტკაში“ ჩავეჯექი. ვერ ვორონცოვის ქუჩაზე, ე.წ. „სიყვარულის ბაღში“ ვაჩერდით, შემდეგ კი ბიძაჩემთან – ლოტკინის დასახლებაში წავედი. მე იქ დავრჩი და დამე ბიძაჩემის ოჯახში ვავათიე“.

ამ ჩვენების მიცემიდან ოთხი დღის შემდეგ, შურაბ ხუცურაული საკუთარი ფეხით გამოცხადდა თბილისის, ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურაში და დანაშაული აღიარა. ახსნა-განმარტებაც საკუთარი ხელით დაწერა, აღნიშნა, რომ მასზე არანაირ ზემოქმედებას ადგილი არა აქვს.

### შურაბ ხუცურაული:

„...კორპუსთან უცნობი პატარა გოგონა შევნიშნე, მარტო იდგა. მისგან დაახლოებით 5-10 მეტრში კიდევ ორი ბიჭი თამაშობდა. გოგონასთან მივედი და ვკითხე – რას ეტებ-მეთქი? მიპასუხა – ლიმონათის ბოთლის საცობებს ვაგროვებო. მაშინ მასთან სექსუალური კავშირის დამყარება მომიხდა. ქალთან ნამყოფი არ ვიყავი და მაინტერესებდა. მოვატყუე – სარდაფში ბევრი საცობი მაქვს შენახული-მეთქი. დამიჯერა და თავისი ფეხით გამომყვა უკან. როცა სადარბაზოში შევედი, ბავშვი ხელში ავიყვანე და სარდაფისკენ წავედი. კარი დაკეტილი დამხვდა, მაგრამ მარჯვენა, კიბის მოაჯირ-



თან სარდაფში ჩასასვლელზე მიფარებული თუნუქის ნაწილი იყო ამძვრალი. იქიდან თავისუფლად შეიძლებოდა სარდაფში ჩასვლა. კარის გვერდის ავლით, გოგონა კიბეზე ჩავსვი. მას წინააღმდეგობა არ გაუწევია. მაშინ მოზრდილი ქვა ავიღე და ბავშვს თავში ორჯერ ჩავარტყი, რათა ყვირილი არ დაეწყო. ბავშვმა გონება დაკარგა. გავხადე ქვედა საცვალი, დავაწვინე ამაღლებულ ადგილას და ხელის თითებით ორჯერ შევეხე მის სასქესო ორგანოს. როცა შევნიშე, რომ ბავშვს თავიდან სისხლი მოსდიოდა, შემემინდა და შემთხვევის ადგილიდან წავიქცე. მისი მოკვლა არ მინდოდა...”

მოგვიანებით, ზურაბ ზუცურაულმა პროკურატურას განსხვავებული ჩვენება მისცა და ახსნა-განმარტებაში მის მიერ დაწერილი სიტყვები უარყო. გაუპატიურების ფაქტი ამჯერადაც დადასტურა, თუმცა ამჯერად აღნიშნა, რომ ბავშვისთვის ქვა თავში არ ჩაურტყამს. „...გოგონა თვითონ წაიქცა და ქვას დაარტყა თავი, შემდეგ გონება დაკარგა... სისხლიანი ხელები კორპუსის ეზოში მდებარე ონკანზე დავიბანე და წავედი... პოლიციაში იმიტომ გამოვცხადდი, რომ ვიცოდი, ჩემზე ეჭვობდნენ. თუ არ გამოვჩნდებოდი, ეჭვი უფრო გაძლიერდებოდა“, — წერს ზუცურაული. დამატებითი დაკითხვის დროს კი, ისიც განაცხადა, რომ გოგონას გაუპატიურების მომენტი არ ახსოვს. „...იმ დღეს მთვრალი ვიყავი. სიმთვრალისგან გონზე არ ვიყავი. რა მოხდა, არ მახსოვს. სადარბაზოდან რომ გამოვედი, მხოლოდ მაშინ მოვედი აზრზე. ენახე, რომ მარჯვენა ხელი სისხლიანი მქონდა... გავიგე, რომ ჩემზე ეჭვობდნენ. დამალვას აზრი არ ჰქონ-

და და იმიტომაც გამოვცხადდი პოლიციაში“. ეს ჩვენები ზუცურაულმა 2002 წლის 25 ოქტომბერს მისცა. თუ რას იტყვის უახლოეს მომავალში, სასამართლოში განსასჯელი, სავარაუდოდ, მოწმეთა დაკითხვის შემდეგ შევიტყობთ.

აღსანიშნავია, რომ ეს სისხლის სამართლის საქმე უზენაესმა სასამართლომ განსახილველად გაცილებით ადრე მიიღო, მაგრამ საქმის არსებითი განხილვა, ადვოკატის მიერ დაყენებული შუამდგომლობის გამო არ დაიწყო: განსასჯელის ადვოკატმა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება და ამ გზით ზუცურაულის ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმება მოითხოვა. სასამართლო კოლეგიამ შუამდგომლობა დააკმაყოფილა, რის შემდეგაც, ექსპერტიზა ასათიანის სახელობის კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტ-სპეციალისტებმა ჩაატარეს. მათი დასკვნის თანახმად, ზუცურაული შერაცხავდა. „მას შეეძლო, გაეცნობიერებინა და კონტროლი გაეწეა საკუთარი ქმედებებისთვის. არ არის დაავადებული რაიმე ფსიქიკური დაავადებით, არ საჭიროებს სამედიცინო ხასიათის იძულებითი მკურნალობას, შეუძლია, მიიღოს საქმის განხილვაში მონაწილეობა და მისცეს სასამართლოს ჩვენება“; — წერია ექსპერტიზის დასკვნაში.

წინასწარი გამოძიებისას, პროკურატურაში თამარის მშობლებიც დაიკითხნენ.

**ბავშვის მამის ჩვენებიდან:**

„შინ ვიყავი. უცებ, მეზობლის ძახილი შემომესმა. აივნებიდან გავიხედე და ენახე, რომ ჩემი შვილი მეზობელს ხელში აყვანილი მოჰყავდა. დამიძახა — ბავშვი სისხლიანიყო...“

როგორც გაირკვა, შინ არა მარტო მამა, არამედ თამარის დედა და ბებიაც იყვნენ.

**დედის ჩვენებიდან:**

„მეც ვიცი, რომ მცირეწლოვანი შვილი. 2002 წლის 14 ოქტომბერს, დაახლოებით საღამოს 5 საათი იქნებოდა, როცა ბავშვებმა მთხოვეს — სათამაშოდ ეზოში ჩავალთო. მეც გავუშვი. დაახლოებით ერთი საათი რომ გავიდა, მუდღელმ მთხნრა — თამარი დაშვებულაო. ვიფიქრე, რომ სიმაღლიდან გადმოვარდა და დაეცა. მაშინვე ეზოში გადავიხედე, ერთ-ერთ მეზობელს ჩემი შვილი გასისხლიანებული და მიწით მოსვრილი მოჰყავდა. ბავშვი მაშინვე აბაზანაში ჩავსვი, რათა მისთვის სისხლი მოქუქმინდა. გაუჩერებლად ტიროდა, თან ძლიერი სისხლდენა ჰქონდა. ჩემი დედამთლიან იქვე იყო და სწორედ მან შენიშნა, რომ ბავშვს საცვალი არ ეცვა. როცა შევეკითხეთ — რა დაგემართა? რა მოხდა-თქო? — გვითხრა — უცხო ბიჭმა ხელი მომიჭირა ყელზე და ქვა ჩამარტყა თავში. მაშინ დედამთლიან მიჩნია, ბავშვი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში წამეყვანა. იქ ექიმებისგან შევიტყვეთ გაუპატიურების შესახებ“.

ზურაბ ზუცურაულს ადვოკატი თემურ თარიმანიშვილი იცავს. განსასჯელის პოზიციასა და გამოძიებასთან დაკავშირებით კომენტარზე მან უარი გვითხრა. რაც შეეხება დაზარალებულებს, ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, ისინი განსასჯელის უმკაცრესად დასჯას მოითხოვენ. აღსანიშნავია, რომ ზუცურაულის მიმართ პროკურატურის მიერ წაყენებული მუხლები სასჯელის ზომად 25-წლიან პატიმრობას ითვალისწინებს.

# ავტოავარიას 3 არასრულწლოვანი ემსხვერპლა

## გამომძიებელმა კი დამნაშავის სასარგებლოდ ოქმები გააყალბა

სენაკის რაიონული პროკურატურის ყოფილ გამომძიებელს, 41 წლის დავით ჯანაშიას სასამართლოში განსასჯელის სკამზე დაჯდომა მოუწევს. 2001 წლის იანვარში მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, გამოძიების შედეგად კი იგი სამსახურებრივ საქმიანობაში ჩადენილ სიყალბეში, თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაყალბებაში დაადანაშაულეს. გამოძიების პერიოდში, ჯანაშიამ მხოლოდ ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ, ხოლო რას იტყვის სასამართლოში, სავარაუდოდ მომავალ კვირაში შევიტყობთ. მისი ბრალდების საქმესთან დაკავშირებით სასამართლო სხდომა 25 ნოემბერსაა დაინიშნული.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, საქმე 2001 წლის პირველი ივლისის, აბაშის რაიონის სოფელ წყემში მომხდარ ავტოავარიას ეხება. საღამოს, დაახლოებით 8 საათისთვის, მძღოლმა, ბუთხუზი ფაცაცამ, რომელიც თავის „ვაზ 2109“-ს მართავდა, უსაფრთხოების წესები დაარღვია, ამან კი ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია: მის უკან მოძრავი „მერსედეს-ბენცი“, რომელსაც დავით გაბელია მართავდა, დაჯახების თავიდან აცილებას ცდილობდა, მოცურდა, გზის პირას მდგარ მეტალის კონსტრუქციის საგზაო ნიშანს დაეჯახა, ამის შემდეგ მანქანა წყალსაწრეტ არხში გადავარდა, ჯერ ამ არხის კიდე დაეჯახა, მერე კი — ხეს.

ამ ავარიას სავალალო შედეგი მოჰყვა: გარდაიცვალა 3 არასრულწლოვანი: თავად მძღოლი — დავით გაბელია და მეზარები — სოფიკო გოგავა და მირანდა ჩაჩავა. მომხდართან დაკავშირებით, წინასაგამოძიებო შემოწმების ჩატარება სენაკის რაიონულ პროკურატურას, კერძოდ — გამომძიებელ დავით ჯანაშიას და პროკურორის თანაშემწეს ვანტანგ კუჭავას დაევალათ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მძღოლის — ბუთხუზი ფაცაცასთვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილებით დაინტერესებულმა ჯანაშიამ გამოძიების მნიშვნელოვანი ახსნა-განმარტებები გააყალბა. როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ახსნა-განმარტებებს ის თურმე თავად წერდა და თვითონვე აწერდა მოწმის ნაცვლად ხელს. ყოველივე ამის შედეგად, საგამოძიებო მასალებში ფაცაცას მიერ დაშვებული დარღვევები მიიჩქალა; მცდარ მონაცემებზე დაყრდნობით, არასწორი ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა გაიცა და ფაცაცას მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა.

2001 წლის 15 იანვარს, დაზარალებულებმა საქმის არაღძვრის დადგენილება გაასაჩივრეს. სენაკის რაიონულმა სასამართლომ გამოარკვია, რომ საქმეში ყალბი დოკუმენტები იყო და დადგენილება გააუქმა. ამის შესაბამისად, აღიძრა საქმე, როგორც ფაცაცას, ასევე გამომძიებელ ჯანაშიას მიმართ.

# მაისურაძის აღვოკატი გამოკითხეს აფეთქებასთან პაზარკასიუმილის კავშირს

## „ტროტილის შესახებ არაფერი ვიცოდი... გამოძიებელმა თავად მიკარნახა“, – განაცხადა მოწმემ ჩვენებისას

საშა მაისურაძის ბრალდების საქმესთან დაკავშირებული პროცესი უზენაეს სასამართლოში საქმიანობა დაიწყო. სსდომებს დაზარალებული — ჯონი გიგანი და მისი ახლობლები არ ესწრებიან. ამის მიზეზი, წინა სასამართლო სსდომაზე გიგანსა და განსასჯელის ინტერესების დამცველ ადვოკატს შორის წარმოქმნილი შელაპარაკება გახდა. დაზარალებულმა სსდომა ყვირილით დატოვა. გიგანის გაცხარება გამოიწვია მაისურაძის ადვოკატის შენიშვნამ: დაზარალებულის მხარე პირადად ჩემი მისამართით იმუქრებაო. აქვე აღვნიშნავთ, რომ მაისურაძე და მისი ახლობლები გიგანის მხრიდან მუქარაზე კარგა ხანია, ლაპარაკობენ. მათი თქმით, დაზარალებულის მიერ დაქრავებული პირები, მისი მანქანის აფეთქების დღიდან ერთი თვის მანძილზე, განსაკუთრებით აქტიურად უთვალთვალებდნენ და დასდევდნენ მაისურაძის ოჯახის წევრებს. ამ ინფორმაციას გიგანი და მისი ადვოკატი — ხათუნა თეგელაშვილი კატეგორიულად უარყოფენ. ისინი აღნიშნავენ, რომ მუქარას და საეჭვო სატელეფონო ზარებს, პირიქით — განსასჯელის საახლობლო წრიდან აქვს ადგილი.

შეგახსენებთ, რომ 2003 წლის 8 მაისს, დილით, დაახლოებით 9 საათსა და 45 წუთზე, სასტუმრო „გარასთან“ ბიზნესმენ ჯონი გიგანის, „ტოიოტას“ მარკის ჯიპი აფეთქდა. იმავე დღეს, სამართალდამცავებმა სავაჭრო ცენტრ „მორკინალის“ მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთარი „მერსედესით“ მისული, „კაგებეს“ ყოფილი თანამშრომელი, იმ დროისთვის ასევე ბიზნესმენი საშა მაისურაძე აიყვანეს. პროკურატურამ იგი აფეთქებაში ეჭვმიტანილად გამოაცხადა, მოგვიანებით კი, შესაბამისი მუხლით, ბრალიც წაუყენა.

საქმის წინასწარი გამოძიების პროცესში საშა მაისურაძემ თავი დამნაშავედ არ ცნო და დუმილის უფლება გამოიყენა. მიუხედავად ამისა, პროკურატურის თანამშრომლებმა ბრალი დადასტურებულად მიიჩნიეს და ამის საფუძველად, მოპოვებულ ნივთმტკიცებებზე მიუთითეს. გამოძიების მთავარ მტკიცებულებას, მაისურაძის საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული იარაღის არსენალი წარმოადგენს. როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ბინის ჩხრეკისას, პოლიციამ აღმოაჩინა „კალაშნიკოვის“ 2 ავტომატი, „მაკაროვის“, „მაუზერისა“ და „ბრაუნინგის“ ტიპის პისტოლეტები, სანადირო ტიპის კერამიკული, ინგლისური და იტალიური წარმოების თოფები, პნევმატური და ოპტიკურსამიზნიანი შაშხანები, ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილი, დეტონატორთან (მოქმედებაში მოსაყვანი) ერთად, 1040 ვაზნა სხვადასხვა სისტემის იარაღისთვის და სხვ. ამას გარდა, პროკურატურის ინფორმაციით, ბინაში სატელეფონო საუბრების მოსასმენი და ჩამწერი, რუსული წარმოების აპარატურაც იპოვეს.

განსასჯელის ადვოკატის – ვლადიმერ გაბრიჩიძის მტკიცებით, მაისურაძეს სახლ-

ში მხოლოდ სანადირო თოფების კოლექცია ჰქონდა. რაც შეეხება პროკურატურის მიერ ჩამოთვლილ იარაღსა და ასაფეთქებელ ნივთიერებას – მისი თქმით, ყველაფერი პოლიციის თანამშრომელთა მიერაა ჩაღებული ჩხრეკის დღეს.

### ვლადიმერ გაბრიჩიძე:

„იარაღი, რაც კი შინ ჰქონდა მაისურაძეს, ჩხრეკის დაწყებამდე, მისმა ქალიშვილმა – სვეტლანა მაისურაძემ ფანჯრიდან გადაყარა. ბინაში მას არაფერი დაუტოვებია. თვით ჩხრეკა იმდენად გაურკვეველ და აბნეულ სიტუაციაში ჩატარდა, რომ პოლიციელებმა შესანიშნავად მოახერხეს იარაღის, მათ შორის, ტროტილის ჩაღება. ახლა აცხადებენ, რომ მთელი არსენალი აღმოაჩინეს მაისურაძის სახლში. თავდაპირველად ისიც თქვეს, ავტომანქანაში აფეთქების ვეგმა იპოვესო, თუმცა დამტკიცდა, რომ ეს საშა მაისურაძის შვილის სახლის მშენებლობის სქემაა. ეს გამოძიებამაც დაადასტურა. ამჟამად პროკურატურა მთავარ აქცენტს ტროტილზე აკეთებს. თუმცა გამოძიების პროცესში ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ ბინაში აღმოჩენილი და შემთხვევის ადგილიდან, კერძოდ, აფეთქებული ავტომანქანიდან ამოღებული ასაფეთქებელი ნივთიერებები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან ქიმიური შემადგენლობით. მართალია, შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდა საშა მაისურაძე და იგი ერთ-ერთი პირველი მივიდა აფეთქებულ მანქანასთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავე და ორგანიზატორი ის იყო. მაისურაძეს იმ დღეს, დილის 9 საათიდან გაჰქონდა „მორკინალიდან“ თავისი კუთვნილი მაგიდები და სკამები. ინვენტარი წინა დღესაც გაიტანა, მაგრამ რაღაც ნაწილი დარჩენილი იყო, როცა მოულოდ-

ნელად აფეთქების ხმა გაიგონა, ბუნებრივია, დაინტერესდა, თუ რა მოხდა და აფეთქებულ მანქანასთან მივიდა. მით უმეტეს, ადრე სამართალდამცავ სისტემაში მუშაობდა და მის ადგილას, ნებისმიერი პროფესიონალი ასე მოიქცეოდა“.

სწორედ მაისურაძის ბინის ჩხრეკის ფაქტთან დაკავშირებით დაიკითხა მოწმე დოლო ზარქუა, რომელმაც აღნიშნა, რომ პოლიციელებმა პოლიდან სასტუმრო ოთახში იარაღი ჩემოდნით შეიტანეს. მას არ დაუნახავს, ზუსტად რა ვითარებაში აღმოაჩინეს მათ აღნიშნული ჩემოდნები.

### დოლო ზარქუა:

„მე საშა მაისურაძის მეზობლად ვცხოვრობ. მის ოჯახს 1997 წლიდან ვიცნობ და ჩემთვის ძალზე ძნელი წარმოსადგენი და დასაჯერებელია ის, რასაც დღეს მაისურაძეზე ამბობენ. მასთან ძალიან კარგი



ურთიერთობა მქონდა, ისევე, როგორც დანარჩენ მეზობლებს. მაისურაძე საუცხოო ბუნების ადამიანია. ყველა ასეთად ვიცნობდით მას და გვიკვირს, საიდან და როგორ აღმოჩნდა ასეთ სიტუაციაში.

8 მაისს, ზუსტად არ მახსოვს, რა დროს, ჩემ ზევით მცხოვრებმა მეზობელმა დამირეკა – ფანჯარაში გაიხედე, რა ხდებაო? დავინახე, რომ კორპუსთან სახანძრო მანქანა იდგა და პოლიციელები კიბით საშა მაისურაძის ბინაში აღიოდნენ. ვიფიქრე, ბინა ხომ არ გაქურდეს-მეთქი? – და სირბილით ქვემოთ გავექეცი. იქ პოლიცია დამხვდა; თქვენი საქმე არ არის, ქალბატონო, რაც მოხდა, არც ჩვენ ვიცით, რაშა საქმეო, – მითხრეს. სახლში მაისურაძის ქალიშვილი იყო. თურმე კარი არ გაუღია პოლიციისთვის და ამიტომაც, ბინაში სახანძრო მანქანის კიბით, ფანჯრიდან შესულან. სვეტა ძალიან ანერვიულებული და დაბნეული იყო, თარჯიმანს ითხოვდა, რადგან თვითონ რუსულად საუბრობს. როგორც გაირკვა, პოლიციელებს ბინის განხრეკა უნდოდათ. თუმცა, სახამ თარჯიმანს მოიყვანდნენ, ძალიან დიდი დრო გავიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, მეც მაისურაძის ბინაში დამტოვეს, არსად გამიშვეს – ჩხრეკის მოწმე უნდა იყოთო. ბოლოს, სამი კაცი გვანჩვენეს, ბინა მათ უნდა გაეჩხრიკათ. ერთერთმა მითხრა – ქალბატონო, ხელებში მიყურეთ, შეამოწმეთ, რომ განგებ არაფერს ვეცაო. მე ძირითადად, იმ კაცის გვერდით ვიყავი, სხვებს სხვა, როგორც თავად თქვეს – ქუჩიდან აყვანილი ვილაც მამაკაცი აკვირდებოდა. ძალიან დავილაღე და ტახტზე ჩამოვვჯექი. ამ დროს დავინახე, რომ შემოსასვლელი ოთახიდან „ხალაში“ ორი ჩემოდანი შემოიტანეს. ჩემოდნებში იარაღი აღმოჩნდა. მეუბნებოდნენ – ნახეთ, ქალბატონო, რამდენი იარაღიო; მერე – ო, ო, აი, ვიპოვეთო, – თქვა ერთ-ერთმა პოლიციელმა და ცელოფანის პატარა პარკში გახვეული, მომწვანო ფერის რაღაც ნივთიერება გამოიტანა. ცხვირწინ მიტრიალებდნენ ამ პარკს და მეუბნებოდნენ – ტროტილიაო. მე არც ჩემოდნების და არც იმ ტროტილის აღმოჩენის ფაქტი არ მინახავს. პოლიციელებმა თქვეს, რომ იარაღით სავსე ჩემოდნები შემოსასვლელში, „ჩულანში“ იპოვეს. მაშინ დავინტერესდი, შემოსასვლელში გავედი. „ჩულანის“ კარი ღია იყო, შვებით კი ტელევიზორები იყო დაწყობილი. გამიკვირდა და ვკითხე – კი, მაგრამ ამ ტელევიზორებთან ერთად ეს ჩემოდნები როგორ დაეტია-მეთქი?..“

ჩხრეკასთან დაკავშირებით დოლო ზარქუას წინასწარი გამოძიებისთვისაც აქვს მიცემული ჩვენება. თუმცა, იქ აღნიშნავს, რომ ცელოფანის პარკში მოთავსებული ტროტილი ორ ნაწილად იყო გაყოფილი, გამოძიებულმა იგი მის თვალწინ შეაერთა

და შეკრა.

პროკურორისა და გიგანის ადვოკატის თქმით, სწორი ჩვენება ზარქუამ წინასწარ გამოძიებას მისცა და არა სასამართლოს. ისინი აღნიშნავენ, რომ მაისურაძის ბინაში აღმოჩენილი ტროტილი მართლაც, დანაწევრებული იყო და ზუსტად ის რაოდენობა აკლდა, რაც გიგანის ავტომანქანის ასაფეთქებლად იყო გამოყენებული.

დოლო ზარქუამ პროკურატურისთვის მიცემული ჩვენება ამ ნაწილში არ დაადასტურა. „ჩვენებას ჩემი ხელით ვწერდი. როცა ასაფეთქებელი ნივთიერების თაობაზე უნდა აღმეჩინა, არ ვიცოდი, რა, როგორ დამეწერა, ტროტილის შესახებ ხომ თითქმის არაფერი მსმენოდა?! ამიტომაც, გამოძიებულმა თავად მიკარნახა და ზუსტად მისი სიტყვები ჩავწერე ჩვენებაში“, – აღნიშნა მოწმე.

**სათუნა თიხალაშვილი, გიგანის ადვოკატი:**

„ჩემს დაცვის ქვეშ მყოფს აქვს ვერსია, რომ მაისურაძემ აფეთქება სხვისი მითითებით ან დაკვეთით მოაწყო. ჯონი გიგანი ყოველივე ამას „დინამო თბილისთან“ დაკავშირებულ დავას უკავშირებს. მოგეხსენებათ, რომ იგი აღნიშნული საფეხბურთო კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახლდათ, „დინამოს“ გაყიდვა კი ისე მოხდა, რომ მისთვის არავის არაფერი შეუტყობინებია. გიგანი თამაშვარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. „დინამო თბილისი“ ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა შეიძინა. სწორედ ამის გამო წარმოიშვა მასა და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს შორის უთანხმოება. აქ დიდ თანხებზეა საუბარი, საქმეში პროკურატურაა ჩარეული და ბუნებრივია, ჯონი გიგანი მოწინააღმდეგე მხარისგან სერიოზულ უსამიჯნობებს ყოველთვის ელოდა. საშა მაისურაძე პატარკაციშვილის დაცვის უფროსი გახლდათ, თუმცა ამის თაობაზე დოკუმენტური მასალები არ არსებობს, ამის შესახებ, უბრალოდ, ცნობილი იყო. ამიტომაც ფიქრობს გიგანი, რომ მის მიერ მოწყობილი აფეთქება შესაძლოა, „დინამო თბილისთანაც“ იყოს დაკავშირებული.“

საშა მაისურაძის უდანაშაულობაზე საუბარიც კი არ შეიძლება. იგი ყოფილი „კავებეშნიკი“ და აფეთქებების დიდოსტატია. საბ-



ვლადიმერ გაბრიძე

ჭოთა კავშირის მასშტაბით სამეულში შედიოდა, როგორც პროფესიონალი „კილერი“.

თუმცა, ადვოკატი აქვე აღნიშნავს, რომ არც ამ მხრივ მოიპოვება რაიმე ხელჩასაჭიდი დოკუმენტური მასალა. ყოველივე ამას კატეგორიულად უარყოფს მეორე მხარე, კერძოდ, მაისურაძის ადვოკატი. „ჯონი გიგანი ღლეს მასა და მაისურაძეს შორის დაბაბულ ურთიერთობაზე საუბრობს. მინდა დაგარწმუნოთ, რომ არანაირ უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია. ეს მხოლოდ გიგანისეული ვერსიაა. ასევე, არანაირი კავშირი არა აქვს მაისურაძეს პატარკაციშვილთან. უბრალოდ, მაისურაძის მიერ დაარსებულ დაცვის სამსახურს ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული „მედია-პოლიციასთან“; სამსახურს ერთ-ერთი ობიექტის – კერძოდ, ტელევიზია „იმედის“ დაცვა ევალებოდა. როგორც ჩანს, ამის შესახებ შეიტყო გიგანმა და შემდგომ ეს თავისი აბსურდული ვერსიის შესათხზავად გამოიყენა.“

**ქართული და უცხოური შერჩულ-გაზეთების გამოცემა**

**მედიუმს მანქონაკაპლათის და ორგანიზაციებისათვის**

**სახლიდან გაუსვლელად**

მშს „ელვასერვისი“

[www.elvaservice.com](http://www.elvaservice.com)

სათუნა შორდანიძე საკუთარი ძალების რეალიზებას ორ, რადიკალურად განსხვავებულ სფეროში ახდენს: თბილისის „დინამოს“ დილმის საფეხბურთო ბაზაზე მას ერთ-ერთი ხელმძღვანელი თანამდებობა უკავია, შოუბიზნესში კი, საკუთარი შვილის პრომოუშენითაა დაკავებული. როგორც თავად ამბობს, მასში კიდევ ბევრი განუხორციელებელი რესურსია, რის გამოვლენასაც ახლო მომავალში, სიურპრიზის სახით გვპირდება...



# „ყველა ქალის წინაშეაშენი გიზნისი შინაგანის შიშნა დაშინანსებელი...“

შენა ტუნიანიშვილი

— ბავშვობაში ძალიან მიყვარდა სოფლის საქმეებში მონაწილეობის მიღება და მშვენივრად ვერთობოდი, როცა უფროსები სახლის დალაგების ან სადილის მომზადების უფლებას დამრთავდნენ. ოჯახში ფუსფუსი ახლაც მიყვარს. დილით, სახლიდან ისე ვერ გავალ (რა თქმა უნდა, როცა შინ დამხმარე არავინ არის), თუ სახლი მოუწესრიგებელი მაქვს. მიყვარს ასევე საყიდლებზე სიარული და კვირაში ორ დღეს მაინც ვუთმობ სოფლის საქმეების მოვარებას.

— თუ გახსოვთ თქვენს პირველი სამსახური და ხელფასი?

— ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, როდესაც ბავშვების მომზადება დავიწყე ინგლისურ ენაში. მოსწავლეებს შინ ვაკითხავდი, ამიტომ ჩემი ხელფასი მხოლოდ ტაქსით მგზავრობისთვის მყოფნიდა.

— ახლა რაში ხარჯავთ ფულს და მომჭირნე თუ ხართ?

— ფულის ხარჯვა ძალიან მიყვარს და არასდროს ვიცი, რა თანხა მიღვეს ჩანთაში. ჩემი შემოსავალი კი, ძირითადად, სიგარეტში, საწვავში, ბაზარსა და კომუნალურ გადასახადებში მიდის.

— რა მიგაჩნიათ ქალის უპირველეს მოვალეობად?

— ყოველთვის მინდოდა, მყოლოდა ქმარი და ბევრი შვილი, რაც, სამწუხაროდ, არ მოხდა. რა თქმა უნდა, ქალის უპირველესი მოვალეობაა, ჰქონდეს ოჯახი, საყვარელი ადამიანი გვერდით... თუ ქალს ბედნიერი ოჯახი არა აქვს, მისი საქმე ვერასოდეს იქნება წარმატებული.

— თქვენს საქმიანობაზე, პირად ცხოვრებაში განცდილი თუ ახდენს გავლენას?

— სამწუხაროდ, ასეც ხდება. ჩემს ცხოვრებაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საერთოდ არ გავსულვარ შინიდან. შემდეგ, ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ვახდენ ხოლმე საკუთარ თავზე და ვაიძულებ, რომ ავდგე, პირი დავიბანო და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდე. საერთოდაც, დარწმუნებული ვარ, რომ მამაკაცი დიდ როლს თამაშობს ქალის წარმატებული კარიერის შექმნაში. ვერავინ დამაჯერებს, რომ ქალი მადაროში შევა, იქ იმუშავეს და შემდეგ, ეტაპობრივად დაწინაურდება. ყველა ქალის წარმატებული ბიზნესი მამაკაცის მიერაა დაფინანსებული — იქნება ეს ძმა, ქმარი თუ საყვარელი...  
— როგორ ფიქრობთ — რა

თვისებები უნდა ახასიათებდეს საქმიან ქალს?

— საქმისადმი სწორი მიდგომა და პუნქტუალობა. არ მიყვარს მოუწესრიგებული და არაპუნქტუალური ადამიანები. პირადად მე, თავის მოსაწესრიგებლად მხოლოდ რამდენიმე წუთი მჭირდება.

— რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის, როგორც საქმიანი ქალისთვის, გყავდეთ მძლოლი, მდივანი, დაცვა და დამხმარე ოჯახში?

— მდივანს ბევრი აუცილებელი ფუნქცია აკისრია და მისი დახმარება საქმიანობისას საკმაოდ მნიშვნელოვანია. ზოგჯერ ისეთი დაკავებული ვარ, რომ ტელეფონთან მისვლასაც ვერ ვახერხებ. მძლოლის გარეშეც წარმოუდგენელია მუშაობა, რადგან ბევრჯერ, დაღლილობის გამო, საჭეს რომ მივუჯდუ, იმის თავიც არა მაქვს. იგივე შემძლია გითხრათ დამხმარე ქალზე: ბაზარში ხომ მაინც წავა შენ მაგიერ და ა.შ. დაცვა კი, არ მყავს — იმიტომ, რომ არაფრის მეშინია და მგონია, რომ ჩვენს ოჯახს დაცვა არ სჭირდება.

— თუ შეგიძლიათ, ერთმანეთისგან გამოიჯნოთ ქალისა და მამაკაცის შესაფერისი საქმე?

— არ არსებობს ჩვენს ოჯახში საქმე, რომელსაც მე ვერ გავუმკლავდები. მაგალითად, შემძლია, გადავაადგილო ავეჯი, ბაზრიდან საკმაოდ მძიმე ტვირთი მოვიტანო, ტელეფონი შევაკეთო, ნათურა გამოვცვალო... ასეა სამსახურშიც: შემძლია, მამაკაცის ფუნქციები ვიტვირთო. თუმცა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩემთვის სხვადასხვა ფორმით მიუნიშნებიათ, რომ ქალი ვარ და საქმეს ისეთივე წარმატებით ვერ გავართმევ თავს, როგორც მამაკაცი. მაგრამ მერწმუნეთ, ასეთი რეპლიკები უპასუხოდ არასდროს



მერაბ შორდანიძე შვილებთან და ნინო ქარსელაძესთან ერთად

დამიტოვებია... სხვათა შორის, საფეხბურთო ბაზაზე ხელოსნებთან და დამლაგებლებთან ერთად ბევრი საქმის კეთება მიხდებოდა.

**სიმკაცრის გამოჩენა თუ გზივით ხელქვეითებთან?**

— საკმაოდ მომთხოვნი ვარ. ერთხელ „პრარაბს“ ისე ვეჩხუბე (დიღმის საფეხბურთო ბაზაზე სარემონტო სამუშაოები ტარდებოდა), რომ შემდეგ უთქვამს: რა კარგი ძმა ჰყავს და ეს რა ავი და აწინდიაო?! კლიპის გადასაღებ მთვლანზეც მჩვევია ყვირილი, რის გამოც ნინი ტირილს იწყებს. შემდეგ, ნინის იმით ვაშვიდებ ხოლმე, რომ ეს ჩემი საქმეა და ა.შ.

**ოჯახის წევრების მიმართაც ასეთივე ხართ?**

— მკაცრი მხოლოდ ნინის მიმართ ვარ, ხოლო ჩემი და მერაბის ურთიერთობა თითქმის უპრობლემოა. ჩემი ძმისშვილებსთვის კი, დასაშვებია აბსოლუტურად ყველაფერი. ეს ის ორი ადამიანია, ვისაც არასდროს ვეჩხუბები და არ ვაძლევ შენიშვნას.

**როდესაც ახლობლები გათხოვენ სამსახურში მონაწილას, როგორ იქცევით?**


— ერთ მაგალითს მოგიყვანთ: როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ვმუშაობდი, მე და მერაბმა უარი ვერ ვუთხარით ერთ-ერთ ჩვენს ახლობელს, სამსახურში მოწყობა რომ გვთხოვა. მაშინ მე განცხადება დავწერე და მას ჩემი ადგილი დავუთმე.

**კიდევ რის გამო შეგიძლიათ, უარი თქვათ საქმიანობაზე?**

— უარს ვიტყვი სამსახურზე, საქმეზე, თუ ამას ჩემი ძმა მოინდომებს. მერაბის გამო, ვაცდები თქვენი შემთხვევა გავაკეთო.

**უკანასკნელ ხანს, თქვენმა საქმიანობამ გარკვეული პოლიტიკური ელფერი მიიღო. როგორც ვიცო, ბატონი მერაბის წინასაარჩევნო კამპანიაში (საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას ვგულისხმობ) თქვენც მონაწილეობდით...**

— მე აბსოლუტურად აპოლიტიკური ადამიანი ვარ. ეს იყო პირველი და, იმედი მაქვს, უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც ჩემი საქმიანობა გარკვეულწილად პოლიტიკას უკავშირდებოდა. აქამდე მეგონა, რომ ყველაზე დიდი სიბინძურე ადამიანმა შეიძლება, შოუბიზნესის სფეროში მოისმინოს, მაგრამ პოლიტიკა ამ მხრივ თურმე ყოველგვარ ზღვარს სცილდება...



**ბაადურ წულაძე: ჩემი ხნის ქალი არ მინდა, ახალგაზრდა კი, სად უნდა ვიძებო?!**

**ლელა ჭანკოტაძე**

ბაადურ წულაძის ბინის კარს შეაღებთ თუ არა, მიხვდებით, რომ იქ არაჩვეულებრივი ადამიანები ცხოვრობენ. პირველად თვალში ორი ფოტოსურათი მოგხვდებათ. მათზე გამოსახულები არიან ბატონი ბაადური და მისი და, ქალბატონი ლელი, ისეთი გაღიზილებული, ისეთი გახარებული, რომ შეუძლებელია, თქვენც არ გამხიარულდეთ. აი, ასე ვხვდებით სტუმრებსო, — გვითხრა დაძმამ. ფოტოზე აღბეჭდილი სტუმრის დანახვით გამოწვეული მასპინძლის ემოცია ამ ბინის ყველა კუთხე-კუთხუღში თქვენი თანძღვევა გახდება...

ტერასაზე ვინაცვლებთ და საშუალება გეძლევა, საბურთალოდან გადავყვებით თვალს თბილისის ხედს. ქალაქი საოცრად ჭკუჭკიანი ჩანს, ტერასაზე კი ნამდვილი ბოტანიკური ბაღია გაშენებული. ყვავილი, რომელიც ქალბატონ ლელის განსაკუთრებით უყვარს, გვიმრავა. ის მას სოფელს ავონებს და უჩვეულო ხასიათზე აყენებს. ამიტომაც მისი ადგილი მისაღებ ოთახში წიგნების გვერდითაა. სპორტული გაზეთების დიდი მარაგი კი, ბატონ ბაადურს ეკუთვნის, რითიც მეზობლებიც სარგებლობენ. პოლიტიკურ გაზეთებს ის არ კითხულობს...



— რაში გამოიხატება ადამიანის გემოვნება? რით განსაზღვრავთ გემოვნებია თუ არა ესა თუ ის ადამიანი?

— ინგლისური ანდაზაა: რით გამოირჩევა ჯენტლმენი სხვებისგან? ის ზუსტად ერთი სეზონით ჩამორჩება მოდასო... ალბათ ასეა. ოსკარ უაილდი წერს: რასაკვირველია, კარგი გემოვნება სჯობია ცუდ გემოვნებას, მაგრამ ჯობს, გქონდეს ცუდი გემოვნება, ვიდრე არანარი. მე ისეთი გემოვნების ადამიანი უფრო მომწონს, რომელშიც არის ექსტრავაგანტურობის ელემენტები, თუმცა, არა მოჭარბებულია.

— ე.ი. თქვენთვის მთავარია სისადავე?

— დიახ. მაგალითად, კინოში მე „ჩემი „ოსკაროსნები“ მყავს, ჩემი გემოვნებით ვაღგენ, ვინ დამისახურა ნობელის პრემია, კანის ფესტივალის „პალმის რტო“ და ა.შ.

— ბოლო დროს „ოსკაროსანი“ ფილმი თქვენთვის რომელია?

— ბოლოს ვნახე და ძალიან მომეწონა ლარს ფონ ტრიერის „დოგვილი“. საოცარი ფილმია. ვიცოდი, ამ სურათისთვის პავლიონში მთელი ქალაქი რომ აშენდა, მაგრამ ვნახე სულ სხვა რამ: არც კვლეები, არც ფანჯრები — უბრალოდ, ნახაზები ქმნიდა ქალაქს... კიდევ, ძალიან მომეწონა „სათთები“.

— ე.ი. თქვენთვის „გლადიატორი“ ან „მტრანკვი“ „ოსკაროსანი“ ფილმები არ არის?

— არა, რატომ? მე მიყვარს სხვადასხვა ჟანრი. სულ არ მაინტერესებს, რა ჟანრისაა, თუ ფილმის ღირებულება. არ მიყვარს ჩარჩოებში მოქცეული აზროვნება...

— სერიალებისკენ თუ აპირებთ ხოლმე თვალს?

— არ ვუყურებ არც ქართულ, არც რუსულ ტელეარხებს, მით უმეტეს —



სამზარეულოში ძირითადად, ჩემი და გრიალებს. ყველაფერს ის აკეთებს, მაგრამ მჭადის გამოცხობა მეც ვიცი

სერიალებს. ჩემი და კი უყურებს. ამიტომ სახლში ორი ტელევიზორი გვაქვს. სერიალიც შეიძლება კარგი იყოს – უბრალოდ, არასდროს მინახავს. თუმცა, ახლა ვთამაშობ ზაზა ურუშაძის სერიალში, კილერის როლს ვასრულებ. ორ სერიაში მიწვევს თამაში, მერე მკლავენ.

— პირველად როდის დაფიქრდით იმაზე, თუ როგორი გემოვნება გქონდათ?

— ამაზე არასდროს მიფიქრია, რადგან გემოვნება ან გაქვს ან – არა. მე ჩემი გემოვნება, ჩემი სამყარო მაქვს. ვფიქრობ, რომ სხვისგანაც შეიძლება რაღაც გადაიღო, მაგრამ ისე, რომ ის რაღაც შენეულად აქციო. ბევრ ახალგაზრდას ვხედავ, რომელსაც ეტყობა, რომ ისე აცვია, როგორც ჟურნალში ნახა, მაგრამ ეს არ არის მისი სტილი. ბევრს ჰგონია, რომ ისე უნდა ჩაიცვას, როგორც სინდი კროუფორდს ეცვა ამა თუ იმ ჟურნალში. ეს არასწორია – ყველამ უნდა ჩაიცვას ისე, როგორც უხდება.

— ვინ მიგაჩნიათ ლამაზ ქალად?

— მერილინ მონრო, ბრიჯეტ ბარდო და რომი შნაიდერი. ბევრს მოსწონს სოფი ლორენი, რომელსაც მე, როგორც ლამაზ ქალს, ვერ აღვიქვამ.

— ცხოვრებაში თუ შეგხვედრიათ ქალი, რომელიც ისევე მოგონებიათ, როგორც ზემოთ დასახელებული სამი მსახიობი?

— უამრავია ასეთი ქალი. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთხელ ვიყავი პარიზში. რომ ჩამოვედი, მეკითხებოდნენ: რას იცვამენ პარიზში? იქ რა არის მოდაში? ეს არასწორი მიდგომაა. როცა შენ იცვამ ისე, როგორც ყველა, გინდა, გახდე ისეთი, როგორც ყველა და აღარ ჩანს განსხვავება. არადა, სილამაზე სწორედ ინდივიდუალობაშია. ახალგაზრდობა დაუნდობელია. მეც ვიყავი ახალგაზრდა, ვიცი, ეს რას ნიშნავს. მაგრამ

ჯოვის პრინციპით არასდროს მიმოქედილა. არ მწლობია, ისეთი ვყოფილიყავი, როგორც ყველა და არ მქონია იმის შიში – ვაითუ, გამორჩეულობის გამო, „ჯოვიდან“ გამაგდონ-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კონტაქტური ვარ, ყოველთვის ინდივიდუალისტი ვიყავი და არასდროს მეშინოდა მარტობის.

— თქვენს ახალგაზრდობაში რა იყო მოდაში?

— მოდაში იყვნენ „სტილიაგები“: ძალიან ვიწრო შარვლები ეცვათ. „კომსომოლები“ დასდევდნენ ქუჩებში და შარვლის ტოტებს მაკრატლთ უჭრიდნენ; თმა ბრილიანით ჰქონდათ დაყენებული; „სქელპალშიანი“ ფენსაკმელი ეცვათ და ფერადი ჰალსტუხები ეკეთათ. მათ უნდოდათ, რაღაც განსხვავებული შეეტანათ აბსოლუტურად ერთფეროვან მასაში. ამიტომაც დასდევდნენ და იჭერდნენ.

— როგორია თქვენი რეაქცია, როცა ქუჩაში ნახევრად გახდილ ქალს ხედავთ?

— ძალიან ეროტიკული. მიუხედავად იმისა, რომ ზოგს უხდება და ზოგს – არა.

— ხომ არსებობს მოსაზრება, თითქოს ყველა ქალი ლამაზია...

— არა, ზოგი, ქალის გარდა, ყველაფერია... იქნებ, ფარაჯა ყველაზე ეროტიკულია. ზოგი შეიძლება, სულ შიშველი იყოს, მაგრამ ნაკლებად ეროტიკული, ზოგი კი, ჩაფუთონილი დაინახო, მაგრამ გაინტერესებდეს, რა არის იმის მიღმა, რასაც ხედავ... მართლმაც პირველად რომ დაინახა კოხეტა („კანკიკხ-ულნი“ – ავტ.), კოჭი უჩანდა, მაგრამ ვიქტორ ჰიუგომ ამაზე მთელი გვერდი დაწერა... ყველა დროს თავისი სტილი და სექსუალობის საკუთარი გაგება აქვს, მაგრამ ალბათ ჯობია, მამაკაცს ცოტა რამ ფანტაზიისთვის დაუტოვო, რათა სურვილი ჰქონდეს, რომ ტანზე გაგხადოს...

— მეჩვენება, რომ თქვენთვის სახლი ის სამყაროა, სადაც ყველაზე უკეთ გრძნობთ თავს. მართალია?

— დიახ. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. უპირველესი ის გახლავთ, რომ წლების მანძილზე, ხშირად დავდიოდი გადაღებებზე. როგორც მეზღვაურს ენატრება შინ დაბრუნება, მეც ისევე მენატრებოდა. მეორე მიზეზი ის იყო, რომ ძალიან დიდხანს არ მქონდა ბინა. ამიტომ ჩემთვის ბინა ერთგვარი ფეტიში გახდა – ოლონდ, ბინა მქონოდა და სხვა არაფერი მინდოდა...

— შემდეგ ეს ბინა მიიღეთ...

— არა. ავაშენე (კინემატოგრაფისტთა კავშირის კოოპერატიული სახლი. – ავტ.). ბინას ვინ მოძიებდა? ასე რომ, არავითარი ვალი არა მაქვს სახელმწიფოსი – არც ბინა, არც ორდენი და არც მანქანა. დისიდენტი არ ვყოფილვარ, მაგრამ საზღვარგარეთ არ მიშვებდნენ. ჩემთვის წყნარად ვცხოვრობდი და უკრავდი „სკრიპაკაზე“... ერთ ანეკდოტს მოგიყვებით: ებრაელი კომპარტიამი უნდა მიეღოთ. გაეშხადა, წავიდა, მაგრამ შინ დაბრუნდა და თქვა: არ მიმიღესო. – რატომ? კარგად ხომ მოემზადეთ? – ჰკითხეს. – ყველაფერზე ვუპასუხე, მაგრამ ერთმა საზიზღარმა მკითხა: აბრაამოვიჩ, ბატკა მანოს ქორწილში შემთხვევით, შენ ხომ არ უკრავდი „სკრიპაკაზე“? ვუპასუხე – დიახ-მეთქი, – ამიტომაც არ მიმიღესო, – თქვა ებრაელმა. – ვეთქვა: არ ვყოფილვარო. – როგორ მეთქვა? – მთელი პრეზიდენტის იმ ქორწილში იყო, – უპასუხა ებრაელმა... მე „ამ პრეზიდენტში“ არასდროს ვმჯდარვარ – მიჩვენებია, „სკრიპაკაზე“ დავუკრა.

— ამ სახლში როდიდან ცხოვრობთ?

— 1976 წელს გადმოვედი. ცარიელი კედლები დავგვხედა. უნიტაზი ონკანის ქვეშ იდგა, ამიტომ სანტექნიკით დავიწყეთ... საერთოდ, როცა სასტუმროში შევედივარ, პირველ რიგში, სანტექნიკას ვნახულობ – თუ მომწონს, ვრჩები... როცა ქალაქში ცხოვრობ, როგორ შეიძლება არანორმალურ პირობებში იყო?! ჩემი და პროფესიით არქიტექტორია. ნიჭიერი ღიზანერის ხელი ამიტომაც ატყვია ბინას. თანაც, ერთმანეთს ვენდობით. ვიცი, რა გვინდა, როგორი გემოვნება გვაქვს და ყველაფერს შეთანხმებით ვაკეთებთ.

— ყოფაში რა არის თქვენთვის მთავარი?

— სიმყუდროვე. მიყვარს კითხვა, მარტო ყოფნა. სტუმრის მოსვლაც მიხარია. იყო დრო, როცა ჩემი სახლის კარი არ იკეტებოდა, „პრახანდნი დვორი“ იყო. არც ერთს – არც მე და არც ჩემს დას ახალ წელს სადმე წასვლის უფლება არ გვქონდა – ყველა ჩვენთან მოდიოდა. ერთხელ, კარიც კი ჩამოვივდი. ისე გაუკვირდათ, რომ დაკეტული დახვდათ... შემოვივდი ჩვენი მეგობრები, გამოაღებდნენ მაცივარს, დაწყურდ-

ბოდენი – ზოგჯერ არც ვაქცევდით ყურადღებას, მაგრამ ახლა, ეს ხალხი ამ ქვენიდან ნელ-ნელა მიდის, უმეტესობა ცოცხალი აღარ არის... ეს ძალიან მარწმუნებს.

— ამ სახლში თქვენი ყველაზე საყვარელი ადგილი რომელია?

— ლოგინი... სტუდენტობის დროს სულ ვამბობდი ხოლმე: ყველაფრის გამოძიონებელს ძველი დაუდგეს – ლოგინის გამოძიონებელს რატომ არ დაუდგეს-მეთქი?.. გვიან ვწვები და აღრე ავგომა არ მიყვარს. თუ საქმე არა მაქვს, ცხრამდე, ათის ნახევრამდე შემოდისა ვიწვევ.

— ბატონო ბაადურ, როცა გადადებ საზღვარგარეთ გაქვთ, იქიდან რა ჩამოგაქვთ, რას ყიდულობთ ხოლმე იმ ქვეყნის მოსაგონებლად, სადაც იყავით?

— უმეტესად, სუვენირები. უწინ, გადაღებებზე რომ დავდიოდი, სიას მატანდნენ – ამხანაგი, მეზობელი თუ ნათესავი, ყველა სიით მოდიოდა ხოლმე ჩემთან, ზოგი რას მბარებდა და ზოგი – რას. ტვინი მქონდა არეული. მაღაზიდან მაღაზიაში დავრბოდი. ჩემთვის წიგნებს ყვიღულობდი, „პასილკას“ ვაკეთებდი და საკუთარ თავს ვუგზავნიდი.

— ამ სახლში თქვენი შეძენილი საოჯახო ნივთები თუ არის?

— მხოლოდ სერვიზებია, რომელიც სხვადასხვა ფესტივალზე მაჩუქეს, დანარჩენი ნივთები ჩემი დის შეძენილია.

ტერასას ვტოვებთ და ბაადურ წულადის ბინის დათვალიერებას პირდაპირ სამზარეულოდან ვიწყებთ. დიდი ოთახიდან, სადაც სამზარეულო მოუწყვიათ, აივანზე გადის. ბევრმა თბილისელმა აივანი ოთახს მიამატა, ბატონი ბაადური კი ამის სასტიკი წინააღმდეგაა, რადგან ზაფხულის სიცხისგან გათანჯული, სწორედ აივანზე პოეზებს ხოლმე შეგას. თანაც, ის საშუალებას აძლევს, სამზარეულოში ისე იფუსფუსოს, რომ არც სივრილე და სუფთა ჰაერი მოაკლდეს და

ულამაზესი ხედისკენაც გააპაროს ხოლმე თვალი ხანდახან.

— სამზარეულოში ძირითადად, ჩემი და ტრიალებს. ყველაფერს ის აკეთებს, მაგრამ მჭადის გამოცხობა მეც ვიცი. თუ იმ დღეს ყველიც გვაქვს, ჩემთვის სავსებით საკმარისია. მეზერება ბევრი რამის გაკეთება, მაგრამ ამის საჭიროება არ დგას.

— ე.ი. „რუსთავი 2“-ის სამზარეულოში შემთხვევით არ აღმოჩნდით?

— არა, მაგრამ მათ ვუთხარი, მე არა ვარ პროფესიონალი კულინარი, მსახიობი ვარ და მსურს, კულინარია თქვენს ეკრანზე შოუდ გადავაქციო-მეთქი. მე თუ არ „ვივულავე“ როლში, ისე ვერ ვიმუშავე, რასაც ვაკეთებ, ის უნდა მომწონდეს.

— რატომ წამოხვედით იქიდან?

— მათ უნდოდათ, სულ პირდაპირ ეთერში მეტყუებოდა. ეს ნიშნავს, რომ უნდა მივატოვო ყველაფერი, პირველ რიგში – ჩემი პროფესია. სულ ახლახან, ორ ფესტივალზე ვიყავი წასული. ახლა იალტაში მივდივარ გადაღებებზე. ბაქოსთან მაქვს მოლაპარაკება და შეიძლება, იქაც წავიდე. საბუნდევროდ, ის მსახიობი ვარ, რომელსაც საქმე არ აკლია. „ბეზდენიკები“ თუ უნდათ, ასეთებზე მეტი რა არის?! ნორმალური ანაზღაურება მქონდა, მაგრამ ამისთვის ვერ მივატოვებ ჩემს პროფესიას, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მომწონდა, რასაც ვაკეთებდი. ტელევიზიას თავისი საიდუმლო აქვს. მე მას ჩავწვიდი, ჩემი სახეც მისაღები აღმოჩნდა მაყურებლისთვის, მაგრამ მიჩვენია, ნაკლები ანაზღაურება მქონდეს, ვიდრე ჩემს საქმეს მოვწვევ.

სამზარეულოში უამრავი საინტერესო ნივთია. დიდი კოვზები, ჩანგლები, დანები, მაგრამ რაც ყველაზე დამაინტრიგებელი აღმოჩნდა ჩვენთვის, ეს არის ნაზ დიასამიდის (აწ გარდაცვლილი თბილისის კოლორიტი) ბავშვობის ფოტო. მასპინძელს ჩვენი გაიცება არ გაჰკვირვებია და ავიხსენა: დედამისი – ნუკა წულაძე ჩვენი ნათე-

სავიაო. მაგიდის თავთან კი, ბატონი ბაადურის მამის ფოტო კილია.

სამზარეულოდან იმ ოთახში გავდივართ, რომელშიც უამრავი წიგნია. მცირე ბიბლიოთეკაა, რომელსაც საყრდენი კედლის ფუნქცია აქვს მინიჭებული – ის ერთმანეთისგან ყოფს საძინებელსა და მისაღებ ოთახს.

— ცხადია, ყველა წიგნი, რომელიც ჩემს ოთახშია, წაკითხული მაქვს. ჩემი „სირცხვილი“ – ე.ი. წიგნები, რომელიც ჯერ არ წამიკითხავს, – სხვა ოთახში, ერთ მცირე თაროზე დავაწყვე.

საძინებელი, კაბინეტის მოვალეობასაც ასრულებს. წიგნების გარდა, ერთადერთი, რაც ოთახს ამშვენებს, „სიფარულის ხე“. კედელზე კი, ჩარლი ჩაპლინის ფოტო და კინორეჟისორ თამაზ მელიაგას სურათი კილია. ოთახებში თვალში საცემია მერილინ მონროსა და ბრიეტ ბარდოს ფოტოსურათების სიმრავლე.

— თქვენი და როგორ ეგუება ბინაში ქალების ფოტოებს?

— სხვა ფოტოებიც მაქვს, მაგალითად – მამაჩემის, ბაბუაჩემის, ბებიჩემის, მამაჩემის ბიძის... ნახეთ, მამაჩემი როგორ ჰყავს ჰემინგუეის! ეს ფოტო კი, ნამდვილად ჰემინგუეისია. მამაჩემმა რომ ნახა, იკითხა: კი, მაგრამ როდის ან სად გადაიღეთი?..

ბიბლიოთეკას ულამაზესი ალბომები ამშვენებს. მათში სინდი კროუფორდი, ნაიმი კემბელი, კლაუდია შიფერი და სხვა მოდელები არიან გამოსახულები. ამ იშვიათი ალბომების აღწერას ალბათ მთელი სავაზეთო სტატია არ ეყოფოდა. ნახატებს შორის გამოირჩევა ტონინო გუერას ნამუშევარი და რეზო გაბრიადის ნახატები.

— ისეთი ნახატები მაქვს, რომელიც ძალიან მიყვარს, მომწონს და ჩემთვის მნიშვნელოვანია. ჩემი ბიძაშვილის შვილი, დელოენა (მისი ოჯახი საფრანგეთში ცხოვრობს), სულ პაწაწინა იყო, საფრანგეთიდან რომ ჩამოვიდა და დამხატა; უფრო სწორად – სპილო დახატა და დააწერა: „ბაადური“. მიყვარს ეს ფოტო, რომელიც „სვეტსკი“ ფოტოგრაფმა პლოტნიკოვმა გადაიღო...

— ბატონო ბაადურ, როგორ უნდა ყოფილიყო ის ქალი, რომელსაც ამ სამყაროში შემოიყვანდით?

— თავიდან არ მაინტერესებდა. არც მიძებნია. მერე ასაკი „გამეჭკა“, ახლა, ჩემი ხნის ქალი არ მინდა – არ მაინტერესებს, ლამაზი და ახალგაზრდა კი, სად უნდა ვეძებო?! – იტყვიან, მთლად გადარეულაო...

ბინის თვალიერებით გართულებმა, ვერც კი შევნიშნეთ, როგორ მივედით კარამდე, სადაც ბაადურ წულადის სამყარო მთავრდება და ის ქოსური ყოველდღიურობა იწყება, სადაც ძნელია, შეინარჩუნო ინდივიდუალობა ისე, როგორც ეს ჩემმა რესპონდენტმა მოახერხა...



ცხადია, ყველა წიგნი, რომელიც ჩემს ოთახშია, წაკითხული მაქვს. ჩემი „სირცხვილი“ – ე.ი. წიგნები, რომელიც ჯერ არ წამიკითხავს, – სხვა ოთახში, ერთ მცირე თაროზე დავაწყვე

როგორია ქალი უფროსი? როგორ გაველენას ახდენს ხელქვეით მამაკაცებზე? იქმნება თუ არა ინტიმური გარემო ხელმძღვანელ ქალსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ მამაკაცებს შორის? ამ კითხვებზე გვპასუხობენ ისინი, ვინც მსგავს სიტუაციებში აღმოჩნდნენ, ფსიქოლოგები და ცნობილი ადამიანები.



# როცა ბოსი ქალია და

# შიშის ზარს სცემს მამაკაცებს...

ლელა ჭანკოტაძე

**ბენო ლაცაზიძე**, იურისტი:

— ჩემი უფროსის შესახებ მინდა ვიამბოთ. ის საოცრად ლამაზი ქალი იყო, მაგრამ არ შემხვედრია მამაკაცი, რომელიც ამას აღიარებდა. უბრალოდ, მას ქალები ჰბაძავდნენ — მაგალითად, ისე იცვამდნენ, როგორც მას ეცვა. ჩემს თვალში მას არანაირი ღირსება არ გააჩნდა. ცხადია, მქონდა ამის მიზეზიც, რომ ასე მეფიქრა. ყოველთვის, როცა სამსახურში მიდიოდა, ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ უფროსი იყო. აუცილებლად მომცემდა შენიშვნას — თუნდაც, ამის მიზეზი არ ჰქონოდა. შეეძლო ეთქვა: რატომ არ გაანიავე ოთახი? ან — რამდენი მოგიწევია! არადა, მე ხომ მისი მსახური კი არა, პრესსამსახურის უფროსი ვიყავი.

— არ გიცდიათ შეკამათება?

— არა, ჩემს ადგილს ვუფროსიხლდებოდი: ვიცოდი — ერთ სიტყვასაც თუ ვეტყვოდი, უეჭველად დამითხოვდა. თუმცა ბოლოს, მაინც გამათავისუფლა. მიზეზი უმნიშვნელო იყო. ერთ დღეს მითხრა: სამუშაო დრო უნდა გაგიზარდო, ფულს იმაში კი არ გიხედი, შენი ცოლ-შვილი აქეთ-იქით რომ ასეირნო. ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. კარი გამოვიჯახუნე და თავს პირობა მივეცი, უკან არასდროს დავბრუნებულებოდა. ვგრძობდი, რომ ეს ქალი ენერგოკამპირივით იყო. ჩემში მამაკაცურ ღირსებებს კლავდა. მის ხელში სათამაშოს ვგავდი. ქალები მაღიზიანებდნენ და ხშირად, ცოლზე ვიყრიდი ჯავრს. სამიოთხი თვის მანძილზე, სულ დამაბული ვიყავი. ჩემმა გონებამ ალბათ ვერ დაიჯერა, რომ იმ ქალისგან გაეთავისუფლდი. სიგარეტს რომ ვეწეოდი, ზოგჯერ ხელი ამიკანკალდებოდა ხოლმე — უფროსი ხომ არ მითვალთვალავს-მეთქი?..

სტილისტი **ვაჟა**:

— მე ერთი შეხედვით ვარჩევ, რომელ ქალს უკავია მაღალი თანამდებობა. როცა ჩემს სალონში შემოდინ თანამდებობის პირი ქალები, საოცრად მკაცრები და თავდაჯერებულები არიან. მათ ვერასდროს შესთავაზებ სიახლეს, ვერ გაეზუმრები, ვერ ეტყვი: იცით, თმა დაშვარი გაქვთ, — და ა.შ. როცა სარკის წინ ასეთი ქალი მიხის, სალონში ყოველთვის საოცარი სიწყნარეა. თითქოს უსიტყვოდ განაწყობს იქ მყოფებს უარყოფითად. ყველა მას აკვირდება და დუმილს ამჯობინებს... ასეთი ქალები პრეტენზიულებიც არიან — შენიშვნებს მძღვევენ და ხშირად მეუბნებიან, რომ ნელა ვმუშაობ. ერთმა ასეთმა ქალბატონმა მითხვა, მასთან შინ მევლო. უარი არ მითქვამს, რადგან კარგად მიხედა. გაოგნებული დავრჩი მისი ოჯახის გაცნობით: იქაც უფროსი იყო, ოჯახში მბრძანებლობდა. მოსამსახურე თვალებში შეჭყურებდა, შვლები კი ცდილობდნენ, ისე ეთამაშათ, რომ არ ეხმაურათ... მაგრამ ვიცნობ ერთ ქალსაც, რომელიც წესით, შიმის ზარს უნდა სცემდეს ყველას, ის კი იღიბება, ხუმრობს და ცდილობს, ყველა კეთილად განაწყობს მის მიმართ. ამ ქალბატონის ვინაობა რომ გავამჟღავნო, ალბათ რეკლამა გამომივა, ამიტომ თავს შევიკავებ! მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი — ჩვენს სალონში ვინც კი მას შესხვედრია, ფიქრობს, რომ ის ყველაზე კარგი ადამიანია. ალბათ ასეთივე უფროსია.

**საინტერესოა, რას ფიქრობენ ფსიქოლოგები იმ ქალების შესახებ, რომლებსაც მაღალი თანამდებობა უკავიათ და უამრავ ხელქვეით მამაკაცს შიმის ზარს სცემენ. გვესაუბრება ფსიქოლოგი მამაბ ცხადაძე:**

— ჩემთან ფსიქორეაბილიტაციის კურსს გადიოდა ქალბატონი, რომელიც ოცდათხუთმის მანძილზე მუშაობდა ხელმძღვანელ

თანამდებობაზე. მისი კარიერა მაშინ დაიწყო, როცა ახალგაზრდა, ენერგიული და ნიჭიერი გოგონა ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში სკოლის დირექტორად დანიშნეს. ამის შემდეგ, ის არაერთ სკოლაში მუშაობდა დირექტორად. ხელმძღვანელობდა ასაკით მასზე უფროს ქალებსა და მამაკაცებს, მაგრამ ცხოვრება შეიცვალა, დრო გავიდა და ერთ მშვენიერ დღეს, დააქვეითეს — რიგითი მასწავლებლობა შესთავაზეს. ეს მისთვის ტრაგედიის ტოლფასი აღმოჩნდა. მისი ოჯახის ახლობელი ვარ და მაშინვე შევთავაზე დახმარება. უარი მითხრა, მაგრამ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. იმ სკოლაში, სადაც რვა წელი დირექტორად იყო, მუშაობა ვეღარ შეძლო. დადიოდა დერეფანში და ეგონა, რომ ყველა დასცილიდა, მასწავლებლებიც კი ახუნად ივლებდნენ, სამასწავლებლოში შესვლა არ შეეძლო... ასეთი განცდებით იარა სკოლაში ოთხი დღე, შემდეგ კი განცხადება დაწერა და საკუთარი ნებით წამოვიდა სკოლიდან. ძალაუფლების მოყვარე ქალისთვის რიგითი მასწავლებლად მუშაობა დამამცირებელი აღმოჩნდა. როცა დასახმარებლად მომმართა, სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი, ოთახიდან არ გამოდიოდა, არავის ეკონტაქტებოდა და უარს ამბობდა ყოველგვარ ამქვეყნიურ საიმპონებაზე. ბოლოს, საწოლიდანაც აღარ დგებოდა... ეს ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი არაჯანსაღი ფსიქიკა უყალიბდება ქალებს, რომლებიც თანამდებობის პირები არიან. ვიცნობ პროფესორ ქალს, რომელიც შიმის ზარს სცემს მთელ განყოფილებას. მისი კოლეგებისგან გამიფრთხილა, როცა ის ცუდ ხასიათზეა, საავადმყოფოს დერეფანში ბუზის გაფრენას გაიფრთხილო. საერთოდ, ასეთი ქალები ენერგოკამპირივით არიან. ისინი საოცარ გავლენას ახდენენ ქვეშევრდომებზე. მათი კოლეგები მთელი



დღის განმავლობაში ისეთ სასიათზე არიან, როგორც ბოსი. თანამშრომელთა გუნება-განწყობა მისი სასიათის შესაბამისად იცვლება. ერთ-ერთი ჟურნალისტი მიაბობდა, რომ რედაქციაში რედაქტორის სასიათს იმის მიხედვით ხვდებოდნენ, თუ როგორ აჩერებდა ავტომანქანას...

**— როგორ ზემოქმედებას ახდენს ქალი იმ მამაკაცებზე, რომლებსაც ხელმძღვანელობს?**

— რა თქმა უნდა, ასეთი მამაკაცები დათრგუნვნილები არიან და ამათ იმის მტკიცება, თითქოს მოსწონთ სუსტი სქესის მშვენიერი ხელმძღვანელი. პირიქით, მამაკაცები ვერ ეგუებიან საპირისპირო სქესის უპირატესობას და ქვეცნობიერად მათ მიმართ აგრესიასა და სიძულვილს გრძნობენ. უარყოფითი ემოცია, რომელსაც ხელმძღვანელი ქალისგან იღებენ, მთელ მათ ცხოვრებაზე აისახება. ამიტომაც აუცილებელია ყველა სამსახურს, ნებისმიერ დაწესებულებას ჰყავდეს ფსიქოლოგი. შედარებით მარტივია მდგომარეობა, როცა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მამაკაცი მუშაობს. ქალები ამ დროს ქვეცნობიერ ლტოლვას გრძნობენ მის მიმართ და გამუდმებით ამალბებულ გუნება-განწყობაზე არიან...

**— ალბათ ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფენ ფემინისტები?**

— ჭიდილი და წინააღმდეგობა ამ ორ სქესს შორის ყოველთვის არსებობდა. ეს გასაგებია, მაგრამ ხელმძღვანელი ქალების უმეტესობა რომ შინაბერაა, ამის მტკიცება ალბათ საჭირო არ არის. ასეთი ქალების მიმართ ინტერესს ძირითადად, ინფანტილური მამაკაცები და ე.წ. „დედიკოს ბიჭები“ იჩენენ. მამაკაცს არ უყვარს ძლიერი და ჭკვიანი ქალი. ქალს იმდენი ჭკუა უნდა ეყოს, რომ კაცს თავი ცოტა სულელად და უმწეოდ მოაჩვენოს — ამას ამტკიცებენ მთელი მსოფლიოს ფსიქოლოგები. თუმცა ბოლო დროს, ღირებულებების გადაფასება მოხდა და ქალის ახალი ტიპი დამკვიდრდა — ეს გახლავთ

საქმიანი ქალი, რომელიც ლამაზია, მოდურად აცვია, უცხოური ავტომანქანით დადის და თავს ფლირტის უფლებასაც აძლევს. ამ მხრივ, ძველი და ახალი თაობის საქმიანი ქალები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან.

**ლია ჭილაშვილი, ფსიქოლოგი:**

— ნებისმიერი თანამდებობის პირი უნდა იყოს ფსიქოლოგის კონტროლის ქვეშ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ქალია. ფროიდის მიხედვით, ქალს ყოველთვის თან სდევს არასრულფასოვნების კომპლექსი: ყოველი მეორე ქალი ქვეცნობიერად განიცდის, რომ არა აქვს ის ორგანო, რომლითაც მამაკაცები თავს იწონებენ. ხოლო ყოველი მესამე ქალი ინატრებდა, რომ მამაკაცად დაბადებულიყო.

**— როგორია ქალი უფროსი? ქალი ხელმძღვანელი?**

— ქალს მოსწონს თანამდებობა — ამის წყალობით მას აღარ უწევს იმის მტკიცება, რომ ძლიერია, მამაკაცებზე მეტი ძალაუფლება აქვს, მამაკაცებს ზემოდან უყურებს და ამბაციები ზომაზე მეტად აქვს წინ წამოწეული. ასეთი ქალებისთვის ოჯახი და ქმარ-შვილი მეორეხარისხოვანი, სამსახური კი, მთავარი ხდება. მე ვიცი ქალს, რომელიც მაღალი თანამდებობის პირია. ყოველთვის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია, რათა ყველაზე მაღალი იყოს. მისი მეგობრების წრეში არაფერია მასზე მაღალი. ის პირდაპირ ამბობს, რომ ცოლად გაჰყვება ისეთ კაცს, რომელიც მასზე დაბალი იქნება, რათა ქმარს ზემოდან უყუროს. ეს ძალიან ცუდია. ამ ქალს საკუთარ თავზე ცუდი შეხედულება აქვს. საკუთარ ღირსებებს ვერ აცნობიერებს. მამაკაცების მიმართ მტრული დამოკიდებულება აქვს. მამაკაცებს, როგორც სათამაშობს, ისე აღიქვამს...

**— რა მდგომარეობაში იმყოფებიან მამაკაცები, რომელთაც ქალის ხელმძღვანელობით უწევთ მუშაობა?**

— ძალაუფლების მოყვარული უფროსი მამაკაცებს თრგუნავს. ძალიან ძნელია ქალი-უფროსის ქალად აღქმა. თითქმის შეუძლებელია, ასეთი ქალის მიმართ ვნება და ლტოლვა გაუჩნდეს მამაკაცს.

თუმცა, იშვიათი გამოჩვეულებები მაინც არსებობს. ამაში თავადაც დარწმუნდებით, როცა კოკა თეზაძის შესახებ ვაძიებთ. მან ამბიციური, სიტყვათუხუნი და თავდაჯერებული მოსამართლე საირმემ გაიციანო. მათი პირველივე შეხვედრა კონფლიქტით დასრულდა. მაშინ ალბათ ვერც ერთი ვერ იფიქრებდა, თუ როგორი წრფელი სიყვარული ეწვეოდათ, რადგან მათ შორის მხოლოდ დაპირისპირება და მტრობა სუფევდა.

პ.ოპაბა თიანჯარაძე:

— ჩემს დასთან ერთად საირმეში

ვიყავი. მას ავადმყოფი ბავშვი ჰყავდა და ჩემი მხარში ამოღვომა სჭიდებოდა. რიგითი ადვოკატი გახლდით, არც ფული მქონდა და არც დიდი ამბიცია. ერთ დღეს, დავინახე, რომ სასტუმროში ვიღაც ამაყი, მკაცრი სახის მქონე ქალი თავაწეული მიაბიჯებდა. მისი მიხრა-მოხრიდან ჩანდა, რომ თანამდებობის პირი იყო და ამით ძალიან ამაყოფა. მის დანახვაზე ჩემს დას სახეზე უსიამოვნო გამოხატულება აღებუქვდა და წამწურწურულა: ეგ ლიანა მათურელია, მოსამართლეო. მეც მივაჩერდი ლიანას, რადგან მის შესახებ ბევრი ცუდი რამ მსმენოდა — ამბობდნენ, მკაცრი და შეუწყნარებელიაო. როგორ კი ჩემი დაუჩინებელი მზერა იგრძნო, აყვირა: უსაქმურობისგან აღარ იცი, რა ქნა, შენნაირ ბანდიტებს აქაც ვერ ავცდი, ეს რა ბედზე გაგწვდი?! არც მე დავუთმე და ერთმანეთი გავლანძღეთ. მთელი დღე დაბოლოებული ვიყავი. ვფიქრობდი: ნეტავ, მარტო დამტოვა მასთან, რომ ჭკუა ვასწავლო-მეთქი... მეორე დღეს დავინახე, ეზოში იჯდა. მივედი და ვკითხე: დამშვიდდით, ქალბატონო? მე ბანდიტი კი არა — ადვოკატი ვარ-მეთქი. ირონიულად გაიცინა, მერე არ გასწავლეს უფროსების პატივისცემას? — მკითხა და ისე შემომხედა, რომ მთელი სხეული მისი სიძულვილით ამევსო... კიდევ რამდენიმე დღე გავიდა და მოულოდნელად, ქალის კივილის ხმა მომესმა. ოთახიდან გამოვვარდი და დავინახე რომ კიბეზე ქალბატონი მოსამართლე ედო. გულში გავიხარე: ახია შენზე-მეთქი, მაგრამ მაინც მივეშველე. თურმე ფეხი გადაჰბრუნებოდა და დაცემულიყო. საკმაოდ ტანმაღალი გახლდათ, ამიტომ ხელში ვერ ავიყვანდი. ზურგზე მოვიკიდე და ასე შევათრე თავის ოთახში. მოულოდნელად ჩემ წინ უმწეო ქალი აღმოვაჩინე. ტკივილისგან ფერი დაჰკარგოდა და ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა... მერე თბილისში დავბრუნდი. ოთხი-ხუთი წელი გავიდა. ჩვენი გზები ისევ გადაიკვეთა.

**— ამ ხნის მანძილზე, მასთან ურთიერთობა არ გქონათ?**

— არა. მის შესახებ არაფერი გამიგია, მაგრამ როცა მითხრეს — ერთ-ერთ პროცესზე მოსამართლედ ლიანა მათურელიაო, — უსიამოვნო შეგრძნებისგან სახე დამეღრია. პროცესამდე სამი დღით ადრე შევხვდი. მის კაბინეტში შევედი და დავინახე თუ არა, ფეხები მომეკვითა. ქალმა, რომელსაც ყველა ლანძღავდა, ისე გამიღიმა, რომ ჩემში ყველა ნერვი აატოკა. დაბნეულობისგან ხმაც ვერ ამოვიღე. მან კი მითხრა: მინდოდა, თქვენთვის მაღლობა მეთქვა, მაგრამ შესაფერისი დრო ვერ შევარჩიეო. — რატომ-მეთქი? — შევაპარე კითხვა. — არ ვიცოდი, სად უნდა მომეტებნეთ, ასეთი იოლი ხომ არ არის, ამხელა ქალაქში ხელმოცარული ადვოკატის პოვნაო?!. ვიფიქრე. ვუთხარი, რომ მძულდა, ასეთი სასტიკი და ენამწარე ქალი



არასდროს შემხვედროდა და რომ მის დანახვაზე გულისრევა მეწყებოდა. ცხადია, გამომაგლო. მეგონა, ამ ინციდენტის შემდეგ, მის სახელს აღარც ვახსენებდი, მაგრამ წარმოუდგენელი რამ მოხდა: აღმოვაჩინე, რომ მიყვარდა. ყველგან მისი სახე მეღვა თვალწინ, სულ მასზე ვფიქრობდი და მის შესახებ ინფორმაციას ვაგროვებდი.

**ლიანა მათურაძე:**

— როცა მივხვდი, რომ კოკა გამიბოძდა, შემალეობოდა, ცდილობდა, იმ პროცესებზე არ გამოსულიყო, რომელიც მე მქონდა აღებული, გადავწყვიტე, მომეძებნა და ასხნა-განმარტება მომეთხოვა. ერთ დღეს, შინ დავურეკე. თვითონ არ იყო, დას ვესაუბრე. ვთხოვე: ჩემთან მოვიდეს-მეთქი. არ მოვიდა. ისევ დავურეკე. ისევ გამიცრუვდა იმედი. რომ მივხვდი, არ მოვიდოდა, გავუგზავნე ჩემი მძლოლი. არ გამოჰყვა. შემომითვალა: თქვენთან არაფერი მაკავშირებს, ვალდებული არა ვარ, თქვენი კაპრიზები შევასრულო. ისე გავცეცხლდი, რომ წონასწორობა დაკარგე და გადავწყვიტე, მისთვის ცხოვრება ვოჯოხეთად მექცია. ჩემს მეგობარს გამოვუტყდი: მანამდე არ მოვისვენებ, სანამ სამსახურს არ დავაკარგვინებ-მეთქი. მერე, მოულოდნელად შეიცვალა ყველაფერი. მე და კოკა ერთმანეთს შემთხვევით საერთო ნაცნობის სახლში შევხვდით. დავიმარტოხვლე და ვკითხე: რატომ შემალები-მეთქი? შემომხელა და პასუხი არ გამცა. სტუმრები რომ შეზარხოშდნენ, კიდევ ვცადე კოკასთან გასაუბრება. ის აივანზე იდგა და სივარულს ეწყო. გვერდით ამოვუღე. არც შემოუხვდავს. მზად ვიყავი, აივნიდან გადავმეგლო. გამწარებულს მხოლოდ მისი მოკვლა მინდოდა. ალბათ იგრძნო, როგორ გამაშმაგა, მობრუნდა და საოცრად ვნებიანი თვალბრტით მომაჩერდა. დავიბნე. ასეთი რამ

ჩემთვის მანამდე, არც ერთ კაცს არ გაუბედავს. ხელი მაჯაში ჩამავლო და მკითხა: რატომ ვერ ხვდები, რის გამო გემალეობი?! ხმა ვეღარ ამოვიღე, მან კი დაამატა: მიყვარხარ, სულელი... შინ გაოგნებული მივედი. ეს ჩემს ცხოვრებაში პირველი ინტიმური წუთი იყო. მთელი ღამე ვერ დავიძინე. არ ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი — კოკას სიყვარული მიმეღო, თუ თავი შეურაცხყოფილად ჩამეთვალა იმის გამო, რომ მან გარემოება გამოიხელა.

**კოკა:**

— არც ჩემთვის ყოფილა იოლი იმის აღიარება, რომ ლიანა მიყვარდა. მეგობარმა ეს რომ გაიგო, მითხრა: გაგიჟებულხარ, ძმაო, ვე ვინულის ქალი რამ შეგაყვარა?! თანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ლიანა ჩემს გრძობებს უპასუხოდ დატოვებდა, არ იკადრებდა თანამდებობრივად მასზე დაბალ საფეხურზე მდგარი მამაკაცისთვის გული გადაეშალა. ეს მის პატივმოყვარეობას შეურაცხყოფდა. მთხოვა კიდევ: იქნებ, მოახერხო და პროკურორი მაინც გახდეთ... მე კი უპასუხე: იქამდე მიმიყვან, რომ ყველაფერს მივატოვებ, მოკვლავ და ციხეში ჩავვადებ-მეთქი.

**ლიანა:**

— ერთ დღეს, კაბინეტში რომ შევედი, მოულოდნელობისგან პირი დავავლე. კედლებზე ფურცლები იყო გაკრული, ზედ კი ეწერა: „არ გინდა მოგვეფრო?“ მაშინვე დავითხოვე სამსახურიდან ასისტენტიც და მდივანიც. ოთახიდან ჩემი ყვირილის ხმა მთელ სასამართლოში ისმოდა.

**კოკა:**

— მისმა ასისტენტმა დამირეკა: შენ გამო სამსახური დავკარგე, გააფთრებულა, ანგრევს ყველაფერსო. მაშინვე წავედი და ლიანას კაბინეტში შლეგივით შევევარი. კედლებიდან ქაღალდებს ხევედა. კარი ჩავრახე და გასაღები ჯიბეში ჩავიდე. დაფრთხა. საკუთარი პერანგის საყელოს ხელები ჩაავლო და იყვირა: არ მომეკარო, თორემ ფანჯრიდან გადავხტებო! იფიქრა: ნამდვილად გამოუპატიურებსო. ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია — უბრალოდ, მასთან პირისპირ საუბარი მინდოდა. რომ შევხვდე, როგორ ცახცახებდა, როგორი უმწეო და დაუცველი იყო, გული მომიკვდა, როცა წარმოვიდგინე — ის, ვინც მტრად მიმაჩნდა, ჩემს მკლავებში როგორ გაინახებოდა და მომენდობოდა... იმწუთას ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ არასდროს ვიფიქრებდი სხვა ქალზე. ამ პირობას უკვე თვრამეტი წელია, ვასრულებ...

რას ფიქრობენ, ქალები? როგორია მათი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით? ფიქრობენ თუ არა, რომ ქალი-უფროსი ეს არის მკაცრი, ამბიციური, ძალაუფლების მოყვარული ქალი?

**ზვიად კვირიკაშვილი,** პროფესორი:

— სუთი წლის მანძილზე შპს BMC-ის (საკონცერტო კომპანია) გენერალური დირექტორი ვიყავი. მართალია, ერთი მოადგილე, ერთი ბუღალტერი და მძლოლი მეყავდა, მაგრამ სამაგიეროდ, ჩემთან ურთიერთობა ჰქონდა უამრავ მშობელს, რომლის შვილსაც საზღვარგარეთ სხვადასხვა კონკურსზე ვავზავნიდი ხოლმე. ასე რომ, გამოცდილება მაქვს. როგორც კი ადამიანები ივებენ, რომ უფროსი ხარ, მაშინვე იცვლება შენდამი მათი დამოკიდებულება. გეუბნებიან: შენი ჭკობი, შენ ხარ ყოვლისშემძლე, ყველაზე უკეთესი. ისეთი შემთხვევაც მქონია, როცა პატივისცემის გამოხატვის სურვილით შეპყრობილი მშობელი შინ მომდგომდა. კიბეზე იმდენი ვეღრო იდგა, ვიფიქრე — შემოდგომის ნობათი სულ მე მომიტანა-მეთქი...

**— თქვენში რა შეცვალა თანამდებობამ? მკაცრი ხომ არ გახდით?**

— სიმკაცრე თანამდებობის პირისთვის აუცილებელი არ არის. აუცილებელია წესრიგის დამყარების უნარი. ვერავის ვაპატიებდი დაგვიანებას. ვიტყვი — II სთ-ზე უნდა მოხვიდეთ-მეთქი, — და II საათი შესრულდებოდა თუ არა, კარს ვკეტავდი. თუ ვინმე დაგვიანებდა, შემოსვლას ვეღარ შეძლებდა, ამიტომ ყველა ადრე მოდიოდა. არა მგონია, რომ ეს სიმკაცრე იყო. უბრალოდ, დისციპლინა მიყვარს.

**პიტირ კაპაშვილი,** მოძღვრალი:

— უამრავი ასეთი ქალი შემხვედრია. ისინი ძალიან ენერგიულები და შრომისმოყვარეები არიან. მივესალმები ქალს თანამდებობაზე!

**— თქვენს მეგობრებში თუ არა ისეთი ქალები, რომლებსაც საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავიათ?**

— მეგობრებში არა, მაგრამ ნაცნობებში ბევრია ასეთი ქალი. მათ ვაჟკაცური, მამაკაცური თვისებები აქვთ. სხვა ქალებისგან, მომთხონი ბუნებითა და მიზანსწრაფული ხასიათით გამოირჩევიან. შეუძლიათ, უპრობლემოდ მოახდინონ გავლენა უამრავ ადამიანზე.

**— მამაკაცებს მოსწონთ ასეთი ქალები?**

— ძალიან. მგონია, რომ საქმიანი და ძალაუფლების მქონე ქალები მამაკაცებს იზიდავენ, თუმცა, მათთან „მსუბუქი“ ურთიერთობები არ გამოსდით. ალბათ ძალიან საინტერესოა ქალი, რომელიც იღებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. რისკიანია, შეუპოვარი და უკან არასდროს იხევს.

**— არ გქონიათ სურვილი, თანამდებობის პირი გამხდარიყავით და ადამიანებისთვის გენელმძღვანელოთ?**

— ასეთი სურვილი არასდროს გამქენია, თუმცა, თქვენთან საუბრის შემდეგ, კაბინეტური ცხოვრება მომიხდა და შეიძლება განვხიროცილო კიდევ.





# პირველი ძარბოველი გოგონა დასარტყამ ინსტრუმენტებთან

**თითქმის 30 წლის წინ, საოცრად „მზაურადად“ გაგვაცნო თავი გოგონათა ანსამბლ „მზიურის“ ერთ-ერთმა წევრმა — ლია ხორბალაძემ: ლია პირველი ქართველი გოგონა გახლავთ, რომელიც რვა წლის ასაკში მიუჯდა დასარტყამ ინსტრუმენტებს... დღეს ლია ხორბალაძე ბავშვთა სტუდია „ბომბორას“ ხელმძღვანელობს და მეც სწორედ იქ ვესტუმრე.**

## მაია კახიძე

— ლია, მოდი, თქვენი უღრუბლო ბავშვობის შესახებ გვიამბეთ. როგორ მოხვდით „მზიურში“?

— მართლა უღრუბლო ბავშვობა მქონდა. ადრე ვფიქრობდი, ჩემს შვილებს ალბათ ჩემზე უკეთესი ბავშვობა ექნებათ-მეთქი. ახლა მხოლოდ იმედის და უკეთესი მომავლის რწმენით ვცოცხლობ... „მზიურში“ კი, აი, როგორ მოხვდი. პიონერთა სასახლეში ქართული ცეკვის ანსამბლში ვცეკვავდი. სასახლეს ღუმეთში ბანაკი ჰქონდა და იქ ვისვენებდი, მაგრამ დასვენებაც სხვანაირი იყო მაშინ: ბანაკში მხატვრული კითხვისა და ვოკალურ წრეშიც ვმეცადინებდი, ოპერეტაშიც მივიღე მონაწილეობა... ერთ-ერთ საღამოს შეკრებაზე ფელეტონი წამაკითხეს — „ზარმაცი მოსწავლე“. ბავშვები იმ ოთახში მოგვთავსეს, სადაც თითოეული ჩვენგანისთვის „ვადოსნური“ ინსტრუმენტები ეწყო. ჩვენს ბავშვებს დღეს არაფერი უკვირთ, პრესით და ტელევიზიით ბევრ საინტერესოს იგებენ, მაგრამ იმ დროს, ვინ რა ვიცოდით?! „მზიურის“ პირველმა ხელმძღვანელმა რაფაელ კაზარიანმა მკითხა — რომელ ინსტრუმენტზე გინდა დაკვრაო? მუსიკალურ სკოლაშიც ვსწავლობდი, მაგრამ დასარტყამ ინსტრუმენტებს რომ შევხედე, ისე მომხბლა, რომ მაშინვე ვუთხარი — აი, ამაზე-მეთქი. დღესაც არ ვიცი, რატომ მივიღე რვა წლის ბავშვმა ასეთი

გადაწყვეტილება. ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ ინსტრუმენტებთან მყავდა ნანახი, ბუბა კიკაბიძე იყო. რაფაელ არკადივიჩის (ასე ვეძახდი ჩვენს ხელმძღვანელს) გაცინა: გოგონები მაგ ინსტრუმენტზე არ უკრავენ, ნახე, რა ლამაზი გიტარაა, ეს არ გირჩევნიაო?.. იცით, ხათუნა ღონღუას რომ ჰკითხეს — რატომ აირჩიე გიტარაო? — უპასუხა: ისე ლაპლაპებდა, ერთი სული მქონდა, ხელში როდის ავიღებდი და დაკვრავდი... მე კი — „რკინებმა“ და „ბარანებმა“ მომწუსხა. მერე მითხრა არკ-

ადივიჩმა — მოდი, მიუჯექით. „მაჩვენა“ რალაც რიტმი და მეც ზუსტად გავიმეორე. ვერ აღწერ, ეს რა ბედნიერი წუთები იყო ჩემთვის. ჯობებს რომ შევხედე, ყველაფერი დამაფიქვდა. არადა, ცეკვისთვის ვცოცხლობდი, დღესაც ვერ ვუყურებ ცეკვას გულგრილად, დოლის ხმაზე ისე მაჟრიალებს (იცინის)...

— „მზიური“ ვინ დაარქვა ანსამბლს?

— ზუსტად არ ვიცი. იმ წელს, შემოდგომაზე, პიონერთა სასახლის 30 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ზეიმი უნდა გამართულიყო და გოგონათა ანსამბლიც უნდა გაეყვანათ სცენაზე. ამდენად, ძალიან სწრაფად მოხდა ყველაფერი. ბანაკს „მზიანეთი“ ერქვა და აქედან გამოძინარე, „მზიური“ უფრო მოეწონათ უფროსებს. თუმცა, ბანაკიდან ჩამოსვლის შემდეგ, სექტემბერში „მზიურის“ რეპეტიციაზე არ დავდიოდი. ცეკვაზე ჩვეულებრივად გავაგრძელე მეცადინეობა. მამაჩემმა რომ გაიგო — რალაც ანსამბლი ყალიბდება და ჩემმა შვილმა „დოლებზე“ უნდა დაუკრასო, — სასტიკი უარი განმიცხადა. არადა, თავადაც კარგად უკრავს დოლს ტრისტან ხორბალაძე. სხვათა შორის, დედაჩემს იზოლდა ჰქვია (იცინის)... ჩვენ ტრადიციული ოჯახი გვაქვს და მამის სიტყვა კანონი იყო. მერე, რაფაელ არკადივიჩმა დედაჩემი ინახულა, უთხრა — ატარეთ ბავშვი, კარგი მონაცემები აქვს და ჯერ-ჯერობით, სხვაც ვერ ვნახეთ დასარტყამი ინსტრუმენტებისთვისო. უნდა ვაღიარო, რომ მამაჩემი მოვატყუეთ და დედა „მზიურის“ რეპეტიციაზე კარგა ხანს, მალულად მა-



ლია ხორბალაძე „ბომბორას“ ერთ-ერთ წევრთან ერთად

ტარებდა. 1971 წლის 18 ნოემბერს, რუსთაველის თეატრში გამართულ პიონერთა სასახლის იუბილეზე მამიკოც მოვიდა, მაგრამ მას ეგონა, რომ უნდა მეცეკვა. ვიცეკვე კიდეც, ოღონდ, შემდეგ გამოაცხადეს – ახლა, მსოფლიოში პირველი გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი წარდგება თქვენ წინაშეო. აი, მოვკალათდი კიდეც „ბარაბანთან“ და მამჩემი მაშინ მიხვდა ყველაფერს. საღამოს ვასილ მუჟანაძეც (მაშინდელი ცეკას I მდივანი) ესწრებოდა; ამოვიდა სცენაზე და ხელში ამიყვანა. ჰოდა, ცეკას მდივანი რომ შენს შვილს ხელში ამიყვანდა, რაღას იტყოდი (აცინის)?!. გაოცებული მიყურებდა მამა, სამაგიეროდ, მერე ძალიან ამაყობდა ჩემთ... იცით, ერთხელ, ერთ-ერთ სუფრასთან უთქვამთ – ფილმში ცერებზე რომ აცეკვებენ „მზიურელ“ გოგოს, სხვისი ცერებიაო. მამას კი უპასუხია, რომ მისი შვილი ვიყავი და ცერებზეც თავად ვცეკვავდი... ახლაც, მრავალი წლის შემდეგ, მშვენიერად ვახერხებ ცერებზე დგომას. ქართული ცეკვა განუმეორებელია და ბედნიერი ვარ, მის სიბლეს რომ ვეზიარე.

— ცეკვავდით, დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავდით, მუსიკალურ სკოლაში სწავლობდით, მღეროდით კიდეც--

— ვფიქრობ, რომ რაფაელ კახარიანმა სახასიათო ჟანრის შემსრულებლად ამიყვანა ანსამბლში, თორემ, ჩემი აზრით, ბავშვს მომდერალი დარტყვა, უხერხულია... დეკემბერში სახალწლო Голубой огонё K-ზე (საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტელევიზიის გადაცემა. — ავტ.) მიგვიწვიეს მოსკოვში. ამას წინათ იხსენებდა ჩვენი ხელმძღვანელი, ბატონი გურამ ჯაიანი: რომ ჩავედით, სერიოზულად არც კი შემოგვხედეს — ამ ბავშვებმა რა უნდა გააკეთონ?! ასე უთქვამთ, ცივად შეგვხვდა მოსკოვი, მაგრამ რადგან ჩავედით, მაინც მოგვისმინეს. პირველი სიმღერის შემდეგ, მეორე, მესამე სიმღერის შესრულება ვეთხოვეს და ჩვენდამი მათი დამოკიდებულება



სამი შვილი მყავს — ქეთევანი და გყუპი ბიჭი — ალექო და ილიკო

რადიკალურად შეიცვალა. ჩვენ ისედაც რადაცნაირ განწყობაზე ვიყავით, რადგან თვითმფრინავით პირველად ვიმგზავრეთ და ცოტა გვეშინოდა. ამას დაერთო მოსკოველი მასპინძლების ცივი დახვედრა, მაგრამ გვითხრეს თუ არა — დაუკარით, იმღერეთო, — წაშში „გარდავიქმენით“ და მათ უკვე ვეღარ შეძლეს აღფრთოვანების დაფარვა... ცენტრალური ტელევიზიით ჩვენმა გამოჩენამ, ბევრი რამ შეცვალა. ისე, ვერც ვაცნობიერებდით, თუ რა იყო პოპულარობა. ჩემთვის, მაგალითად, სამარცხვინოც კია, საზოგადოება იმას, რომ ცოცხლად, ფონოგრამის გარეშე გმღეროდით და ვუკრავდით. აბა, როგორი შესრულება უნდა არსებობდეს?! ტელევიზიისა და რადიოსთვის აუცილებელია ჩანაწერი, მაგრამ სცენაზე, რა თქმა უნდა, ცოცხლად უნდა შეასრულო სიმღერა, თუქცადა, დღეს, ფაქტობრივად, ასე არ ხდება.

— პოპულარობას ვერ ვაცნობიერებდით, — აღნიშნეთ, მაგრამ ყურადღებას ხომ ყველასგან გრძნობდით?

— რა თქმა უნდა. „მზიურელები“ არც სასკოლო და საქალაქო ღონისძიებებს ვაკლდებოდით, ჩვენი სკოლების ღირსებას ვიცავდით მუდამ. მე, მაგალითად, ცნობილ კობახიძის სკოლაში ვსწავლობდი. იცით, ღირექტორი ხშირად მეფერებოდა, მაგრამ

ცდილობდა, რომ ეს სხვა ბავშვებს არ დაენახათ და არ გაღიზიანებულყვენენ. გაკვეთილების გაცდენაც ხომ მიწევდა და მასწავლებლები მაძინებდნენ: ყოჩალი გოგო ხარ, ყველაფერს დაძლევეო... „მზიურმა“ ლამის ნახევარი მსოფლიო და მთელი საბჭოთა კავშირი მოიარა კონცერტებით. დაუვიწყარი წლები იყო, დაუვიწყარი... „მზიურმა“ სწორედ თავისი შრომით მოიპოვა წარმატება და, რასაკვირველია, ბატონი რაფაელისა და გურამ ჯაიანის თავდაუზოგავი ხელმძღვანელობის წყალობით. ჩვენ ერთი ოჯახი ვიყავით, გოგონები უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით. დღეში 2-3 კონცერტი ჩავვიტარებია, მთელი ღამე ჩაწერაზე ყოფილვართ, გადაღებებც გვექონია, რეპეტიციებიც და ასე მუდრებოდა მრავალი წლის განმავლობაში. შესანიშნავი, ულამაზესი წლები გავატარეთ ერთად, „მზიურის“ გოგონებმა.

— ლია, „მზიურზე“ გადაღებულ ფილმი ასეთი ფრაზით მთავრდება: „ჩვენეთ ეს გოგონები მსოფლიოს და ომი აღარ იქნება“. ვისი სიტყვებია?

— იცით, თავდაპირველად ვიცოდით, რომ ეს ვიღაც უცხოელმა თქვა ჩვენზე, მერე ამბობდნენ, — ლეონიდ ბრეჟნევმა თქვაო. ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ რამდენიმე ვერსია ნამდვილად არსებობს.

— დასარტყამ ინსტრუმენტებზე ხანდახან მაინც თუ უკრავთ ხოლმე? — რასაკვირველია. „მზიურის“ დასარტყამი ინსტრუმენტები შინ მაქვს. ძალიან მუამაყება, სასახლემ ეს ინსტრუმენტები რომ მაჩუქა. გერმანული „ტროვას“ ფირმისაა, ლურჯიდან ცისფერსა და თეთრში გადადის... 80-იან წლებში ჩამოვყავლიბე ბავშვთა ანსამბლი „ბომბორა“. ისინიც ცოცხლად უკრავდნენ და მღეროდნენ. აი, მათთან ერთად მეც ვუკრავდი. აქ, კლუბში სხვა დასარტყამი ინსტრუმენტებიც მაქვს

**ნაშალი „მთანმინდა“**

- თმის დაავადებები, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუღობრივი ცვენა (ამოდის თმა);
- ტილები, წილები, ისპობა 1 საათში;
- კანის და ფრჩხილის სოკო, ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი, ნაოჭების გასწორება, მცენარეული საპნები.

**მკურნალობა გარანტიით**

მის: ჭავჭავაძის გზაზე, 2/2, ჩიის სასტან, სოფიანოლოზიკა პოლიკლინიკაში, პილიაა ყოველღე 11-18 სთ-ვღე, პეპლიკა, პეპაპილი

☎ 30-94-73; 34-35-16 (საღამოს)



მკურნალობამდე და შემდეგ

და ხშირად მიუჯვადები ხოლმე... საოცრად გამიჭირდა, „მზიურის“ წლები რომ დასრულდა. და არა მარტო მე – დანარჩენი გოგონებიც ასეთივე განცდებში იმყოფებოდნენ. „მზიურიდან“ წამოსვლამ ყველა დაგვასევდიანა; სკოლის დამთავრებასთან ერთად, „მზიურის“ ეპოქაც დამთავრდა ჩემი თაობისთვის. ორი წლის განმავლობაში, რუსთაველის ძეგლიდან ლენინის მოედნამდე (ამჟამად თავისუფლების) ფეხით არ გამივილია – არ შემეძლო, პიონერთა სასახლისთვის გარედან შეხედვა, ძალზე მძიმე იყო ჩემთვის, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტობაც არაჩვეულებრივი მქონდა.

— სად განაგრძეთ სწავლა?

— უნივერსიტეტში, ფილოლოგიურზე; აგრეთვე, კინომცოდნეობის ფაკულტეტიც დავამთავრე. ჩემი სტუდიის გარდა, ვმუშაობ უნივერსიტეტში ახალი ქართული ლიტერატურის კათედრაზე.

— როდის გათხოვდით?

— წელან ვითხარით – მამაჩემის სიტყვა ჩემთვის კანონი იყო-მეთქი; ჰოდა, მან მითხრა, რომ მხოლოდ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დამრთავდა გათხოვების ნებას... ასეც მოხდა. ჩემი მეუღლე, ნუკრი ჭკუასელი იმერეთში, თერჯოლაში გავიცანი ერთ-ერთ სასწავლო ბანაკში. ბანაკს „საბოვნელა“ ერქვა და ვიპოვეთ კიდევ ერთმანეთი. ნუკრი დირექტორი იყო, მე – მისი მოადგილე, ესთეტიკური აღზრდის დარგში.

— თქვენი შვილები თუ მღერიან?

— სამი შვილი მყავს – ქეთევანი და ტყუპი ბიჭი – ალექო და ილიკო. ისინი მე-10 კლასში სწავლობენ და ხუთი წლიდან, კარატეს უუფლებიან. ქეთი №1 სამუსიკო გიმნაზიაში სწავლობს და კონსერვატორ-

იაში აპირებს ჩაბარებას. სამივე კარგად მღერის, შესანიშნავი სმენა აქვთ, ხმებში მღერიან და ძალიან მიხარია, მაგრამ პროფესიონალური სცენა არც ერთს არ ხიბლავს. თანაც, დღევანდელ შოუბიზნესში ჩაბმა ცოტა რთულია ჩემი ოჯახისთვის – ამდენი საშუალება ნამდვილად არა გვაქვს...

— ტყუპის გაზრდა არ გაგიჭირდათ?

— არა, მეუღლე მეხმარებოდა. სხვათა შორის, ჩემი ბიჭები არ ჰგვანან ერთმანეთს და მათი გარჩევა არასოდეს გამჭირვებია. ჩემი მეუღლის ბაბუა ყოფილა ტყუპისცალი და ალბათ მესამე თაობაში იჩინა თავი ამ ფენომენმა. ნუკრი სამთო მექანიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელია, მაგრამ კლუბი „ბომბორა“ რომ გვაქვს, მისი დიდი დამსახურებაა.

— ლია, „მზიურის“ შემადგენლობას, სამწუხაროდ, ორი მშვენიერი გოგონა გამოაკლდა...

— დიას – ხათუნა საბაშვილი და ხათუნა ღონღუა. ეს ისეთი დიდი ტკივილია... ერთმანეთს რომ ვხვდებით გოგოები, არასოდეს ვშორდებით ისე, ორივე ხათუნა რომ არ გავიხსენოთ. რა ცუდად იყო ხათუნა საბაშვილი და აქეთ გვაძინებდა ყველას... ხათუნა ღონღუა ხომ ყოველთვის, დღესასწაულების მოწყობის ნიჭით გახლდათ დაჯილდოებული, მუდამ ახლობლების გახარებას ცდილობდა, სიცოცხლეს აფრქვევდა. ძალზე სამწუხაროა, რომ ისინი დღეს ჩვენ გვერდით აღარ არიან... იცით, ხათუნა ღონღუა რომ გარდაიცვალა, ვიგრძენი: სოფელში ვიყავი წასული ზაფხულში, შვილებთან ერთად. ერთ დღეს ამეკვიატა მისი სახე... შაბათ დილას ჩემი ძმა ჩამოვიდა, შეეხედე და ვუთხარი: ვიცი, ხათუნა რომ აღარ არის და ახლავე წამიყვანე თბილისში-მეთქი.

— ხომ არ გაგჩენიათ იდეა „მზიურელებს“, რომ იმ პროგრამით გამოსულიყავით, რომელიც დღემდე ახსოვს მსმენელს?

— როცა ერთმანეთს ვხვდებით, ამ საკითხზეც ვსაუბრობთ ხოლმე. საიუბილეო საღამოს გამართვა, რა თქმა უნდა, გვინდა. გაისად, 35 წელი შეგვისრულდება, მაგრამ ასეთი საღამოს მოწყობას პირველ რიგში, ფინანსები სჭირდება. რამდენიმე გოგონა სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობს, მაგრამ დიდი სიამოვნებით ჩამოვლენ ამ დღისთვის. ფინანსებისა კი, რა მოგახსენოთ – ჩვენ ამის საშუალება არ გავაჩნია, კეთილი მეცენატი კი, ჯერჯერობით არ ჩანს...



ჩემი სტუდიის გარდა, ვმუშაობ უნივერსიტეტში ახალი ქართული ლიტერატურის კათედრაზე

# ერთგული პკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტექსტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

**1. ცნობილმა კინომსახიობმა კპილი ამოილო; რამდენიმე დღეში, მას ემიმამა კონვერტით გაუზზავნა თანხა, რომელიც, მისი აზრით, მსახიობს გაყიდული კპილის საფასურიდან ირგებოდა; ვინ იყო ეს მსახიობი?**




- ა) სოფი ლორენი;
- ბ) ჩარლი ჩაპლინი;
- გ) ჟან გაბენი.

**2. გონისის, მავრიტანიისა და კიდევე ერთი ძვეყნის ჰიმნები უტამსტოა; რომელია ეს, მისაგამ ძვეყანა?**



- ა) ინდოეთი;
- ბ) იაპონია;
- გ) ესპანეთი.

**3. ჩამოთვლილთაგან, რომელია ავთომობილელ მისხაელ შუახსხერის მატსახელი?**



- ა) წითელი ბარონი;
- ბ) მისტერ სისწრაფე;
- გ) რაკეტა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ნათელშიღველი ნატაშა სპორტს-  
ოღოშა კიდეც ერთი გამოცდის წინაშე  
დადგა, როცა „მის საქართველო-2003“-  
ის, ირინა ონაშვილის ფოტოსურათი  
დაფუდე სამუშაო მაგიდაზე. ირინა დე-  
კემბერში, „მის მსოფლიოს“ კონკურსზე  
მიემგზავრება. საინტერესოა, სწორ პროგ-  
ნოზს გააკეთებს თუ არა ნატაშა სკოროხ-  
ოდოვა?... აქვე იმის შესახებაც გვეტყვის,  
თუ რა ელის უახლოეს მომავალში:  
მალხაზ ქვრივიშვილს, „უცნობს“ —  
გია განჩილაძეს და ვერიკო ტურაშ-  
ვილს. „გზის“ მომდევნო ნომერში კი,  
ეს რუბრიკა მთლიანად პოლიტიკოსებს  
დაეთმობა. მაშ ასე, დაელოდეთ ნათელშ-  
იღველის პოლიტიკურ პროგნოზებს.

ლევა ჭანკოტაძე



„ბევრი აღამიანი აღიარებს, რომ  
ჯილდო ნამდვილად ეკუთვნოდა...“

„ირინა ონაშვილი  
„მის მსოფლიო“  
ვერ გახდება“



— რას გეუბნე-  
ბათ ირინა ონაშვი-  
ლის თვალები?

— ძალიან თბილი გოგ-  
ონაა, კარგი მანერები აქვს,  
მოსიყვარულეა, ერთგული.  
ერთი შეხედვით, მორჩილი  
ადამიანის თვალები აქვს,  
მაგრამ ბუნებით სრული-  
ად განსხვავებულია. სხ-  
ვათა შორის, მიზანდასახ-  
ულიც არის და საკუთარი  
მიზნისთვის ბრძოლისას  
შეიძლება არც კი გაითვა-  
ლისწინოს, ვინმეს გული ხომ არ ატკინა.  
ამავე დროს, იმდენად კარგია ურთიერ-  
ობისას, რომ მას შეცდომებს იოლად  
აპატიებ. სიყვარულისგან განებვირებულია.  
ყველას უყვარს, ვინც მის გარშემო ტრი-  
ალებს.

— როგორია მისი მომავა-  
ლი?

— ირინა სამოდელო ბიზნესიდან კი-  
ნოში გადაინაცვლებს და სერიალების  
უცვლელი გმირი გახდება. „საპნის ოპ-  
ერების“ ვარსკვლავობაში ვერაფერს შეეცი-  
ლება. მას პოპულარობა, სიმდიდრე და  
ფუფუნება ელის.

— სამოდელო ბიზნესს სულ  
მიატოვებს?

— დიახ. როგორც კი შვილს გააჩენს,

მაშინვე შინ ჩაიკეტ-  
ება და როგორი მოუ-  
ლოდნელიც არ უნდა  
იყოს, პოდიუმს საკუ-  
თარი სურვილით ჩამო-  
სცილდება.

— „მის მსო-  
ფლიოს“ კონკუ-  
რსზე წარმატებას  
თუ მიაღწევს?

— ის მოუთმენლად  
ელოდება ამ კონკურსს.  
ცხოვრებაში პირველად,  
ძალზე დაბნეული და  
შეშინებულია. მერწმუ-  
ნეთ, მისი თვალები  
მუუბნება, რომ წარმატე-  
ბასთან ძალიან ახლოს

იქნება. ყველას მოეწონება, ბევრს აღტაცე-  
ბაში მოიყვანს, მაგრამ გამარჯვებას მაინც  
ვერ მიაღწევს. ძალიან გულ-  
დაწყვეტილი დარჩება. გან-  
საკუთრებით მაშინ, როცა ბეე-  
რი ადამიანი აღიარებს, რომ  
ჯილდო ნამდვილად ეკუთვნ-  
ოდა...

— როგორია მისი  
ინტიმური სამყარო?

— შეყვარებულია. სხვა რა  
შემიძლია ვითხრათ?

— ოჯახი?

— ის არაჩვეულებრივი  
მეუღლე და კარგი დედა იქნე-  
ბა — ასეთად ვხედავ მომავალ-  
ში.

„არაჩვეულებრივი  
მეგობარი და პარტნიორია  
ნებისმიერი ქალისთვის“

— რას გეუბნებათ მალხაზ  
ქვრივიშვილის თვალები?

— იმას, რომ ბოლოქარი მამაკაცების  
კატეგორიას ეკუთვნის... მალხაზი ხშირად  
ლლის ხოლმე საკუთარ თავს ზედმეტი  
პრობლემებით — ის თვითონ იქმნის პრობ-  
ლემებს. მიუხედავად იმისა, რომ სუფთა  
გულის კაცია, უსიამოვნებებს მაინც აწყ-  
დება ხოლმე, განსაკუთრებით — ქალებთ-  
ან ურთიერთობისას. ქალებს მაგნიტივით  
იზიდავს. საერთოდ, მექალთანეა. არაჩვეუ-  
ლებრივი მეგობარი და პარტნიორია ნებ-  
ისმიერი ქალისთვის, რისთვისაც ქალები  
სიყვარულით პასუხობენ.

— მის სხვა თვისებებზე რას  
გვეტყვი?

— იმპულსურია,  
ფეთქებადი ხასიათი  
აქვს, ემოციურია და  
ზოგჯერ, ძალიან  
მკაცრიც. მაგრამ გა-  
ნზრახ, ცუდს არასდ-  
როს არავის გაუკე-  
თებს.

— როგორ  
ვითარდება მი-  
სი სამსახიობო  
კარიერა?

— ის ბოლომდე  
მსახიობად დარჩება,  
უამრავ სერიალში



მიიღებს მონაწილეობას. ქართული ტელესერიალების ვარსკვლავი იქნება.

**— პირად ცხოვრებას როგორ მოიწყობს?**

— სამი ცოლი და ორი შვილი — აი, რას შეიძენს ის თავისი ცხოვრების გრძელ გზაზე.

**— რაიმე ხიფათი ხომ არ ელოდება?**

— ბევრი ხიფათი შეხვდება. სიბერემდე, ბევრი თავმოსაწონი ამბავი ექნება გასასხენებელი. ისეთი არაფერი შეემთხვევა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს. ხალასი ბუნების მამაკაცია. მის თვალბეჭდებში ბევრ დადებით თვისებას ვხედავ. ტიპური ქართველი, ნამდვილი ქართული ბუნების მამაკაცია.

**— რას მალავს მალხაზ ქვრივიშვილი?**

— თვალბეჭდებში ეტყობა, რომ ბილწსიტყვაობა უყვარს. ცხადია, ამის აფიშირებას სახალხოდ არ ახდენს.

**„როცა შეცდომებს მისი უახლოესი მეგობრები უშვებენ...“**

**— როგორი თვალბეჭდები აქვს „უცნობს“?**

— სუფთა; მათში მისხალი ბოროტებაც არ იკითხება. თამამად შემოდისა გითხრათ, რომ ის არანაირ სიგლაზე არაა გარეული, არ არის „გასვრილი“. არაფრის ეშინია. სინდისიც სუფთა აქვს, გულიც და ხელებიც.

**— ე.ი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ დადებით პიროვნებაზე ვსაუბრობთ.**

— უდავოდ. მისი მეგობრები, ნაცნობები ამას დაგვიდასტურებენ. ის ყველას უყვარს, რადგან ხალასი გულის ადამიანია. ალბათ არ გავიკვირდებით, თუ გეტყვით, რომ „უცნობი“ მეც ძალიან მიყვარს. ამიტომ ჩემთვის ორმაგად სასიამოვნოა, მის თვალბეჭდებში ამდენ კარგ თვისებას რომ ვხედავ.

**— მაგრამ ალბათ ნაკლიც ჩანს, არა?**

— რა თქმა უნდა. თავს იმის თქმის უფლებას მივცემ, რომ ის ძალზე მელანქოლიური ადამიანია, შეიძლება ითქვას — დეპრესიულიც კი.

**— დამისახველეთ თვისება, რომელიც განსაკუთრებით მოგწონთ მასში.**

— სამართლიანობის გრძნობა: ყოვე-



ლთვის გრძნობს, სად არის სიმართლე და თვითონაც სწორ არჩევანს აკეთებს ხოლმე. შეუპოვარია, მისი შეშინება იოლი არ არის. უკან დახევვა მისთვის წარმოდგენილია და დასახული მიზნისთვის მთელი ძალით იბრძვის.

**— როგორი მეუღლე, როგორი მამაა?**

— არაჩვეულებრივი. იშვიათად მინახავს მამაკაცი, რომელსაც ისე ჰყავდეს ცოლ-შვილი „ზურგზე მოკიდებული“, როგორც ლოკოკინას ნიჟარა, რათა ყოველთვის თან ჰყავდეს... ცხადია, ეს დიდი, განსაკუთრებული სიყვარულის შედეგია... მის გოგონას წარმატებული ცხოვრება ელის. ძალიან ბედნიერი იქნება. ის მშობლებს არც ერთ სერიოზულ პრობლემას არ შეუქმნის.

**— მექალთანე თუა?**

— მის თვალბეჭდებში მსგავსი არაფერი ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მასზე უამრავი ქალია შეყვარებული. ის პოპულარულია და ქალებისგან ყურადღებას არ აკლია.

**— რა წარმატებები ელოდება, როგორც მომღერალს?**

— მის გარშემო ბევრ ადამიანს ვხედავ. ისინი მისი მეგობრები და თაყვანისმცემლები არიან, რომლებიც ყოველთვის მხარში უდგანან. „უცნობი“ ადამიანებისთვის მღერის და მომავალშიც ბევრჯერ გაახარებს მათ. ქართულ ესტრადაზე ნამდვილად ყველაზე გამორჩეული სახეა.

**— რა სტვენს გულს?**

— როცა შეცდომებს მისი უახლოესი მეგობრები და ის ადამიანები უშვებენ, რომლებიც მას უყვარს...

**— რა ელის მომავალში?**

— სტაბილური ცხოვრება. მყუდრო ოჯახი და ერთი მშვენიერი თავგადასავალიც...

**„შინაგანი სიძლიერის წყალობით აღწევს გამარჯვებებს“**

**— როგორი თვალბეჭდები აქვს ვერიკო ტურაშვილს?**

— ძალიან შეუპოვარი ადამიანის. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მშვიდ ცხოვრებას ამჯობინებს, მთელი სულითა და გულით მებობხეა. უყვარს ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება. მგრძობიარე, იმპულსური და ემოციურიცაა. ახლა ის გადაღლილია. თვალბეჭდებში ამის გამო

სევდაც შეინიშნება. შემოდის თამამად გითხრათ, რომ ცოტა იმედგაცრუებულიც არის, თუმცა, არ დაგაკონკრეტებ, რის გამო.

**— მისი სასიათის უარყოფითი თვისებები შეგიძლიათ დაასახელოთ?**

— ძალიან მიმნდობია და ყოველთვის გაურბის სათქმელის პირდაპირ თქმას. გარეგნულად თითქოს პირიქითაა, რადგან მეგობრებთან გულახდილი და გახსნილია, მაგრამ ბოლომდე — არასდროს. ზოგჯერ, ძნელიც კია მისი გაგება.

**— დამისახველეთ ვერიკოს სასიათის თვისებურება, რომელიც სიმპათიით განაწყობს ადამიანებს მის მიმართ.**

— ბრძოლისუნარიანია. თუკი რაიმე აიჩემა, ვერაფრით გადათქმევინებ. საკუთარ აზრს იოლად არ იცვლის; იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხვდება, რომ შეცდომა დაუშვა, ამას არ აღიარებს. ცხოვრებას რქებით აწვება. მას აქვს საოცარი უნარი, თავი უმწეო არსებად მოგაჩვენოთ. სინამდვილეში კი, ძალიან ძლიერია. სწორედ შინაგანი სიძლიერის წყალობით აღწევს გამარჯვებებს.

**— რა ელოდება?**

— მხოლოდ წარმატება. თუმცა, ვერ გეტყვით — შოუბიზნის ვარსკვლავი გახდება-მეთქი, — მაგრამ საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწევს, როგორც კლიპ-მეიკერი: კარგი გემოვნება აქვს და ბევრი დაფარული თვისება, რომელიც მას მიზნის მიღწევაში ეხმარება. შრომისმოყვარე და სამართლიანია.

**— როგორია მისი ინტიმური სამყარო?**

— ვნებიანი და მოსიყვარულე ადამიანია. მომავალში, კიდევ ერთი ბავშვი შეეძინება... კარგი დედა. საერთოდ, დადებითი ადამიანია.



ინფორმაციულ-მედიის სექტორი

ეორი დღის უბის წიგნაკრები:

- 1. კატას ფინურად „კისა“ ჰქვია.
- 2. გეპარდს ერთი გრამი ქონი არა აქვს.
- 3. „ჯიპადი“ ქართულად მონღოლებს ნიშნავს.

4. სიღრმეზე ყვინთვის რეკორდი 194 მეტრია.

5. ფრენსის ბეკონი ეპიგრაფს ნაწარმოების კარიბჭეს ეძახდა.

6. ყველა ტაილანდელი, კენტი რაოდენობის ავგაროზს ატარებს.

7. ირლანდიური ლუდი „გინესი“ 149 ქვეყანაში იგზავნება.

8. ოფელია და ჯულიეტა პლანეტა ურანოსის თანამგზავრები არიან.

9. გერმანიის მიერ დანიის ოკუპაცია 1940 წლის 9 აპრილს მოხდა.

10. მეფის დაცვის უფროსს ფეოდალურ საქართველოში ჩუხჩარხი ერქვა.

11. მიშელ ნოსტრადამუსი მონათლული ებრაელის ოჯახში იყო დაბადებული.

12. საასპარეზო მოედნის განწმენდას სუმიონტები მარილითა და ანკარა წყლით ახდენენ.

13. რუსეთში მსუბუქი მანქანებიდან მეოცე საუკუნის მანქანად „ვაზ-2101“-ა აღიარებული.

14. „ცისტერნა“ ლათინურად, წვიმის წყლის რეზერვუარს, მიწაში მოწყობილ წყალსატევს ნიშნავს.

15. მოხეტიალე მუსიკოსებს ძველ საბერძნეთში რაფსოდებს ეძახდნენ, რომში – გისტრიონებს, გერმანიაში – შპილმანებს, შუა აზიაში – ჟირმებს, უკრაინაში – კობზარებს.

16. 1912 წელს ერთმა რუსმა კონდიტერმა სამამულო ომის 100 წლისთავთან დაკავშირებით გამოუშვა ახალი ნამცხვარი სახელწოდებით „ნაპოლეონი“. ნამცხვარს, როგორც ნაპოლეონის ქუდს, სამკუთხედის ფორმა ჰქონდა.

17. „ადამიანის ცხოვრება ასანთის კოლოფს ჰგავს. მასთან სერიოზული მოპყრობა სასაცილოა, არასერიოზული კი – სახიფათო“, – ამბობდა იაპონელი მწერალი აკუტაგავა რიუნოსკე.

18. ტიბეტელ შიკრიკებს, იმისათვის, რომ მტრისთვის გზა-კვალი აებნათ, ერთდროულად ორი შეტყობინება მიჰქონდათ: წერილობითი და ზეპირი; წერილობითი ყალბი იყო, ზეპირი – ნამდვილი.

19. 1909 წელს პეტერბურგის უნივერ-



„რას უფრო მის ჯალს დავახვევთ თავს, მის სიამოვნებას ვიღებ...“

საკმაოდ იშვიათი და უცნაური პროფესიის რესპონდენტს გაგაცნობთ. „კაცი გამოძახებით“ — სწორედ ასე უწოდებდა საკუთარ თავს ოთომ, როდესაც პირველად „დამიმესიჯა“: „მქვია ოთო. უკვე დიდი ხანია, ვმუშაობ, როგორც „კაცი გამოძახებით“. ვეძებ ერთ ჩემს კლიენტს, რომელიც მხოლოდ ერთხელ ვნახე. მას მერე, ვეღარ ვუკავშირდები. მას ჰქვია ანა, არის 24 წლის, მალალი და ქერა გოგო. თუ კითხულობს „გზას“ და ჩემი ნომერი აღარ ახსოვს, ვთხოვ, თქვენი საშუალებით დამიკავშირდეს...“ ბუნებრივია, დავინტერესდი. ინტერვიუზე კი, მას შემდეგ დამთანხმდა, რაც ინკოგნიტოდ დარჩენის გარანტია მივეცი...

მარი ჯაშარიძე

– ეს საქმიანობა მოსკოვში დაიწყო ორი წლის წინ. 8 თვეა, რაც საქართველოში დაბრუნდი და აქაც იგივე განაგრძე...

— როგორ მოძებნეთ თქვენი პირველი კლიენტი?

– ერთმა თბილისელმა ქალმა თვითონ შემოთავაზა, გარკვეული თანხის საფასურად, მისთვის მომსახურება გამეწია. დავთანხმდი. შემდეგ, რამდენიმე კლიენტი თვითონ მომიყვანა. მათ კი ჩემი ტელეფონის ნომერი თავის საახლობლოში გაავრცელეს...

— სად ხდებით ხოლმე კლიენტებს?

– ეგ ჩემი პრობლემა არ არის, თვითონ აგვარებენ. მე, სადაც წამიყვანენ, იქ მოვემსახურები...

— რა ღირს თქვენი მომსახურება?

– 50 ლარი.

— ამ თანხას საათობრივად გიხდინან?

– არა, ერთი გამოძახება 50 ლარი ღირს. ეს შესაძლოა, 3 საათი გაგრძელდეს, შესაძლოა – 7. ისეც მომხდარა, რომ ქალს დაურეკავს და უთხოვია – უბრალოდ ვისაუბროთ, ყოველგვარი სექსის გარეშე. მეც ვუსრულებ ხოლმე სურვილს. ხანდახან საჭიროა, ვინმეს გული გადაუშალო, შენი პრობლემების შესახებ უამბო და შევბა იგრძნო. თუ ადამიანს ამით სიამოვნებას მივანიჭებ, რატომ არ უნდა დავეხმარო?! ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ფულს არ ვიღებ...

— დღეში საშუალოდ, რამდენ კლიენტს ემსახურებით?

– საშუალოდ, ორ ქალს, თუმცა, შესაძლოა, მთელი დღე უქმად ვიყო და არავინ დამირეკოს...

— თქვენს საქმიანობას, როგორც სამსახურს, ისე ეკიდებით თუ თქვენც სიამოვნებას განიცხებთ ამდენ ქალთან ურთიერთობა?

– ქალებთან ურთიერთობა არ მღლის. ყოველთვის სიამოვნებით მივდივარ პაემანზე...

— მაგრამ თუ იქ შეუხედავი ქალი



დაგხვდათ?

– ყველა ქალი ლამაზია – უბრალოდ, უნდა იცოდეს, როგორი თვალთ შეხედო მას... საერთოდ, რაც უფრო მეტ ქალს დავახვევთ თავბრუს, მეტ სიამოვნებას ვიღებ და უფრო კმაყოფილი ვრჩები...

— გინდათ თქვით, რომ ასეთ საქმიანობას უნდა აკრძალონ კმაყოფილების მისაღებად ეწვიონ?

– არა, მთლად ასეც არაა საქმე... დებრესიაში მაგდებს მხოლოდ ორი რამ: ზამთრის სიცხე და უფულობა. მიუხედავად იმისა, რომ მე სხვა, ოფიციალური სამსახურიც მაქვს, ანაზღაურება არ მყოფნის. ამ გზით კი, მატერიალურ მდგომარეობასაც ვიუმჯობესებ და ფიზიკურ სიამოვნებასაც განვიციდი. ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენ ქალს გაუვლია ჩემს ხელში? მაგრამ თუ სადმე მაგარი გოგო „გაჩივება“, იქით ვაბამ, რომ ლოგინში „შევითრიო“. შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ ასეა...

— უმეტესად, როგორი ასაკის ქალბატონები სარგებლობენ თქვენი მომსახურებით?

– ოცდაათიდან ორმოცდაათამდე წლამ-



დე მანდილოსნები. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც 17-18 წლის გოგონებიც მირეკვენ და მდიდარი მამიკოების „ფულებს“ მიხდიან... აი, ახლაც, ხომ გეხსენებ, ჩემს მობილურზე ხარი რომ შემოდის და ითიშება: ერთი ჩერჩეტი, 18 წლის გოგონა რეკავს, მაგრამ მე მასთან არ წავალ...

რატომ?

— ქალთან ურთიერთობისას, მასთან ნებისმიერ თემაზე უნდა შეგეძლოს საუბარი; ამ გოგონასთან ეს შეუძლებელია. ხომ გახსოვთ, რომ „დავიმესიჯეთ“ — ანის ვეებ-მეთქი? მისმა ბუნებამ მოიხიბლა და არა მისმა სექსუალობამ: სულიერად მდიდარი, თბილი, რომანტიკული ქალია...

იქნებ, გაიხსენოთ ყველაზე უცნაური სურვილი, რომლითაც თქვენთვის კლიენტს მოუმართავს?

— უამრავი გათხოვილი ქალი მირეკავს. ისინი ჩემთან ისრულებენ იმ ფანტაზიებს, რომელსაც ქმრებთან ვერ იკმაყოფილებენ. ორალური სექსი — ეს ჩვეულებრივ, ყველაზე ხშირი მოთხოვნაა... ზოგიერთი მთხოვს აქტის დროს მცემო... არასოდეს დავარტყამ ქალს, ამიტომ ასეთ კლიენტს ვეუბნები — ავადმყოფი ხარ, მკურნალობა გჭირდება-მეთქი, — და სასწრაფოდ გავცელები ხოლმე...

კურობოც სწორად გადაგხდებოდათ თავს...

— კი, გაეხსენებ რამდენიმე საინტერესო ამბავს. ერთმა ქალმა შინ მიმიყვანა. შევუღეეხით „საქმეს“ და მოულოდნელად, ქმარი დაბრუნდა შინ. იმ ქალმა საწოლის ქვეშ დაამალა. მთელი ღამე იქ გაატარე. ქმარმა ჩემი დაწყებული საქმე გააგრძელა... ვერც დავიძინე — აბა, როგორ ვინდა, დაიძინო, როდესაც იატაკზე წვეხარ, შენს თავს ზემოთ კი ასეთი ამბავი ხდება?!. მეორედ, ასეთ სიტუაციაში მოვხვდი: ერთმა მეგობარმა ჩემი საქმიანობის შესახებ იცის; ის საკმაოდ ცნობილი ადამიანის პირად დაცვაში მუშაობს, მისი თანამშრომლის ცოლი კი, ჩემი კლიენტი იყო... ამ ქალს შინ ვესტუმრე. მოულოდნელად, ქმარი დაბრუნდა შინ. ამჯერად აივანზე დავიმალე... ქმარი ზის ტელევიზორის წინ, ჩაის სვამს, მე კი აივანიდან ჩემს ძმაკაცს „ვუმესიჯებ“ — მიშველე, ეს შენი თანამშრომელი მომამორე თავიდან, თორემ, ჩავარდები-მეთქი. პირველად მომწერა: ღირსი ხარ, რომ მთელი ღამე მანდ გაგატარებინო, — მაგრამ მერე, დაურეკა და როგორღაც შინიდან გაიყვანა...

ეი. თქვენი საქმიანობა გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული, არა?

— კი, ასეა. სწორედ ამიტომ, იარაღით დავდივარ... რა იცი, რა ხდება...

ამდენ ქალთან ურთიერთობამ მათი შებმის რაიმე განსაკუთრებული ხერხი ხომ არ გასწავლათ?

— საკმაოდ „მოქნილი“ ენა მაქვს. მომეცით ერთი ბოთლი შამპანური, ორი კოლოფი სიგარეტი და რამდენიმე საათში, მონაზონსაც

საკუთარი ხელით გავასდევინებ ტანზე...

ნელან თქვით, რომ პირველი „პრაქტიკა“ მოსკოვში გაიარეთ. რა განსხვავებაა რუს და ქართველ კლიენტებს შორის?

— მიუხედავად იმისა, რომ ისინი 100-100 დოლარს მიხდიდნენ, მაინც ვერაფრით მივლენ ქართველ ქალებთან: ჩვენებური ქალბატონები ყველაზე სექსუალურები არიან...

საინტერესოა, მატერიალურად უზრუნველყოფილი რომ იყოთ, მაინც იმუშავებდით „გამომსახებით“?

— არავითარ შემთხვევაში.

ცოლი გყავთ?

— არა. არც სურვილი მაქვს, რომ დავოვასხდე. რამდენიმე ხნის მანძილზე, მეგობარი გოგონა ცხოვრობდა ჩემთან. კინაღამ ჭკუიდან გადამიყვანა — სულ ეჭვიანობდა. არადა, მაშინ, მართლა არ გავკარებოვარ სხვა ქალს... ახლაც მყავს მეგობარი გოგონა, მაგრამ ჩემი საქმიანობის შესახებ არაფერი იცის...

ხომ არ ამონებთ ხოლმე იმ ქალის ვინაობას, ვინც პირველად გირეკავთ?

— საერთოდ, ვცდილობ, უცხოის არ დავეკონტაქტო. იძენი მუდმივი კლიენტი მყავს, რომ მათაც ვერ აუციდვარ... ყოველ შემთხვევაში, ვინმეს ნაცნობი მაინც უნდა იყოს, რომ მოვემსახურო. ერთხელ, ქალმა დამირეკა და ნაცნობის სახელი მიხსენა. შეგხვდი. მიმიყვანა ერთ სახლში, სადაც... ორი მამაკაცი დამხვდა, თვითონ ეს ქალი კი სადღაც გაქრა. გეები ყოფილან. ძლივს დავარწმუნე, რომ მამაკაცთან ურთიერთობა არ შემიძლია. რა თანხაც არ უნდა გადამიხადონ, მამაკაცს არ მოვემსახურებ...

„ქველმოქმედებას“ თუ ეწვეით ხოლმე? უფასოდ თუ მომსახურებისათვის კლიენტს?

— არა, მე ისეთი კატეგორიის ხალხი არ მირეკავს, ვისაც ფული არა აქვს და „პოსლუზე“ ან ფასდაკლებით უნდა მოვემსახურო...

ცნობილი ადამიანებიდან თუ დაგკონტაქტებიათ ვინმე?

— რამდენიც ვინდათ... აღვნიშნავ, რომ არც ერთი მათგანი შოუბიზნესის წარმომადგენელი არ არის — უფრო, სხვა სფეროებიდან, საკმაოდ ცნობილი მანდილოსნები შედიან ჩემი მუდმივი კლიენტების სიაში...

როგორც ჩანს, თქვენგან საიდუმლოს შენახვის გარანტიასაც ითხოვენ ხოლმე?

— მაგის თხოვნა არ მჭირდება — პირველ რიგში, საკუთარ უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე მე თვითონ ვზრუნავ...

საინტერესოა, ყველა კლიენტი კმაყოფილია თქვენით?

— ქალს მანამდე არ მოვეშვები, სანამ მთელი გულით არ გადამიხდის მადლობას... ისიც კმაყოფილი რჩება და მეც...

ინფორმაციულ-შეხვედებითი კოლაჟი

ეორი დეალიზ უბის წიგნაკედან:



სიტუტის ბულალტერიაში მმარცველები შეცვივდნენ. მათ დარაჯისთვის გასაღების წართმევა ჰქონდათ განზრახული, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს, რადგან დარაჯი სეიფში შეიკეტა.

20. ჰერმესის შვილი ავტოლიკე დახელოვნებული ქერდი იყო. მას შეეძლო, მოპარული საქონლისთვის ფერიც კი შეეცვალა. ქერდისგან დასაცავად, სიზიფემ საკუთარ საქონელს ჩლიქებზე გაუკეთა წარწერა: „მოპარულია ავტოლიკეს მიერ“.

21. საბერძნეთში — აბღერა, სპარსეთში — ისპაჰანი, ინგლისში — ნორფოლკი, ბელორუსიაში — ახვიარის დაბა, ბულგარეთში — გაბროვო, რუსეთში — პომეხონი, უკრაინაში — ჟმერინკა, მირგოროდი და ოდესა — ეს იმ ქალაქთა ჩამონათვალია, რომლებშიც ყველაზე სასაცილო და უცნაური ხალხი ცხოვრობს და ვისზედაც გამუდმებით ჭკებიან ანეკდოტებს.

22. 1871 წელს, ჩარლზ დარვინის ნამუშევრების გამოქვეყნების შემდეგ, ვორჩესტერის ეპისკოპოსმა განაცხადა: „იმედი ვიქონიოთ, რომ ყოველივე ეს მართალი არ არის, მაგრამ თუ მართალია, მაშინ უნდა ვილოცოთ, რათა ეს ყველაფერი ფართო მასშტაბის უცნობი დარჩეს“.

23. 1925 წელს ლენინგრადში მხოლოდ ორი სახლი იყო კერძო საკუთრებაში: ერთი შალიაპინის ეკუთვნოდა, ხოლო მეორე — აკადემიკოს ბენტერევეს. ყველა დანარჩენი სახლი სახელმწიფოს საკუთრებაში იყო.

24. 1683 წელს თურქეთის არმიამ მარცხი განიცადა ვენის მისადგომებთან. სხვა ნაალაფართან ერთად ავსტრიელებმა ყავის მარცვლით სავსე ასეულობით ტომარაც იღვეს ხელთ. გამარჯვებულებმა ეს მარცვლები აქლემების საჭმელად მიიჩნიეს. ერთ-ერთმა მოქალაქემ, ფრანკ კოლმიცკიმ ითხოვა, ეს ნადავლი მისთვის ეჩუქებინათ. მოგვიანებით ამ ტომრებმა მას სახელი და სიმდიდრე მოუტანა: კოლმიცკიმ ევროპაში ერთ-ერთი პირველი ყავახანა გახსნა.

25. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918–1921) ჩვენს ქვეყანას ვიზიტით ეწვია ფრანგი დიპლომატი გვარად კუე. ამასთან დაკავშირებით თბილისში ასეთი ხუმრობა გაჩნდა: „ფორდანიას კაბინეტში უმჯობესად შევა კუე“.



ნათია ჯაფარიძე

— ნათია, მანქანის მართვა ვინ გასწავლა?

— ბავშვობაში, ხან ვის ვეხვეწებოდი — მასწავლე-მეთქი, — და ხან ვის. რალაც-რალაცები ვისწავლე კიდევ, მაგრამ თანდათან გადამავიწყდა. მერე კი, მეგობრები თავიანთი მანქანების საჭესთან მსვამდნენ ხოლმე და მართვას მასწავლიდნენ. ჩემი შვილი, ლადო რომ წამოიზარდა, ზოგჯერ მე და აჩიკო დედაჩემთან ვტოვებდით ხოლმე, მაგრამ ისე გვენატრებოდა, რომ გვიან ღამით, ისევ მის სანახავად მივდიოდით. მაშინ რამდენჯერმე დამსვა საჭესთან აჩიკომ. ერთხელაც, გავრისკე და მარტო მივუჯექი საჭეს. ჩემი დედამთილი კეკელიძეზე ცხოვრობს, ჩვენთან ახლოს; თვითონ ძალიან კარგი მძღოლია. აჩიკოს მანქანა სჭირდებოდა და დაგვირეკა — აქამდე ჩამოიყვანეთო. დედამისს არ ეცალა და გადავწყვიტეთ, მე წამეყვანა. მანქანას დაქოქავ, ხელის მუხრუჭის „რუჩკას“ ჩაწევ და რამდენიმე მეტრში მანქანას როგორ ვერ ჩააგორებო?! — მითხრა დედამთილმა. შიშისგან ვკანკალებდი და თან მიხაროდა — მგონი, ექსცესების გარეშე მივაღწიე სახლამდე-მეთქი, — რომ უცებ საბურავი გასკდა. ჩემს კორპუსთან ახლოს ნავის ბუნკერი ღვას, იქ თურმე შუშის ბოთლი



მომე მანქანაა და მღლის, მურგი მტკივა ხოლმე

„არავის ვურჩევ, ასეთი სიტყვები მომაცხოს, თორემ, მანქანას დაჰაჯახებ!“

სააგენტო „ნატალის“ მოდელს — ნათია მამაცარიძესა და მის მეუღლეს ახალი ნაყიდი აქვთ ავტომანქანა „ნივა“. ნათია ახალბედა მძღოლი ყოფილა. — ის სულ რალაც ნ თევა, რაც მანქანას მართავს და ამიტომ ჯერჯერობით, ნაცნობები არ ენდობიან და მანქანაში არ უსხდებიან...

ველო, მე, რა თქმა უნდა, ვერ შევაძრნიე და პირდაპირ ბოთლზე „შეგზტი“. არადა, მანამდე, ვიღაც კაცი მანქანიდან გამწარებული მიქნევდა ხელებს, მაგრამ ვერ მიეზვდი, რა უნდოდა, ვიფიქრე — ალბათ მეპრანჭება-მეთქი; თურმე, მანიშნებდა, ბოთლს არ გადაუაროო...

— მერე, აჩიკო არ გეჩხუბათ ამ მარცხის გამო?


— ეზოში რომ შევაგორეთ მანქანა, სახე აელეწა და დამპირდა — საჭესთან აღარ დაგვამო, — მაგრამ ეს დანაპირები მალე დაავიწყდა. საბურავი თვითონ გამოუცვალა, ხელები სულ გაშავებული ჰქონდა... მოკლედ, ასე დამთავრდა ქალაქში ჩემი პირველი დამოუკიდებელი გასვლა. მეორე ცდა კი, უფრო წარმატებული იყო. მეგობრებმა დამირეკეს — ჭავჭავაძეზე, ერთ-ერთ კაფეში ვიკრიბებით და მოდიო. ვიფიქრე — მოდი, ახლა „გავიმარიაფებ“ და მანქანით წავალ-მეთქი. საერთოდ, ცუდი ორიენტაცია მაქვს — ათჯერაც რომ ვიყო

ქურდბაცაცები არ მახარებენ და როგორც კი ახალ მაგნიტოფონს დავაყენებ, მაშინვე მაცლიან

ნამყოფი ერთსა და იმავე ადგილას, შეიძლება, ვერ დავიმასხოვრო, საიდან მივედი... მოკლედ, ბარნოვიდან უნდა ჩავსულიყავი ჭავჭავაძეზე. არ ვიცოდი, იქ გზა ცალმხრივი თუ იყო. მოკლედ, ძლივს მივაღწიე კაფემდე. აჩიკოს მეგობრებს დაუწინაზვარ და მისთვის უთქვამთ — ნათია დავინახეთ, შუა გზაში იყო „გაკვეხებული“ და ვეღარც წინ მიდიოდა და ვეღარც უკანო.

— შენი ახლობლები თუ გენდობიან და მანქანაში თუ გისხდებიან ხოლმე?

— ერთხელ სააგენტოდან მის ხელმძღვანელთან — ნატამასთან ერთად გამოვედი და შევთავაზე — შინ ჩემი მანქანით მივიყვანო-მეთქი. ხელები გაასავსავა: შენს მანქანაში როგორ ჩავჯდები? — მირჩევნია, ტაქსით წავიდეო... 5 წუთში ერთხელ ქრებოდა ჩემი მანქანის ძრავა და ვჩერდებოდი; ნატაშა უკან მომყვებოდა ტაქსით და წარამარა პირეკავდა: გეხვეწები, რა, ნათია, აჩიკოს დაურეკე და სთხოვე, მოვიდეს და წავიყვანოსო... თავიდან, მართლაც ცუდად ვმართავდი



საბუნების-მეცნიერება	„...? სად? რო-დის?“	სჯობს ... ვიდრე არასდროს	„ელვა ზურიკელა სულძაღლიანს და ... ცხვირას“ (ნ. ლუმბაძე)	გამის ნოტი	ძალიან თხელი	დალაი-ლა რემიდეც ადგილმდებარე
ვარსკვლავის წვეტი	„მორბის არაგვი ... თან მოსძახიან მთანი გყიანნი“	ქართული ფულის ერთეული	ბერძენი მაგნატი არისტოტელე ...	მეთში შემწვარი კარტოფილი	სპორტის გულშემატკივარი	მსახი ... მიდღ

საჭეს, მაგრამ ახლა ასე მგონია, თითქოს მთელი ცხოვრება მანქანის საჭესთან მაქვს გატარებული.

— მანქანის გამოცვლას თუ აპირებ? „ნივა“ ხომ საკმაოდ მძიმე სამართავია ქალისთვის.

— მძიმე მანქანაა და მღლის, ზურგი მტკივა ხოლმე. თუმცა, უკვე მივეჩვიე. სამაგიეროდ, თუ „ნივაზე“ გაქვს პრაქტიკა მიღებული, ადვილად გაატარებ ნებისმიერ სხვა მანქანას. თუ ახალი მანქანის ყიდვას გადაწყვეტ, ალბათ უფრო მსუბუქსა და პატარაზე შევაჩერებ არჩევანს.

— მანქანით სეირნობა თუ გიყვარს?

— უფრო მსუბუქი მანქანა რომ მყავდეს, ალბათ მთელი დღე ვისეირნებდი და შინ აღარც შევიდოდი... ვინმემ რომ მითხოვოს, სიტყვაზე — მცხეთაში ან წყნეთში წამიყვანეო, — არ დავზარდები. მოკლედ, მიყვარს მანქანით სიარული.

— მანქანაში რა გიქმნის კომფორტს?

— აუცილებლად უნდა ვუსმენდე მუსიკას, თანაც ხმამაღლა. რიტმული მუსიკა უფრო მომწონს, როცა მანქანაში ვზივარ. მაგრამ ქურდობაცაყები არ მახარებენ და როგორც კი ახალ მაგნიტოფონს დავაყენებ, მაშინვე მაკლიან — უკვე ორჯერ მოგვპარეს. ერთხელ ვერც გავიგე, როდის და სად ამოიღეს, მეორედ კი — ეზოში მდგარი მანქანის მინა ჩაამსხვრიეს და ისე ამოგვაცალეს... ახლა ისევ ვიყიდუთ და როდემდე შეგვარჩენენ, არ ვიცი... მოუხედავად ამისა, თავს მაინც იღბლიან მძღოლად ვთვლი. სააგენტოსთან ახლოს ავტოსადგომი და ავტოსამრეცხაოა, სადაც ერთი კეთილი კაცი მუშაობს. ხან რას შეუკეთებს ჩემს მანქანას და ხან — რას; თან, ფულს არასდროს მართმევს. ერთხელ „მიგალკა“ დააყენა — შენი ფეშქაში იყოსო...

— მანქანის მოვლა თუ გიყვარს?

— ამ საცოდავ მანქანას არც მე ვუვლი და არც აჩიკო. კიდევ კარგი, რომ ავტოსადგომთან ახლოს არის სამრეცხაო: როცა ძალიან ჭუჭყიანია, ბარემ ვარეცხვინებ კიდევ.

— თუ ხედები ხოლმე, რომ მანქანას რაღაც გაფუჭებული აქვს?

— კი, უკვე ვვრძნობ, რომელიმე ნაწილი

რომ გამოდის მწყობრიდან. როცა ფუჭდება, მაშინ კი ნამძვილად არ მეზარება ხელოსანთან მიყვანა. ერთხელ, შუა გზაზე გამიჩერდა. იქვე სამარშრუტო ტაქსების გაჩერება იყო, შემომხვედნენ და ალბათ ერთი 20 კაცი აკეთებდა ჩემს მანქანას...

— პოლიციელებთან პრობლემები ხომ არ გექმნება ხოლმე?

— სიმართლე ვითხრა, რაც საჭეს ვუზივარ, პოლიციამ ერთადერთხელ გამაჩერა. რეიდი იყო, ძალიან სწრაფად მივქროდი და მანიშნეს, გაჩერეო, მაგრამ არ დავემორჩილე მათ ბრძანებას. მოძრაობის წესები უხეშად არასდროს დამირღვევია, ასეთი „ნაგლი“ არა ვარ...

— საკუთარი მანქანა თუ დაგიზიანებია?

— კი. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: მეგობართან სტუმრად ვიყავი; წამოსვლისას გამაფრთხილა — იცოდე, ეზოდან ორი გასასვლელია — ერთი ვიწროა და შენ ვერ მოახერხებ იქ გასვლას, ამიტომ მეორიდან გაიყვანე მანქანაო. ვიუკადრისე — როგორ ვერ გავალ-მეთქი?! — და კარგადაც ვაუზნახუნე მანქანა კედელს... აჩიკოს არ ვუმხელ ხოლმე, როცა მანქანას ჩემ გამო ახალი ნაკაწრები უჩნდება...

— როდესაც ერთად მიდიხართ სადმე, საქვსთან დაჯდომაზე ხომ არ ჩხუბობთ?

— აჩიკო ბავშვობიდან მართავს მანქანას და უკვე მობეზრებული აქვს. ამიტომ ამის გამო არასდროს ვკამათობთ. აი, მაშინ კი ვიფლება, როცა მანქანა, ვთქვათ, 2 საათით მიმყავს და 5 საათით ვიკარგები: საჭესთან რომ ვზივარ, დროის შეგრძნება საერთოდ მეკარგება...

— რამდენად მობილიზებული მძღოლი ხარ? სანვაგის ჩასხმა არასდროს გავინჯდება ხოლმე?

— „ნივა“ ბენზინს „ჭამს“, ამიტომ საწვავში საკმაოდ ბევრი ფული გვეზარდება. ერთხელ, ავტოგასამართი სადგურიდან სულ რაღაც 10 მეტრში გამიჩერდა მანქანა. დიდი ხვეწნა-მუდარისა

აჩიკოს არ ვუმხელ ხოლმე, როცა მანქანას ჩემ გამო ახალი ნაკაწრები უჩნდება...

და ხელების ქვეის შედეგად, ერთმა გულის-ხმიერმა ბიჭმა, რომელიც იქ მუშაობდა, „კოკა-კოლის“ ბოთლით მომიტანა ბენზინი.

— სწრაფად დაგვავს მანქანა?

— მიყვარს სწრაფად სიარული, მაგრამ ქალაქში 90 კმ/სთ-ზე დიდი სიჩქარით ვერ დავდივარ.

— ავარიაში თუ მოხვედრილხარ ოდესმე?

— ერთხელ, დიღომში სრეშზე მოგვისრიალდა მანქანა და ამოვტრიალდით. ზუთნი ვისხედით, ერთ-ერთი, თავიდან ბოლომდე „ასაწყობი“ გახდა, მე კი თავი გავიტეხე... ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, თუმცა მაშინაც ჩემი ბრალი არ იყო — საჭესთან სხვა იჯდა.

— ნათია, თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ვიღაცისთვის საფრთხე შეგიქმნია და მძღოლს დაახლოებით ასეთი რეპლიკებით „დაუსაჩუქრებხარ“: შენ ვინ განდო მანქანაო? — და ა.შ.?

— ჰო, იციან ხოლმე... მაგრამ არავის ვურჩევ, ასეთი სიტყვები მომაძახოს, თორემ, მანქანას დავაჯახებ... არ მიყვარს უკმეზი რეპლიკები. რა მოხდა, თუ ნულა მივდივარ ან სადმე თუ „გავიჭვდე“?! როცა შენ არ გიქმნი საფრთხეს, ამაზე ერთი ამბავი უნდა ატეხო?! ერთხელ, ეზოდან რომ გამყავდა მანქანა, ეტყობა, ძალიან ახლოს მივედი ერთ ტაქსისთან; მძღოლმა ხომ მლანძლა და მლანძლა, მაგრამ მეზავრმაც გვარიანად „შემამეო“... ჰოდა, ისე გამოვლანძლე ორივე, თქვენი მოწონებული...



იგივეა, რაც ვერცხლისწყალი	საბჭოთა ყველგან-მავალი მანქანა	მტაცებელი ფრინველი	ინდაურის შეჭამანდი ნიგვით	გაუთხოვარი ქალის სხენება ინგლისში	... ენ, ვინ, მენ, ... ინ...	გარეთ აგლასი, შიგნით ...
ბრთული საცხენოს-ნო თამაშობა	მამლის ხმიანობა	ქალიშვილის ქმარი	... დასთეს, იმას მოიმეო	... სენ-ლო-რანი	... სიგყვა სთქვი, ხვალ არ შეგრცხვესო	ფიალა

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დანეყბულ საუბარს მღვდლობის საიდუმლოსთან დაკავშირებით. გვესაუბრება წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი დავით ძვლივიძე.

**მორენა ბერკვილაძე**

— მოეთხოვება თუ არა მღვდელმსახურს სიმკაცრე მრევლთან ურთიერთობისას?

— მღვდელმსახურნი მრევლთან ურთიერთობისას სიმკაცრეს არ უნდა იჩენდნენ, რადგან ამ გზით მღვდელმსახურს მრევლთან ურთიერთობის დამყარება გაუჭირდება. მღვდელმსახურთა უმთავრესი მოვალეობა ხომ ადამიანთა დამოძღვრა და ჭკუემარტების შეცნობაში დახმარება და არა ადამიანთა მიმართ სიმკაცრის გამოჩენა. ამიტომ ღვთისმსახურმა სიყვარულით უნდა მიუთითოს, ასწავლოს და დამოძღვროს თავისი სამწყსო.

— „სახარებაში“ წერია: „ერთი არს მამაი თქუენი, რომელიც არს ცათა შინა“ (მათე 23, 9). როგორ უნდა ესმოდეს მორწმუნეს ამ სიტყვების მნიშვნელობა?

— ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, რადგან სიტყვაში — „მამა“ იგულისხმება, რომ სრული სისავსით მამა-მარჩენალი და ღმერთი ჭკუემარტი, არის მამა ზეცაში, შემოქმედი ცისა და ქვეყნისა, რომლის გვერდითაც არ უნდა დავაყენოთ კერპი-ღმერთები და არ მივიჩნიოთ ისინი ღმერთებად და მამა-მარჩენლებად. თუმცა, სექტანტები ამ სიტყვებს პირდაპირი მნიშვნელობით განმარტავენ და მართლმადიდებლებს ბრალს სდებენ იმაში, რომ მღვდელმსახურებს მიმართავენ — „მამაო“, — რაც მცდარი მოსაზრებაა. თვით იესო ქრისტე საუბრისას ხშირად იყენებს სიტყვას „მამა“, მაგალითად, აბრაამის მიმართ ამბობს — „მამაი ჩვენი აბრაამი“; ასევე იყენებს სიტყვას „მამა“, როდესაც უძლები შეილის ივას ჰყვება და სხვა. სასულიერო პირისადმი მსგავსი მიმართვა უბედული ქრისტიანული ტრადიციაა. პავლე მოციქული ტიმოთეს მიმართ მიწერილ ეპისტოლეში ამბობს: „შეილო ჩემო ტიმოთე...“, რაც აღასტურებს, რომ პავლე მოციქული ტიმოთეს სულიერი მამა იყო. როგორც ვიცით, ნათლობის საიდუმლოს დროს ადამიანი იბადება სულიერად სულიწმიდის მადლით, რომლის სისრულეში მომყვანნი მღვდელმსახურები არიან, რადგან ნათლობის საიდუმლოს ღვთისმსახურები აღასრულებენ. ამიტომ, როგორც ხორციელ მშობელს ეწოდება „მამა“, რომელმაც მოგვაკვლინა დედამიწაზე, ასევე ვუწოდებთ სულიერად გამჩენს, მშობელს — „მამას“.

— რატომ არის მიღებული, მღვდელმსახურთან მიახლებიასა, ხელზე ამ-



ბოლნისის ქეთევან წამებულის სახელობის ტაძრის მოძღვარი, მამა კვირიკე

# რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ადამიანს მღვდელმსახურთა მიმართ?

ბორცოფა?

— როდესაც მღვდელმსახურს ხელზე ვეამბორებთ, ჩვენ ვეხებით მაკურთხებელ მარჯვენას და პატივს მივაგებთ მის სამღვდლო ხარისხს.

— რას მიგვანიშნებს სამღვდლო შესამოსელი და რატომ ატარებენ მღვდელმსახურნი წვერს?

— სამღვდლო შესამოსელი — ეს არის ძველ ბიზანტიელ მეომართა შესამოსელი: მღვდელმსახურები ხომ ქრისტეს მეომრები არიან, ამიტომ ამ შემთხვევაში, ქრისტეს მეომართა შესამოსელია. სამღვდლო შესამოსელი მიგვანიშნებს იმას, რომ ის (სასულიერო პირი) ბოროტ ძალასთან — ეშმაკთან საბრძოლველად არის მზად. მღვდელმსახურთა მიერ წვერის ტარება კი, ბიბლიური ტრადიციაა. წვერს „ძველი აღთქმის“ მღვდელმსახურებიც ატარებდნენ. ეს ტრადიცია „ახალი აღთქმის“ მღვდელმსახურებმაც გააგრძელეს. წვერის ტარებას სიმბოლური დატვირთვაც აქვს. როგორც ვიცით, წვერულვაში ყოველთვის სინდისის სიმბოლოდ ითვლებოდა; მღვდელმსახურთა წვერი აგრეთვე მიუთითებს მათ ზნეობრივ სისუფთავესა და სინდისიერებაზე.

— როგორ მოვიქცეთ, როდესაც ქუჩაში უცნობი ღვთისმსახური გვხვდება?

— მღვდელმსახური ღვთიური მადლის გამტარია. როდესაც ღვთისმსახურისგან ლოცვა-კურთხევას მივიღებთ, ჩვენზე ღვთიური მადლი გადმოედინება. ამიტომ, როდ-

საც ღვთისმსახურს შევხვდებით, ქუჩაში იქნება ეს თუ სხვა ადგილზე, სასურველია, მივიღეთ და ლოცვა-კურთხევა ვთხოვოთ.

— გადმოედინება თუ არა ადამიანზე ღვთიური მადლი ერთნაირი ძალით ნებისმიერი ღვთისმსახურის ლოცვა-კურთხევით?

— მადლი გადმოედინება ნებისმიერი ღვთისმსახურის მეოხებით, თუნდაც ის სრულყოფილად ღირსეული არ იყოს. აქ შეიძლება, ასეთი უხეში შედარება მოვიტანოთ. როგორც საღეი არის შემკურთხეველი ენერჯის წყაროსა და ნათურისა, ასევე არის მღვდელმსახური სულიწმიდის მადლის გამტარი ღმერთიდან ადამიანამდე, როგორი დაქანგულიც არ უნდა იყოს მავთული, რომელიც ღენის წყაროსთანაა მიერთებული, ხელს თუ მოკვიდებთ, ღენს მაინც დაგვარტყამს. ასევე არის ნებისმიერი ღვთისმსახური გამტარი სულიწმიდის მადლისა და მადლიც ნებისმიერი ღვთისმსახურის მეოხებით გადმოგვეცემა.

— არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ღმერთი სწამთ, მაგრამ ღვთისმსახურთა მიმართ არაკეთილგანწყობილი არიან და მათი არ სჯერათ. შესაძლებელია თუ არა, მღვდელმსახურთა დახმარების გარეშე ადამიანმა შეიცნოს ჭკუემარტება?

— როდესაც იესო ქრისტე მოციქულებს საქადაგებლად აგზავნის, ეუბნება: ვინც თქვენ უარყოფთ, ის მეც უარყოფს, ის ჩემს მომწოდებელსაც უარყოფს; ვინც თქვენ მიგიღებთ, ის ჩემს მომწოდებელსაც მიიღებს. მღვდელმსახურნი ხომ მოციქულთა მემკვიდრენი არიან. მღვდელმსახურთა უარყოფა იგივე ქრისტეს უარყოფაა. მღვდელმსახურთა დახმარების გარეშე, ადამიანი ვერ მოახერხებს ღვთის და ეშმაკის ნების გარჩევას. ზოგჯერ მართლაც ხდება, რომ ადამიანები ღვთისმსახურთა არაქრისტიანულ ქმედებებს აწყდებიან, რაც ხშირად ხდება სამღვდლოების მიმართ ნდობისა და პატივისცემის დაკარგვის მიზეზი. მაგრამ ერთულების მიერ ჩადენილი არასწორი საქციელის გამო, მთელი სამღვდლოების უარყოფა არ შეიძლება. ეს იგივეა, რომ იუდას უდიდესი ცოდვის გამო, სხვა მოციქულებიც უარყოფთ.

— აქვთ თუ არა მრევლის წვერებს უფლება, თავიანთი აზრი გამოთქვან იმ მღვდელმსახურთა მიმართ, რომლებიც არაქრისტიანულ ქმედებებს სწამდიან და ამით მრევლს აბრკოლებენ?

— თუ მღვდელმსახური ადამიანის სულიერ განვითარებას რაღაცით აბრკოლებს, ქუჩაში კი არ უნდა დავდგეთ და განვიკითხოთ, არამედ მასთან უნდა მივიდეთ და მიუთითოთ, რომ არასწორად იქცევა. რათა ის დაფიქრდეს და შეიცვალოს. თუ კვლავ იგივე განმეორდება, „სახარებისული“ მითითების თანახმად, მასთან ორი ან სამი მივიდეს და

მოუთითოს, შემდეგ კი – ძველი კრებული; მაგრამ თუ ხდება ისე, რომ მღვდელმსახური არც ამის შემდეგ შეიცვალა, ეპისკოპოსს უნდა მიმართონ. მღვდელმსახური, რომელიც თავისი არაქრისტიანული ქმედებით მრევლის სულიერ განვითარებას აბრკოლებს, აუცილებლად უნდა გაშლილით, რადგან მღვდელმსახურთა მიერ ღვთისთვის არასათნო საქმეების ჩადენისთვის შესაძლოა, ღმერთმა ერს განსაცდელიც კი მოუვლინოს იმის გამო, რომ ერი უღირს მღვდელმსახურებს იტანს. ამის მაგალითები ისტორიაშიც გვხვდება. დავით აღმაშენებლის მემკვიდრის ნაამბობიდან ირკვევა, რომ იმ პერიოდში უღირს მღვდელმსახურთა რიცხვმა იმატა, ეკლესია ავაზაკთა შესაკრებლად გადაიქცა, მღვდლები – „ქვალს თამაშობდნენ“, განშირდა სიმონის წესი (მღვდლობის ხარისხის ფულით ყიდვა). ამის გამო ერს ცოდვამ უწია – დიდი მიწისძვრა მოხდა; ერი სხვა განსაცდელთა წინაშეც აღმოჩნდა. ამიტომ, წერს მემკვიდრე, დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა, ღვთისთვის სათნო საქმე ექნა – უღირსი ღვთისმსახურები დაესაჯა. ამრიგად, არასათნო მღვდელმსახურთა მხილება და დასჯა ღვთისთვის სათნო საქმედ ითვლება.

— არსებობს აზრი, რომ მღვდელმსახურებს პასუხი თავიანთ საქციელზე,

ერში მცხოვრებ ადამიანებზე მეტად მოეკითხებათ. რამდენად გამართლებულია ეს ეკლესიური სწავლებით?

— ვისაც მეტი მიეცა, იმას მეტი მოეთხოვება კიდევ. მღვდლობა უდიდესი პასუხისმგებლობაა და ამიტომ მღვდელმსახურებს ერში მცხოვრებ ადამიანებზე მეტად უნდა ეშინოდეთ, რადგან ყველა დაშვებული შეცოდება, გულწრფელად მოუნანიებლობის შემთხვევაში, ძველი სიმკაცრით მოეკითხება ღვთის წინაშე. აქედან გამომდინარე, მღვდლობა არ ნიშნავს იმას, რომ მღვდელმსახური აუცილებლად სამოთხეში მოხვდება. წმინდა მამები ყოველთვის გაუბრუნდნენ მღვდლობას, რადგან მათ ღვთის წინაშე პასუხისმგებების ეშინოდათ. იოანე ოქროპირი პირდაპირ ამბობს, რომ მღვდლების უმრავლესობა ჯოჯოხეთში ხვდება. ეპისკოპოსებიდან კიდევ უფრო მცირე ნაწილი გადარჩება და ცხონდება. ეპისკოპოსობა მღვდლობაზე დიდი პასუხისმგებლობაა. ავიღოთ თუნდაც ის, რომ ეპისკოპოსი პასუხს აგებს მის მიერ სამღვდლო ხარისხში აყვანილ ყველა პირზე. პავლე მოციქული ტიმოთეს მიმართ მიწერილ ეპისტოლეში აღნიშნავს, რომ მღვდლობის მადლი, რომელიც მასზე მისი ხელდასმით გადავიდა, აჩქარებით არავის გადასცეს, აჩქარებით მღვდლად არავინ აკურთხოს, რადგან –

უღირსი ადამიანის მღვდლად კურთხევის შემთხვევაში, მისი ცოდვების თანამონაწილე გახდება და ამის გამო, ღვთის წინაშე პასუხისმგებლობა მოგიწევსო. V საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს წმინდანს – ლეონ რომის პაპს (მამონ კათოლიკეები ჯერ კიდევ მართლმადიდებლები იყვნენ), როდესაც სიცილიისთვის ემზადებოდა, უფალი გამოეცხადა. წმინდა ლეონმა უფალს სთხოვა, რომ მისთვის მიეღო სიცილიის ეკლესია მის მიერ ჩადენილი ყველა ცოდვა, რათა მათზე ეგლოვა და გამოეყვანა ამა სოფლიდან გასვლამდე. უფალმა მიუგო: ყველა ცოდვა შეგენლობა, ერთი ცოდვის გარდა: ოდესღაც, უღირს კაცს რომ მღვდლად ხელი დაასხი, ამ ცოდვის შენდობა გამიჭირდებაო. ლეონმა ორმოცი დღე და ღამე იგლოვა პეტრე და პავლე მოციქულების საფლავზე, რომ გულმოწყალე უფალს უღირსი ადამიანის მღვდლად კურთხევის ცოდვა შეენდო.

— რა შეიძლება იქცეს მღვდელმსახურის ანათემაზე გადაცემის ანუ განკვეთის მიზეზად?

— მღვდელმსახურის განკვეთის მიზეზად შესაძლოა იქცეს მძიმე საეკლესიო დარღვევები. განკვეთის შემდეგ, მღვდელმსახურს არანაირი სამღვდლო მადლი აღარ რჩება.

# ცოდვების მოსანანიებლად მოვლენილი ღვთიური ნიჭი

1999 წელს, ბულგარეთში გამართულ ხელოვნების ნიმუშთა საერთაშორისო გამოფენაზე (ამ გამოფენაში 54 ქვეყანა მონაწილეობდა) მეორე საპრიზო ადგილი, თბილისელი პატიმრის, სპარტო ზომბანძის ნამუშევარმა დაიმსახურა. ეს იყო ხეზე ნაკვეთი ღვთისმშობლის ხატი, რომელმაც შემდგომ სრულიად შეცვალა მისი ცხოვრება. საკუთარი ცოდვების მოსანანიების მიზნით, მან უფალს თორმეტი ხატის შექმნა აღუთქვა და ერთ-ერთი მათგანი, მეუღლესთან, ქეთინო მინაძესთან ერთად, ფეხით ჩააბრძანა მოსკოვის საკათედრო ტაძარში.

## ემა ტუნიაშვილი

— სერგო, რამ გამოიწვია შენში ასეთი რადიკალური ცვლილება?

— ოთხჯერ ვარ ნასამართლევი და საერთო ჯამში, თოთხმეტი წელი ვიზიდილი სასჯელს ციხეში. ჩემი განვლილი ცხოვრების გამო თავს არ ვიმართლებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს იყო ინდივიდუალური რეაქცია იმაზე, რაც საერთოდ ხდება სამყაროში. ციხეში ყოფნისას გავაცნო-



ბიერე, რომ ცხოვრების ამგვარი წესით მხოლოდ ჩემს სულს ვაკნინებდი და ცოდვებით ვმძიმებოდი და გულწრფელად შევთხოვდი უფალს, ჩემთვის ჭეშმარიტი გზა ეჩვენებინა. ერთხელ ციხეში ერთ-ერთმა პატიმარმა ხეზე ნაკვეთი „ხელთუქმნელი“ ხატი მაჩვენა, ამ შემთხვევამ კი, სრულიად შეცვალა ჩემი ცხოვრება.

პირველი ხატის შექმნას ორ თვეზე მეტი ხანი მოვანდომე. ეს ნიჭი თითქოს ზეცილიდან მომეცა.

— როგორც ვიცი, მანამდე, ხატვაც კი არ იცოდი...

— სიმართლე გითხრა, ფანქარიც კი არასდროს მჭერია ხელში. ჩემი მეგობრები და ნათესავები შოკში იყვნენ, როდესაც



ჩემი არც ერთი ხატი არ გაყიდულა, ყველა შეწირულობის სახით იყო გადაცემული

ხელაღწეონ ჩემს ნაკეთობებს. პატიმრებმა კი ჩათვალეს, რომ გავვიყიდი, ვინაიდან ოცდაოთხი საათის განმავლობაში მხოლოდ ხეზე კვეთით ვიყავი დაკავებული და სხვა აღარაფერი მაინტერესებდა.

— ციხის ადმინისტრაცია თუ დაინტერესდა შენი საქმიანობით?

— პატიმრების ამგვარი საქმიანობით ადმინისტრაცია ნაკლებად ინტერესდება. ყველა ხატი, რომელიც ციხეში ყოფნისას შექმენი, პატიმრების შემოწირულობებით იყო შექმნილი. ზოგი სამეგრელოდან ითხოვდა ახლობლებისგან ბზის გამოგზავნას, ზოგი კი გურიაში რეკავდა, რომ მე სამუშაოდ მასალა მქონოდა.

— როგორც ვიცი, სწორედ შენ მიერ ნაკვეთი ხატი გახდა ვადამდე შენი გათავისუფლების მიზეზი.

— 1999 წელს, საქართველოში გამოცხადდა დიდი ამნისტია და სიაში, სადაც ათასამდე პატიმარი იყო შეყვანილი ჩემი მონაცემებიც ირიცხებოდა. მაგრამ კომპიუტერმა ჩემი სახელი და გვარი სიდან ამოიღო, როგორც ოთხჯერ ნასამართლევის, რის შემდეგაც, ქალბატონმა რუსუდან ბერიძემ ჩემი გაკეთებული ხატი, რომელმაც ბულგარეთში გამოფენაზე მეორე საპრიზო ადგილი მიიღო, პრეზიდენტს აჩვენა და მან ხელი მოაწერა ვადამდე ჩემს გათავისუფლებას.

— მოსკოვში ფეხით წასვლა რამ შთაგაგონათ?

ძეითინო მიწაძე:

— სერგოს შეკვეთა ჰქონდა, წმინდა სამების ტაძრისთვის ანალოე — „სახ-

არების“ საკითხავი მაგიდა უნდა დაემზადებინა და ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ, გარკვეულ მატერიალურ საზღაურსაც ველოდი. სერგო მუშაობის პროცესში იყო, როდესაც ტელევიზიით პატრიარქის გამოსვლა მოისმინა, რომელიც იმ დროს, აფხაზეთის საზღვართან იმყოფებოდა. დღესაც არ ვიცი, რამ იმოქმედა მასზე ასე ძლიერ, მაგრამ მაშინვე მიატოვა ანალოე კეთება და ის ხატი გამოიტანა, რომელზეც მუშაობა ოთხი წლის წინ ჰქონდა დაწყებული და დაუმთავრებელი იყო. სწორედ ამ ხატზე მუშაობის პროცესში გადაწყვიტა, რომ დასრულებისთანავე ფეხით წაგვებრძანებინა მოსკოვში. პირველად ძალიან შევეშინდი, რადგან ვიცოდი, რომ თუ რამეს იტყოდა, აუცილებლად შეასრულებდა. მით უმეტეს, რომ ღვთის წინაშე ჰქონდა აღთქმა დადებული. როდესაც ხატი უკვე დასრულებული იყო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლოცვა-კურთხევა მოგვცა და 2003 წლის 16 თებერვალს მე და ჩემი მეუღლე ხატით ხელში სიონის საკათედრო ტაძრიდან გავემართეთ მოსკოვში.

— იმაზე არ გიფიქრიათ, რომ შეიძლებოდა, რაიმე დაბრკოლებები შეგქმნოდათ გზაზე?

— სამოცდათერთმეტი დღე ვიარეთ ფეხით და ორმოცდამედიდი ეკლესია მოვილოცეთ ისე, რომ არანაირი დაბრკოლება არ გვქონია. გზად ბევრი სიწმინდე მოვინახულეთ, უამრავი ადამიანი ლოცულობდა ჩვენთვის, ყოველივე ამან, ისე გავაძლიერა, რომ შიშის გრძნობა საერთოდ გაგვიქრა. მეტსაც გეტყვი — უფრო ხშირად, ცენტრალურ საავტომობილო ტრასაზე გვიხდებოდა სიარული, სადაც მანქანები ისეთი სისწრაფით მოძრაობდნენ, რომ ერთი ასხლეტილი კენჭიც კი საკმარისი იყო, რომ ადამიანი სერიოზულად დაზარალებულიყო. ჩვენ კი, ერთადერთი, რაზეც ფიქრი შეგვეძლო, ის იყო, რომ ხატს არაფერი მოსვლოდა.

— ქუჩაში თუ გინვადოთ ღამის გათევა?

— ისეთ ყინვაში მოგვიხდა სიარული, რომ გარეთ ღამის გატარება კი არა, ერთ ადგილას დიდხანს გაჩერებაც კი წარმოუდგენელი იყო. თუმცა, ასეთი გასაჭირი არც დაგვედგომა, რადგან თბილისიდან მოსკოვამდე ყოველი დღის სავალზე თითო

ეკლესია დგას. შესაძლებელია, მანქანით მგზავრობისას ეს ეკლესიები შეუმჩნეველი დაგჩნეთ, მაგრამ ჩვენ დასახლებულ პუნქტებზე გვიხდებოდა გავლა, ამიტომ, არც თავშესაფარი მოგვეკლებია და არც ხალხის სითბო და ყურადღება. უმეტესად, საეკლესიო ტრაპეზს ვესწრებოდით, რაც კვების პრობლემას გვინსნიდა. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც მოსახლეობა გვატანდა საგზალს, ფულს — შემოწირულობების სახით, რაც ძალიან გვეხმარებოდა იმაში, რომ ტელეფონით დაკავშირებოდით ახლობლებს საქართველოში.

— ყინვასა და თოვლში მოგინათ სიარული. ავად არ გამხდარხართ?

— მართლაც დიდი თოვლი და ყინვა დაგვემთხვა, ზოგჯერ ყინვა თექვსმეტ გრადუსს აღწევდა, მაგრამ ჩვენ ფრჩხილიც კი არ წამოგვტკენია. როდესაც კრასნოდარის მხარეში ვიმყოფებოდით, იქ საშინელი გრიპის ეპიდემია მძვინვარებდა და მოსახლეობის დიდი ნაწილი ავადმყოფობისგან ლოგინად იყო ჩავარდნილი. ჩვენ მამა გაბრიელის ზეთი გვქონდა წალბებული და ვიცხებდით, ამიტომ ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ დამუქრებია.

— უკაცრიელ, დაუსახლებელ ადგილებშიც გინვადოთ სიარული და ნადირობა არ შეგხვედრიათ?

— მხოლოდ ერთხელ გადავეყარეთ მგლებს, თუმცა, გზა ისე გადაგვიჭრეს, რომ ჩვენთვის ყურადღებაც არ მოუქცევიათ. არც ჩვენ დაგვეუფლებია შიშის გრძნობა, თითქოს წინასწარ ვიცოდით, რომ ჩვენი მსვლელობა მშვიდობიანად დასრულდებოდა.

— ხალხს, მოსახლეობას რა რეაქცია ჰქონდა, როდესაც გხვდავდნენ?

— ხალხი, უმეტესად კი მოხუცები, გვეხვეოდნენ, გვკონცინდნენ. ვგრძნობდით, რომ ძალიან უყვარდით იმის მიუხედავად, რომ პირველად გვხვდავდნენ. ღმ-



აშშ-ის ელჩის, რიჩარდ მაილმისთვის ხატის გადაცემისას

ერთმა მომიტვეოს, მაგრამ ჩვენ გვიყურებდნენ არა როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს, არამედ უფრო, ამალელებულ, არამიწიერ არსებებს. როდესაც იგებდნენ, რომ „ხელთუქმნილი“ ხატი სერგოს შექმნილი იყო, სურდათ, ყველაფერი გაეგოთ მის შესახებ: როგორ ცხოვრობს, რას ჭამს, რამდენ ხანს სძინავს და ა.შ. გარდა ამისა, გზად ბევრი სასწაული ხდებოდა: ხატს, რომელსაც ჩვენ მივაბრძანებდით, მირონი წამოუვიდა; მანამდე, სანამ ტულაში შევიდოდით, ერთი დღით ადრე, ტულის სერგი როდონეჟელის ეკლესიის გუმბათზე ჯვარი გაბრწყინდა. ეს ყველაფერი ვიდუფინებ გვაქვს გადაღებული. ჯვარი იმდენად ბრწყინავდა, რომ მისი ფორმების გარჩევაც კი ჭირდა. იქაურების თქმით, ასეთი რამ ამ ეკლესიაში მხოლოდ განსაკუთრებული მოვლენის შემთხვევაში ხდება ხოლმე. ანალოგიური რამ მოხდა აგრეთვე მოსკოვში, წმ. გიორგის სახელობის ქართულ ეკლესიაში ერთი დღით ადრე, სანამ ჩვენ მივიდოდით: გაბრწყინდა ღვთისმშობლის ხატი და ღვთისმსახურებს ვერაფრით გაეგოთ, თუ რას მოასწავებდა ეს. ასევე სასწაულის ტოლფასი იყო ჩვენი შეხვედრა მეუფე ნიკონთან. ეს მოხდა ზადონელის მონასტერში, რომელიც მსოფლიოში ცნობილია თავისი მაღლით და არსებობს გადმოცემა, რომ მისი მაღლი საბოცდათორმეტი კილომეტრის რადიუსზე ვრცელდება. ამ მონასტერში მრავალი მლოცველი ჩადის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ალბათ გსმენიათ ტიხონ ზადონელზე, რომელმაც ემშაკს პირველი გადასახა და ქვად აქცია. სწორედ მის სახელს ატარებს ეს მონასტერი. ჩვენ გვქონდა ვორონეჟის ეპარქიის მეუფის — მეფოდის კურთხევა, რომ ზადონელის მონასტერში მეუფე ნიკონი გვეხილა. მეუფე ნიკონიც საკმაოდ ცნობილი პიროვნება გახლავთ, ასეთებზე ამბობენ: სიცოცხლეშივე უფლისგან არის ხელდასხმული. ჩვენი იქ ჩასვლა ხარების დღესასწაულს დაემთხვა და მეუფის კი არა, ჩვეულებრივი მღვდლის ნახვაც კი გაგვიჭირდა. ჩვენთვის კი აუცილებელი იყო კურთხევა, რათა გზა გაგვეგრძელებინა. ორი დღე დავყავით იქ უშედეგოდ და უკვე წამოსვლას ვაპირებდით, როცა საეკლესიო ნიეთების გამყიდველი ახალგაზრდა ქალი გამოგველაპარაკა. როდესაც შეიტყო, მლოცველები ვიყავით საქართველოდან და ეპისკოპოსის ნახვაც ვერ ვახერხებდით, გულდაწყვეტილმა გვითხრა: როგორ ვერ მიაწვდინეთ ხმა, რომ საქართველოდან ხართო? თურმე მეუფე

ნიკონის სულიერი მამა ვიტალი საქართველოდან ყოფილა, თბილისში რუსულ ეკლესიაში ყოფილა დაკრძალული და ამის გამო, მეუფეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონია ქართველების მიმართ. ამ ახალგაზრდა ქალბატონმა გვიჩინა, რომ მამა ვიტალისთვის ლოცვით გვეთხოვა შემწეობა და თხოვნა აუცილებლად შეგვისრულდებოდა. ასეც მოვიქცით და შემდეგ, ისევე მეუფე ნიკონის მისაღებს მივადექით, სადაც უამრავი მლოცველი იცდიდა. ზოგი მათგანი ჩვენზე შორი ქვეყნიდან იყო ჩამოსული და ლოდინის მესამე კვირა ეწურებოდა. ხელში საბუთები მეჭირა, სადაც მითითებული იყო, თუ ვინ ვიყავით, საიდან მოვიდოდით და რა მისია გვეკისრა. დალილ-დაქანცულს ჩამეძინა, როდესაც მისაღებში ჩოჩქოლი ატყდა და ხალხი მაღლის მისაღებად ფეხზე წამოდგა. გამომეღვიძა, საბუთები იქვე მდგარ სატელეფონო მაგიდაზე დავყარე და სხვების მსგავსად თავი დავხარე. სწორედ ამ დროს დარეკა ჩემ გვერდით მდგარმა ტელეფონმა და მეუფე ნიკონმა (სწორედ მას წამოუდგა ხალხი ფეხზე) ყურმილი აიღო. მეუფე თან ტელეფონზე საუბრობდა და თან იქვე დაუდევრად დავყავი საბუთებს ათვალიერებდა. დაასრულა თუ არა საუბარი, იკითხა: ვინ არიან მომლოცველები საქართველოდანო?

— როგორც ვიცი, თქვენ რუსეთის პატრიარქსაც უნდა შეხვედროდით?

— რუსეთის პატრიარქი ალექსეი მეორე ძალიან მძიმედ იყო ავად, სრულიად პარალიზებული იყო და მისი მოვალეობის შემსრულებელს, მეუფე არსენს შევხვდით. რუსეთის საპატრიარქო შემოგვთავაზა, რომ იქ დავრჩენილიყავით, დაგვემზადებინა კიდევ ერთი ხატი და საქართველოში წმინდა სამების ტაძრისთვის შეგვეწერა. ტაძრის მშენებლობის დასრულებამდე, ჯერ კიდევ დიდი დროა, ამიტომ უკან დავბრუნდით — ამჯერად, უკვე ავტობუსით.

— სერგო, შენ მითხარი, რომ სულ თორმეტი ხატი გქონდა ალექსეი. ახლა უკვე მეთორმეტზე ასრულე მუშაობას, შემდეგ რას აპირებ?

— რამდენიმე დღეში დავასრულებ მუშაობას წმინდა ნინოს ხატზე, რომელიც უკვე მეთორმეტეა და ისევე, როგორც მისი წინამორბედი, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიბრძანდება. რამდენიმე თვის წინ, მუშაობა დავასრულე ჯვარცმის ხატზე,



ხატი, რომელიც ბულგარეთში პრიზიტ ალინიშნა

რომლის სიმაღლეც, სამი მეტრი გახლავთ. ამ ხატზე სამუშაოდ მე და ჩემი მეუღლე მცხეთაში, ჯვრის მონასტერთან ახლოს მდებარე საცხოვრებელ ვაგონში გადავედით. მოგეხსენებათ, ჯვრის მონასტერს უდიდესი მაღლი აქვს და მისი შეწვენა მუშაობის პროცესში ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ეს ხატი 11 სექტემბერს მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით შეგვიერთ ამერიკელებს და პირადად გადავეცით აშშ-ის ელჩს, ბატონ რიჩარდ მაილზს. ჯვრის მონასტერში ყოფნისას, გავიცანი ქართველი კაცი, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს და ნიუ-იორკში წმინდა ნინოს ეკლესიის მრევლია, თბილისში ჩამოსვლისას კი ყოველთვის დადის სალოცავად ჯვრის მონასტერში. სწორედ მისი თხოვნით ვაკეთებ წმინდა ნინოს ხატს, რომელსაც ნიუ-იორკში წმინდა ნინოს ეკლესიაში დააბრძანებენ. რაც შეეხება შემდგომ გეგმებს, დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩემი ცოდნა უპატრონო ბავშვებს მოვანხარო, რის შესაძლებლობასაც ერთი მცირე სამქროც მომცემდა. ვინაიდან საამისოდ საკუთარი სახსრები არ გამაჩნია (ჩემი არც ერთი ხატი არ გაყიდულა, ყველა შეწირულობის სახით იყო გადაცემული) ჩემი პროექტი განსახილველად რამდენიმე ცნობილ პიროვნებას წარუვუდგინე, მაგრამ მათი მხრიდან არანაირი დაინტერესება არ ყოფილა. მე სიმდიდრეს არ ვეძებ, მეტიც, ბევრი მდიდარი ადამიანი შემხვედრია ჩემი ცხოვრების გზაზე, მაგრამ მათ სულელებში სრული სიცარიელე იყო...

# JPP – სუპერფორვარდი ვალენსენიდან

## ალექსი რეხვიაშვილი

**საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფორვარდის, ჟან-პიერ პაპენის საფეხბურთო კარიერას თან ახლდა აღმასვლისა და კრიზისის პერიოდები, მაგრამ იგი ყოველთვის რჩებოდა ქობაგთა ყურადღების ცენტრში. ყველაზე დიდ წარმატებებს პაპენმა 80-90-იანი წლების მიჯნაზე მიაღწია. სწორედ იმ პერიოდში აღიარეს იგი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად. რამდენიმე დღის წინ ჟან-პიერი 40 წლის გახდა, რამაც იმის საბაბი მოგვცა, რომ ამ დიდებული თავდამსხმელის სპორტული წარსული გაგვეხსენებინა.**

„ვინ უნდა გამოვსულიყავი, როდესაც გავიზრდებოდი? – ბავშვობაში ამგვარი კითხვა საკუთარი თავისთვის არასოდეს დამისვამს. მამჩემი, გიკ ხომ ფეხბურთის თამაშობდა და სპორტის ამ სახეობისადმი სიყვარული, შეიძლება ითქვას, გენებით გადამოქცა“; – ამბობს ჟან-პიერი, რომლის მშობლებიც მაშინ გაიყარნენ, როდესაც მომავალი ფორვარდი სულ პატარა იყო. ფაქტობრივად, იგი ბელის ანაბარა დარჩა და იძულებული გახდა, ბებიასთან გადაბარებულიყო, რომელიც ბელგიის საზღ-

ვართან მღებარე ქალაქ ჟერმონში ცხოვრობდა.

15 წლის პაპენით „ვალენსენი“ დაინტერესდა. მანამდე ჟან-პიერი „ვიშში“ თამაშობდა, რომელიც მთელ საფრანგეთში ცნობილია, როგორც საფეხბურთო კადრების მომამზადებელი კლუბი. როგორც თავად ფორვარდი იხსენებს ხოლმე, იგი „ვიშში“ თავიდან ზარმაცობდა, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ ფეხბურთის სპეციალისტების ყურადღების ცენტრში მოექცა, სერიოზულად მოეკიდა ვარჯიშს.

ჟან-პიერ პაპენის დებიუტი პროფესიონალურ ფეხბურთში 1984 წლის 11 ივნისს შედგა. იმ პერიოდში „ვალენსენი“ მეორე დივიზიონში ასპარეზობდა. იმ სეზონში მან 15 გოლი გაიტანა და საფეხბურთო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელის სახელი დაიმკვიდრა. აშკარა იყო, რომ მომდევნო სეზონს იგი უკვე რომელიმე სახელოვან კლუბში დაიწყებდა.

მართლაც, სულ მალე, ჟან-პიერი გაცილებით ძლიერ გუნდში აღმოჩნდა, ოლონდ – არა საფრანგეთში, არამედ ბელგიაში. ახალგაზრდა თავდამსხმელი „ბრიუგემ“ შეიძინა, სადაც ჟან-პიერმა სრულად გამოავლინა საკუთარი შესაძლებლობები. სწორედ ბელგიაში უწოდეს ფეხბურთელს მეტსახელად JPP. გარდა ამისა, ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ჟან-პიერ პაპენის პირველი ფან-კლუბიც შექმნეს. ისინი აღტაცებას ვერ ფარავდნენ, როდესაც ფრანგი ფეხბურთელი მისთვის ჩვეულ შეპოვობასა და სპორტულ ჟინს იჩენდა. პაპენის ბრძოლისუნარიანობამ თავისი შედეგი გამოიღო: მან ბელგიის ჩემპიონატში 21 გოლი გაიტანა, ქვეყნის თასის გათამაშებაში სუთჯერ შეძლო მეტოქის კარის აღება, ხოლო ჩემპიონთა თასის გათამაშებაში – ექვსჯერ.

სწორედ ამ მიღწევის წყალობით, JPP საფრანგეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს, რომელიც 1986 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა გამგზავრებულიყო. ფრანგთა გუნდის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება მართლაც უპრეცედენტო გახლდათ – პაპენს ხომ ერთი მატჩიც არ ჰქონდა ჩატარებული თავისი ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. თავად ფეხბურთელი მიიჩნევს, რომ იგი თანამემამულეებმა მას შემდეგ აღიარეს, რაც მან ჩემპიონთა თასის გათამაშებაში „ბოავიშტას“ კარში ჰეთ-თრიკი შეასრულა, თუმცა, თავიდან „მამლაციწათა“ მთავარი მწვრთნელი, ანრი მიშელი ჟან-



პიერისადმი სექსტიკურად იყო განწყობილი.

სამწუხაროდ, მექსიკის მუნდიალზე პაპენმა ძალზე უფერულად იასპარეზა. ჟან-პიერს გამოცდილება არ ჰყოფნიდა, რათა ყველაზე ღიდ და საპასუხისმგებლო საფეხბურთო ტურნირზეც ისევე გამოევიწყინა თავისი ბომბარდირული თვისებები, როგორც ამას ბელგიის ჩემპიონატში ახერხებდა. მიუხედავად ამისა, JPP მუნდიალების ისტორიაში ათას მეორასე გოლის ავტორად იქცა, რომელიც ფრანგმა კანდალსთან გამართული მატჩის 79-ე წუთზე გაიტანა. მაგრამ იმავე შეხვედრაში პაპენმა არაერთი აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა და ანრი მიშელმა ის სათადარიგოთა სკამზე დასვა.

ჟან-პიერ პაპენმა ვერც შემდგომ მატჩებში გამოიჩინა თავი, რის გამოც უკვე საშობლოში დაბრუნების შემდეგ, მასმედია და ქობაგებმა მწვავე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. პაპენმა ყოველივე ამას აქტიური ვარჯიშით უპასუხა და კვლავ თავის ჩვეულ სტილში ათამაშდა.

ჟან-პიერს განცვიფრებაში მოჰყავდა მაყურებელი, როდესაც თავისი უძლიერესი და უზუსტესი დარტყმებით შანსს არ უტოვებდა მეკარეებს. მას ნებისმიერი სიტუაციიდან შეეძლო კარის მიმართულებით დარტყმა, მაშინ როდესაც იგივე მდგომარეობაში ბევრი მისი კოლეგა ბურთის დამორჩილებასაც ვერ ახერხებდა.

1991 წელს მარსელის „ოლიმპიკი“, რომლის ღირსებასაც პაპენი იცავდა, ჩემპი-



ჟან-პიერს განცვიფრებაში მოჰყავდა მაყურებელი, როდესაც თავისი უძლიერესი და უზუსტესი დარტყმებით შანსს არ უტოვებდა მეკარეებს



ონთა თასის გათამაშების ფინალში გავიდა. დაძაბულ ორთაბრძოლაში ბელგრადის „ცრვენა ზეზდა“ გაიმარჯვა. მიუხედავად ამისა, იმავე წელს ჟან-პიერ პაპენს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული პრიზი – „ოქროს ბურთი“ გადაეცა.

საერთოდ, ყველაზე დიდ წარმატებებს ჟან-პიერ პაპენმა სწორედ მარსელის „ოლიმპიკთან“ ერთად მიღწია, რომელშიც იგი 1986 წლიდან თამაშობდა. 1989-1992 წლებში კლუბი ზედიზედ ოთხჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, JPP კი ხუთჯერ – საფრანგეთის საუკეთესო ბომბარდირი. ყველაზე დიდი შთაბეჭდილებები ჟან-პიერს 1989 წელს გამართული საფრანგეთის თასის გათამაშების ფინალიდან დარჩა. იმ მატჩში მარსელელებმა „მონაკო“ ანგარიშით 4:3 დაამარცხეს, პაპენმა კი, ჰეთ-თორიკი შეასრულა. „ამ სამი გოლისთვის განსაკუთრებულად დამაჯილდოეს. გარდა იმისა, რომ თასი გადმოგვეცა, პრეზიდენტმა მიტერლანმა გადამკოცნა კიდევ, რასაც მისგან არავინ მოველოდით, – ის ხომ ყოველთვის თავშეკავებული იყო“ – ისწენებს პაპენი, რომელიც 1992 წელს „მილანში“ გადავიდა.

მარსელიდან პაპენის წასვლის შემდეგ „ოლიმპიკი“ დიდ სკანდალში გაეხვია. კლუბის პრეზიდენტ ბერნარ ტაპის ფინანსურ მაქინაციებში, მეტოქე გუნდების ხელმძღვანელთა და მსაჯთა მოსყიდვაში დასდეს ბრალი. „უკვე „მილანში“ ვიყავი გადასული, მაგრამ გულს მტკენდა იმის შეტყობა, თუ როგორ შლიდნენ დიდებულ გუნდს, მით უმეტეს, რომ კლუბისადმი წაყენებული ბევრი ბრალდება უბრალოდ, ღიმილის მომგვრელი გახლდათ. ტაპი ნამდვილ ბოროტმოქმედად გამოაცხადეს, მაგრამ იგი სულაც არ არის ასეთი. ის განსაკუთრებული ადამიანია, რომელიც ყოველთვის გვერდში მედგა. შეიძლება, ბერნარის გარეშე ჩემი ბედი სულ სხვაგვარად წარმართულიყო. ტაპი გახლდათ პირველი მათ შორის, ვინც ჩემი შესაძლებლობები ირწმუნა და გუნდში სწორედ იმ პერიოდში მიმიწვია, როდესაც უკვე აღარავინ მენდობდა. ამიტომ, მას მეორე მამად აღვიქვამ“, – ამბობს პაპენი, რომელიც „მილანში“ გადასვლის შემდეგ, გუნდის სხვა მოთამაშეების ჩრდილქვეშ მოექცა და ხშირად სათადარიგოთა სკამზე უხდებოდა ჯდომბა.

ბედის ირონიით, 1993 წელს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთმანეთს „ოლიმპიკი“ და „მილანი“ შეხვდნენ. ვინც იმ მატჩს ადევნებდა თვალს, უთუოდ ემასწოვრება პაპენის უცნაური გამოიმეტყველება. ისეთი შთაბეჭდილება იქნებოდა, თითქოს ფრანგი ფორვარდი ვერ გარკვეულიყო, ვის

წარმატებას უნდა გაეხარებინა... ის შეხვედრა ფრანგული კლუბის გამარჯვებით დასრულდა (1:0), თუმცა მოგვიანებით ბერნარ ტაპის ფინანსური დარღვევების გამოშკარავების შემდეგ, „ოლიმპიკს“ ტიტული ჩამოართვეს. შემდგომ სეზონში კი, „მილანმა“ უფრო წარმატებულად იასპარეზა და ჩემპიონთა თასს დაეუფლა.

„მილანში“ თამაშის პერიოდში ჟან-პიერს სერიოზული პრობლემა შეექმნა: მის ქალიშვილს, ემილიას დაბადებიდან თანდაყოლილი დაავადება – ბავშვთა ცერებრალური დამბლა აღმოაჩნდა – ის ვერ დადიოდა და ვერც სრულფასოვნად ვითარდებოდა. ჟან-პიერს არაერთხელ ჰყავდა წაყვანილი ემილია სამკურნალოდ აშშ-ში, შემდეგ კი, ექიმთა რჩევით, გერმანიაში, „ბავარიაში“ გადავიდა, რათა ოჯახთან ერთად კურორტ ბადენ-ბადენთან ახლოს ყოფილიყო. მიუნხენურ გუნდში ფრანგი ვარსკვლავი კიდევ უფრო იშვიათად თამაშობდა. ეს ფორვარდის კარიერაში ის პერიოდი გახლდათ, როდესაც იგი უკვე სერიოზულად ფიქრობდა დიდ ფეხბურთთან გამოთხოვებაზე. მიუხედავად ამისა, „ბაიერნი“ ასპარეზობის შემდეგ, პაპენმა კიდევ რამდენიმე კლუბი გამოიცვალა. „ჩემი ბოლო საფეხბურთო ოცნება, „გენგამის“ პირველ დივიზიონში გადასვლა გახლდათ, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ სისტემატურად რამდენიმე თვით ოჯახისგან შორს ყოფნა აღარ შემეძლო. და აი, ერთხელაც, როდესაც შინ ვიყავი და ჩემს საყვარელ ემილიას ვუყურებდი, საკუთარ თავს ვუთხარი: „საკმარისია! როდემდე უნდა გადავდო ის, რაც აუცილებლად მოხდება?!“ სწორედ ემილიამ მაიძულა, რომ ფეხბურთიდან წავსულიყავი. რა თქმა უნდა, მის მკურნალობაში პროგრესი უკვე შეიმჩნევა, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი საიმისოდ, რომ ის სრულად გამოჯანმრთელდეს“.

1999 წლის 30 მაისს, მარსელის ველოდრომზე 60 ათასი კაცი აცილებდა პაპენს დიდი ფეხბურთიდან. „ორი დიდი იმედგაცრუება მქონდა, – ამბობს ფრანგი ფორვარდი, რომლის პატივსაცემად, ქალაქ შატენეფლერ-რუჟის სტადიონს, „ჟან-პიერ პაპენი“ ეწოდა. – პირველი ის არის, რომ მარსელელ გულშემოტკივრებს ჩემპიონთა თასი ვერ მოვუპოვე, თუმცა მიზნის მიღწევასთან ძალიან ახლოს ვიყავით! არადა, მაშინ „ცრვენა ზეზდა“ ჩვენზე ძლიერი არ ყოფილა. ჩემი მეორე იმედგაცრუება კი, ის გახლდათ, რომ ემე ჟაკემ (სა-

„ჩემი ამრით, საგოლე ალლო ადამიანს დაბადებიდან უნდა დაჰყვეს


ფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე) გუნდში არ მიმიწვია და „სამინაო“ ტურნირში მონაწილეობის საშუალება არ მომცა! ეს ხომ ჩემი უკანასკნელი შანსი იყო, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებისთვის მიმეღწია. ჟაკემ დამირეკა და თბილად, მაგრამ კატეგორიულად მთხრობდა: „მაპატიე, ჟან-პიერ, მაგრამ შენი დრო უკვე წავიდა. ვიმედოვნებ, შენ ყველაფერს სწორად გამოგებ“. ცხადია, მე ყველაფერი გავიგე, თუმცა ამას ჩემთვის შევება არ მოუტანია“.

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების რიგებში ჩატარებულ 54 მატჩში, ჟან-პიერ პაპენს 30 გოლი აქვს გატანილი. „ბრიუგეს“, „ოლიმპიკის“, „მილანის“, „ბაიერნისა“ და „ბორდოს“ მეტოქეთა კარი კი, მან 300-ზე მეტჯერ დალაშქრა. „ჩემი აზრით, საგოლე ალლო ადამიანს დაბადებიდან უნდა დაჰყვეს. თუმცა, ყოველდღე შეიძლება, რაღაც ახალი შეიძინოს. თუ გსურთ, რომ საუკეთესოთა შორის იყოთ, მაშინ თავდაუზოგავად უნდა ივარჯიშოთ“.

დიდ ფეხბურთთან გამოთხოვების შემდეგ, ჟან-პიერ პაპენმა თავი მთლიანად მიუძღვნა ინვალიდ ბავშვთა მხარდაჭერას ასოციაციას, რომელიც მან თავად დააარსა 1996 წელს. ორიოდე წლის წინ კი, JPP მარსელის „ოლიმპიკის“ ადმინისტრაციაში ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნა და მას შემდეგ, საყვარელი კლუბის პოლიტიკას წარმართავს.



# რატა ცხოვრება სინარულად გაქცეთ !!!



პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე - ღიმოს, მესამე - დაცინვას, ხოლო მეოთხე - სინანულს. მსუქანი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მით უმეტეს მსუქან ხალხს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი, ასევე, გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.

ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერჯის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა - ანუ ფიზიკური დატვირთვა. ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე - გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი Abtronic Pro.

Abtronic Pro საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმი. ბუმი ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.



კვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? - მოიკბათ არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? - მოიკბათ გახარებათ ვარჯიში? - მოიკბათ

## Abtronic Pro!

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან დაგვიკვითეთ ინტერნეტმაღაზიაში: [www.shopge.com](http://www.shopge.com). ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

# მის „სათესმეტთ ინგლისი“



ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებ-საიტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ქვეყნის ნაკრების სახელ, მოდელი რეინელ სტიენსი დაასახელეს, რომელმაც ხმათა 50% მიიღო. მას 1000-ზე მეტმა კაცმა მისცა ხმა. გარდა ამისა, ყველაზე პოპულარული ბრიტანელებისგან სიმბოლური ნაკრებიც კი შედგა, რომელშიც „სპაის-გერლზის“ ყოფილი სოლისტი, მელანი ჩისპოლიც შეიყვანეს. უფურადღებოდ არც ინგლისური შოუბიზნის ვარსკვლავი, კეტი პრაისი დაუტოვებიათ, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ჯორდანის სახელით იცნობს. „ეს გუნდი რომ მოედანზე გამოსულიყო, იმაზე ორჯერ უფრო მეტ მაყურებელს შეკრებდა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

სტადიონზე, ვიდრე ქვეყნის ეროვნული ნაკრების მატჩებზე ვხედავთ ხოლმე“, – განაცხადა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

# ქალში სექსუალური სპტტვის სახეობას იბჩიუნ

ცოტა ხნის წინ, ინგლისში კარგად ცნობილ ორ ქალბატონს შორის საინტერესო კამათი გამართულა. თურმე პოპკარსკვლავი მილენ კლასი ამტკიცებდა, რომ ყველაზე სანახაობრივი სპორტის სახეობა ფეხბურთია, ხოლო მსახიობი ნიკი მარშალი უპირატესობას რაგბის ანიჭებდა. „სხვა სახეობებისგან ფეხბურთის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ სპორტის ამ სახეობით სექსუალური მამაკაცების დიდი ნაწილია დაკავებული, – განაცხადა მილენმა, – გარდა ამისა, ფეხბურთი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალური სახეობაა: უნდა შეგეძლოს თავით თამაში არა მარტო პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობით“. ამის საპასუხოდ ნიკი მარშალმა თქვა: „ფეხბურთი რომ ლამაზი სანახაობაა, ამას არ უარყოფ, მაგრამ სწორედ მორაგებები არიან ნამდვილი მამაკაცები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. შეხედეთ მათ დაბერილ ბიცკსებს! თანაც ყოველი მათგანი ხომ ე-წ. „ცუდი ბიჭის“ იმიჯით სარგებლობს, რაც გოგონათა უპრავლესობას ასე ძალიან მოსწონს“. როგორც მოკამათეთა გამონათქვამებიდან ჩანს, ისინი ფეხბურთსა და რაგბის, სპორტის სხვა სახეობებისგან სექსუალობის ნიშნით გამოარჩევენ. სხვათა შორის, ნისლიანი ალბინის სტადიონები თითქმის ყოველთვის, ბოლომდე ივსება ხოლმე, როგორც საფეხბურთო, ასევე სარაგბო მატჩებზე, თანაც მაყურებელთა საკმაოდ დიდ ნაწილს სწორედ სუსტი სქესის წარმომადგენლები შეადგენენ.

# სინდტონ–კლტგეფში მექქემებისთვის

მას შემდეგ, რაც დევიდ ბექქემი მადრიდის „რეალში“ გადავიდა, იგი მეუღლესთან ერთად სასურველი საცხოვრებელი სახლის ძებნას შეუდგა. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ვარსკვლავურმა წყვილმა ესპანეთის დედაქალაქიდან 20 კილომეტრის მოშორებით მდებარე ერთ-ერთ სახლზე შეაჩერა ყურადღება. შენობა, რომელშიც დევიდი, ვიქტორია და მათი შვილები – ოთხი წლის ბრუკლეი და ერთი წლის რომეო იცხოვრებენ, მადრიდის გარეუბან ლას-ენსინასში ესპანეთის მეფის, ზუან კარლოსის რეზიდენციის მახლობლად მდებარეობს და 6,7 მლნ ევროდაა შეფასებული. სახლში შვიდი საძინებელი ოთახი და 4 სააბაზანოა. სწორედ სააბაზანოებმა მიიქცია ყვითელი პრესის წარმომადგენელთა ყურადღება: საქმე ისაა, რომ ბექქემთა მოთხოვნით, მათ ახალ სახლში განსაკუთრებული კონსტრუქციის უნიტაზებია დამონტაჟებული. ევროპაში ამგვარი უნიტაზი „სინქრონ-კლოზეტის“ სახელითაა ცნობილი. გულის ფორმის „სინქრონ-კლოზეტი“ შეყვარებული წყვილისთვისაა განკუთვნილი და მასზე ერთდროულად ორ ადამიანს შეუძლია მოთავსება. ახალი უნიტაზის შემქმნელებს მიაჩნიათ, რომ იგი ცოლქმრული ერთგულების განმტკიცებას შეუწყობს ხელს.



# მეკეტი ობმკეტუასთან დაახლტემის შესახებ ალკპატკდა

ბორის ბეკერმა სააშკარაოზე გამოიტანა თავისი ხანმოკლე რომანის დეტალები რუს შავკანიან მოდელთან, რომელმაც ჩოგბურთელს ქალიშვილი აჩუქა. BBC-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბეკერს ანჟელა ერმაკოვასთან 1999 წლის ივნისში, ლონდონის ერთ-ერთ იაპონურ რესტორანში ჰქონდა ინტიმური შეხვედრა. ამის შესახებ საზოგადოებამ მას შემდეგ შეიტყო, რაც ერმაკოვამ სასამართლოს მიმართა და ბორისისგან ბავშვის მამობის აღიარება მოითხოვა. რა თქმა უნდა, გერმანელი ვარსკვლავი თავიდან, მამობას უარყოფდა, მაგრამ დნკ-ტესტის გავლის შემდეგ აზრი შეიცვალა. ამჯერად



კი, ბეკერმა ყველაფერი თავადვე გაამხილა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში – „შეჩერდი, წამო“... ყველაფერი მას შემდეგ დაწვებულა, რაც ბორისის უიმბლდონის ტურნირი წაუგია. მაშინ მას ორი საათის განმავლობაში უკამათია მეუღლესთან, რომელიც ფეხმძიმობის მეშვიდე თვეში იმყოფებოდა. მოულოდნელად, ბარბარას მშობიარობა დაწყო და იგი საავადმყოფოში წაიყვანეს, ბორისი კი, იაპონურ რესტორან Nobu-ში წასულა, სადაც ანჟელას შეხვედრია. „იგი ორი კვირით ადრეც ვნახე, მაშინ მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა... და აი, ისევ იქ იყო, ორჯერ ჩაიარა ბარის წინ და კვლავ ისეთივე მზერა მომაპყრო. ცოტა ხნის შემდეგ კი, ადგა და ტუალეტისკენ გაემართა. მეც უკან მივეყვი. ხუთწუთიანი საუბრის შემდეგ, უკვე სექსით ვიყავით გართულნი... ახლა ქალიშვილის სიყვარულს ვსწავლობ“, – ამბობს ბორის ბეკერი, რომელიც ცოლს სწორედ ერმაკოვასთან გაბმული რომანის გამო, 2002 წლის იანვარში გაშორდა.

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-45

დეა ავალიანს, რომელიც კარგა ხანია, მოსკოვში იმყოფება და წარმატებით უძღვება კანონიერო ქურდის — გიგოლასა და მისი პარტნიორის — ბადრი პატაროძის ტელეკომპანიის ტოქშოუს, საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი ბავშვის გაჩენა, თუმცა, დანამდვილებით თავადაც არ იცის, თუ ვისგანაა ორსულად — გიგოლასგან, მისი საყვარლის, ელას შვილის — დომასაგან თუ გურამ ოდიშელიძისგან, რომელსაც თბილისში განშორებიდან კარგა ხნის შემდეგ, რუსეთის დედაქალაქში შეხვდა.

გიგოლა, რომელზეც რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა თავდასხმა მოაწყო, გამოვიდა კომიდან და დღითი დღე, უკეთ და უკეთ გრძნობს თავს. ამ დროს, პატაროძე თავის სატელევიზო ბიზნესს ნაბიჯ-ნაბიჯ ფეხზე აყენებს და დეასაც, როგორც ყურნალისტს, გზას უკაფავს. გიგოლას ეჭვი უჩნდება, რომ მისი მკვლელობის მცდელობაში ბადრის ხელი ურევია. ის ორივეს უღრენს, პატაროძეს კი პირდაპირ უყენებს ბრალდებას. ამის გამო ბადრი დეაზე მიიტანს იერიშს: გიგოლას ჩემს წინააღმდეგ შენ განაწყობო. წინასწარობიდან გამოსული დეა იქით დაემუქრება პატაროძეს: შენი ტოქშოუდან სვალზე ნავალო. დამფრთხალი ბადრი ქალს ისევ დაუტკბება. დეა ამ მომენტით ისარგებლებს და პატაროძეს პირობას წაუყენებს: თუ გინდა, საათივით აწყობილი საქმე არ ჩავიდოდ, გიგოლა მართლა უნდა მოაკვლევინო...

ელას სიტყვებზე ბადრიმ გაოცებისგან პირი დაალო: — რ-რ-ა-ა-ა?... დეა, საყვარელო, გესმის, რას მეუბნები?... — მესმის, ბატონო ბადრი, ძალიან კარგად მესმის, — მშვიდად მიუგო დეამ. — კი, მ-მაგრამ... — ისევ ენა დაება ბადრის. — ხომ შეიძლება, შენი შვილის მამა სწორედ გიგოლა იყოს?... გამოდის, რომ საკუთარ შვილს მუცელშივე აობლებ?... — ბატონო ბადრი! — ხმაში გაღიზიანება დაეჭყო ელას. — ჩემს შვილს, როგორმე, მე თვითონ მივხედავ. თქვენ კი, მოდი, სიტყვას ბანზე ნუ მიგდებთ, რა... — ვინ?... მე-ე?... — ვითომ შეიცხადა ბადრი.



# დავკიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

## რუსულან ბერიძე

— თქვენ, აბა, ვინ?... ჯერ იყო და გაუთავებლად ჩამოიჩინებდით, გიგოლას დღეები მაინც დათვლილიაო და ახლა ლამისაა ამბრაზურასავით გადაეფაროთ... — გიგოლას ჩემი მტერი გადაეფაროს! — ხელები გაასავსავა დამფრთხალმა ბადრიმ. — მაგრამ შენ გიგოლას მოშორება ვერე ადვილი ნუ გგონია! ვერ ხედავ?... კაცს პირში სული ძლივს უდგას და მგის მტრებს შიშით მაინც ყველაფერი უკანკალებთ... — მართლა? — დამცინავად გაელიმა ელას. — თქვენ-ენც? — რა მე-ეც?... რა?... — გაღიზიანდა ბადრი. — გიგოლას დანახვაზე თქვენც ყველაფერი ვიკანკალებთ? — დამცინავი ღიმილით ვახედა დეამ და, თან, პატაროძე გულმოდგინედ ათავალიერ-ჩათავალიერა. — ის, რასაც შენ ახლა გულისხმობ, ჩემო ლამაზო, — უშნოდ გაიკრიჭა ბადრიც, — შენს დანახვაზე უფრო მიკანკალებს... — ჰოდა, თუ გინდათ, რომ ეგ უაზრო კანკალი ნაღდი სიამოვნებით შეგეცვალოთ, იმოქმედეთ, ბატონო ბადრი!.. დრო აღარ იცდის... ამ საკმოდ მოულოდნელი დიალოგის შემდეგ, დაბნეულმა ბადრი პატაროძემ დეა

ელას სახლამდე სიტყვის უთქმელად მიაცილა. მართალია, გზაში რამდენჯერმე მაინც სცადა რაღაცის კითხვა, მაგრამ რამდენჯერაც მანქანაში მის გვერდით მჯდარი ელას გამეხებულ პროფილს წააწყდა, ხელი ჩაიქნია...

ელამ ელას კარი სწრაფად გაუღო და მაშინვე აქაქანდა:

— სადა ხარ ამდენ ხანს?... შენს ლოდინში თვალები ამომიღამდა...

— სად უნდა ვყოფილიყავი? — გაუკვირდა ელას. — ტელევიზიიდან მოვდივარ... რა იყო?... მოხდა რამე?..

— მოხდა, აბა, არ მოხდა?... — ისევ განავრძო ელამ და, თან, ელას სასტუმრო ოთახისკენ გაუძღვა. — სტუმარი გელოდება...

— ვინ სტუმარი? — გააწყვეტინა დეამ და ოთახის ზღურბლს შემეცარმა გადააბიჯა.

ხმაურზე, შუა ოთახში მღვარ მაგიდასთან ზურგ შექცევით მჯდარი მამაკაცი სასწრაფოდ შემობრუნდა. მის დანახვაზე გაოგნებულმა დეამ პირი ისე დაალო, თითქოს ჰაერი აღარ ჰყოფნისო:

— გურამ?!.. შე-ენ?! შენ აქ საიდან გაჩნდი?!

არანაკლებ დაბნეულ-შეცბუნებული გურამ ოდიშელიძე მაშინვე ფეხზე წამოდგა, დეა ჯერ საგანგებოდ ათავალიერ-ჩათავალიერა, შემდეგ მზერა მის მუცელზე შეაჩერა და ძლივსაა ამოღერდა:

— გამარჯობა, დეა... როგორ ხარ?..

— როგორც მკითხულობ... — ხელები უშწევად გაშალა და მაშინვე ისევ დაუშვა დეამ. — ჩვენკენ, რა ქარმა გადმოგაგლო?..

— თქვენკენ? — კითხვა შეუბრუნა გურამმა და, თან, კარში ქანდაკებასავით უძრავად მდგარ ელას გვერდულად გახედა.

— კარგი... — მაშინვე უხერხულად შეიმბუნა ელა. — თქვენ ილაპარაკეთ, მე კი ვანხმამს მივხედავ...

ამ სიტყვების შემდეგ, ელა ოთახიდან გავიდა და კარიც მჭიდროდ გაიხურა. გურამიც მაშინვე ისევ ელას მიუბრუნდა:

— მოსკოვში საქმეზე ვიყავი ჩამოსული და...

— ა-ა... გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა დეამ. — ეტყობა, საქმეს უკვე მორჩი და იფიქრე, მოდი ახლა ცოტას კიდევ გავერთობო და მე ვაგასხენდი, ხომ?... — მოიცა!.. — გააწყვეტინა გურამმა და ხელები ისე გაშალა, თითქოს ელას გულში ჩაკვრას აპირებსო. — მე არ ვიცოდი, რომ შენ... მოკლედ, შენი ფეხმძიმობის ამბავი ორი დღის წინ გავიგე... დამიჯერე, ეს რომ მცოდნოდა, უფრო ადრე მოგნახავდი, ვაგამხნეებდი, მხარში დავიდებოდი...

— ვერ გავიგე?! — უცბად ხელის აწვეით გააჩუმა დეამ გურამი. — გამოდის, რომ ჩემი ფეხმძიმობა რომ არა, ახლაც არ გაავახსენდებოდი, ხომ?..

— არა, მე ვგ ნამდვილად არ მითქვამს... — საკუთარ ნათქვამში მეტი სიცხადის შეტანა სცადა გურამმა, მაგრამ დეამ ისევ არ აცალა:

— მერედა ჩემს ფეხმძიმობასთან შენ რა კავშირი გაქვს?..

— როგორ თუ რა კავშირი მაქვს?! — გაშრა გურამი. — შენ ხომ... ჩვენ ხომ... მოკლედ, ეს ბავშვი ხომ... — დეას გამოზბეკილი მუცლისკენ ხელი უხერხულად გაიშვირა გურამმა, — ჩემია... უფრო სწორად, ჩვენია... შენი და ჩემი...

— საიდან მოიტანე? — ხმას აუწია დეამ. — ამ ბავშვის მამა ამერიკაშია და დღე-ღამეზე მეც მასთან მივემგზავრები.

— რა-ა?! — თვალები გაუფართოვდა გურამს. — რომელი მამა?... რომელ ამერიკაში?... ეს რა თქვი?!

— რაც გაიგონე... — მაშინვე მიახალა დეამ, შემდეგ შორიანხლოს მდგარ ფართო სავარძელში მოწყვეტით ჩაჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

გურამიც მაშინვე დეასთან გაჩნდა, მის ფეხებთან ჩაცუცქდა და ისე დაიწყო:

— დეა, ძალიან გთხოვ, მომიხმინე...

— არა! — თავი სასწრაფოდ ასწია დეამ და გურამს თვალი თვალში გაუყარა: — ვერ შენ მომიხმინე და იცოდე, არ გამაწყვეტინო!

— კარგი, გისმენ, — მაშინვე დაყაბულდა გურამი.

— მაშ ასე... — დაიწყო დეამ. — ვიცი, შენთვის ამის გაგება დიდად სასიამოვნო არ იქნება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ამ ბავშვის მამა შენ არა ხარ...

— არ მჯერა! — მაინც გააწყვეტინა გურამმა.

— ეგ უკვე მხოლოდ შენი პრობლემაა...

— მაინც არ მჯერა! — თავისას არ იშლიდა გურამი.

— გურამ, გეხვეწები! — აკანკალებული ხელები ყურებზე მიიჭირა დეამ. — დღეს ისედაც მძიმე დღე მქონდა და შენ მაინც ნულა მიმატებ... წადი...

— სად წავიდე?! — დაბნეულად ჰკითხა გურამმა.

— საიდანაც მოხვედრი... დამიჯერე, ყველასთვის ასე აჯობებს...

— კარგი, წავალ! — ფეხზე ნელ-ნელა წამოდგა ნირწამხდარი გურამი. — მაგრამ, მანამდე, მინდა, ერთი რამ მაინც ავიხსნა... მაშინ რომ შეგპირდი, გიგოლასთან ყველაფერს გავარკვევ-მეთქი, გავარკვევი, მაგრამ მერე საქმე ისე წავიდა, რომ...

— არ მაინტერესებს! — გააწყვეტინა

დეამ. — წავიდა და წავიდა!.. როგორც ასეთ შემთხვევაში რუსები იტყვიან ხოლმე **ЭТО ТОЛЬКО К ЛУЧШЕМУ.**

— ძალიან გთხოვ, დამამთავრებინე...

— მეც ძალიან გთხოვ, აღარ გააგრძელო... — ფეხზე წამოდგა დეაც და ფანჯრისკენ შებრუნდა. — ხომ გითხარი, დაღლილი ვარ და დასვენება მჭირდება-მეთქი...

გურამმა ზურგშექცევით მდგარ დეას თვალი ერთხელ კიდევ შეავლო და ოთახიდან უსიტყვოდ გავიდა. კარის გაღების ხმაზე სამზარეულოდან ელამ გამოიხედა:

— უკვე მიდიხარ? — შეწუხდა იგი. — რა გეჩქარება?.. ვასშამი თითქმის მზად მაქვს...

— ნუ წუხდებით, ქალბატონო... — დაიწყო გურამმა.

— ელა, — სასწრაფოდ შეაშველა ელამ.

— დიას, ქალბატონო ელა... მაპატიეთ... სახელებს ძალიან ცუდად ვიძახსოვრებ... ძალიან დიდი მადლობა და კარგად ბრძანდებოდეთ...

— კარგად ბრძანდებოდეთ... — კარამდე მიაცილა გურამი ელამ და როგორც კი კარი საგულდაგულოდ გადაარაზა, მაშინვე სასტუმრო ოთახში შეკარდა. დეა ისევ სავარძელში ჩაძვლარყო და მოპირდაპირე კედელზე ერთ წერტილს მიშტერებოდა. ელა მას მოუახლოვდა და თვალბრუნებით თითები გაუტკაცუნა:

— ეი, გოგონი, გამოფხიზლდი!.. მაინც რა გითხრა ამ კაცმა, ასე რომ გამოგაშტეტრა?

— ისეთი არაფერი... — რაღაცნაირად, განყენებულად უპასუხა დეამ.

— ასეთი?..

— არც ასეთი...

— **Ври побольше!** — მაშინვე ღლინჯი შემოიყარა ელამ. — ელას შენ მოატყუებ?... რომ დაიხანუ, ისე გაფითრდი, თითქოს, მოჩვენება გამოგეცხადაო... მაინც ვინ არის ეს კაცი, რომ ასე დაგმოკა?

— არის რა...

— ისე, ძალიან სიმპათიური კია...

— არის რა...

— შენ რა ძველი ბიჭვით ავდებულად ისვრი სიტყვებს?! — გაცხარდა უცბად ელა. — აბა, ახლავე მორჩი სისულელეებს და წესიერად ამიხსენი, ვინ არის ეს კაცი და სადარბაზოსთან მთელი საათი რატომ გიცდიდა?

— მიცდიდა და მიცდიდა! სახლში რისთვისდა ამოიყვანე?! — იქით შეეღავა დეა.

— გაგიჟდი, ბავშვო?! — შეიცხადა ელამ. — კაცმა, თურმე, შენ სანახავად, ათასობით კლომეტრი გამოიარა და მე სახლშიც არ შემომეშვა?

— ჩემს სანახავად არა, კიდევ ის... —

ხმას აუწია დეამაც. — საქმეებზე იყო ჩამობრძანებული და ყველაფერი რომ მოილია, მერე მეც გაავახსენდი...

— გაახსენდი თუ სულ ახსოვდი, მაგას ახლა ჩვენ ვერ გავარკვევთ. მაგრამ ფაქტია, რომ როგორც კი შენი ტოქმოუ უნახავს, მაშინვე შენი ძებნაც დაუწყია...

— რაო?... ტოქმოუ ასე ძალიან მომეწონაო?

— ნუ „იაზვობ“, რა... იცი, თვითონ რა თბილად გისხენებდა?... დიდი ხნის მეგობრები ვართ, მაგრამ რაც თბილისიდან წამოვედით, ერთმანეთი დავკარგეთ და ძალიან მიხარია, რომ ახლა, ამ მოუს დახმარებით, დეას ნახვის საშუალება ისევ მომეცაო... თქვენთან, სტუდიაში, დაურეკავს და ჩვენი მისამართიც იქ მიუციათ.

— ძლიანაც ცუდად მოქცეულან, — თავისას მაინც არ იშლიდა დეა. — ხვალ რომ მივალ, ყველას გავაფრთხილებ, რომ ჩემი კოორდინატები არასდროს არავის მისცენ.

— მოდი, ნუ მიეღ-მოეღები და პირდაპირ მითხარი, ძალიან გიყვარს? — უცბად, ჯიქურ ჰკითხა ელამ დეას და თან, თვალი თვალში გამოძვლელად გაუყარა.

დეა მაშინვე გაწითლდა და თვალბრუნებით დამნაშავესავით დახარა:

— მიყვარს არა, კიდევ ის... საიდან მოიტანე?..

— გამოტყდი, ფეხმძიმელაც მაგივან ხარ ხომ? — მაინც ჯიუტად განაგრძობდა დაკითხვას ელა.

— არა... არ ვიცი...

— არა ხარ თუ არ იცი?

— არ ვიცი...

— გადავირიე და ეგაა! — თავზე ხელები წაივლო ელამ და ოთახში ნერვიულად გაიარ-გამოიარა. — ბავშვო, ზემოთ თუ მართლა არ იცი, ეს ბავშვი ვისგან გეყოლება?! შენ რა?... მთელი მოსკოვი ხომ არ გეწვა ლოგინში, რომ ველარ არკვევ, ვინ დაგაორსულა?..

— მთელი მოსკოვი — არა, მაგრამ სამი კაცი კი ნამდვილად...

— სამიო?... — გაწიწმატდა ელა. — ერთი ესეც მიბრძანე ქალბატონო, ჩემი დიმა მერამდენე იყო?

— დიმა?... — ისე იკითხა დეამ, თითქოს ეს სახელი პირველად ესმისო.

— ჰო, დიმა! რას დაიბენი?... მოიცა, მოიცა!.. იქნებ, ჩემს ბიჭთან სექსი საერთოდ არ გქონია და ამდენ ხანს უბრალოდ მასულელეები?..

— ელა, გეხვეწები! — თავი ხელებში ჩარგო აჭარხლებულმა დეამ.

— სულ ტყუილად მეხვეწები!.. ან სიმაართლეს მეტყვი, ეს ბავშვი ვისია, ან არა და...

— კარგი, ვეტყვი... — გააწყვეტინა დეამ.

— მაღლობა ღმერთს, ჭკუაზე მოხვედი! ვისმენ! — ისევ ღონივრი შემოიყარა ელამ.

— ეს ბავშვი... — ენის ბორძიკით დაიწყო დეამ. — ან გურამისაა, ან დიძისა და ან...

— ან ვისი?... მესამე ვინდა?... — თვალები გაუფართოვდა ელას და თან, გულზე ხელი იტაცა. — არ მითხრა ახლა, რომ...

— მესამეს შენ არ იცნობ, — ამ სიტყვებს გულიც კინაღამ თან ამოაყოლა დეამ და ცრემლები წასკდა.

— კარგი, კარგი, დაწყნარდი... — მაშინვე გული მოუღება ელას და დეა თავისკენ მიიხიდა. — თუ არ ვინდა, ნუ მეტყვი... ისე, ქალი შეიძლება, ყველანაირ ანგარიშში შეცდეს, მაგრამ დამიჯერე, რა, გული არასოდეს ატყუებს...

— ნეტავ, აქ გული რაღა შუაშია? — ცრემლი მოიწმინდა დეამ.

— მითხარი, გურამი რომ დაინახე, გული რაღაც სხვანაირად არ შეგიქანდა?

— რა სხვანაირად, ელა, რაებს იგონებ? — ისევ გაბრძოლა დეამ.

— ყველაფერი გასაგებია... — დეას პროტესტს ყურადღება აღარ მიაქცია ელამ. — ისე, მართალი ვითხრა, ძალიან მწყდება გული... უკვე როლში შევედი... თავი ბებიად წარმოვიდგინე და HATE! — ცამოწმენდილზე მამიკო არ გამოგვეცხადა?... თანაც, უკვე, მიღად მზამზარეულზეც არ მობრძანდა?..

— როგორც მობრძანდა, ისე წაბრძანდა... — გააწყვეტინა დეამ.

— ან წაბრძანდა და ან — არა... — სევდიანად გაელიმა ელას. — შენ კაცები მთლად ეგეთი მარტივი არსებები არ გეგონოს?! კაცს თუ არ უნდა, თოკიც რომ გამოაბა, მაინც გაგექცევა, მაგრამ თუ მართლა უნდისხარ და თან, იმის დიდი ეჭვიც აქვს, რომ რაღაცას შეგნებულად უმაღლავ, აგრესიულზე აგრესიული ხდება და უკან აღარაფერზე იხვეს... შენ კი, ჩემო გოგონი, შენს გურამიკოში სწორედ ეგეთი აგრესორი გააღვიძე...

ელას სიტყვა ტელეფონის ზარმა გააწყვეტინა.

— მიდი ერთი ნახე, ვინ ემშაკი რეკავს, — უთხრა ელამ დეას და თავად მაგიდას მიუჯდა.

დეამ ოთახის შორეულ კუთხეში მდგარი ტელეფონის ყურმილი აიღო:

— დიანხ... — ჩასძახა მან ყურმილში. — კი, მე ვარ... კი, ელაც სახლშია. როდის?.. მოვალთ... ჰო, კარგი, მარტო მე მოვალ...

— ვინ არის? — დაინტერესდა ელა.

— ამასობაში დეამ ყურმილიც დაკიდა: — ჯაბა რეკავდა...

— ჯაბა?... რა უნდოდა?... ხომ მშვიდობაა?..

— კი... ყველაფერი რიგზეა... უბრალოდ,

ხვალ გიგოლა თავისთან მიბარებს და აუცილებლად უნდა მოხვიდეთ, გამაფრთხილა.

— მე არ მიბარებს ვაჟბატონი? — გაღიზიანდა ელა.

— არა, შენ — არა, — მშვიდად მიუგო ჩაფიქრებულმა დეამ. — შენ ხომ ისედაც ყოველდღე დადისხარ იქ...

— აბა, ჯაბამ მე რატომღა მიკითხა?

— უბრალოდ, ანტერესებდა, სახლში მარტო ხომ არ ვიყავი...

— უფ-უფ... როგორ ზრუნავენ ბიჭები შენს უსაფრთხოებაზე?..

— რატომ მარტო ჩემზე? ორივეზე ზრუნავენ...

— ვიცი, მე მაგათი ზრუნვა... — ხელი ჩაიქაა ელამ. — წამო, სამზარეულოში, ვივან-შშით, ბოლოს და ბოლოს!..

მეორე დღეს გიგოლას სანახავად მისულ დეას ბადრი პატარიძეც ფეხდაფეხ მიჰყვა. დეას გვერდით ბადრის დანახვაზე გიგოლას დამცინავად გაელიმა.

— რა ერთად მოცქრილდით?... არ მითხრათ ახლა, შემთხვევით მოხდაო...

— მე აქ შემთხვევით კი არა, შენი ბრძანებით მოვედი, — გააწყვეტინა გიგოლას დეამ.

— სხვა დროს რიგრიგობით შემოდით ხოლმე, — დეას სიტყვები თითქოს არ გაუგონიო, ისე განაგრძო გიგოლამ, — თორემ, ერთად რომ გხვდავთ, თავში ძალიან ბოროტი აზრები მოძდის.

— კარგი, რა, გიგი, — მლიქვნელურად გაელიმა ბადრის, — ნუ გვაშინებ... რა დროს ბოროტი აზრებია, კაცი სიხარულით აღარა ვარ...

— ასე მაინც რა ვიხარია? — შეუღრინა გიგოლამ.

— შენი კარგად ყოფნა, ჩემო გიგი, სხვა რა უნდა მისხაროდეს?... — პირფერიბას განავრძობდა ბადრი.

— მერე?

— ამას რაღა მერე უნდა? — ხელები დაბნეულად გაშალა ბადრი.

— ეი, ვაჟკაც, აბა, ერთი კარგად შემომხედე! — ბოროტად გაელიმა გიგოლას. — არ იცი, რომ ჩემი კარგად ყოფნა, ბერისთვის ცუდად გახდომის ნაღდი ნიშანია?!

— არის და იყოს! — იხტიბარი არ გაიტეხა ბადრი. — შენ იყავი კარგად და მაგათ ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ.

— შენი თავიც მიაყოლე?

— ჩემი თავი? — შეცბა ბადრი. — კარგი, რა, გიგი, მე რაღა დავიშავე?

— გეტყვი, ბიჭი, გეტყვი... — ჩაიქრქილა გიგოლამ. — ნუ ჩქარობ... ჯერ ქალბატონ დეას დაველაპარაკები, შენ კი გარეთ დამე-

ლოდე. ოღონდ, იცოდე, შენებურად არ გამზე, სადმე, შენთანაც კი ხნის საბაზრო მაქვს...

— კი, გენაცვალე! — მაშინვე სიხარულით დათანხმდა ბადრი. — სად უნდა გავმზე, ხუმრობ?... იცი, რამდენი გასარკვევადასაწყვეტი საქმე დამიგროვდა?

— ნუ ნერვიულობ, ყველაფერს უცბად „გაგაიანებ“. — დაამშვიდა ბადრი გიგოლამ. — ახლა კი მოუსვი აქედან!

ბადრი პალატიდან წელში მტვრევითა და ხელების ფშენვით გაიძურწა. დეა კი ისევ ისე გაშემუბული იდგა, თითქოს ერთ ადგილზე მიაღურსმენსო.

— ახლოს მოდი, ნუ გემინია, არ შეგჭამ, — შეაგულიანა ის გიგოლამ.

— ვინ ვითხრა, რომ მეშინია?

— ფერი რომ აღარ გადევს, ლამაზო?..

— უბრალოდ, ცოტა უღონოდ ვგრძნობ თავს და მეტი არაფერი...

— აბა, რა გეგონა?... ხომ გეუბნებოდი, შეეშვი ბავშვების წალმა-უკულმა გაჩენას-მეთქი?! რომ დაგვეჯერებინა, ხომ იქნებოდი ახლა ჩიტივით!

— არა უშავს, ცოტა ხანში ისევ ჩიტივით ვიქნები! — დაამშვიდა დეამ გიგოლას.

— მართლა?... — ბოროტად გაელიმა გიგოლას. — გამახსენე ერთი, როდის უნდა გააჩინო ვე ნაბიჭვარი?

— რა თქვი? — სახე მოერყა დეას.

— რა იყო?... ორსულობამ სმენაც დაგიქვითა?... მაგ ნაბიჭვარზე გეკითხები, — დეას მუცელს თვალით ბურღვა დაუწყო გიგოლამ.

— თუ ამის გარდა სალაპარაკო არაფერი გაქვს, მე წავედი, — კარისკენ შებრუნდა დეა.

— იდექი მანდ! — შეუღრინა გიგოლამ.

— როცა სიმართლეს გეუბნებან, მოისმინე მაინც... ეგეთი მკვრივლი მაშინ რომ ყოფილიყავი, როცა ხან ერთ კუროს უგორდებოდი ლოგინში და ხან — მეორეს, იქნებ, ეგ ღიპიც აღარ დავდებოდა...

— მორჩა! — გააწყვეტინა დეამ. — შენი ბინძური სიტყვების მოსმენას აღარ ვაპირებ. წავედი!

— მე სიტყვები მაქვს ბინძური, შენ კი თავიდან ფეხებამდე სიბინძურეში ცურავ! გეგონა, ვერაფერს გავიგებდი?... ერთი აღარ იკმარე და სამ კაცს ჩამოურივე?... ნეტავ, შენ თვითონ თუ იცი, ეგ ნაბიჭვარი ვისგან გვაყვს?..

— კი, ვიცი! — უცბად ხმაში ლითონი ჩაუდგა დეას და გიგოლას თვალი თვალში გაუყარა.

— რას მეუბნები?... მართლა?... — ისევ ავდებულად ჰკითხა გიგოლამ. — საინტერესოა, მაინც როგორ გარკვეი?... შენს კუროებს თავიდანვე გრაფიკი ხომ არ შეუდგინე: თვის დასაწყისში შენ მიხმარ,



თვის ბოლოს – შენ, შუალედებში კი, გიგოლაო?..

– დამშვიდდი, – მაინც არ შეეპუა დეა. – ჩემს კუროებს, როგორც შენ გურამს და ღიბას ეძახი, გრაფიკის შუღუნა ნამდვილად არ დასჭირვებიათ, დროში ორივე ჩინებულად ეტეოდა. აი, შენ კი, ყოველთვის ყველანაირი გრაფიკიდან წინასწარვე იყავი ამოვარდნილი და ყველგან ძალად ეტეებოდი.

– უხ, შენი დედა... შე ნაბოზრო!.. – ჩაიღძვლა გიგოლამ და ლოგინიდან წამოიწია. დეამ მაშინვე ინსტინქტურად უკან დაიხია, თუმცა ენა მაინც არ გაუჩერებია:

– მე უფრო ადრე განანბე! – კბილებში გამოცრა მან. – იცოდე, როგორც არ უნდა ამოგხდეს სული, ვისი ხელითაც არ უნდა მოკვდე, შენი მკვლეელი მაინც მე ვიქნები! ამ სიტყვების შემდეგ დეა პალატიდან დემონსტრაციულად გავიდა.

– რა ფერი გადევს? – მაშინვე დაეხებრა მას ბადრი, რომელიც მანამდე დერეფანში ნერვიულად ბოლთას სცემდა. – ხომ არ იჩხუბეთ?

- არა, – მოკლედ მოუჭრა დეამ.
- აბა, რა მოხდა?
- არაფერი.
- გიგოლა როგორ ხასიათზეა?
- ღრენის.
- ძალიან ცუდი... ძალიან... – დაბნეულად ჩაილაპარაკა ბადრი.

– მაგრამ რა გაეწყობა?... სადაც ვიწროა, იქ გაწყვეს!.. შევალ და ერთხელ და საბუღალოდ გავარკვევ, ჩემგან რა უნდა?..

ბადრიმ პალატის კარი ოხვრა-ხვნეშით შეაღო და ზღურბლზევე შედგა:

- გიგი, ძმაო, უკვე შეიძლება, ხომ?
- შენთვის უკვე ყველაფერი შეიძლება, დროზე შემოეტიე! – უპასუხა გიგოლამ. ბადრი მაშინვე პალატაში შეიჭურწა და გიგოლას საწოლის რკინის თავი ორივე ხელით ჩაბლუჯა:

– დღეს უკვე ნამდვილად კარგ ფერზე ხარ, ჩემო გიგი... – შეპარვით დაიწყო მან.

– გინდა, შენც უცბად მოგიყვანო ფერზე? – გააწყვეტინა გიგოლამ.

– რაზე უნდა მომიყვანო? – ნერწყვი ძლივს და გადაყლაპა გიგოლამ.

– ანგელოზების დაფრთხობა ხომ არ მოგენატრა-მეთქი? – დაუზუსტა გიგოლამ.

– კარგი, რა, გიგი, მე კიდევ დაფრთხობა მინდა? – გულზე ხელი იტაცა ბადრი. – წუხელ ისედაც დავაფეთე ცოლ-შვილი: ორასამდე ამივარდა წნევა...

– მანამდე რამდენი გქონდა? – აგდებულად ჰკითხა გიგოლამ.

– მანამდე?... კაი ხანს ას ოცდაათს არ ასცილებია...

– კაი ხანს შენი მაყუთიც არ ასცილებია ას ოცდაათს... ახლა კი, მგონი, უკვე მილიონებსაც ღუნავ...

– რომელ მილიონებს?... – ხელები გაასავსავა ბადრი. – საიდან მოიტანე?..

– მართალი ხარ, ფული მე მოვიტანე, შენ კი მილიანად ლაჯებში ამოიდე! – ისევ შეუღრინა გიგოლამ. – ასე მაინც რამ გაგაღორა?... ბიჭებს მაინც ვერ მიეცი თითო კაპიკი?..

– რა უნდა მიმეცა, გიგი?... საიდან?... როგორ?... – ხელები უშწევდ გაასავსავა ბადრი. – შენ დღეს მოსკოვში ტელევიზიის ფუნზე დაყენებას ეხუმრები?... იცი, მართლ დეას ტოქმოში რამხელა ფული ჩაყვარე?..

– უკან რამდენი ამოყარე?... აბა, ისიც ჩამოყაჭე!..

– ბევრი არაფერი, შვილებს გეფიცები!.. ეს გადაცემა ჯერ ბოლომდე საკუთარ თავსაც კი ვერ ინახავს... იცი, ხალხს რა გროშებს ვუხდი?

– რას მეუბნები? – ბოროტად გაეღიმა გიგოლას. – დეასაც?

– დეას? – დაიბნა ბადრი. – დეას – არა... დეას ასე, კვირაში 200-300 დოლარიც კი გამოსდის... დანარჩენებს...

– დანარჩენები მერე იყოს, – გააწყვეტინა გიგოლამ. – ახლა ასე ვქათ: ხვალ-ხვ, ალბათ, აქედან გამომიშვებენ... მე თვითონ მოვალ ტელევიზიაში და იქ გავარკვევთ ყველაფერს. მანამდე კი, დაჯექი და ყველაფერი კაპიკ-კაპიკ ჩამოყარე და დაიანგარიშე...

– კი, გენაცვალე... – მაშინვე აიტაცა ბადრი. – შენი ხმალი და ჩემი კისერი!

– კისერი იცოცხლე, ჯანიანი გაქვს... –

უთხრა გიგოლამ, – მაგრამ თუ კიდევ რამეს იახვრებ, თავი მხრებზე ნადლად აღარ შეგრჩება!..

საავადმყოფოს ლიფტიდან გამოსულმა დეამ საკუთარი ძმა, თემო დაინახა. მას სახეზე ფერი არ ედო, ყბები ჩასცვენოდა, თვალები კი ავადმყოფურად ულაპლაპებდა.

– თემო, შე-ენ? – შეიცხადა დეამ. – რა დაგემართა? ავად ხომ არა ხარ?

– საიდან მოიტანე? – უხერხულად შეიმშუშნა თემო. – უბრალოდ, წუხელ არ მძინებია და...

– რატომ არ გეძინა?... ვის უთიე ღამე?... – გიგოლას.

– მერე დღეს მაინც ვერ გამოიძინე?... ისევ აქ რა მოგარბენინებდა?..

– გიგოლასთვის მაქვს რაღაც სასწრაფოდ სათქმელი... მერე მართლა წავალ და დავიძინებ... შენ საით მიღისარ?

– ტელევიზიაში, ჩაწერა მაქვს.

– დამელოდე და მე წავიყვან. ჯაბამ თავისი მანქანა მათხოვა.

– კარგი, დაგელოდები...

სანამ დეა თემოს ელოდებოდა, ლიფტი ხმაურით გაიღო, იქიდან აჭარხლებული ბადრი პატაროდე გამოვარდა და იქვე მდგარ დეას შურდულივით ჩაუქროლა.

– ბატონო ბადრი! – დაადევნა დეამ. – ასე, მაინც, საით მიგეჭქარებათ?

დეას ხმის გაგონებაზე ბადრი ისე უცბად შედგა და ასევე უცბად შემობრუნდა:

– ჯანდაბაში, ჩემო დეა, ჯანდაბაში! შენ ვიღას ელოდები?

– თემოს, ჩემს ძმას, ტელევიზიაში უნდა წამიყვანოს...

– ტელევიზიაში?... ჰო-ჰო, კარგია, შენ ტელევიზიაში წადი, მე კი ჩვენს მთავარ საქმეს მივხედავ...

– რომელ მთავარ საქმეს?

– სულ მალე გაიგებ, რომელსაც... – ბოლმიანად ჩაიბურტყუნა ბადრი და საავადმყოფოდან აქომინებული გავარდა...

საღამოს შინ დაბრუნებულ დეას კარი სახედახოკილმა და თმაგაწვილმა ელამ გაუღო.

– ელა, რა დაგემართა? – შეიცხადა დეამ.

– მე ჯერ არაფერი, – მაშინვე ცრემლი წასკდა ელას.

– აბა, ვის? – შიშით გული გადაუქანდა დეას. – ღიბას?

– არა, გიგოლას.

– გიგოლას რაღა მოუვიდა? ამ დილით მშვენივრად იყო...

– ამ საღამოს კი, პალატაში შეუცვივდნენ და მხეცურად მოკლეს! – თავში ხელები წაიშინა ელამ...

დასასრული შემდეგ ნომერში

# ბილი სკოტის „ციურ სემუელს“ იღებს

26 წლის ბრიტანელ მსახიობს ორ-  
ლანდო ბლუმს, რომელმაც „ბეჭდებ-  
ის მბრძანებელში“ ლეგოლასის როლი  
შეასრულა, „გლადიატორის“ რეჟისო-  
რმა რილი სკოტმა მთავარი როლი  
შესთავაზა თავის ახალ ეპიკურ ფილმ-  
ში – „ციური სამეფო“.

სურათში მოქმედება XII საუკუნეში –  
ჯვაროსნული ლაშქრობის  
დროს ვითარდება.

ბლუმი ფილმში ახალგაზრდა გლე-



ხის როლს შეასრულებს, რომელიც  
რანდი ხდება და იერუსალიმის მცხ-  
ოვრებლებს ჯვაროსნებისგან იცავს.  
ამასობაში მას პრინცესა შეუყვარდ-  
ება. 20th Century Fox-ის სტუდია  
ფილმის წარმოების დაწყებას 12 იან-  
ვარს აპირებს. გადაღებები მაროკოში  
მოეწყობა, სადაც სკოტმა უკვე ორი  
ფილმი გადაიღო – „გლადიატორი“  
და „შავი მიმინო“, რომელშიც, სხვა-  
თა შორის, ასევე თამაშობდა ორლან-  
დო ბლუმი.

ფილმის ბიუჯეტი 100 მლნ დოლარს  
გადააჭარბებს.

# ჯადო ლთქ ცელს შუქრაცხეთას აყნობდა



ჯადო ლოუ და მისი მეუღლე, მსახიობი  
სელი ფროსტი გაიყარნენ. ამ ამბავში გასაკვი-  
რი ის არის, რომ ჯადო კიდევ ერთი წლის  
წინ, მეუღლეები ერთმანეთს სიყვარულს ეფი-  
ცებოდნენ და აცხადებდნენ, რომ მუდამ ერთად  
იქნებოდნენ, მით უმეტეს, რომ სამი შვილიც  
ჰყავთ. მაგრამ ახლა, მოულოდნელად ირკვევა,  
რომ ერთად გატარებული ექვსი წლის  
მანძილზე, ჯადო სასტიკად შეურაცხყოფ-  
და საბრალო სელის. განქორწინების

საქმესთან დაკავშირებით მიცემულ ჩვენებაში სელი ირწმუნება, რომ ჯადოს ქცევამ იგი  
შშობიარობის შემდგომ დეპრესიაში ჩააგდო, რის გამოც მან სამჯერ ამოყო თავი  
საავადმყოფოში. ჯადოს თქმით კი, მისმა ყოფილმა ცოლმა ეს ყველაფერი იმ მიზნით  
დაწერა, რომ იცოდა – ინფორმაცია გაზეთებში გაეყარა.

რაც შეეხება განქორწინების დოკუმენტს – იგი სულ 70 წამში გაფორმდა, ამ  
დროს სასამართლოში არც ერთი მხარე არ იმყოფებოდა.

# აზია ატჯუნტო მეთქ თილმს იღებს


ცნობილი რეჟისორის დარიო არჯენტოს ქალიშვილს, აზია არჯუნ-  
ტოს, პოლიუდში არა მხოლოდ როგორც მსახიობის ამპლუაში აქვს  
წარმატებები („XXX“). როგორც რეჟისორმა,  
მან ქალაქ ნოქსვილში (ტენესის შტატი) მე-  
ორე ფილმის გადაღება დაიწყო.

სურათის სახელწოდებაა – „ყველაზე მეტად  
გული გაცდუნებს“. ეს ამერიკელი მწერლის  
ჯ.ტ. ლე როის მოთხრობების ეკრანიზაცია იქნება.  
თავად აზია ფილმში მეძავის როლს შეასრულებს.  
გარდა ამისა, მან სურათში რამდენიმე არაპრო-  
ფესიონალი ახალგაზრდა მსახიობი მიიწვია.  
აზიამ ბებიისა და ბაბუის როლების თამაშზე  
პიტერ ფონდა და ორნელა მუტი დაითანხმა.  
ფილმში სხვა ცნობილ მსახიობებთან ერთად,  
სკანდალურად ცნობილი როკმომღერალი მერი-  
ლინ მენსონიც მიიღებს მონაწილეობას.



# ნოთქ, აგნცი 007 ავსცდალიელი გახდება?!

ჟურნალმა – NW Magazine გაავრცელა ჭორი, თითქოს უკვე ცნობილია იმ  
მსახიობის ვინაობა, რომელიც ბოროტმოქმედებთან ბრძოლის ესტაფეტას პირს ბრო-  
სნანს ჩამოართმევს. ამ როლზე მომავალ პრეტენდენტთა სიას სათავეში მოექცა  
ავსტრალიელი მსახიობი ჰიუ ჯექმანი, რომელიც ყველასთვის ცნობილია ფილმიდან  
„იქსის ადამიანები 1-2“. მისი ინგლისელი კოლეგები – ჯერემი ნორტჰემი და პოლ  
ბეტანი კი, რომლებიც ასევე გადაიღეს კინოსინჯებზე, დაიწუნეს.



როგორც რეჟისორმა ლუი გილბერტმა  
ფილმთან დაკავშირებით მიცემულ ინტერვიუ-  
ში აღნიშნა: „ამ როლისთვის ძალზე ახალ-  
გაზრდა მსახიობი, რა თქმა უნდა, არ გამოდგე-  
ბოდა, ხოლო ისეთი სუპერგარსკვლავის მოწვე-  
ვა, როგორც ვთქვით, რასეულ ქროუა, მისი  
საოცრად გადატვირთული სამუშაო გრაფიკის  
გამო, ძალზე რთული იქნებოდა. ამიტომ ვფიქრობ,  
რომ ჰიუ ჯექმანი, ყველაზე მეტად მისაღები  
კანდიდატურაა“.

**ნომის ტელეფონი**  
**ქონსუტაცია**  
**ინტიმი (18 წლიდან)**

☎ 822 009 005

„მეუტი“ „ჯეისელი“  
„მეგაკომი“ – 0,70 ლ.  
თბილისი – 0,45 ლ.  
რაიონები – 0,65 ლ.



# კლუნის „იფალირტი ციემ-ცხელმა“ შოკადა



როგორც HTB-ის ტელეარხი იტყობინება, ჯორჯ კლუნი თანდათანობით, იტალიელი ხდება. იგი სწრაფი ტემპით სწავლობს იტალიურ ენას და პირს იტკბარუნებს იტალიური სამზარეულოს კერძებით. საქმე ის არის, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავებს ბოლო დროს, ეგრეთ წოდებული „იტალიური ციემ-ცხელმა“ შეეყარათ. გამონაკლისი არც კლუნი აღმოჩნდა. ცნობილმა მსახიობმა საზაფხულო რეზიდენციაც კი შეიძინა კომოს ტბაზე.


კლუნის აზრით, ყველაფერ ამას განსაკუთრებულ რომანტიკას ერთი უჩვეულო „რიტუალიც“ სძენს – ყოველ დღით, ეზოდან მის საძინებელში ოთხი იხვი შემოდის და აღვიძებს.

# მეგ ტაიანი „პატრინსონის დაჯილდოებას“ უბნ იფანს

ჯეინ კემპიონის პროვოკაციული ტრილერი – „პატარა ამონათალი“, რომელიც ჯერჯერობით აშშ-ის მხოლოდ რამდენიმე კინოთეატრის ეკრანზე გადის, კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. რაც შეეხება მეგ რაიანს, რომელმაც ფილმში შესრულებული როლით, ჩვეული რომანტიკული იმიჯი შეიცვალა და აშკარად მოულოდნელი სახით წარდგა მაყურებლის წინაშე, არა მარტო ფილმის დასაცავად, არამედ მისი პიროვნული ხელშეუხებლობისთვისაც უწევს ბრძოლა. ვარსკვლავი სასტიკად გაუჯავრდა მისი თქმით, „მაღზე აგრესიულ“ ტელერეპორტიორ მაიკლ პარკინსონს, რომელიც საკმაოდ არაეთიკურ კითხვებს უსვამდა მას ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებით. მსახიობი იძულებული შეიქნა, მოკლედ პასუხები გაეცა აბეზარი ჟურნალისტისთვის, რათა დროულად მოეშორებინა იგი თავიდან.



# ჯასტინი მაგალითს მონტსგან იღებს



ჯასტინ ტიმბერლეიკი და მისი ელიოტი საქველმოქმედო სიმღერის – The Wald is ours ჩაწერას აპირებენ. ეს საქვეყნოდ ცნობილი We are the World-ის რიმეიკი იქნება, რაზეც მისმა პროდიუსერმა ქუნსი ჯონსმა თანხმობა მისცა. ჯასტინს სურვილი აქვს, სიმღერის ძირითადი თემა შეინარჩუნოს, თუმცა ფიქრობს, რომ იგი გაათანამედროვოს. „როგორც ქუნსი ჯონსმა, ლაიონელ რიჩი და მაიკლ ჯექსონმა, ჩვენც ასევე შევქმნით ყველაზე ნიჭიერ თანამედროვე მომღერალთა გუნდს, რომელიც მთელი მსოფლიოს ყურადღებას მიაპყრობს შიდსის ეპიდემიას“, – განაცხადა ტიმბერლეიკმა. ამ ნიჭიერ მომღერალთა რიგებში სავარაუდოდ, მსოფლიო მასშტაბის სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად აქტიურად მებრძოლი ბონოც იქნება, რომელიც მსგავს პროექტებში ყოველთვის მონაწილეობს.

# „ამმას“ ვაბსკულაუის დამბრუნება

ცნობილი შვედური კვარტეტის ქერათმიანი მომღერალი აგნეტა ფალტსკოვი 1987 წლიდან პირველად, თავისი სოლო ალბომის ჩაწერას აპირებს, რაც საგაიხოდ, მარტისთვის აქვს დაგეგმილი.

აგნეტას, რომელიც ახლა 53 წლისაა, 16 წლის განმავლობაში არაფერი შეუქმნია. 1987 წლის შემდეგ, როცა მისი ალბომი I stand alone გამოვიდა, მომღერალი, რომელიც ერთ დროს პოპჯგუფის სხვა დამაარსებლის, ბენ ულვეუსის მეუღლე იყო, შვედეთის ერთ-ერთ კუნძულზე განმარტოებით ცხოვრობს. ახალ ალბომზე ფალტსკოვმა მუშაობა სამი წლის წინ დაიწყო, მაგრამ როცა მისი ხმის ჩამწერი სტუდიის ინჟინერს ინსულტი დაემართა, მუშაობის შეწყვეტა მოუხდა.

„ვიმედოვნებ, რომ ალბომს მარტში გამოვუშვებ“, – აღნიშნავს მომღერლის ხმის ჩამწერი კომპანიის ხელმძღვანელი სტაფან ლინდე და დასძენს, რომ ფალტსკოვი კმაყოფილია პროექტზე მუშაობით.

მომღერლის ბოლო ალბომმა (1988 წ.) ამერიკულ ჰიტ-ალბუმზე მე-19 ადგილი დაიკავა. სოლო იმ წლებში, როცა აგნეტა ბიერგთან, ბენისა და ანი-ფრიდთან ერთად მოლვაწობდა, „აბბა“ ბრიტანეთში (1974-1982 წწ.) 9-ჯერ გავიდა პირველ ადგილზე.



# XXI საუკუნის

# Mercedes




ოქტომბრის დამლევს, იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართული ავტოსალონის დამთვალეიერებელთა წინაშე, მსოფლიოს წამყვანმა ავტომწარმოებლებმა თავიანთი უახლესი მოდელები წარმოადგინეს. ტრადიციისამებრ, ტონის მიმცემები ამ სალონზე აზიური ფირმები იყვნენ, თუმცა, არც ევროპელებს შეურცხვენიათ თავი. მაგალითად, კორპორაცია „დაიმლერ კრაისლერმა“ სწორედ ტოკიო აირჩია საიმისოდ, რომ ეჩვენებინა, თუ როგორია მისი წარმოდგენა XXI საუკუნის ავტომობილზე. გერმანულ-ამერიკული ავტოგეგმვის ახალ პროექტს Mercedes F500 Mind ჰქვია. ჯერჯერობით, ის ექსპერიმენტული მოდელის სახით არსებობს, მაგრამ სპეციალისტების აზრით, მასში გამოყენებულ ბევრ ტექნიკურ გადაწყვეტას მალე არაერთ სერიულ მოდელში ვინილაკვთ.

F500 Mind-ის სიგრძე 5,1 მ-ითითქმის ისეთივე, როგორიც S კლასის წარმომადგენლობითი სედანისა, მაგრამ სალონი გაცილებით ხალვათია. ახალ მანქანაში კონ-

სტრუქტორებს გამოყენებული აქვთ აქსელერატორისა („გაზის“) და მოჭიდვის ელექტრონული პედლები, რომელიც ჩვეულებრივზე გაცილებით ნაკლებ ადგილს იკავებს. ეს ავტომობილი სავსეა მრავალგვარი, რთული ელექტრონიკით. მაგალითად, მძღოლის ინფორმირებისთვის გათვალისწინებული, აკუსტიკური სისტემა იმგვარადაა მოწყობილი, რომ ეს ინფორმაცია მგზავრების ყურამდე არ მივიდეს.

F500 Mind აღჭურვილია აგრეთვე

ინფრაწითელი მაშუქებით, რომლის მოქმედების არე 150 მ-ს აღწევს, შესაბამისი სურათი კი, სპეციალურ დისპლეიზე აისახება. ახალი „მერსედესის“ კაპოტქვეშ ჰიბრიდული (ელექტროძრავასთან შეზავებული დიზელი) ძრავაა ჩადგმული, რომლის ჯამური სიმძლავრე 316 ცხ.ძ-ს შეადგენს. როგორც კონსტრუქტორები აღნიშნავენ, საწვავის ხარჯი, „მერსედესის“ დიზელის ძრავასთან CDI-სთან შედარებით, 20%-ით ნაკლები იქნება. ■



## Ford-ის გამონვევა

ამერიკული კორპორაციის ინჟინრებმა შექმნეს ავტომობილი, რომელსაც Ferrari-სთან გაჯიბრება ძალუძს. ამ მოდელს Ford GT ეწოდება და კონსტრუქტორების ჩანაფიქრით, XX საუკუნის 60-იანი წლების Ford GT60-ის ტრადიციები უნდა აღორძინოს: საქმე ის გახლავთ, რომ ამ მანქანამ სამჯერ გაიმარჯვა ლე-მანის 24-საათიან რბოლაში და ამ ტრიუმფის შემდეგ, ინდივიდუალური შეკვეთით, სულ 107 ეგზემპლარად დამზადდა.

ახალი GT რეკორდულად მოკლე ხანში აიგო: 30 ინჟინრისა და დიზაინერისგან შემდგარმა კოლექტივმა მისი პროექტი 15 თვეში შეადგინა და ახლა, როცა კორპორაცია თავისი 100-წლიანი იუბილესთვის ემზადება, მანქანა უკვე მზადაა.

Ford GT 8-ცილინდრიანი, V ტიპის, 5409 კუბ.სმ სამუშაო მოცულობის ძრავით აღიჭურვება. მისი სიმძლავრე 500 ცხ.ძ-ს აღწევს, 305 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს და სულ რაღაც 3,9 წმ-ში „აგორებს“ მანქანას 100 კმ/სთ სიჩქარემდე. ევროპული ავტომობილებიდან, მსგავსი მახასიათებლები მხოლოდ Ferrari 360 Modena-ს აქვს. „ფორდის“ ხელმძღვანელობა დაუფარავად ამბობს, რომ ახალი მოდელით, „ფერარისთან“ პაექრობაში ებმება.

Ford GT-ის შექმნისას გამოყენებულია რამდენიმე პრინციპულად ახალი ტექნიკური გადაწყვეტაც და ავტომრეწველობაში უკვე მყარად დამკვიდრებულიც. მაგალითად, 8-ცილინდრიანი ძრავითი „ლინკოლნის“ რამდენიმე მოდელია აღჭურვილი, უსაფრთხოების ბალიშებსა და მართვის დილაკებს – „ფორდ მონდოს“ დაესესხნენ, საჭის მექანიზმს – „ფორდ ფოკუსს“, უკანა საკიდარს – „აიგუარს“, ხოლო წინას – „ლინკოლნი თაუნ კარს“. ახალი მანქანა 1,5 ტ-ს იწონის. მიუხედავად ამისა, საუცხოოდ იმართება მკვეთრ მოსახვევებში, რაც წონის ზუსტი გადანაწილების შედეგია: მისი 43% მანქანის წინა ნაწილზე მოდის, 57% კი – უკანაზე.

ჯერჯერობით, ამ სუპერავტომობილის სულ რამდენიმე ეგზემპლარი არსებობს. ცოტა ხნის წინ, აშშ-ში მოწყობილ ერთ-ერთ აუქციონზე ის 557.500 დოლარად გაიყიდა. „ფორდის“ მესვეურთა თქმით, სერიული წარმოების დაწყებისთანავე, მანქანის ფასი 150.000 დოლარამდე ჩამოვა. სულ 4500 GT-ის გამოშვებაა დაგეგმილი. რეალიზაცია 2004 წლის დამლევსთვისაა დაგეგმილი. 2006 წლის სექტემბერში კი, Ford GT წარმოებიდან მოიხსნება.



რუბრიკის წინამორბედი  
წერილი იხ. „გზა“, №44.

**აპაკი ბებენავა**

*რაც დრო გადიოდა, მით უფრო მოცუბდა ამერიკა — ეს უზარმაზარი, მართლაც მოულოდნელობებით აღსავსე ქვეყანა.*

*მოგეხსენებათ, ამერიკის კონტინენტის მოსახლეობა საუკუნეთა განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იქ ჩასული ადამიანების შედეგად იზრდებოდა...*

*თურმე ნუ იტყვიან და, მე რომ ამერიკა ჯერ ქრისტეფორე კოლუმბის და მერე ამერიგო ვესპუჩის აღმოჩენილი მეგონა, მთლად სწორად არ ვყოფილვარ ინფორმირებული: ამერიკის პირველ აღმოჩენად ნორმანი ლეივ ერეიქსონი ყოფილა აღიარებული... მოკლედ, ამერიკელები ორჯერ ზეიმობენ კონტინენტის აღმოჩენას: 9 ოქტომბრის დღესასწაული ერეიქსონის სახელს უკავშირდება (X-XI საუკუნეების მიჯნა), ხოლო 12 ოქტომბერი — ქრისტეფორე კოლუმბისას, როგორც ამერიკის ხელახლა აღმოჩენისას (1492-1503).*

კონტინენტზე ყველაზე დიდი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელიც 7,8 მილიონ კვადრატულ კილომეტრს მოიცავს. აშშ-ის სახელმწიფოებრივი „ათვლა“ 1776 წლიდან იწყება, როცა ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ასე რომ, თუ 4 ივლისს შეერთებულ შტატებში მოხვდებით, ქვეყნის ნებისმიერ ადგილას დიდი ზეიმის მოწმე აღმოჩნდებით — დამოუკიდებლობის დღე, საერ-

თოდ ზეიმების მოყვარული ამერიკელები ისთვის სრულიად გამორჩეულია...

ახლა მცირე ხნით, ისევ იქაურ მოსახლეობას დაეუბრუნდეთ, რომლის ფორმირებაში მთავარი როლი იმიგრაციას ეკუთვნის. მას XVII საუკუნიდან მიუღია მასობრივი ხასიათი. ინგლისელებს, ირლანდიელებს, ფრანგებსა და ჰოლანდიელებს XIX საუკუნეში, გერმანელები და იტალიელები შემატებინ, შემდეგ უკვე რუსები და ევროპის სხვა ქვეყნების მცხოვრებნი... ამერიკაში დღეს 6 მილიონზე მეტი ებრაელი ცხოვრობს (თუმცა ეს არცთუ ისე დიდი ციფრია ქვეყნისთვის, რომლის მოსახლეობა გასული საუკუნის დასასრულს 250 მილიონს აღწევდა). ყველაზე მცირე ალბათ აბორიგენი მოსახლეობაა — ინდიელები, რომელთა დიდი ნაწილი რეზერვაციებში ცხოვრობს და თავის ტრადიციებს ინარჩუნებს (მოდვენი სტატეებში მათთან შეხვედრებზეც ვიამბობთ).

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო? მეოცე საუკუნეში, შეერთებულ შტატებში ადამიანთა დინებამ კიდევ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო. ევრაზიაში მიმდინარე გაუთავებელმა ომებმა და პოლიტიკურმა გადატრიალებებმა პირდაპირი გავლენა იქონია ამერიკაზე. პოლიტიკურ ემიგრანტთა დიდი ნაწილი შეერთებულ შტატებში პოულობდა თავშესაფარს და სამუდამოდ მკვიდრდებოდა ოკეანის გაღმა.


საბჭოთა კავშირის დაშლამ და მისი ყოფილი რესპუბლიკების სოციალურ-ეკონომიკურმა სიძნელეებმა ემიგრანტთა ახალი ნაკადი წარმოქმნა. ეს ნაკადი „ტრადიციულად“ მისწრაფოდა შეერთებული შტატებისკენ. თუმცა აქ თავს იჩენ-

და ერთი განსხვავება ძველსა და ახალ ემიგრანტებს შორის — თუ საუკუნის წინ, არცთუ ისე ძნელი იყო ამ ქვეყანაში დასახლება, ახლა იქ საცხოვრებლად გადასვლის მსურველებს უამრავი ბარიერი ხვდებოდათ და ისინიც იძულებულნი ხდებოდნენ, შეერთებული შტატების დროებითი მცხოვრების სტატუსით დაკმაყოფილებულიყვნენ.

ამ დროებით ემიგრანტთა შორის კი, მეც გახლდით და ათასობით ჩემი თანამემამულეც, რომელიც ამერიკის სხვადასხვა ქალაქში მხვდებოდა. მართალია, ყოველთვის მიხაროდა, როცა რომელიმე ქართველს ან საქართველოდან ლუკმაპურის საშოვნელად გადმოხვეწილ, სხვა ეროვნების ადამიანს წავაწყდებოდი, მაგრამ ამ სიხარულს ხშირ შემთხვევაში, სევდაც ახლდა თან... ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საქართველოდან ჩამოსულებს სხვებისგან განსხვავებულად ტანჯავდა ნოსტალგია და მეორეც, მათი უმეტესობა უმძიმესი შრომის ფასად ღებულობდა არცთუ ისე დიდ გასამრჯელოს.

**ვახოს სამფლობელოში...**

დავუბრუნდეთ ისევ ჩემს „მოგზაურობას“ უზარმაზარი სატვირთო ტრაილერით (რომლითაც ტვირთი გადამქონდა ქალაქიდან ქალაქში, შტატიდან შტატში). ალბათ გასსოვთ, ბოლოს, დეტროიტში ჩავიტანე ტვირთი. ამ ქალაქში კი, ჩემი ბავშვობის მეგობარი ვახო შუბლაძე ცხოვრობდა, რომელთან ერთადაც შტატებში ჩავიდი. ვახოს დავუბრუნე და იგი



თავისი მსუბუქი მანქანით ზუსტად იმ ადგილას მოვიდა, სადაც ტვირთი მივიტანიე...

როცა ტრაილერი გადმოტვირთეს, წინ მიმავალ ვახოსა და მის მეგობარს ჩემი მანქანით გავეყვი უკან. სანამ ფართო ქუჩები იყო, არანაირი პრობლემა არ შემქმნია, მაგრამ დაიწყო მოსახვევები და დაიწყო ჩემი წამებაც, მოსახვევებს ვიწრო ქუჩებიც მოჰყვა და... რომ იტყვიან, კუს ნაბიჯებით მიმავადა უზარმაზარი მანქანა. ზოგიერთ მოსახვევში უბრალო მანევრს 5-10 წუთს ვანდობოდი. ბოლოს, ნერვებმაც მიმტყუნა, სიგნალს მთელი ძალით დავაჭირე ხელი და წინ მიმავალი ვახოს მანქანაც ადგილზე გაქავადა.

— თუ ძმა ხარ, ვახო, ნუღარ მასწავლებ. ეს სად მიმანჩალებ? მოდი, რა, სადმე დავაყენებ ამ ტრაილერს და ისე წამოგყვები... — ვთხოვე ჩემს ძმაცაც.

— არა, კაკო, წამოდი, გეხვეწები. ამ მანქანით მინდა, რომ მოხვიდე ჩემს სახლთან, მინდა, ყველას გავაცნო შენი თავი... — ლამის ტირილი დაიწყო ვახომ.

— შენ, ბიჭო, ავად ხომ არა ხარ? ტრაილერს ვტოვებ, მე კი არ ვრჩები!..

— არა, არა, ტრაილერით წამოდი, რა. ხომ გითხარი, ქართველები უნდა გაგაცნონ... — თავისას არ იშლიდა ვახო.

— ისე გამაცანი, მერე, ეს ტრაილერი რაღად გინდა?! ვერ ხედავ, რომ მოსახვევებში ვეღარ ვეტყვი?! — გაოცება ვერ დავფარე.

— იქნებ, რამენაირად მოახერხო! — პოზიციას არ თმობდა ვახო.

— არა, ძმაო, არ გამოვა... შეიძლება, ისეთ ადგილას გავჩხირო, მერე საერთოდაც ვეღარ შევძლო ამხელა „მანინის“ გამოყვანა! — ეს ისეთი ტონით ვთქვი, რომ ჩემმა მეგობარმა წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ გამოიბედა და უკმაყოფილოდ დამთანხმდა — რაც გინდა, ის ქენიო.

— ვახო, შენი სახლი აქედან შორს არის? — ვკითხე.

— იქნება ერთი 5-6 მილი.

— და სულ ასეთი ვიწრო ქუჩებია?

— კი, ვიწრო ქუჩებია!.. — უხალისოდ დამიკრა კვერი.

— აბა, ძმაო, ამის ნერვები ნამდვილად არა მაქვს. სადმე უნდა გავაჩერო!.. — ახლა უკვე ბოლომდე დავრწმუნდი ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში და ტრაილერი იქვე, პატარა მალაზიასთან დავაყენე, კარი ჩავკეტე და მალაზიის მეპატრონესთან მივიდი. უცერემონიოდ გავუწოდე 30 დოლარი და ვთხოვე, სანამ დავბრუნდებოდი, მანქანისთვის ყურადღება მიექცია.

მეპატრონემ სიამოვნებით გამომართვა ფული და ტრაილერი ჩაიბარა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა მაღალგანვითარებული სახელმწიფოა, მაინც შემემინდა ქუჩაში უპატრონოდ ტრაილერის დატოვება, ვიფიქრე — სიფრთხილეს თავი არ სტკივა-მეთქი, — თანაც, როგორც მერე დავრწმუნდი, ამერიკაში ვინმესთვის მანქანის ჩაბარება ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა.

ამრიგად, ჩავუვჯექი ვახოს და მის ძმაცაც მსუბუქ მანქანაში და გზა გავაგრძელეთ. ცოტა არ იყოს, უხასიათოდ მომეჩვენა და ვკითხე:

— რა მოგივიდა, ვახო? რაღაც უხასიათოდ ხარ.

ვახომ, ვითომ ვერ გაიგონა ჩემი ნათქვამი. ამან კიდევ უფრო გამაოცა და შეკითხვა გავუშეორე.

— რომ გაიგო, შენ ჩამოხვიდოდი, იმის შემდეგ ენა არ გაუჩრებია. მაგარი ძმაცაც გყავს, სულ შენს ქებაში იყო... თან სულ ამბობდა, ტრაილერზე ზისო... ჩვენ მეზობლად მცხოვრებ ქართველებს კი არ სჯეროდათ: თბილისელ კაცს ტრაილერზე ვინ დასვაძლავო. ამიტომ უნდოდა, რომ ტრაილერით წამოჰყოლოდი... — ამისხნა გიორგიმ.

— კი, მაგრამ რა იყო ამაში დაუჯერებელი?!

— აქაურ ქართველებს ისეთი მძიმე სამუშაოს შესრულება გვიწევს, რომ ტრაილერი ცოტა არ იყოს, მიუწვდომელ ოცნებად გვეჩვენება. ვახოსაც უნდოდა, შენით თავი მოეწონებინა... — დანანებით ჩაილაპარაკა გიორგიმ.

— არა უშავს, ტრაილერი არც ისე შორს დავტოვეთ, წამოვიყვანოთ თქვენი მეზობლები „ექსკურსიაზე“ და ეგ იქნება!.. — ვიპოვე გამოსავალი.

— თქვენ რა, მეტი სახუმარო ვერაფერი მოძებნეთ?! უბერავთ, რა!.. — გაგვიბრაზდა ვახო.

**ქართველები ამერიკაშიც ქართველობენ...**

ის ადგილი, სადაც ჩემი მეგობარი ვახო ცხოვრობდა, დეტროიტის გარეუბნად ითვლებოდა, თუმცა კი ქალაქის ძველი უბანი უფრო ეთქმოდა. ძირითადად, 2-3-სართულიანი მანსარდიანი სახლები იყო და თითოეულს პატარა, მოვლილი ეზო ჰქონდა.

— აი, აკაკი, ჩემი სახლი! — ამყავდითხრა ვახომ და 3-სართულიან, აივნებიან შენობაზე მიმითითა. ეზოში ძველებური მოღელის 3 მსუბუქი ავტომანქანა

იღვას.

— ვახო, არ გინდა, ასეთი სახლი თბილისში რომ გქონდეს? — ამ სიტყვებით ვაპირებდი ჩემი აღფრთოვანების გამოხატვას.

— არც აქ მაწყენდა, ჩემი რომ იყოს!.. — ცივი წყალი გადამასხა და თავის „სამფლობელოში“ შემიძღვა.

ვახომ, დეტროიტში რომ ჩამოვიდა, მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა. უფროსი, პოლონელი ჰყავდა, ვახო კიდევ, ერთი პოლონელი გოგონას წყალობით, პოლონურს „ამტერედა“ და... დამეგობრდნენ კიდევ. ეს პოლონელი, მშენებლობის ბიზნესით რომ იყო დაკავებული, ქალაქში ბევრ ვინმეს იცნობდა და მოახერხა კიდევ მათი დახმარებით ვახოსთვის შედარებით მსუბუქი სამუშაოს გამოჩახვა.

ახლა ვახოს საკმაოდ პრესტიჟული სამუშაო ჰქონდა — იგი რამდენიმე სახლის მეთვალყურე იყო. ვახოს ფუნქციებში შედიოდა ამ სახლების წესრიგში მოყვანა — წყალგაყვანილობასა და ელექტროგაყვანილობაზე მეთვალყურეობა, დასუფთავებისა და ნაგვის გატანის ორგანიზაცია. მას უნდა ეკონტროლებინა აგრეთვე ბინის ქირის გადახდა, სატელეფონო და საფოსტო მომსახურების სფეროში არსებული მდგომარეობა. რა თქმა უნდა, ხელქვეითებიც ჰყავდა — დამლაგებლები, ხელოსნები, მძღოლები, დაცვის თანამშრომლები. გარდა იმისა, რომ სათანადო გასამრჯელოს იღებდა, ის უზრუნველყოფილი იყო ბინით და არც მომსახურების ხარჯებს (შუქი, წყალი, ბინის ქირა) იხდიდა. უფრო მეტიც, მანქანაც ემსახურებოდა და საწვავიც უფასო ჰქონდა.

ვახო ოთხ 3-სართულიან სახლს პატრონობდა, რომელშიც 40-მდე ოჯახი ცხოვრობდა. მათი უმეტესობა, ახალჩამოსული იმიგრანტი იყო. ამ სახლებში ქართველებიც ცხოვრობდნენ. თავად ვახოს, მშვენიერი ოროთახიანი ბინა ჰქონდა.

როგორც კი მის ბინაში შევედით, თავი საქართველოში წარმოვიდგინე, ისეთი ნაცნობი და მონატრებული სუნი ტრიალებდა — საცივის და ხაჭაპურის...

ოთახში მოზრდილი სუფრა იყო გაშლილი. რა აღარ ეწყობო სუფრაზე? — ჩვენებური, ჩემთვის ასე მონატრებული — თონის პური, საცივი, მხალეული, მჭადი, ბოლოკი, შებრაწული გოჭი...

ღიმილი ვერ შევიკავე...

— აბა, რა გეგონა ახლა შენ — დეტროიტში ჩამოსულს, ჰამბურგერებსა და „ჩიპსებს“ დაგახვედრებდი? ჯერ სადა

ხარ?! ისეთი ღვინო დაგაღვეინო, რო... — ვახო მაგნიტოფონთან მივიდა, ძველთბილისურმა, ქალაქურმა მელოდიამ განწყობა კიდევ უფრო გამიხალისა. ცოტა ხნის შემდეგ კი, ვახო ორ შუახნის მანდილოსანს შემოუძღვა. ორივეს წინსაფრები ეკეთა და ხელები ფქვილიანი ჰქონდა.

— მოდი, მოდი, დედა მარო, დედა ნათელა, ჩემი ძმაკაცი გაიცანით... — ჩემკენ მოჰყავდა ქართველი ქალები ვახოს.

— გვაპატიე, შვილო, ეს გადარეული რომ შეგიჩნდება და აღარ მოგეშვება... ხაჭაპურს ვაცხობ და ფქვილიანი ხელებით შენს გასაცნობად წამომიყვანა წამომიყვანა... — მომიბოდიშა ქალბატონმა მარომ.

— მე კიდევ, ხინკალს ვაკეთებ, მეც ფქვილიანი ხელები მაქვს... — ახლა ქალბატონმა ნათელამაც მომიბოდიშა, რომ ხელს ვერ მართმევდა.

— არა უშავს, რას ამბობთ, ძალიან გამიხარდა თქვენთან შეხვედრა. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ამ შუაგულ ამერიკაში ქართველი მანდილოსნები ჩემს პატივსაცემად ხინკალს და ხაჭაპურს თუ მოაშაღებდნენ...

თავი სიზმარში მეგონა. ვახო გვერდით მომიჯდა და მითხრა:

— კაკო, ცოტა ხანსაც მოვიცადოთ, მოვლენ, თან ჩემს ბოსსაც მოიყვანენ. კარგი კაცია, მინდა, შენც გაგაცნო...

— ყოჩაღ, ვახო, მაგრამ მორგებიხარ დეტროიტს... მოიცა, მოიცა, ეს ქალბატონები სად გაიცანა? — დავინტერესდი.

— შენ ის მითხარი, ამ ქალაქში ვის აღარ ვიცნობ!.. — რატომღაც მომეჩვენა, რომ ვახო უკმაყოფილო იყო.

— რა გინდა, ძმაო, სასაყვედურო რა გაქვს?! ბინის ქირას შენ არ იხდი, ხაჭაპური და ხინკალი შენ არ გენატრება... პირდაპირ სამოთხეში ხარ!..

— სამოთხე კი არა, ნამდვილი ჯოჯოხეთია... მომეზრდა ყველაფერი. დავიღალე, კაკო, ჩემს სახლში მინდა. ჩემი ქუთაისი მთელ ამერიკას მიჩვენა. ყველაფერს თავი უნდა დავანებო და წავიდე აქედან... — ცოტაც და ატირდებოდა ჩემი ძმაკაცი.

— ბიჭო, შენ ხომ არ გაგიჟდი? წახვალ და მერე ვინ არჩენს შენს ოჯახს? ცოტა ხანს გაუძელი, რაღაც თანხა დააგროვე, რომ მერე რაიმე საქმეს მოჰკიდო ხელი იმ შენს ქუთაისში და მერე წადი. ისე, ამაზე კარგი ადგილი სად უნდა ნახო?! — გაოცებას ვერ ვფარავდი.

— ეს გარედან ჩანს ასე, თორემ... შენ გგონია, მართლა სარფიანი საქმე მიჭირავს ხელში? ვინც კი გაჭირვებული ჩამოდის

დეტროიტში, ყველა მე მაკითხავს: რატომღაც დარწმუნებული არიან, რომ ბინის პრობლემას მოვუხსნი...

— ვის გულისხმობ?

— ვის და ქართველებს!

— მერე მაგას რა სჯობია, შენთან რომ დაეხმარები?! ხომ არ მოგკლავენ... — მთლად დავიბენი.

— მოკვლით ნამდვილად არ მომკლავენ, მაგრამ არც ნაკლებს დამმართებენ!..

— მაინც რას აკეთებენ ამისთანას? — ცნობისმოყვარეობას ვეღარ ვფარავდი.

— გაჭირვებული ქართველი რომ მოგაკითხავს ამერიკაში და გთხოვს — დამეხმარეო, უარს როგორ ვეტყვი? რამდენისთვის გამიმართავს ხელი, რამდენს უცხოვრია ჩემს ბინაში თვეობით!.. რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ, მაგრამ ზოგჯერ გაგაგიჟებენ... მოდიან, მეუბნებიან — ბინა გვინდა ვიქირავოთო; მეც ვცდილობ, საუკეთესო ვარიანტი შევურჩიო, შედარებით იაფად, მაგრამ ქირის გადახდის დრო რომ მოდის, „ითესებიან“... მეც, სამსახურს ხომ არ დავკარგავ და ვიხდი ჩემი თანამემამულეების ბინის ქირას... — დაასრულა გულდაწყვეტილმა ვახომ.

— დავიჯერო, ამას სპეციალურად გიკეთებენ? — გულწრფელად გავიკვირე.

— რა ვიცი, მე კი ვერაფერი გაუუგე ამ ხალხს... დავიღალე, ამ საქმეს უნდა შევეშვა...

— მერე, ვახო, ეს ხალხი რომ „გაგდებს“ ხოლმე, პასუხს არა სთხოვ?

— შენ რა გგონია — „გადამგდები“ მერე საიხლოვეს გაგეკარება? სად ვლიო ახლა მაგათ?!

— დავიჯერო, აქ ვინც ჩამოდის, ყველა ასეთია?

— ღმერთმა დაგვიფაროს! მაშინ ხომ ქართველობაზე მთლად უნდა ავიღოთ ხელი!.. უბრალოდ, გული მწყდება, რომ ერთი თვის ბინის ქირის გამო, კაცობაზე ამბობენ უარს... არადა, კიდევ მეცოდებიან: რა ქნან — ვერ უღებენ ალღოს ამერიკულ ცხოვრების წესს...

მერე მომიბრუნდა და დასძინა:

— მაგრამ რომ იცოდე, კარგი ბიჭებიც ბევრნი არიან დეტროიტში. ცოტაც მოითმინე და რამდენიმე მათგანს შენც გაგაცნობ...

ამ დროს კარზე ზარიც დაირეკა. დეტროიტში მცხოვრებ ჩემს თანამემამულეებთან შესახვედრად მოვემზადე.

*P.S. აკაკი გვეგნავას მოგონებათა მორიგ წერილს „გზის“ №48-ში შემოგთავაზებთ.*

# ვანიკო თარხნიშვილი:

## „ნიუ-იორკი უნთავდუნთი ქაჟაქია, ნომეუსაქ ვუნ გავუსნინებ...“



ვანიკო თარხნიშვილი ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ სულ მალე, რუსეთის მოდის კვირეულზე გაემგზავრა. მიუხედავად გადატვირთული სამუშაო განრიგისა, ისეთივე ენერგიული ვიზიტით, როგორც ზაფხულში, როცა თბილისელებს გრძელვადიანი მუსიკალური ფესტივალი შესთავაზა. რატომ გაემგზავრა ვანიკო ნიუ-იორკში? რა განწყობით დაბრუნდა უკან? როგორ ისამოვნა მოსკოვურ მოდის კვირეულზე?

### ლელა ჭანაშვილი

— ვისი ინიციატივით გაემგზავრა აშშ-ში?

— „ჰარმონია“ და მისმა ხელმძღვანელმა ბატონმა ბერდია ნაცვლიშვილმა შემომთავაზა, მონაწილეობა მიმელო პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებდა ერთიანი ტურნეს აშშ-ში. საქართველოდან ათნი წავედით, ყველანი სხვადასხვა სფეროს წარმოადგენდნენ. მე ვიმუშავე შოუბიზნესის კუთხით. ათივე ჩვენგანს ამ ერთი თვის მანძილზე, ახალი პროექტების განხორციელების უნარ-ჩვევები უნდა შეგვეძინა. ბოლო დროს ვფიქრობდი, რომ გარკვეულ დონეს ჩემი პროფესიის ათვისებაში უკვე მივაღწიე და მინდოდა, ახალ საფეხურზე ავსულიყავი. ჩემმა მეგობრებმაც იგივე მირჩიეს. ამიტომ შევეკვიდე ახალ საქმეს და ჩავატარე ფესტივალი — „საუკუნე ოც დღეში“. ეს გახლდათ ექსპერიმენტი, რომელიც გამოცდილების შესაძენად მჭირდებოდა. შემდეგ, სექტემბრის პირველ რიცხვებში, თბილისში მოვაწყვე შოუბიზნესის სეზონის გახსნა და ჩამოვიყვანე ლონდონური ჯგუფი — „ბანკო დე გაია“, რომელიც თანამედროვე ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთი სერიოზული ლიდერია... აშშ-ში მონაწილეობა მივიღე სერიოზულ პროექტში, რომელსაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი აფინანსებდა. საშუალება მომეცა, ძალზე დიდ კომპანიებში გამეგლო პრაქტიკა, რამაც მთლიანად შეცვალა ჩემი უახლოესი გეგმები. ვმონაწილეობდი სამ ფესტივალში: ერთში — როგორც სცენის მენეჯერი, მეორეში — როგორც

პრომოუშენის განყოფილების კოორდინატორი, მესამეში — როგორც „პროდაქშენ“-მენეჯერი. ჩამბარეს მთელი პავილიონი, თავისი სცენებით, დაცვით, მომსახურე პერსონალით, კვებით და ა.შ.

— საქმიანი კონტაქტები თუ დაამყარე?

— კონტაქტი დავამყარე თხუთმეტ ფირმასთან. შვიდ მათგანთან ვაპირებ თანამშრომლობას, ოთხთან უკვე ვთანამშრომლობ. მომავალი წლიდან უნდა მივიღო მონაწილეობა მათ მიერ ორგანიზებულ ფესტივალებსა და სხვადასხვა ღონისძიებაში, რომელიც საზღვარგარეთ გაიმართება. უცხოელ პარტნიორებთან ერთად ვამუშავებ რამდენიმე პროექტს, რომელშიც საქართველოც მიიღებს მონაწილეობას. ყველა მათგანი შოუბიზნესის სფეროს განეკუთვნება, მხოლოდ ერთია მოდის სფეროსი... ერთი სიტყვით, ამერიკული ვოიაჯი ჩემთვის დიდი პრაქტიკის მოძიებები და სამომავლო გეგმების „დაწყობის“ საფუძველი გახდა. ფაქტობრივად, ახლა ყველაფერს ნულსიდან ვიწყებ. ახალ სფეროში მოღვაწეობა დიდ დროს მოითხოვს, ამიტომ შევჩერე იმ სამ ღონისძიებაზე მუშაობა, რომელიც ნოემბერში მქონდა დაგეგმილი.

— უახლოეს მომავალში თუ მოხდება რომელიმე პროექტის ხორცშესხმა?

— პროექტი, რომელშიც საქართველოც უნდა მიიღოს მონაწილეობა გაზაფხულისთვისაა დაგეგმილი. მაგრამ მინდა, საახლოეს პერიოდისთვის გადავიწვიო. სულ რამდენიმე დღეა, რაც მოსკოვიდან ჩამოვე-

დი. ახლა სერიოზულ მოლაპარაკებებს დავიწყებ. ჯერჯერობით, კონკრეტულად არაფრის თქმა არ შემიძლია. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ის პროექტი, რომელშიც საქართველოც მონაწილეობს, გრძელვადიან კულტურულ თანამშრომლობას ითვალისწინებს.

— დაფინანსების საკითხი მოგვარებულია?

— დიახ. ძირითადად, ამერიკული მხარე გადაჭრის ამ პრობლემას.

— ქართველი მომღერლები თუ მიიღებენ მონაწილეობას იმ ღონისძიებაში, რომელსაც ამერიკულ მხარესთან ერთად გეგმავენ?

— რა თქმა უნდა. მე წავიღე დიდი ინფორმაცია ჩვენი მომღერლებისა და მუსიკოს-შემსრულებლების შესახებ. პროექტი გათვლილია ცოცხალ მუსიკაზე, რაც სტიმულს მისცემს იმ ქართველ მომღერლებს, რომლებიც ცოცხლად მღერიან. შემიძლია ვთქვა, რომ ვისაც მოუხმინეს, არც ერთით არ აღფრთოვანებულან... ამერიკელები ისეთი ხალხია, რომ არც არავისით აღფრთოვანდებიან და არც არავის გაკიცხავენ. მათ თქვეს, რომ ქართულ შოუბიზნესს სჭირდება ფილტრაცია და კონკრეტულ მსმენელზე მორგება. ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო მათგან იმის გაგონება, რომ ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ.

— თუ შეგიძლია, დააკონკრეტო, უფრო მეტად მაინც ვისი ჩანაწერი მოეწონათ?

— არ მინდა, ვინმე გამოვიყო, მაგრამ განსაკუთრებით დიდი მოწონება ქართველ ინსტრუმენტალისტებს ხვდათ წილად, მათ შორის — ვია სალაღიშვილს და თამაზ ყურაშვილს. საერთოდ, ქართველი შემსრულებლებიდან თუ ვინმეს იცნობენ, ეს თამაზ ყურაშვილია. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ჯაზმენებს ჩავერთავთ პროგრამაში — მთავარია ხარისხი.

— სამოდელო ბიზნესიდან წასვლას ხომ არ აპირებ?

— არა. კომპანია „მაკა ასათიანმა“ ბოლო პერიოდში იმდენ წარმატებას მიაღწია, რომ ახლა უკან დახვევა წარმოუდგენელია. აღმოსავლეთ ევროპის „ფეშენ-უიკის“ ერთ-ერთ ორგანიზატორებად ჩვენ მოვიზარებით და ეს დიდი პატივია ჩვენთვის. ახლაც, მოსკოვში „მაკა ასათიანს“ უდიდესი წარმატება ხვდა წილად. რუსული მოდის კვირეული უკვე მესამედ ჩატარდა. პირველად მასში თექვსმეტი დიზაინერი მონაწილეობდა, ახლა კი ორმოცდაათერთმეტმა დიზაინერმა წარმოადგინა თავისი მოდელები და „რამენ-ფემინაც“ საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ჩვენ სამივე კვირეულში ვმონაწილეობდით. პატივი დაგვდეს — დახურვის დღე დაგვითმეს. ყველაზე სასიხარულო ის გახლდათ, როცა გამოაცხადეს:

დასავლური მოდა შემოდის მოსკოვში, „მაკა ასათიანის“ კოლექცია კი ბიტი აღმოჩნდა ამ მოდის სწრაფად შემოსასვლელად. ეს მაღალი შეფასება იყო... წარმოვადგინეთ „გაზაფხული-ზაფხულის“ მოდელები. სამწუხაროდ, თბილისში ამ კოლექციას ვერ ვაჩვენებთ, რადგან მთლიანად გაიყვია. უამრავი შეკვეთაც მივიღეთ და ბევრი ახალი კონტაქტიც დავამყარეთ. თბილისიდან მაყურებელი ვერ წაიყვანეთ, რადგან ადგილები შეზღუდული იყო. წინასწარ გაგვაფრთხილეს: იმდენად დიდი ინტერესი თქვენ მიმართ, რომ დარბაზი გადაკედლილი იქნებაო, — და მართლაც, ასე მოხდა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, წაყვანილი გვყავდა კომპანია „ნატალის“ გოგონები, რომლებსაც ოვაციებით შეხვდნენ. რატომღაც ბევრს ეგონა, რომ ჩვენი მოდელები პირველი რუსული კვირულის შემდეგ, საშუაოდ მოსკოვში დარჩნენ. გოცბულები გვეკითხებოდნენ: თბილისში არიან? მოსკოვში არ მოღვაწეობენო? სასიხარულო იყო ისიც, რომ აღნიშნავდნენ: ამ რამდენიმე წელიწადში, მოდელები ძალიან დაიხვეწნენო. ამას სიამაყით ამბობდა ისეთი მკაცრი შემფასებელი, როგორცაა მაღაზია „მარკის“ მფლობელი.

— ეი. თავმოსაზრებელი ბევრი რამ გაქვთ, არა?

— დიახ. მით უმეტეს, რომ ჩვენი კომპანია ჯერ მხოლოდ ხუთი წელია არსებობს — მაშინ, როცა თავის დროზე, ვივინ ვესტვულს ათი წელი დასჭირდა, რომ ბუტიკი გაეხსნა, აღიარება მოეპოვებინა... მოსკოვში სავაჭრო ნიშნის ბაზარი ჯერ ჩამოყალიბებული არ არის. ეს ნიშნავს, რომ იქ ყველაფერს ყიდულობენ და არა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა სავაჭრო ნიშნს. ამიტომ ტანსაცმლის მწარმოებელი ფირმები თავისთან იწვევენ დიზაინერებს. წინა თაობის ბევრი დიზაინერი ამაზე დათანხმდა. ჩვენც შემოგვთავაზეს, მაგრამ კატეგორიული უარი განვაცხადეთ — ისევე, როგორც ახალი თაობის იქაურმა დიზაინერებმა.

— რუსეთის მოდის კვირეულზე, თქვენ გარდა, პირველად მოხვდა სხვა ქართველი დიზაინერი — ავთო ცქვიტინიძე.

— დიახ, ეს პირველი შემთხვევა იყო. ავთო ცქვიტინიძეს ჰქონდა ჩვენება, რომელსაც ვერ ბავესწარით, რადგან ის პირველ დღეებში გაიმართა; ჩვენ გვიან ჩავედით.

— დაბოლოს, ასეთი კითხვა: შენი ენერჯიულობა თუ დაინახეს ამერიკელებმა?

— ალბათ დაინახეს და იმიტომაც შემომთავაზეს თანამშრომლობა. მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრათ: ჩემთვის ნიუ-იორკი ერთადერთი ქალაქია, რომელსაც ვერ გაუხსწრებ. ყველა სხვა ქალაქს შეიძლება, გადაუხსწრო, ნიუ-იორკს კი — ვერა...



**შარლიზ ტერონი**

**სამხეთაფრიკულ  
უნივერსიტეტში  
გაჩინდა  
ჰოლივუდელი  
მომონა**

**ამ ლამაზი ქალის ცქერისას, ძნელი წარმოსადგენია, რომ ბავშვობის წლები მან ძროხების გარემოცვაში გაატარა. საქმე ის გახლავთ, რომ შარლიზ ტერონის მშობლები მომცრო ფერმის მფლობელები იყვნენ, თუმცა შემდგომ, გზის სამშენებლო კომპანიაც ჰქონდათ. მომავალი ვარსკვლავი სამხრეთ აფრიკაში, ქალაქ ბენონიში 1975 წლის 7 აგვისტოს დაიბადა და უკვე პატარაობაშივე გადაწყვიტა, რომ ძროხების მწყემსად ვერ ივარგებდა...**

წლის შარლიზმა ცეკვების შესწავლა დაიწყო და რამდენიმე წელიწადში, სერიოზულად დაფიქრდა პროფესიონალურ საბალეტო კარიერაზე. 13 წლის ასაკში გოგონა სამხრეთ აფრიკის დედაქალაქ იოჰანესბურგის საბალეტო სკოლაში გადავიდა, რამაც დიდი პერსპექტივა დაუსახა.

სამიოდე წლის შემდეგ, დედის რჩევით, შარლიზმა მოდელების კონკურსში მონაწილეობა გადაწყვიტა და გამარჯვების შემდეგ, ამ სფეროში საქმიანობის გასაგრძელებლად იტალიაში გაემგზავრა. მაგრამ სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, მან გაიცნობიერა, რომ არ სურდა, მხოლოდ სიმპათიური გოგონას ამბლუაში დარჩენილიყო და კვლავ თავის პირველ გატაცებას — ბალეტს დაუბრუნდა. შარლიზ ტერონი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა და ნიუ-იორკის პრესტიჟულ საცეკვაო სკოლაში შევიდა. მაგრამ ამ სფეროში დიდი კარიერის გაკეთება შარლიზს არ ეწერა: მუხლის ტრავმამ წერტილი დაუსვა მის ოცნებას.

სასოწარკვეთილი გოგონა, რომელიც იძულებით ჩამოშორდა საყვარელ საქმეს, ჰოლივუდში გაემგზავრა, სადაც სრულიად შემთხვევით მიაქციეს ყურადღება:

ერთხელ, რაღაც მიზეზით, ბანკის მოსამსახურემ მას უარი უთხრა ფულის მიცემაზე და შარლიზმა მას ისეთი ექსპანსიური „სცენა“ გაუმართა, რომ მას მსახიობთა სელექციონერმა, თავის დროზე რჩენ





რუსოსა და ჯონ ჰარტის აღმომჩენმა აგენტმა მიაქცია ყურადღება... ტერონი, რომელსაც არანაირი სახსარი არ გააჩნდა და არც რაიმე კონკრეტული პერსპექტივა ესახებოდა, დათანხმდა მის წინადადებას, სამსახიობო კარიერის შექმნაში ეცადა ბელი.

გარკვეული პერიოდი, მან თავისი სამხრეთაფრიკული აქცენტის მოშორებას მოანდომა, რის შემდეგაც, პირველი სამუშაოც მიიღო – მომცრო როლი ფილმში – „ორი დღე ველზე“. ამას მოჰყვა მონაწილეობა ტომ ჰენქსის ფილმის – „ის, რასაც შენ აკეთებ“ სინჯებში; შარლიზმა სხვა კანდიდატებზე მეტად მიიპყრო რეჟისორის ყურადღება და ეპიზოდურ როლზე დაინიშნა.

კიდევ ერთი მეორეხარისხოვანი როლის შემდეგ, რომელიც ტერონმა ე.წ. სასამართლო ფილმში – „პროცესი და შეცდომა“ – შეასრულა, ის ბოლოს და ბოლოს, ვარსკვლავების გარემოცვაში მოხვდა: მისტიკურ სურათში – „ეშმაკის ავლოკატი“ – კიანუ რივზისა და ალ პაჩინოს პარტნიორად მოგვევლინა. ამ ფილმის შემდეგ, კინოსტუდიებმა შარლიზს წინადადებები დააყარეს: 1998 წელს, მან მიიღო პირველი მთავარი როლი სურათში – „ძლევა-მოსილი ჯო იანგი“; 1999

წელს, ჯონი დებთან ერთად, არცთუ ისე წარმატებულ ფანტასტიკურ დრამაში – „ასტრონავტის ცოლი“ – და „ოსკარის“ 7 ნომინაციაზე წარდგენილ ფილმში – „მელვინეთა წესები“ – გადაიღეს. თუმცა, თავად მსახიობს არც ნომინაცია და არც სანუკვარი სტატუსები რეგბია.

ეს არც შემდგომ მომხდარა: ახალგაზრდა მსახიობი დღემდე არ მოხვედრილა ამერიკის კინოაკადემიის საგანგებო ყურადღების არეში, თუ არ ჩავთვლით მეორეხარისხოვანი ჯილდოებისთვის მის

ნომინირებას, რომელიც ჯერ არც ერთხელ არ დაგვირგვინებულა გამარჯვებით.

ბუნებრივია, ბევრი სპეციალისტის შეხედულებით, „ოსკარის“ ღირსი ნამუშევრები შარლიზ ტერონს ჯერ არ ჰქონია: ჯონ ფრანკენჰაიმერის „აზარტულმა თამაშებმა“ მოლოდინი არ გაამართლა (მიუხედავად იმისა, რომ სურათში მშვენიერი სამსახიობო გავლენა შეიკრიბა, მათ შორის – ბენ აფლეკი, გერი სინიზი, დენის ფარინა); „იარღებში“ მთავარი ფსონი მარკ უოლბერგსა და ჰოაკინ ფენიქსზე დაიღო; „სამხედრო მყვინთავში“ შარლიზ ტერონი კვლავ ჩრდილში დარჩა – ამჯერად რობერტ დე ნიროსა და კუბა გუდინგი-უმცროსის ჩრდილში; „ლეგენდაში ბაგერ ვანსზე“ ასევე დამხმარე როლს ასრულებდა – ასე ვთქვათ, უილ სმიტისა და მეთ დეიმონის თამაშს ავსებდა; დაბოლოს – „ტკბილი ნოემბერი“, რომელშიც შარლიზი კვლავ შეხვდა კიანუ რივზს, ერთი კრიტიკოსის მოსწრებული ნათქვამით, მეტისმეტად „ტკბილი“ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო.

მაგრამ წარმოშობით სამხრეთაფრიკელ გოგონას, რომელიც კოლივუდის მწვერვალს მიუახლოვდა, ჯერ ყველაფერი წინა აქვს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი სახელი ბევრჯერ გამოჩნდება მსოფლიოს კინოეკრანებზე.





# www.shopge.com

## ბთავაზოვით იმას, რასაც სხვაბან ვერ შეიძენთ!

### მზის ენერჯიაზე მომუშავე მობილური ტელეფონების დამტენი



ნებისმიერი ჩვენგანი ხშირად ჩავარდნილა იმ უსიამოვნო სიტუაციაში, როდესაც მობილური ტელეფონის ელემენტი ჯდება მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად გვჭირდება დაკავშირება სასწრაფო საქმეზე! განსაკუთრებით პრობლემატურია ზამთრის პერიოდი, როდესაც პრობლემები ელექტროენერჯიის მოწოდებაში სისტემატურად ხელს გვიშლის მობილური ტელეფონის დატენვაში და ფაქტიურად კომუნიკაციის გარეშე ვრჩებით. იმავე პრობლემებს ვაწყდებით მაშინაც, როდესაც მივდივართ სათევზაოდ, სანადიროდ, ლაშქრობებზე და ა.შ. ამ პრობლემების მოსაგვარებლად ჩვენ გთავაზობთ მზის ენერჯიაზე მომუშავე მობილური ტელეფონების დამტენს. ეს პორტატული აპარატი საშუალებას გვაძლევს, მზის სხივების საშუალებით დავტენოთ მობილური ტელეფონი, ვამუშავოთ აუდიოკასეტებისა და კომპაქტდისკების ფლეერი. სხვადასხვა ტიპის 7 გადამყვანის საშუალებით იგი ტენის ყველა ტიპის მობილურ ტელეფონს; აქვს გასაშლელი ეკრანი და თავსდება ჯიბეში. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებისა იგი ტენის ასევე პატარა ელემენტებსაც. ამჭერად თქვენ სარგებლობთ მობილური ტელეფონით იმისგან დამოუკიდებლად, გაქვთ თუ არა ელექტროენერჯია.

### მრავალი დანიშნულების მქონე ბრელოქი (ანათოვალური დიოდის) განათებით

ნათელი ცისფერი შუქით! მუდამ ხელთ გქონდეთ ჯიბეში, ჩანთაში თუ ბალიშის ქვეშ და ერთი დიოდის დაჭერით გაინათეთ გზა.

**ფუნქციები:** ჩართვა-გამორთვის დიოდი; ცისფერი, ნათელი, ბუნებრივი ფერის შუქი; სუბპერ ნათელი LED ნათურა; ანათებს 2 მ-ის მანძილზე; ელემენტი იცვლება (დამოკიდებულია მოხმარების ხანგრძლივობაზე); LED ნათურა ანათებს 10,000 საათს; გასაღების საკიდი; მსუბუქი და კომპაქტურია სატარებლად;

#### სასუბსტანცია:

- საჩუქრად;
- სიბნელეში კიბის გასანათებლად;
- ლაშქრობისას;
- ექსტრემალურ სიტუაციებში.



### მობილური ტელეფონის რადიაციისგან დამცავი საშუალება - SAFE GUARD



ყველა თანამედროვე ადამიანს ემოქრება მცირე დოზით რადიაციული გამოსხივების მავნე ზემოქმედების საშიშროება. ყველამ ვიცით, როგორ მოქმედებს რადიაციული გამოსხივების შედეგები ადამიანის გონებასა და ორგანიზმზე. მცირე დოზით რადიაციას შეუძლია დაარქაროს მოვლენები, რომლებსაც კიბოვანი ან გენეტიკურ დაზიანებამდე მივყავართ.

ყოველდღიურ მოხმარებაში ხშირად ვაწყდებით საჭირო, მაგრამ ჩვენი ჯანმრთელობისათვის მავნებელ ნივთებს, მაგალითად, მობილური ტელეფონი, რომელიც მცირე დოზით გამოყოფს ჩვენი ორგანიზმისათვის მავნებელ გამოსხივებას. შეიძლება თუ არა შევამციროთ გამოსხივების შედეგები? ინტერნეტმაღაზია WWW.SHOPGE.COM ზრუნავს თქვენს ჯანმრთელობაზე და გთავაზობთ მობილური ტელეფონის რადიაციისგან დამცავ საშუალებას.

### მობილური ტელეფონების დინამო დამტენი

თუ თქვენ დაგიჭდათ მობილური ტელეფონის ელემენტი ქუჩაში, გზაში ან ნებისმიერ ადგილას, მაშინ თქვენ გიხსნით მობილური ტელეფონების დინამო (ხელის) დამტენი. ეს პატარა საოცარი ხელსაწყო, რომელსაც ხელით ატრიალებთ 3 წუთის განმავლობაში, ტენის თქვენს ტელეფონს 10-წუთიანი სამუშაო რეჟიმისთვის. იგი შეუცვლელია ექსტრემალურ სიტუაციებში, წვიმიან დღეებში და საერთოდ ამ აპარატების საშუალებით თქვენ მუდამ კავშირზე იქნებით ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს!



ინტერნეტმაღაზია [www.shopge.com](http://www.shopge.com) გთავაზობთ ასევე სხვა საინტერესო პროდუქციას. დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 33 30 63; 36 49 45 ან იხილეთ ინტერნეტმაღაზია - [www.shopge.com](http://www.shopge.com). ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.



# გაგორიანი პატივს მისცემს გაგონათქმამი

## ბლევი

ალკოჰოლის საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის მოწვეულ კრებაზე ერთმა პოლიტიკანმა რიხიანად განაცხადა:

– მეგობრებო, მე ყოველთვის ალკოჰოლის წინააღმდეგი ვიყავი. მთელი ჩემი სიცოცხლე ამ ქალაქში გავატარე, აქ უამრავი რესტორანი, სასადილო, კაფეტერია, ბარი და სამიკიტნოა, მაგრამ სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ არც ერთში არ ვყოფილვარ!

ამ თვალთმაქცობამ ყველა აღაშფოთა, რადგან იცოდნენ, რომ ეს მტკნარი სიცრუე იყო, ხოლო იქ დამსწრე მარკ ტვენმა სრულიად მშვიდად და ხმადალა ჰკითხა ორატორს:

– რომელშიო?

## ქორწინება

აგარაკზე ყოფნის დროს, მარკ ტვენი იმ სოფლის ეკლესიაში ქორწილს დაესწრო. ნეფე, სულ ცოტა, სამოცდაათ წელს იყო გადაცილებული, პატარმალ კი, ვარდის კოკორივით ქორფა და დაჟღაჟა – ოცისაც ძლივს იქნებოდა.

მარკ ტვენმა ფიქრიანად შეთვალა ასეთი შეუფერებელი წვეილი და გვერდით მყოფს გადაუჩურჩულა:

– ეტყობა, შეყვარებულთა ქორწილია!

– ასეთი ასაკობრივი განსხვავებით?! – დაეჭვდა იგი, – მე მგონი ეს უფრო ანგარებით შეუღლებას ჰგავს.

– ეგ გამორიცხულია! – მიუგო მარკ ტვენმა, – საცოლე ჯერ იმ ხნის არ არის, როცა ადამიანს ანგარება უჩნდება; საქმრომ კი, კარგა ხანია იმ ასაკს გადააბიჯა, როცა ადამიანს საამისოდ გონება ეზღუდება.

## საყვედური

მარკ ტვენს გამოძეგმლები გამუდმებით ატყუებდნენ და მოთმინებიდან გამოსულმა გადაწყვიტა, ამერიკულ „პაბლიშინგ კომპანიასთან“ ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა.

კომპანიის დირექტორი ვინმე ნიუტონ კეიზი იყო. საქმე რომ მოეგო, მწერალმა დახმარებისათვის პირსის ადვოკატთა კანტორას მიმართა. ინსტრუქციის მიღების შემდეგ, რამდენიმე დღეში კვლავ შეიარა ადვოკატთან.

– აბა, როგორ არის საქმე, გადაეცით სარჩელი ნიუტონ კეიზს? – ჰკითხა ადვოკატმა.

– დიახ, სერ, – მიუგო მარკ ტვენმა.

– რა თქვა?

– ეშმაკთან გამგზავნა.

– მერე რა ქენით?

– როგორ თუ რა? აი, თქვენთან მოვედი.

## დექემა

მარკ ტვენი ერთი სენატორის დაკრძალვაზე იყო მიწვეული, მაგრამ არ წაიდა. შემდეგ ამის თაობაზე ასე განაცხადა:

– მართალია, იმ კაცის დაკრძალვას ვერ დავესწარი, მაგრამ თავზანიან დექემა გაგუგზავნე: „სულით და და გულით მივესალმები ამ ღონისძიებას-მეთქი“.

# ანექდოტები

\*\*\*



დიპლომატი ავადმყოფის საწოლთან:  
– შემომფიცე, შემომფიცე ძვირფასო, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ, არავის საკუთრება არ გახდები!

– კარგი, მაგრამ თუ გამოჯანმრთელდი?

\*\*\*

– გავიგე, ცოლს მიუტოვებხარ...  
– კი, გუშინ დამტოვა სამუდამოდ.  
– რა თქვა, როცა მიდიოდა?  
– მოიხედა და ამოღერდა: „ფეხებზე შემომხედე: კოლეგოტი მოღრეცილი ხომ არ არის?“

\*\*\*

ცოლ-ქმარი ჩხუბობს. როლში შესული ცოლი ქმარს უმტკიცებს:

– მე დარწმუნებული ვარ, რომ სამოთხეში ქალები და კაცები ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

– რასაკვირველია, აბა, ისე რანაირი სამოთხე იქნებოდა?

\*\*\*

– რომ არა შენ, – ამოიხსრა ცოლმა,  
– ჩვენ იდეალური წვეილი ვიქნებოდით.

\*\*\*

მასწავლებელმა ბავშვებს მისცა თავისუფალი თემა: „მე რომ ფირმის დირექტორი ვიყო“. ყველა გულმოდგინედ შეუდგა თემის წერას, მხოლოდ ერთი ბავშვი ზის და ფანჯარაში იყურება.

– შენ რატომ არ წერ? – ეკითხება მასწავლებელი.

– მდივანს ველოდები.



\*\*\*

– რა საშინელებაა, ყოველ წელს შვილს ვაჩენ!

– არ გიცდია, რომ ორი წელი მაინც არ შეხვლე ქმარს?

– ვცადე, მაგრამ არ მშველის.

\*\*\*

ახალგაზრდა წვეილი კინოში მთელი სენსის განმავლობაში ეხვეოდა ერთმანეთს. უკან მჯდომმა ქალბატონმა ვეღარ მოითმინა და უთხრა: – არა გრცხენიათ?! წადით და ეგ ყველაფერი შინ გააკეთეთ.

– ძალიან ვწუხვარ ქალბატონო, მაგრამ შინ ცოლი მყავს.

\*\*\*

ჭიჭიკიას რაჭველები ესტუმრნენ. სუფრის გაშლა რომ დაამთავრა, ჭიჭიკიამ მოიბოდიშა:

– ბოლოში, მეუღლე არ არის შინ, თორემ პატვის უკეთესად გცემდით!

– რავა გეკადრებათ, ქვე შენი ჭირიმე, ამწუთას ვიყავით ქალებში და იქიდან მოვდივართ!



# თუ ბავშვს სწავლა გაუჭირდა

რუბრიკას უძღვება ექიმი  
თამარ მამასაშვილი

## მიზეზები

● ჰორმონული აფეთქების ფონზე, რომელიც გოგონებში 11-12 წლის, ხოლო ვაჟებში 12-13 წლის ასაკში იწყება, თავის ტვინის ქერქში ჩქარდება აგზნების პროცესები, ხოლო შეკავების პროცესები – ნელდება.

ეს კი ნიშნავს, რომ მოზარდებს ნებისმიერი წვრილმანი აღიზიანებით, ხოლო თავის შეკავება უჭირთ. ასეთ მდგომარეობაში არ შეუძლიათ ყურადღების კონცენტრირება გაკვეთილებზე. მათი ყურადღება გაფანტულია, მეხსიერებაც ხშირად ლალატობთ. როცა რაიმე საინტერესო ხდება, ადვილად იმასსოვრებენ, ხოლო მოსაწყენი სიახლე თავში არ უჩერდება.

● ძვლები და კუნთები ამ პერიოდში არათანაბრად ვითარდება, მოძრაობა არაკოორდინირებული, მოუხეშავი ხდება. ბავშვები კი არა, ნამდვილი ჭკუები არიან. როგორც არ უნდა დასხდნენ, ვერაფრით თავსდებათ მოხერხებულად. უფროსები კი ხშირად უმეორებენ: „ნუ წრიალებ, სკამზე ნუ გადაწვები!“ განსაკუთრებით უჭირთ ბიჭებს: როგორც წესი, ისინი უფრო სწრაფად იზრდებიან და ძვლების სიმყიფე ამ ასაკში მათში უფრო მაღალია (ისინი ხშირად იტყვენ ხელს და ფეხს). შინ დაბრუნებისას ბიჭებს აქვთ მოთხოვნილება, წამოწვნენ, გაიშალონ და ეს ქმედება ფიზიოლოგიურია. მშობლები კი ეჩხუბებიან: „რას ნებივრობ, დაჯექი, იმეცადინე!“



● გული იზრდება და მტ-

თუ უეცრად თქვენი ვაჟი „სამიანებზე“ ჩამოვიდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას არ სურს ამა თუ იმ დისციპლინის შესწავლა. თუ თქვენი გოგონა საშინაო დავალების შესრულების ნაცვლად ტირის, არც ეს ნიშნავს, რომ მას სწავლა ეზარება. მოზარდებს მართლაც ექმნებათ სიძნელები სწავლის პროცესში.

კინეზოლოგია, ზოგჯერ გულისცემა ხშირდება. ტვინი ფანგბადის საჭირო რაოდენობას ვეღარ ღებულობს.

მოზარდი ცუდად აზროვნებს, ხშირად სტკივა თავი. ფანგბადის ნაკლებობამ გულის წასვლაც კი შეიძლება გამოიწვიოს – განსაკუთრებით გოგონებში. მათ ხშირად აღენიშნებათ არტერიული წნევის მატება. ახალგაზრდული ჰიპერტონიის პიკი 13-14 წელზე მოდის. ჩვენ კი, უფროსები, ვერ ვგებულობთ მათ განცდებს და ვუშლით მოძრაობას, თავისუფალ სუნთქვას, ვაიძულებთ ჯერ გაკვეთილები მოამზადონ და მხოლოდ ამის შემდეგ გაისეირნონ.

● ჰორმონული არასტაბილურობა იწვევს ემოციებისა და განწყობილების ძალიან სწრაფ ცვლადობას.

ხან ყველაფერი აინტერესებს და სიხარულით მუშაობს, ხანაც არაფრის გამო აღიზიანდება, მზადაა იტიროს ან აპათიაში ვარდება. ემოციურად განსაკუთრებულად გაუწონასწორებლები გოგონები ხდებიან – მათი განწყობა მენტრუალური ციკლის ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული.

ჰორმონების თამაში პატარა ქალბატონების ქალურ სამყაროში ჩაფლობას იწვევს. ამ ასაკში ნებისმიერ გოგონას ყველაზე მეტად საკუთარი გარეგნობა ადუღებს, აგრეთვე ის, ძალიან დიდი ან მცირე ზომის მკერდი ხომ არ აქვს, ან ის, აქცევენ თუ არა ყურადღებას ბიჭები... ყველანაირი ფიქრი მეცნიერებაზე მეორეხარისხოვანი ხდება და წინა პლანზე უნაზესი განცდები ინაცვლებს. ბიჭები ნაკლებად არიან დაკავებულნი თავიანთი გარეგნობით, მაგრამ მათი მტკივნეული თემაა სიმაღლე.

● საჭმლის მომწელებელი სისტემა ამ პერიოდში მტკივნეულად რეაგირებს ხანგრძლივ ემოციურ და ფიზიკურ დატვირთვაზე.

დადლილობა და სტრესები მოზარდებში ხშირად იწვევს გასტროენტეროლოგიურ დაავადებებს. გასაგებია, რომ გასტრიტი თავის მხრივ გავლენას ახდენს სწავლის უნარზე.



## რჩევები

როგორ დავეხმაროთ გარეგნულად თითქოსდა მოზრდილ, ხშირად აგრესიულ ბავშვებს?

● არ არის საჭირო მოზარდის ზედმეტი გაღიზიანება და აგზნება მრძანებლური ტონით – ეცადეთ, თანატოლივით მოექცეთ. ისინი უკვე აღარ გვიცქერენ ქვემოდან, უფროსებს კრიტიკულად გვიყურებენ.

● მიეცით მოზარდს საშუალება, მეტი იმოძრაოს – დღეში არანაკლებ 3 საათისა. აუცილებელია ფიზკულტურა და სპორტი: სწორედ ახლა ყალიბდება მოძრაობის მოქნილობა, კოორდინაცია და პლასტიკურობა. მოზარდობის წლებზეა დამოკიდებული, გახდება თქვენი შვილი გრაციოზული თუ მთელი ცხოვრების მანძილზე მოუქნელი დარჩება.

● სეირნობა საჭიროა ყოველდღიურად. გაკვეთილები კი განიავებულ ოთახში უნდა მოამზადოს.

● მოზარდებს, განსაკუთრებით ვაჟებს ესაჭიროებათ მეტი კალციუმი, ვიდრე უფროსებს. ასევე მათ სჭირდებათ ცილები, ფოსფორი, D ვიტამინი. აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება, რომ თქვენმა შვილმა მიიღოს რძის პროდუქტები, თევზი, ბევრი ბოსტნეული და მწვანილი...

● ორგანიზმის ფიზიოლოგიური დატვირთვა მოზარდებში უფრო მაღალია, ვიდრე უმცროსკლასელებში, არადა მას გაცილებით ნაკლები სძინავს, რადგან თავი უკვე დიდი ჰგონია. მოზარდს მინიმუმ 9 საათი უნდა ეძინოს. კარგი იქნება, თუ დღისითაც ერთი საათით დაისვენებს.

● მეტი ყურადღება დაუთმეთ თქვენს შეილს. ურთიერთობისას ნუ შემოიფარგლებით მხოლოდ შეკითხვებით: „ჭამე?“, „რა ნიშანი მიიღე სკოლაში?“. მოზარდები მხოლოდ გვაჩვენებენ თავს, რომ აღარ ვჭირდებით. სინამდვილეში ჩვენი ყურადღება, აზრები, ტაქტიკა და კეთილგანწყობით გამოთქმული შენიშვნები მათ ძალიან სჭირდებათ. თავიანთ წრეში ისინი ჩვენს ციტირებას ახდენენ.

და კიდევ, რაღა თქმა უნდა, ჩვენ ყველას გვინდა, რომ ჩვენმა შვილებმა ახალგაზრდობაში რაც შეიძლება მეტი ცოდნა

მიიღონ, კარგად ისწავლონ, მაგრამ სკოლის დატვირთვა დღეს ისეთია, რომ ყველაფრის სწავლა უბრალოდ შეუძლებელია. მეშვიდეკლასელმა ბავშვმა რომ ყოველდღიურად ყველა გაკვეთილი საფუძვლიანად შეისწავლოს, მან საშუალოდ უნდა ათთვისოს სახელმძღვანელოს 26 გვერდზე გადმოცემული ინფორმაცია. ფრიადონებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ასეთი მოცულობის დავალების შესრულებისთვის ბავშვმა სკოლიდან დაბრუნებისთანავე უნდა დაიწყოს მეცადინეობა და ღამის პირველ საათამდე ისწავლოს.

არაგონივრული სასკოლო დატვირთვა აიძულებს ბავშვს, შერჩევით მიუდგეს გაკვეთილებს: რაღაცას კარგად სწავლობს, რაღაცას ზერელედ, რაღაცას კი თვალს გადაავლებს. ასეთი მიდგომა გამართლებულია. მთავარია, პრიორიტეტების განსაზღვრა – რა არის მნიშვნელოვანი და საინტერესო თქვენი შვილისათვის.

ყველა მეცნიერებას ერთნაირად ვერ შეისწავლის. სამაგიეროდ, შეიძლება გაიზარდოს არა მხოლოდ ჭკვიანი, არამედ ჯანმრთელი და ბედნიერი.

## 5 სიასლე ჰიპერტონიის შესახებ

### 1. ჰიპერტონიის განვითარების რისკის დადგენის ახალი ხერხი

ტესტის ჩასატარებლად საკმარისია, რომ ადამიანი სწრაფად წამოდგეს დივანიდან. თუ ამ შემთხვევაში არტერიული წნევა მატულობს, მაშინ უახლოეს 8 წელიწადში ჰიპერტონიის განვითარების რისკი მაღალია. გარდა ამისა, მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ჰიპერტონიის დაავადების შანსი მამაკაცებთან შედარებით ქალებს მეტი აქვთ.

### 2. ბავშრი ადამიანი წნევის არასწორად იზომავს

ასე თვლიან მექსიკის გულისა და სისხლძარღვთა კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარები. არტერიული წნევის გასაზომი სტანდარტული ხელსაწყო არ გამოდგება მსუქნებისათვის, რადგან დამახინჯებულ შედეგს იძლევა. ამას იწვევს ტონომეტრის მანუეტის ზომისა და პაცი-

ენტის ხელის სიმსხოს შეუსაბამობა. მეცნიერებმა მოხალისეებს წნევა გაუზომეს ჯერ სტანდარტული მანუეტით (12,5 სმ-იანი), შემდეგ შედარებით დიდი ზომის (15 სმ-იანი) მანუეტით, რომელიც იშვიათად გვხვდება. აღმოჩნდა, რომ თუ მხრის გარშემოწერილობა 35 სმ-ზე მეტია, სტანდარტული მანუეტით გაზომვისას ყოველ შემდგომ 5 სმ-ზე ცდომილება ვერცხლისწყლის სვეტის 2-5 მმ-ია (ჭარბი ჩვენების სახით). ამიტომ მედიკოსები მსუქან ადამიანებს ურჩევენ, რომ შეიძინონ მათთვის შესაფერისი ზომის მანუეტის აპარატები.

### 3. ჰიპერტონია ირჩევს სულსწრაფებს

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ შემფოთებისა და მოუთმელობის მუდმივა გრძობამ შეიძლება გამოიწვიოს ჰიპერტონიის განვითარების პროვოცირება. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ მშობარა და სულსწრაფ ადამიანებს უფრო ხშირად ახასიათებთ ისეთი თვისებები, როგორცაა მტრობა და ეჭვანობა, ეს კი ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკს.

### 4. საუკეთესო პროფილაქტიკა სწორი კვება და ვიტამინი

გულის, ფილტვებისა და სისხლის ამერიკული ეროვნული ინსტიტუტის ახალ რეკომენდაციებში ხაზგასმულია, რომ ნორმალური წნევის შენარჩუნება შესაძლებელია სულ უბრალოდ – წონის გაკონტროლებით,

ფიტნესით, კვების რაციონში ცხიმების, მარილისა და ალკოჰოლის შეზღუდვით და ხილ-ბოსტნეულის რაოდენობის ზრდით. ამერიკელები კრიტიკულად უდგებიან პროფილაქტიკის ისეთ მეთოდებს, როგორცაა თევზის ქონისა და კალციუმიანი დანამატების მიღება. მათი აზრით, ეს მხოლოდ უმნიშვნელოდ ამცირებს არტერიულ წნევას. სიფრთხილეა საჭირო სხვადასხვა მცენარეული დანამატის გამოყენების დროსაც.

### 5. მომატებული წნევის გენი

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ არსებობს გენი, რომელიც იწვევს ფილტვის ჰიპერტონიას. გამოიკვლიეს 5 ოჯახი, რომლის წევრებსაც ჰქონდათ ამ დაავადების მძიმე ფორმა. გაირკვა, რომ ხუთივეს წინაპართა ერთი წყვილი ჰყავდა და სენის გამომწვევი გენის მუტაციაც შემთხვევითი კი არა, მეგვიდრულია. მედიკოსები ვარაუდობენ, რომ ფილტვის ჰიპერტონიის ყოველი მეოთხე შემთხვევა გენეტიკურადაა განპირობებული. ეს აღმოჩენა ექიმებს დაეხმარება, დროულად გამოიკვლიონ რისკის ჯგუფში შემავალი ოჯახთა წევრები, დროულად დასვან დაავნოში და დანიშნონ მკურნალობა. შესაძლოა, დროთა განმავლობაში მკურნალობის ახალი მეთოდიც იპოვონ.



**სკოდასტოლოგიური კლინიკა**  
**გიორგი-დენბი**

1. უმტკივნეულო მკურნალობა მთელე დადნში;
2. 100% სტრატეგიული;
3. დაბალი ღირებულება;
4. ულტრა-თერაპიული მასაჟები აწინა და გერმანული სიბიბი;
5. მაღალკვალიფიკაციური მედიკოსები;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გაქანტილია.

მის: თაშისუფლანის მოედანი №4ა  
(ახალაქმბაზული სასტუმრო „მერიტის“ იხილეთ)  
☎ 98-64-83

# სხვადასხვა

## ეპილეფსიის წამალი ნარკომანებისათვის

კოკაინზე დამოკიდებულება შეიძლება განიკურნოს ეპილეფსიის საწინააღმდეგო პრეპარატით – დაადგინეს ამერიკელმა მეცნიერებმა. წინასწარი გამოკვლევა ჩატარდა 20 მოხალისეზე. ისინი კოკაინს საშუალოდ 12 წლის განმავლობაში ღებულობდნენ. მკურნალობის კურსის შემდეგ, 8 მათგანმა მთლიანად დააღწია თავი ნარკოტიკებისადმი „ლტოლვას“ და ექსპერიმენტის დამთავრებიდან 75 დღის განმავლობაში არ მიუღია კოკაინი. ექსპერტები იტყობინებიან, რომ მკურნალობის შედეგად იანობა (20-დან 8 ადამიანი) საშუალოა, ხოლო შედეგის სტაბილურობა საკმაოდ შთაბეჭდავი, რადგან ნარკომანები სხვა მედიკამენტური მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ უმრავლეს შემთხვევაში ისევ უბრუნდებიან ხოლმე კოკაინს.

კოკაინზე დამოკიდებული მოხალისეები დღეში ორჯერ ღებულობდნენ პრეპარატ GVG-ს, შემდეგ თანდათანობით ზრდიდნენ მის დოზას მანამდე, სანამ შარდის ანალიზი არ აჩვენებდა, რომ ორგანიზმი გაიწმინდა კოკაინისგან. ამის მერე პრეპარატის დოზას თანდათანობით ამცირებდნენ, რაც დაახლოებით 10 კვირას გრძელდებოდა. ექსპერიმენტის 8 მონაწილემ მკურნალობაზე უარი თქვა პირველი ათი დღის განმავლობაში, სხვა 4 მოხალისეც ისევ დაუბრუნდა კოკაინს ისე, რომ არ დაუსრულებია მკურნალობის კურსი. თუმცა სამმა მათგანმა ორჯერ შეამცირა მიღებული ნარკოტიკების რაოდენობა. დანარჩენმა რვა მონაწილემ კი, რომელმაც დაასრულა მკურნალობის კურსი, საერთოდ უარი თქვა კოკაინზე და ნარკოტიკებისადმი „ლტოლვა“ აღარ ჰქონია. მეცნიერები იტყობინებიან, რომ GVG ზრდის ტვინში დამამშვიდებელი ნივთიერების GABA-ს კონცენტრაციას და ამგვარად კოკაინით გამოწვეულ „კაიფის“ მდგომარეობის ბლოკირებას ახდენს. სპეციალისტები ამტკიცე-



ბენ, რომ ამ პრეპარატს დიდი პოტენციალი აქვს და ამიტომ საჭიროა, გაგრძელდეს გამოკვლევები.

## კბილების წმენდა მავნებელია

კბილები გაგიფუჭდებათ, თუ მათ იშვიათად ან საერთოდ არ გაიხეხავთ. მაგრამ ძალიან ხანგრძლივი და აქტიური წმენდაც არ არის რეკომენდებული: ეს არათუ არ გაგიუმჯობესებთ მდგომარეობას, არამედ შესაძლოა, კბილები დაგცვივდეთ კიდევ. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანეთის ნიუკასლის უნივერსიტეტის მკვლევარები 12 მოხალისეზე ჩატარებულ ექსპერიმენტის შედეგების გაანალიზებისას.

გამოკვლევის მონაწილეებმა კბილების გაწმენდის 16 სხვადასხვა ხერხი გამოიყენეს: ისინი კბილის ჯავრის 30 წამიდან 3 წუთამდე ხანგრძლივობით იყენებდნენ და თავიანთ ყბებზე 75-დან 300 გრამამდე სიძლიერის დაწოლას ახორცილებდნენ. როცა კბილებზე ზემოქმედება მატულობდა (2 წუთის ხანგრძლივობით და 150 გ სიძლიერით), კბილის ნაღები სულ უფრო აქტიურად მცირდებოდა, მაგრამ ამ ზღურბლის გადალახვის შემდეგ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა კბილებზე უცვლელი რჩებოდა.

ამრიგად, ოპტიმალური გაწმენდა იმ შემთხვევაში ხდება, თუ კბილებს 2 წუთის განმავლობაში იხეხავთ 150 გ-ის ტოლფასი ძალით. ექსპერიმენტის „მსხვერპლნი“ სარგებლობდნენ ელექტრული კბილის ჯავრისით, რომელიც კომპიუტერთან იყო მიერთებული და ამგვარად იზომებოდა დრო და ძალა. სტომატოლოგები ირწმუნებიან, რომ აღნიშნული შედეგები მისაღებია ჩვეულებრივი ჯავრისებისთვისაც.

## სექსუალური სტატიისტიკა

ადამიანები წელიწადში საშუალოდ 127-ჯერ არიან დაკავებულნი სექსით. მათგან სამი მეოთხედი კმაყოფილია თავისი სექსუალური ცხოვრებით. ევროპაში წლის განმავლობაში ჩატარებული სექსობრივი აქტების რაოდენობის მიხედვით, პირველი სამი ადგილი დაიკავეს უნგრელებმა (152), ბულგარელებმა (151) და რუსებმა (150). გამოკითხულთა ნახევარს ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჰქონია სექსობრივი კავშირი ურთიერთობის შემდგომი გავრცელების გარეშე. რუსებს შორის ეს მაჩვენებელი 60%-ს შეადგენს. ყოველი მეათე სექსობრივ კავშირს თავისი საუკეთესო მეგობრის სექსობრივ პარტნიორთან ამყარებდა. უფროსთან სექსი ჰქონდა 3%-ს, ჰომოსექსუალური გამოცდილება 45 წლის ასაკისათვის 11%-ს აღმოაჩნდა.



ქალებმა ყველაზე სექსუალურ მამაკაცად ანტონიო ბანდერასი დაასახლეს, ხოლო მამაკაცებმა უპირატესობა კაილი მინოუგს მიანიჭეს. ეს მონაცემები 150 ათასი ადამიანის ინტერნეტ-გამოკითხვის შედეგს წარმოადგენს.

## ჰეპატიტან ბრძოლის გვერდითი ეფექტები

სტენფორდის უნივერსიტეტის გენეტიკოსები ვარაუდობენ, რომ კონტაქტური დერმატიტით, ასთმითა და სხვა ალერგიული დაავადებებით დასნეულებულთა რაოდენობის ზრდა, რასაც ბოლო წლებში ადგილი აქვს განვითარებულ ქვეყნებში, A ტიპის ვირუსულ ჰეპატიტთან წარმატებული ბრძოლის გაუთვალისწინებელ შედეგს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ სამი-ოთხი ათწლეულის წინ, ამ ქვეყნების მცხოვრებთა უმრავლესობას ჰქონდა A ჰეპატიტის გამომწვევის საწინააღმდეგო ანტისხეულები, ამჟამად კი ასეთ ადამიანთა რაოდენობა ოცდახუთ პროცენტს არ აღემატება. ექიმი დეილ უმეტსუ და მისი კოლეგები ვარაუდობენ, რომ A ჰეპატიტის ვირუსი აქტიურებს ადამიანის იმუნურ სისტემას და ამგვარად ალერგენებისადმი მგრძობილობის ზღვარს ზრდის. კალიფორნიელი ექიმების აზრით, ალერგიულთა რიცხვის ზრდა გარკვეულწილად დაკავშირებულია იმასთან, რომ ინფექციური ჰეპატიტი ჩვენს დროში გაცილებით იშვიათად გვხვდება, ვიდრე გასული საუკუნის შუა პერიოდში. ეს ჰიპოთეზა შურნალ Nature-ს ბოლო ნომერშია გამოქვეყნებული.

# კვირის (17 - 23 ნოემბერი)

# სსპროლოგიური პროგნოზი

## ღვინგალი - 24/X-22/XI

**ქალი:** ამ კვირაში წამოწყებული ყველა საქმე წარმატებით დასრულდება. სიყვარულშიც გაგიმართლებთ. მაგრამ თუკი შეამჩნევთ, რომ თქვენმა რჩეულმა ეჭვიანობა დაიწყო, სხვა მამაკაცებთან ურთიერთობისგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ.

**მამაკაცი:** გაბელულად მოითხოვეთ დაწვრილებითი ინფორმაცია იმ საკითხის ირგვლივ, რომელიც გაინტერესებთ. ეს თქვენ ძალიან წაგადგებათ და გადაწყვეტილების მიღებაშიც დაგეხმარებათ.

## გველი - 23/XI-21/XII

**ქალი:** ნაჩქარევად ნურაფერს გადაწყვეტთ. დაინტერესდით იმ ადამიანების წარსულით, ვინც საქმეში პარტნიორობას გთავაზობთ. კარგი იქნება, თუ მათ ყოფილ პარტნიორებსაც გაესაუბრებთ.

**მამაკაცი:** თუ ოჯახის წევრებს გულგრილად მოეპყრობით, უახლოეს მომავალში მათთან ურთიერთობა გაგირთულდება. ამიტომ გირჩევთ, გულისყურით მოეკიდოთ მათ პრობლემებს.

## თხის რქა - 22/XII-20/I

**ქალი:** ამ კვირაში შეიძლება საინტერესო წინადადება მიიღოთ, მაგრამ უცებ ნუ დათანხმდებით - კარგად დაფიქრდით და მეგობრების აზრიც გაითვალისწინეთ. კვირის ბოლოს სასიამოვნო კომპანიაში მოხვდებით.

**მამაკაცი:** ხელმძღვანელებთან ურთიერთობაში მეტი აქტიურობა გამოიჩინეთ. გაბელულად შესთავაზეთ მათ ახალი იდეები და მიაწოდეთ საქმიანი წინადადებები. ეს თქვენს კარიერაზე სასიკეთოდ იმოქმედებს.

## ვერძე - 21/I-19/II

**ქალი:** ეს კვირა თქვენთვის არცთუ ისე მშვიდი იქნება. ამ დღეებში ადვილად დაკარგავთ წონასწორობას, თუკი მაქსიმალურად არ გააკონტროლებთ ემოციებს. ამიტომ ჯობს, კონფლიქტურ სიტუაციებს მოერიდოთ.

**მამაკაცი:** სარისკო საქმეებისგან თავის შეკავებას გირჩევთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობის შენარჩუნებას. დაინტერესდით სპორტით - ეს განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა.

## თევზები - 20/II-20/III

**ქალი:** ნუ დაივიწყებთ მეგობრებს მაშინ, როდესაც კარგად გრძნობთ თავს. ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდება. ეს საშუალებას მოგცემთ, ახლობლები საჩუქრებით გაახაროთ.

**მამაკაცი:** ამ კვირაში ხიფათის რისკი დიდია. არავითარ შემთხვევაში არ მიუჯდეთ საჭეს ნასვამ მდგომარეობაში, არ შეიაროთ კაზინოში და არ წამოიწყოთ ფლირტი გათხოვილ ქალთან.

## მშვიდი - 21/III-20/IV

**ქალი:** ვარსკვლავები სასიამოვნო შეხვედრას გპირდებიან. შეიძლება, პირველ სიყვარულს შეხვდეთ; შეიძლება, შეემა მიგიპატიჟოთ ფინჯან ყავაზე... მოკლედ, კვირის დასაწყისში შექმნილი სასიამოვნო განწყობა დიდხანს გაგყვებათ.

**მამაკაცი:** საკუთარ გეგმებზე ბევრ ლაპარაკს არ გირჩევთ - შეიძლება თქვენთვის ძვირფას არსებას უიღბლო შედეგებზე მოეხერხებოდნენ. შაბათ-კვირას ბუნების წიაღში გაისეირნეთ.

## კურო - 21/IV-21/V

**ქალი:** კარგი იქნება, თუ სიფრთხილეს გამოიჩინებთ და თქვენი პირადი ცხოვრების შესახებ ჭორიკანა ამხანაგთან არ ისაუბრებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გულისტკენა არ აცდებათ.

**მამაკაცი:** ნუ გაიმეორებთ წარსულის შეცდომებს. მოუფრთხილდით იმ ადამიანებს, ვისთანაც ხანგრძლივი ურთიერთობა გაქვთ. თუ რომელიმე მათგანთან თავს დამნაშავედ გრძნობთ, ბოდიში მოუხადეთ.

## მარცხობი - 22/V-21/VI

**ქალი:** აღშფოთებულ ადამიანს კამათში ნუ აჰყვებით - მით უმეტეს, თუ ის საპირისპირო სქესის წარმომადგენელია. რაღაც არ უნდა დაგიჯდეთ, სიმშვიდე შეინარჩუნეთ.

**მამაკაცი:** ნუ იწუწუნებთ ცხოვრების ამოების შესახებ. მეტი აქტიურობისკენ მოგიწოდებთ. საკმარისია გამოჩნდეს ქალი - როგორც შთაგონების წყარო და თქვენთვის გადაუჭრელი პრობლემა აღარ იარსებებს.

## პირნი - 22/VI-22/VII

**ქალი:** შეეცადეთ, ცხოვრებას უფრო ოპტიმისტურად შეხედოთ. იმხიარულეთ! თუ ამას მარტო ვერ ახერხებთ, მეგობრები მოიშველიეთ. მოკლედ, ნუ განმარტოვდებით დარდთან.

**მამაკაცი:** როგორ ფიქრობთ, ადვილად ხომ არ ექცევით სხვა ადამიანის გავლენის ქვეშ? იყავით უფრო პრინციპული და მომთხოვნი, როგორც სხვების, ასევე საკუთარი თავის მიმართაც.

## ლომი - 23/VII-23/VIII

**ქალი:** ენერჯის მოზღვაებას იგრძნობთ. თუ შემოქმედი ადამიანი ხართ, საუკეთესო ნამუშევარს შექმნით. ამიტომ, ნუ იზარმაჯებთ და დროს უქმად ნუ დაკარგავთ.

**მამაკაცი:** კრიტიკული თვალით შეათვალიერეთ საკუთარი გამოსახულება სარკის წინ. ხომ არ ჯობს, იმიჯი შეიცვალოთ? შეიარეთ მაღაზიაში და შეარჩიეთ ტანსაცმელი, რომელიც თქვენს ინდივიდუალობას გაუსვამს ხაზს.

## ქალწული - 24/VIII-23/IX

**ქალი:** თუ სამსახურის შეცვლაზე ფიქრობთ, ამ კვირაში იაქტიუროთ. გულდასმით გაეცანით იმ ოფისის ხელმძღვანელის უნარ-ჩვევებსა და მუშაობის სტილს, რომელთან თანამშრომლობასაც აპირებთ.

**მამაკაცი:** მომჭირნეობისკენ მოგიწოდებთ. ამ კვირაში ფულს ნურც იხსევებთ და ნურც გაასევებთ - განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თანხის ნაწილი კონკრეტული საქმისთვის გჭირდებათ.

## სასწორი - 24/IX-23/X

**ქალი:** მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი კვირისთვის გადადეთ. ამ დღეებში ჯობს, მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე იფიქროთ. გაატარეთ დრო მეგობრებთან ერთად.

**მამაკაცი:** შორ გზაზე მგზავრობისგან თავის შეკავებას გირჩევთ. საოჯახო პრობლემების მოგვარებაზე იფიქრეთ. მეტი დრო დაუთმეთ ახლობლებს და დაინტერესდით მათი პრობლემებით.



# ჯგუფ „სთეისის“ ახალი კლიპი, ალბომი და სიუტპტიზი ფინიჯექტისთვის

გასულ კვირას, კინოთეატრ „ქოლგაში“ ჯგუფ „სთეისისა“ და რადიო „ფორტუნა“-ის ღიჯეის, დათო ყვარელაშვილის ღუეტზე გადაღებული კლიპის პრეზენტაცია გაიმართა. სიმღერის – „არცთუ იმდენი მსურს“ – მუსიკისა და არანჟირების ავტორი, ცნობილი კომპოზიტორის, ვაჟა ღურგლიშვილის ვაჟი – რატი გახლავთ, ტექსტი – გური მეტრეველს, ხოლო რეჟისურა – გიორგი ღიფონავას ეკუთვნის. კლიპი საკმაოდ სახალისო შინაარსისაა: ერთ-ერთი გოგონა სამ ბიჭს სხვადასხვა დროს ხვდება; ბოლოს, სამივეს ერთსა და იმავე ადგილას უნიშნავს პაემანს და იქ მისული, სულ სხვა ბიჭს ჩაისვამს მანქანაში. ხელმოცარული „სამეული“ კი, თაიგულებით ხელში ერთმანეთის პირისპირ რჩება... კლიპის ჩვენების შემდეგ, სცენაზე გადამღები ჯგუფი ავიდა და ხანმოკლე საუბრის შემდეგ, პრეზენტაციაზე მიწვეული სტუმრები რესტორან „პიკნიკში“ მიიპატიჟა.



ახლა ამ ჯგუფის წევრები საახალწლო სიმღერაზე – „ესა, მესა, ვეთხოვებით ძველსა წელსა“ – მუშაობენ. ეს გახლავთ ნაწყვეტი კომპოზიტორ ვაჟა ღურგლიშვილის საბავშვო ოპერადან „სათაგური“. საახალწლო კლიპს კვლავ რეჟისორი გიორგი ღიფონავა გადაიღებს. ბიჭები კიდევ ერთ ახალ სიმღერასაც წერენ – „შენ გიყვარს ის“, რომლის ტექსტი თავად „სთეისის“ ეკუთვნის, ხოლო მუსიკა – ირაკლი მაზიაშვილს.

ჯგუფის წევრები ახალ ალბომზეც მუშაობენ, რომელიც „სანო სტუდიაში“ იწერება. კომპაქტდისკზე ჩაწერილ ალბომში 13 სიმღერა შევა, ხოლო აუდიოკასეტა ათ სიმღერას დაიტევს. დაბოლოს, როგორც ჯგუფის წევრები ამბობენ, ერთი, ძალზე პოპულარული სიმღერის პროექტს ამზადებენ, რომელიც ტინეიჯერებისთვის დიდი სიურპრიზი იქნება...

# ქეთა თათუქდიას ვიდეო უბთი ალბომი

მომღერალმა ქეთა თოფურიაშ უკვე ღამთავრა ორ კლიპზე მუშაობა. ერთი რეჟისორმა გიორგი კიკალეიშვილმა გადაიღო სიმღერაზე – „ცრემლიანი თვალები“, ხოლო მეორე, ვიგა კვენეტაძის სიმღერაზე – „გული გეფერებოდა“ – დათო იმედაშვილმა. ორივე კლიპი ახლა მონტაჟის პროცესშია. მათი ეკრანზე გამოსვლისთანავე კი, გამოვა ვიდეოკასეტაზე ჩაწერილი ქეთას 10 ვიდეორგოლის კრებული. ამასთანავე, უკვე გამოვიდა მომღერლის აუდიოალბომი და კომპაქტდისკი სახელწოდებით – „ქე“, რომელშიც 12 სიმღერაა შესული.



# ცთლ-ქმბის რეჟი

მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა მომღერალი თამთა გოგუაძე და ჯგუფ „ისინის“ ყოფილი წევრი – აჩიკო ცანკაშვილი დაქორწინდნენ, თამთამ მეუღლის პროდიუსერობით, რამდენიმე სიმღერა ჩაწერა და ორი კლიპი გადაიღო, ერთი – „ლექსად ნათქვამი“, ხოლო მეორე – „ვცეცკავთ ყველა ერთად“. თამთამ და აჩიკომ ერთი ღუეტი უკვე ჩაწერეს და ახლა მეორე ღუეტზე მუშაობენ, რომლის მუსიკაც და ტექსტიც ჯგუფ „ინტროს“ წევრებს – გიორგი ქავთარაძესა და ვანო ფირცხალაიშვილს ეკუთვნის.

# „სეიშენის“ სიუტპტიზი

სულ ახლახან, ჯგუფმა „სეიშენმა“ ღუეტი ჩაწერა „შავ პრინცთან“. სიმღერა – „გემანი“ ჯგუფის მუსიკალურ ხელმძღვანელს – მზია ღამბაშიძეს ეკუთვნის. უახლოეს მომავალში, ჯგუფის წევრები მასზე კლიპსაც გადაიღებენ. ამჟამად კი „სეიშენი“ ახალ სიმღერაზე – „წვიმა“ – მუშაობს, რომლის მუსიკა ჯგუფ „გოგლი-მოგლის“ წევრს ერეკლე ღიდას, ხოლო ტექსტი – ღელა ჩილინგარაშვილს ეკუთვნის. ჯერ უცნობია, ჯგუფის წევრები ამ სიმღერაზე კლიპს გადაიღებენ თუ არა. მაგრამ ბიჭები მრავალ სიურპრიზს გვპირდებიან, რომელზეც წინასწარ საუბარი არ ისურვეს...





# შეგნებთ თუ არა საკუთარი გეგმის განხორციელების უნარი

ზოგიერთი ადამიანი ცდილობს არ დაემორჩილოს ცხოვრების მკაცრ კანონებს და საკუთარი ბედი უკეთესობისკენ შეცვალოს. ვინ რამდენად ახერხებს ამას, სხვა საკითხია. ზოგიერთი კი ფიქრობს, რომ მისი ბედისწერა წინასწარაა განსაზღვრული და არაფერი შეიცვლება. როგორი ხართ თქვენ, შეგნვეთ თუ არა უნარო, რაიმე ხერხით შეცვალოთ საკუთარი ბედი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში ქვემოთ მოყვანილი ტექსტი დაგეხმარება:



1) როგორი რეაქცია გექნებათ, თუ საყვარელი ადამიანის ბინაში საშინელ უნქსრიგობას აღმოაჩენთ?

- ა) ეს მისი ბინაა, ვისი რა საქმეა, რა ხდება იქ - 1;
- ბ) თქვენ მის შეცვლას მოახერხებთ და სისუფთავეს შეაფარებთ - 3;
- გ) საშიში არაფერია - მან ალბათ ბინის მილაგება ვერ მოასწრო - 2;
- დ) სასწრაფოდ მილაგებთ იქაურობას - გვერათ, რომ ეს დაგეფასდებათ - 0.

2) როგორ მოიქცევით, თუ მეგობართან მისული, იმ კომპანიაში აღმოჩნდებით, რომელიც პორნოგრაფიულ ფილმს უცქერს?

- ა) დაუყოვნებლივ წახვალთ - 0;
- ბ) ცალი თვალით შეხედავთ. თუ დაგანტერესებთ, დარჩებით - 2;
- გ) დაჯდებით და უყურებთ - 1;
- დ) მოითხოვთ, ყველამ სხვა ფილმს უყუროს და სასწრაფოდ გამორთავთ ამ „სისასაგლეს“ - 3.

3) რომელი გამონათქვამი უფრო შეეფერება თქვენი ცხოვრების პრინციპს?

- ა) რეალურ მიზნებს ისახავთ და ცდილობთ, მალე განახორციელოთ იგი - 3;
- ბ) სასურველი მიზნისკენ ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიწევთ - 2;
- გ) არ ცდილობთ რაიმის მოწესრიგებას - მოხდეს ის, რაც მოსახდენია - 0;
- დ) მიჰყვებით ცხოვრების დინებას და თანდათან ახორციელებთ დასასულ მიზნებს - 1.

4) როგორ გრძნობთ თავს, როცა სამსახურში 20 წუთის განმავლობაში უსაქმოდ გინვეთ ყოფნა?

- ა) მშვენივრად - ამოსუნთქვის საშუ-

ალება მოგეცათ - 2;

ბ) რა შესანიშნავია, გაიტყვევით და რაიმე ტკბილულს იყიდით - 1;

გ) ეს საშინელებაა - უსაქმოდ ყოფნას ვერ იტანთ - 0;

დ) დანაშაულის გრძნობა გიპყრობთ - თქვენ ხომ ხელფასს შრომისთვის გიხდიან - 3.

5) როგორ იქცევით, თუ საყვარელ ადამიანთან კამათის დროს მიხვდებით, რომ მართალი არ ხართ?

- ა) ბუზღუნებთ, მაგრამ შეცდომას არ აღიარებთ - 3;
- ბ) რაც შეიძლება მალე აღიარებთ, რომ შეცდით - 0;
- გ) აუხსნით, რომ მართალი არ ხართ, მაგრამ თქვენი აზრი უფრო პრაქტიკულია - 2;
- დ) გულწრფელად სთხოვთ პატიებას - 1.

6) როცა სერიოზული რომანი გაქვთ გაჩაღებული, შეგიძლიათ თუ არა გარკვეულწილად შეიცვალოთ ცხოვრების სტილი და ისწავლოთ საკუთარ სურვილებზე უარის თქმა, თუკი ამის საჭიროება გაჩნდება?

- ა) რა თქმა უნდა, თუ ეს ნამდვილი და ორმხრივი სიყვარულია - 1;
- ბ) თავს არაფერში შეიზღუდავთ - ხომ შეიძლება, სხვა, თქვენთვის უფრო შესაფერის ადამიანს შეხვდეთ?! - 2;
- გ) ასე მხოლოდ მაშინ მოიქცევით, თუ თქვენი შეყვარებული ერთგულებას დაგიმტკიცებთ - 3;
- დ) მხოლოდ მაშინ წახვალთ დათმობებზე, როცა ოფიციალურად დაქორწინდებით - 0.

7) როგორ იქცევით სამსახურში,

როცა ისეთ საქმეს გავალებენ, რასაც შემოქმედებითი მიდგომის გარეშე, საკმაოდ ოპერატიული მოქმედებაც სჭირდება?

- ა) სამუშაოს განსაზღვრულ დროში შესრულებთ და შედეგს დაელოდებით - 0;
- ბ) შემოქმედებით მხარეს გვერდზე გადადებთ და საქმის სწრაფად დასრულებაზე გადაიტანთ აქცენტს - 2;
- გ) მიიჩნევთ, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა თქვენი შესაძლებლობის გამოსავლენად და სამუშაოს მთელი გულისყურით მოეკიდებით - 1;
- დ) საქმეს აუქჩარებლად შეუდგებით - როცა დაამთავრებთ, მაშინ ჩააბარებთ ხელმძღვანელობას - 3.

8) როგორ იქცევით, როცა მეგობრებთან ერთად სადმე მიდიხართ?

- ა) მთლიანად მიენდობით მეგობრებს - 2
- ბ) ეცდებით, გამოიჩინოთ ინიციატივა - 3;
- გ) არაფერს დაგეგმავთ - მეგობრებთან ერთად მოულოდნელობებიც სასიამოვნოა - 0;
- დ) წასვლამდე ზუსტად დაგეგმავთ ყველაფერს: თუ სად აპირებთ წასვლას, როდის დაბრუნდებით უკან და ა.შ. - 1.

## დააჯავიეთ ქულები

17-24 ქულა: ცდილობთ, ყველაფერი წინასწარ დაგეგმოთ და გარშემომყოფებიც საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოთ. მიგაჩნიათ, რომ ბედისწერა არაფერ შუაშია და ყველაფერი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. ეს არცთუ ისე ცუდი თვისებაა, მაგრამ თავს ყოვლისშემძლედაც ნუ წარმოიდგენთ — ხომ გაგიგიათ: ბედი მომეცი და სანახევრე გადამაგდეო.

8-16 ქულა: ცხოვრებაში განწინასწორებული ადამიანის იმიჯით სარგებლობთ. ხან ყველაფერს ბედისწერას აბრალებთ, ხან კი ამბობთ, რომ ადამიანი თვითონ განკარგავს თავის ცხოვრებას. კარგად იცით საკუთარი თავის ფასი, მოქნილი გონების პატრონი

ხართ და შედეგიც სახეზეა — თქვენი ყოველი ქმედება ნაყოფიერია. ამასთან, მშვენივრად ახერხებთ სამუშაოსა და დავსენების ერთმანეთთან შეთავსებას.

0-7 ქულა: იმდენად ზარმაცი და პასიური ხართ, რომ გასაკვირია, საერთოდ როგორ ახერხებთ რაიმის მიღწევას. თუმცა, შესანიშნავი პარტნიორი ხართ ძალაუფლების მოყვარულთათვის. თქვენ მუდამ უნდა მიგითითონ, თუ რა უნდა გააკეთოთ და როგორ უნდა მოიქცეთ ამა თუ იმ სიტუაციაში. საკუთარ წარუმატებლობას უბედობას აბრალებთ და ხშირად წუნუნებთ კიდევ: ჯობს, შეიცვალოთ და რადიკალური გადაწყვეტილებების მიღებას მიეჩვიოთ.

## ეთიოპიელმა სიცილის ხეივანი დაამყარა

ეთიოპიის მცხოვრებმა განუწყვეტელი სიცილის რეკორდი ხელახლა დაამყარა. ბელაჩუ გირმა ადის-აბების ცენტრალურ მოედანზე გავიდა – ილოცა, დაჯდა და სიცილი დაიწყო. გირმა 2 საათის განმავლობაში იცინოდა, ხარხარებდა და ხითხითებდა. ეს რეკორდი წინასთან შედარებით, 20 წუთით ხანგრძლივი აღმოჩნდა. ამ ხნის განმავლობაში ბელაჩუ ცნობისმოყვარე გამვლელებს გარშემო უვლიდა, რათა როგორმე აეყოლებინა სიცილში, რაც მშვენივრად მოახერხა კიდევ, რადგან მისი სიცილი მართლაც რომ გადამდები იყო. თუმცა, 13-მილიონიანი ქვეყნისთვის, სადაც უამრავი პრობლემაა, სიცილი – საკმაოდ სერიოზული თემაა. როგორც გირმა ამბობს, – სიცილი ეთიოპიაში – თერაპიული საშუალებაა. „სტიქიური უბედურებების, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემებიდან გამომდინარე, ჩვენ გამოდებით სტრესულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ჩემი მიზანია – ადამიანებში ეს მდგომარეობა ცოტათი მაინც განვმუხტო. – მოდით, გავუღიმიოთ ერთმანეთს, ამბობს იგი, ჩემი დევიზია, – სიცილი, სიყვარული და მშვილობა სუფევდეს თითოეულ ჩვენგანში“.

სამწუხაროდ, მის მიერ დამყარებული რეკორდი ვერ შეეცვინის რეკორდების წიგნში იმის გამო, რომ იმ დღეს მოედანზე ოფიციალური წარმომადგენელი არ იმყოფებოდა, რომელიც მის მიღწევას დაადასტურებდა. მაგრამ ბელაჩუ გირმა ამის გამო ტრაგედიას არ ქმნის. ახლო მომავალში ის გერმანიაში ჩასვლას გეგმავს, რათა ორსაათიანი სიცილში იქაური მცხოვრებლებიც აეყოლიოს.



## პოლიციელები ბიაზილიაში საცუხაო ტყუხებს ჩაიცივამენ

ბრაზილიის უსაფრთხოების სამსახურმა ბრძანება გასცა, რომ პოლიციელებმა ფორმები საცურაო ტრუსებით შეცვალონ, რათა პლაჟებზე გამეფებული დამნაშავეობა აღიკვეთოს. რიო-დე-ჟანეიროში დანაშაულთა რიცხვის გაზრდასთან დაკავშირებით შეიქმნა პოლიციის სპეციალური ქვედანაყოფი (50 პოლიციელი). ამ ქვედანაყოფის თანამშრომლები შეერევიან დამსვენებლებს იმ მიზნით, რომ ისინი უკეთ დაიცვან. სანაპიროს მათთან ერთად 1250 პოლიციელიც გააკონტროლებს, რომლებიც მზად იქნებიან, საჭიროების შემთხვევაში, მხარში ამოუდგინონ უიარაღო საიდუმლო აგენტებს. ეს ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ ამ ბოლო დროს ყველაზე პოპულარულ პლაჟებზე ახალგაზრდულმა ბანდებმა ტერორი მოუწყვეს იქაურ დამსვენებლებს, სადაც უამრავ ქურდობას ჰქონდა ადგილი.

## პეტრარკას საფლავიდან ამოთხიან

მეცნიერები დიდი იტალიელი პოეტისა და ჰუმანისტის ფრანჩესკო პეტრარკას ნეშტს გარდაცვალებიდან 600 წლის შემდეგ, საფლავიდან ამოთხიან იმისათვის, რომ მის სახელთან დაკავშირებული ლეგენდები გადაამოწმონ და სახის ნაკვთებიც აღადგინონ. ჯერჯერობით, დაუდგენელია, ის პორტრეტები, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, რამდენად შეესაბამება პეტრარკას ნამდვილ გარეგნობას. ექსპერტები იმელოვნებენ, რომ თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით მოახერხებენ პოეტის სახის აღდგენას. გარდა ამისა, სპეციალისტების მიზანია, დარწმუნდნენ, მართლა გადმოვარდა თუ არა იგი ცხენიდან, როგორც ამას მისი გვიანი ხანის ბიოგრაფები ამტკიცებენ. ასევე, სინამდვილეს შეეფერება თუ არა ის, რომ მისი აკლდამა პალეასთან, XVII საუკუნეში შეამტვრიეს, პეტრარკას ხელი მოაჭრეს და სუვენირად თან წაიღეს. სამუშაო ჯგუფი გათხრებს სამი კვირის შემდეგ დაიწყებს, მისი სპონსორია ადგილობრივი ბანკი, ხოლო კოორდინატორი – პალეის უნივერსიტეტის პათოლოგანატომიის პროფესორი ვიელ მარინო.




პეტრარკა, რომელიც აღორძინების ჰუმანისტური კულტურის მამამთავრად აღიარებული, იმით არის ცნობილი, რომ მან სონეტების ფორმა სრულყო. პეტრარკას სონეტებმა გავლენა მოახდინეს ჩოსერზე, შექსპირსა და სპენსერზე. ცნობილია მისი ლირიკული ჟანრის ნაწარმოები. პოეტის რჩეულის სახელი – ლაურა სკოლის მოსწავლეებმაც იციან, როგორც ამბობენ, დიდი პოეტი 70 წლის ასაკში თავის საწერ მაგიდასთან კალმით ხელში მჯდარი გარდაიცვალა.

## პატახა ბიჭუნას ცხვირში ამოსუნი მცენახე აღმოუჩინეს

ექიმები გაცივებულები დარჩნენ, როცა 4 წლის რუმინელ ბიჭუნას ცხვირში ამოზრდილი ლობიო აღმოუჩინეს. დედამ ბავშვი ექიმთან იმიტომ კი არ მიიყვანა, რომ რაიმე ტკივილი აწუხებდა ცხვირის არეში, არამედ, უბრალოდ, გასასინჯად. „როცა ბავშვს ცხვირში ლობიო ვუპოვეთ, მასზე მიკროსკოპული ფოთლებიც კი იყო ამოზრდილი“, – აღნიშნა ქალაქ ფოქსანის ჰოსპიტლის ექიმმა ნიკოლაე მოისემ. სპეციალისტების თქმით, მათ ბევრნაირი საგანი უნახავთ ბავშვების ცხვირსა თუ ყურებში, მაგრამ გაზრდილი მცენარე – არასოდეს.



# ფოტოკუჩიონები



ბ 65/40 - 60



*ახანაი ჟურნალი...*

*ახანაი თათვისათვის!..*

*ახანაი ჟანალი...*

*საჟანათათათ...*

**ჟურნალი!**

ჟოველთვიური სტიჟენიან მოსეკეჟი და გენეკეჟი...